


შორენა ცაბაძე

ფრაგმენტოგრაფიის მანქანური თარგმნის ლინგვისტური საფუძვლები



თბილისი
2025

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

შორენა ცაბაძე

**ფრაგენტოლოგიების მანქანური თარგმნის
ლინგვისტური საფუძვლები ქართული და
რუსული ენების მიხედვით**



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2025

„ფრაზეოლოგიზმების მანქანური თარგმნის ლინგვისტური საფუძვლები ქართული და რუსული ენების მიხედვით“ არის პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც დამუშავდა მრავალფეროვანი ემპირიული მასალის საფუძველზე. პირველად გამოვიკვლიეთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა კონკრეტულ შედეგს იძლევა ფრაზეოლოგიის მანქანური თარგმნა ორი სათარგმნი პლატფორმის – გუგლისა და იანდექსის მიერ, რა არის მათ შორის საერთო და განსხვავებული, რომლის შედეგები გამოირჩევა მეტი სიზუსტით და რა არის მათ შორის სხვაობის მიზეზები; ნაშრომში პირველად შეუდარდა ერთმანეთს პროფესიონალი მთარგმნელებისა და მანქანის მიდგომები ფრაზეოლოგიზმების თარგმნის პროცესში. წარმოდგენილი გამოკვლევა არის სადოქტორო დისერტაცია, რომელიც დაცულ იქნა სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025 წელს.

წიგნი გამოადგებათ საუნივერსიტეტო სწავლების სამივე დონის სტუდენტებს როგორც საენათმეცნიერო, ისე თარგმანთმცოდნეობისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით. კონკრეტული და ზოგადი დასკვნები გარკვეულ სამსახურს გაუწევს ამ მიმართულებით მომუშავე მკვლევრებს.

რედაქტორი: **თეიმურაზ გვანცელაძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტები: **მანანა ტაბიძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ლევან ფაჩულია, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

წიგნი იბეჭდება სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით (ოქმი N7, 13.03.2025წ).



წინამდებარე ნაშრომის ობიექტის ციფრული იდენტიფიკატორი (DOI) მინიჭებულია პროფ. ტარიელ ფუტყარაძის ქართველოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების „მეცნიერთა მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში.

Legal Entity under Public Law – Sokhumi State University

Faculty of Humanities

SHORENA TSABADZE

**LINGUISTIC PRINCIPLES OF MACHINE
TRANSLATION OF PHRASEOLOGICAL UNITS
BASED ON THE GEORGIAN AND RUSSIAN
LANGAUGES**



Publishing House **“UNIVERSAL”**

Tbilisi 2025

„Linguistic Principles of Machine Translation of Phraseological Units Based on the Georgian and Russian Languages“ is the first monographic study according to diverse empirical material. For the first time, we researched the issue of what specific results are produced by the machine translation of phraseology of two translation platforms, Google and Yandex, what similarities and differences are between them, which platform has more accurate results, and what are the reasons for the differences between them. For the first time the paper presents a comparison of the approaches of professional translators and machines in the process of translating phraseological units. The presented research is a doctoral dissertation which was defended at the Sokhumi State University in 2025.

The book will be useful for students of all three levels of university education, both in the fields of linguistics, translation studies, and computer technologies. Specific and general conclusions will be a valuable resource for researchers working in these fields.

Editor: **Prof. Teimuraz Gvantseladze**
Doctor of Philological Sciences, Professor.

Reviewers: **Manana Tabidze**, Doctor of Philological Sciences,
Professor.

Levan Pachulia, Doctor of Philology, Associate
Professor.

The book is being printed with the approval of the Council of the Faculty of Humanities of LEPL Sokhumi State University (Protocol N7, 13.03.2025)



DOI for the presented monograph is provided by Taniel Putkaradze International Society of Kartvelology (TPISK) within the framework of TPISK project – "Supporting Scholars".

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, **პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძეს** გაწეული დაუღალავი შრომის, საქმიანი რჩევებისა და პროფესიონალიზმის საუკეთესო მაგალითისათვის.

მადლიერების გრძნობითა და დიდი პატივისცემით მოვიგონებ ჩემს მასწავლებელს, ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელს, **პროფესორ ტარიელ ფუტყარაძეს**. იგი იყო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „**ქართველური ენათმეცნიერების**“ ხელმძღვანელი ქართულ უნივერსიტეტში, რომლის ფარგლებშიც დამტკიცდა და დაიწყო თემის დამუშავება.

მადლობას ვუხდით ექსპერტებს, **ასოცირებულ პროფესორ თამილა ზვიადაძესა და მკვლევარ მიხეილ ლაბაძეს**, რომელთა დადებითი შეფასების შემდეგაც მიეცა სადისერტაციო თემას ადმინისტრაციული მსვლელობა.

მადლობას ვუხდით რეცენზენტებს, **პროფესორ მანანა ტაბიძესა და ასოცირებულ პროფესორ ლევან ფაჩულიას** ჩემი ნაშრომის გულდასმით წაკითხვისა და საყურადღებო თვალსაზრისების გაზიარებისათვის. ასევე თითოეულ ადამიანს, რომელიც მხარს მიჭერდა დისერტაციაზე მუშაობის პროცესში.

შესავალი

ფრაზეოლოგიზმები არის სიტყვათა მყარი შეხამებანი, რომლებშიც მნიშვნელობა არ დაიყვანება მასში შემავალ სიტყვათა მნიშვნელობებზე. ფრაზეოლოგიზმის კომპონენტებს შორის მჭიდრო კავშირია, ამიტომ მათ მყარ შესიტყვებებსაც უწოდებენ. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში მყარი შესიტყვება ასე განიმარტება: „მყარი შესიტყვებებისთვის ნიშანდობლივია სტრუქტურული, ლექსიკური, სემანტიკური ერთიანობა, აგრეთვე ხმარების სტაბილურობა. ისინი ლექსიკონებში უმეტეს შემთხვევაში სახელების „მზა“ ერთეულების სახითაა შეტანილი“ [გამყრელიძე, 2008:341].

ფრაზების უმეტესი ნაწილი სხვა ენაზე ზედმიწევნით არ ითარგმნება. ერთი ენის ფრაზეოლოგიზმი სხვა ენაში უპირატესად სხვა კომპონენტებისაგან შემდგარი სინონიმური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმით გამოიხატება, ანდა სხვა ენაში შესაძლოა სრულებით არ არსებობდეს მსგავსი სემანტიკის ფრაზეოლოგიზმი. ამიტომ მთარგმნელი ზედმიწევნით უნდა იცნობდეს სათარგმნი ენის კულტურას, ყოფა-ცხოვრებას, ტრადიციებს, რომ ზუსტად თარგმნოს ასეთი ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა. ფრაზეოლოგიზმთა თარგმნა, მით უმეტეს მანქანური თარგმნა, ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული.

ამჟამად მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობების სწრაფად განვითარებამ და ცხოვრების ტემპის დაჩქარებამ გამოიწვია თარგმნის საჭიროების ზრდა, პოპულარობა და განვითარება. ინფორმაციის სწრაფად დასამუშავებლად ადამიანთა უმეტესი ნაწილი იყენებს ინტელექტუალურ მთარგმნელობით სისტემებს. მანქანური თარგმნა ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეხმარება მომხმარებელს ტექსტის ძირითადი იდეის გაგებაში.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნის აქტუალურ პრობლემებს, კონტექსტში და ცალკე აღებულ ფრაზეოლოგიზმთა მანქანურ თარგმანთან დაკავშირებულ საკითხებს. განხილულია ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიზმთა სპეციფიკა, თარგმნის

თეორიის საკითხები, მანქანური თარგმნის მოკლე ისტორია, მისი დონეები, პრობლემები და მათი გადაჭრის სავარაუდო გზები. გამოკვეთილია ბუნდოვანების, სტრუქტურული და ლექსიკური განსხვავებების, ასევე გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენების პრობლემები.

უნდა აღინიშნოს, რომ თუნდაც ინგლისური ენისთვის, რომელიც ითვლება პროგრამირების ყველა თანამედროვე ენის საფუძვლად, მისი ლაკონიურობისა და საკმაოდ ფორმალური სემანტიკის მიუხედავადაც კი ვერ შეიქმნა ეფექტური პროგრამული სისტემა, რომელიც უშეცდომოდ გადათარგმნიდა ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს სხვა ენებზე.

ჩვენს შემთხვევაში ქართულ და რუსულ ენებს შორის თარგმნის ანალიზსა და გაგებაში უამრავ პრობლემას ქმნის ორივე ენის რთული გრამატიკული კატეგორიები, გრამატიკული კატეგორიების სიუხვე და მათ შორის არსებული დიდი სხვაობა, წინადადებებისა თუ ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური ბმა, განსხვავებული ეთნოფსიქოლოგია, ყოფითი რეალიები, ისტორია, ინტერესები და სხვა.

ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოაჩენს ერის კულტურას. ისინი უკავშირდება ყოფა-ცხოვრებას, სარწმუნოებას, ტრადიციებს, ისტორიულ მოვლენებს, ეთნიკურ რეალიებს.

ქართულ და რუსულ ენებში არის მრავალი მოკლე ხატოვანი გამონათქვამი, რომლებიც რეგულარულად გამოიყენება მეტყველებაში და გამოსატავს როგორც ზოგადადამიანური, ისე საკუთრივ ქართული და/ან რუსული რეალობისა და კულტურის ფენომენს.

ქართული ენიდან რუსულად და პირიქით მანქანური თარგმნისას იკვეთება მრავალი პრობლემა, რომელთა გადაჭრაც მნიშვნელოვანია ტექსტის მნიშვნელობის სწორად გაგებისა და ზუსტად თარგმნისათვის. პრობლემათა ნაწილის საფუძველი ჯერ კიდევ გაურკვევლად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ჩვენი დაკვირვების შედეგად ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის პროცესის დროს შენიშნული ერთი მიგნება შეიძლება უარყოს მსგავსი მოდელის სხვა თარგმანმა. განსაკუთრებით საკვლე-

ვია იდიომებისა და ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურული და ლექსიკური განსხვავებების პრობლემები: სიტყვისა თუ ფრაზის პოლისემანტიკურობა, სემანტიკური ველები. მანქანის მიერ მათი ამოცნობის პრობლემურობა ართულებს მანქანის სამუშაო პროცესს და აუარესებს ტექსტის თარგმნის ხარისხს. ამის მიხედვით მანქანური თარგმნის სისტემები შეიძლება დაიყოს სამ ღონედ:

1. ყველაზე დაბალი ღონე – ზედმიწევნით თარგმნის უმარტივესი მოდელი;

2. „ელექტრონული მთარგმნელები“ – იყენებენ სინტაქსურ და სემანტიკურ კომბინაციებს: შესაყვანი ტექსტის სტრუქტურის სამიზნე ტექსტის სტრუქტურად გარდაქმნის მოდელები.

3. მესამე ღონის მოდელები – თარგმნის დროს ტექსტის სინთეზისთვის იყენებენ გრამატიკისა და სემანტიკის ფონურ ცოდნას [მასლოვა, 2016:1134].

მნიშვნელოვანია თარგმანის ხარისხის გაუმჯობესებისათვის თარგმნის დროს გაჩენილი პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის სავარაუდო გზების ძიება, პერსპექტიულია ლექსიკური ანალიზისა და სინთეზის ქვესისტემების გაუმჯობესება მანქანური თარგმნის სისტემების განვითარების მიმართულებით, სათარგმნი ტექსტის კონტექსტური სრულყოფისა და ფრაზეოლოგიზმთა მნიშვნელობების უფრო სწორი შერჩევის მიზნით მანქანის სისტემაში აუცილებელია სემანტიკური ჯაჭვების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექსტის თარგმნის პროგრამა არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ნაწილობრივ გადავჭრათ თარგმნის პრობლემები, ამ ეტაპზე მისი ეფექტურობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია მის სწორ გამოყენებაზე.

I თავი. ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნის პრობლემები და თარგმნის ისტორია

ფრაზეოლოგია არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის მყარ შესიტყვებებს, მათ წარმოშობა-განვითარებასა და ფუნქციონირებას ენის სისტემაში. მასში მოიაზრება ამა თუ იმ ენის მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამები, სიტყვათა თავისებური დაკავშირება. ასევე ამა თუ იმ მწერლის, ორატორის, ლიტერატურული მიმართულების, საზოგადოებრივი ფენისა და მისთანებისთვის დამახასიათებელი სტილისტური ხერხების ერთობლიობა. ის ნებისმიერი ენის საგანძურია და ასახავს ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ისტორიას, მისი კულტურისა და ცხოვრების თავისებურებებს, მსოფლხედვას.

„ფრაზეოლოგიზმები ხატოვანი ენობრივი საშუალებებია, რომლებიც გადმოგვცემენ ერის ზნე-ჩვეულებებს, მათ მისწრაფებებს, კულტურას. ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენს რთულ ენობრივ ერთეულებს. ფრაზეოლოგიურ ერთეულში შემავალ სიტყვებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ისინი მყარ გამოთქმებს წარმოადგენენ“ [ვუდი, 1986: 6].

ფრაზემათა¹ კლასიფიკაციას განსაზღვრავს მასში შემავალი კომპონენტების სხვადასხვა ნიშნით ერთმანეთთან დაკავშირება. ისინი იყოფა არაერთგვაროვან ჯგუფებად, ესენია: იდიომები, ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი, სამეტყველო შტამები, ფრაზეოსქემები, „ფრთიანი“ გამოთქმები (ანდაზები, აფორიზმები და სხვა.).

იდიომები ფორმით თავისუფალ შესიტყვებებს ემთხვევა, მათთვის დამახასიათებელია ერთიანი მნიშვნელობა, მათი სინთეზური ფუნქცია სიტყვის მსგავსია. მაგალითად, **გუნდრუკის კმევა** „ხოტბის, ქება-დიდების შესხმა, პირფერობა“. გუნდრუკი ერთ-ერთი ტროპიკული ხის ფისია, რომელიც საჭმელად იხმარებოდა“ [ონიანი, 1966:54]; **თავის გამოდება** „მონდომება, თავგამოდებით, გულმოდგინედ ზრუნვა (ვინმესთვის,

¹ მყარი შესიტყვებები, ფრაზეოლოგიზმები, ლექსიკალიზებული შესიტყვებები [გამყრელიძე, 2008:340].

რამესთვის), თავგანწირვა, თავის გადადება, ყოველი ღონის ხმარება რისამე მისაღწევად“ [ონიანი, 1966:79]. იდიომები სიტყვათა გამომსახველობითი სინონიმებია, მათი მნიშვნელობა არა მარტო კომპონენტების კონოტაციებს შეიცავს, არამედ – თვით ფრაზემის ხატოვან საფუძველსაც, რის გამოც იდიომათა მნიშვნელობა ლექსემათა მნიშვნელობაზე უფრო მდიდარია.

ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში სემანტიკურად გარდაქმნილია მხოლოდ ერთი სიტყვა, კომპონენტებს შენაჩუნებული აქვთ სემანტიკური დამოუკიდებლობა, მათი სახელდება ანალიზურია. მაგალითად: **ძალიან (უსასრულოდ) იშვიათი, ეკლიანი (ძნელი, რთული) გზა**. ასეთ შესიტყვებებში სიტყვათა მნიშვნელობების გარდაქმნა განპირობებულია სინტაგმური კავშირებით და მიღებული მნიშვნელობა ვლინდება წევრთა განსაზღვრულ რიგებთან [გამყრელიძე, 2008:342].

სამეტყველო შტამები (შტამში იტალიურად „ბეჭედი“, „ანაბეჭდი“) უახლოვდება ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს, ისინი რეგულარულად ხმარებული შესიტყვებებია და ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში მოცემულია „მზა ფორმულების“ სახით. ისინი მოსახერხებელია გარკვეული შინაარსის გამოსახატავად. მაგალითად, **ფასდაუდებელი ღვაწლი, ავის მომასწავებელი სიჩუმე** და სხვა.

კლიშე (ფრანგ. „სტერეოტიპი“, „სტანდარტი“) მოკლებულია უარყოფით შეფასებას, ის გამოიყენება სხვადასხვა დარგში ინფორმაციულად აუცილებელი მზა ენობრივი ფორმულების გადმოსაცემად. ენობრივი კლიშეები რეგულარულად წარმოიქმნება ენაში, მით უფრო დღეს, როცა აქტიურია საინფორმაციო ურთიერთობები, რომელსაც „საზოგადოდ, გლობალური სტანდარტიზაციის ტენდენციები ახასიათებს და ქართულ სალიტერატურო ენაშიც შესაფერის ასახვას პოვებს“ [არაბული, 2004:249].

კლიშედ მიიჩნევა ნებისმიერი მოარული ენობრივი ფორმულა – დაწყებული ერთი სიტყვით და დამთავრებული რამდენიმესიტყვიანი ფრაზით, რომელსაც საკვანძო კონსტრუქციული (სტილისტიკური) ფუნქცია ეკისრება შესაბამისი სპეცია-

ლური ტექსტის აგებაში. მაგალითად, სიტყვა **შეხვედრა** ჩაანაცვლა **ფორუმმა**, რომელიც თითქმის ყველა „იდეოლოგიურად მნიშვნელოვანი“ შეკრების აღმნიშვნელად გამოიყენება: მასწავლებელთა **ფორუმი**, ექიმთა **ფორუმი**, ასევე მსგავსი ნიშნები შეიძინა **სამიტმა**, რომელიც სახელმწიფოთა ურთიერთობის დონეზე შეხვედრის აღმნიშვნელია. გავრცელებულია გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვის შესიტყვებები: **ხალხის ნება**, **მოქალაქეობრივი შეგნება**, **ხალხის ნდობის გამართლება**, **პოლიტიკური შოუ**, **ჯანსაღი ცხოვრების სტილი**, **საყოველთაო მღელვარება** და სხვა [არაბული, 2004:250].

ფრაზეოლოგიები სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქციებია, მათში კომპონენტთა ნაწილი იცვლება კონტექსტის მიხედვით და ანალიზური ფუნქცია აქვთ. მაგალითად: **მიდი და...** (გააკეთე), **და... რა** (გამოხატავს გაკვირვებას)...

ფრთიანი გამოთქმებია ანდაზები, აფორიზმები, ბიბლეიზმები, სენტენციები. მათ ხშირად წინადადების მნიშვნელობა აქვთ და არ მიიჩნევიან ფრაზებად. მაგალითად, „**სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი**“.

ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნის აქტუალური პრობლემები წარმოიშვა ტექსტის (და არა მხოლოდ სიტყვის) თარგმნის აუცილებლობასთან ერთად. ამჟამად ჯერ კიდევ საკმარისად არ არის შესწავლილი ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნის თავისებურებები, არ არის გამოვლენილი სათანადო პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

ფრაზეოლოგიზმთა კლასიფიკაციისა და სისტემა-ტიზაციის პრობლემები პირველად აღწერა შარლ ბალიმ თავის შრომაში „ფრანგული სტილისტიკა“.

თანამედროვე მკვლევართა აზრით, ფრაზეოლოგიზმების განსაკუთრებულობას წარმოადგენს ნაწილობრივი ან სრული შეუსაბამობა მისი შემადგენელი სიტყვების შინაარსთან, რაც განსაზღვრავს მისი თარგმნის ხარისხს და გავლენას ახდენს თარგმნის ხერხისა და საშუალების არჩევანზე.

გარდა განსაზღვრული შინაარსისა, ფრაზეოლოგიზმებს აქვს ექსპრესიულ-სტილისტიკური ღირებულებები, რის გამოც მთარგმნელის ამოცანაა, გადმოსცეს არა მარტო ფრაზეოლო-

გიზმის აზრი, არამედ შეძლებისდაგვარად მიიტანოს იგი სხვა-ენოვან მკითხველამდე გამოხატვის თავისებურებებით. მთარგმნელმა რომ შეძლოს ზუსტი შინაარსობრივი და სტილისტური შეხამება, კარგად უნდა იცნობდეს ორივე ენაში არსებულ სიტყვათშეხამებებსა და ორივე ერის ისტორიულ და კულტურულ თავისებურებებს, რომ შეძლოს ზუსტი ანალოგიის პოვნა თარგმანის ენაში. ნაწარმოების ორიგინალში ავტორმა შეიძლება გამოიყენოს ანდაზა, სიტყვათა მყარი შეხამება, რომლებიც მხოლოდ ორიგინალი ნაწარმოების ენაშია და ერის ისტორიულ-კულტურულ თავისებურებასა და ხასიათს გამოხატავს, რისი თარგმნაც გარკვეულ სირთულეს შეუქმნის მთარგმნელს. ამ სიტუაციაში მნიშვნელოვანია, მთარგმნელმა განსაზღვროს სათარგმნი ფრაზის წარმოშობის მიზეზი და სფერო, იპოვოს მისი სინონიმური ფრაზა იმავე ენაში, რომლის ანალოგიც შეიძლება არსებობდეს თარგმანის ენაში. მნიშვნელოვანია, რომ ფრაზეოლოგიზმის სემანტიკის განმარტებამაც შეიძლება მიიყვანოს მთარგმნელი მისი ანალოგიის პოვნამდე თარგმანის ენაში.

მკვლევართა უმეტესობა გამოყოფს ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის 4 ძირითად პრინციპს:

პირველი პრინციპი წარმოგვიდგენს ფრაზეოლოგიურ ეკვივალენტებს, ვინაიდან თარგმანში შენარჩუნებულია დედნის ფრაზაში შემავალი ერთეულების მნიშვნელობა თარგმნის შედეგად. ამ შემთხვევაში თარგმანის ენაში არის ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც ყველა პარამეტრით ემთხვევა ორიგინალის ფრაზეოლოგიურ ერთეულს. შენარჩუნებულია ფრაზის მთლიანობაც. ზუსტი შესიტყვებების გამოყენება საშუალებას იძლევა, დაუზარალებლად იყოს გადატანილი უცხოური ფრაზეოლოგიური ერთეული ერთიდან მეორე ენაზე. ამასთან არსებობს ფრაზათა ორგანიზების ორი გარემოება: **პირველი** – მნიშვნელოვნად ნაკლები ფრაზეოლოგიური ეკვივალენტები, რაც ყველაზე მეტად შეინიშნება ინტერნაციონალურ ფრაზეოლოგიზმებში, რომლებიც ნასესხებია ორი ენის მიერ მესამე ენიდან, ძირითადად ლათინურიდან და ბერძნულიდან. მაგალითად,

- „სიზიფეს შრომა“ – დაუსრულებელი და უნაყოფო შრომა [<https://idioms.iliauni.edu.ge/>];
- „Труд Сизифа“ – бесконечный и бесплодный труд [https://russian_stress.academic.ru/].
- „ლიოგენეს ფარანი“ – გამჭრიახი აზრი [<https://idioms.iliauni.edu.ge/>];
- „Фонарь Диогена“ – упорно, но тщетно стремиться найти кого или что-либо [<https://rus-mostitsky-universal-dict.slovaronline.com/>].

მეორე პრინციპი – ორივე ენაში მესამე ენიდან ნასესხები ერთი და იგივე ფრაზეოლოგიზმი შესაძლოა შეიცვალოს ერთ-ერთ ენაში და შედეგად ეს ფრაზეოლოგიზმები თარგმანში ხდება მთარგმნელისათვის არასაიმედო, მაცდური დასაყრდენი: კომპონენტების ფორმა მსგავსი იქნება, მაგრამ სემანტიკა – განსხვავებული, მაგალითად: „გორდიას ნასკვი“ – რაიმე დახლართული საქმის, ძნელი ამოცანის, გამოუვალი მდგომარეობის შესახებ ითქმის, გორდიას კვანძის გახსნა – რაიმე რთული, დახლართული საკითხის გაბედულად, ძალის გამოყენებით გადაწყვეტა [<http://www.nplg.gov.ge>]. „Гордиев узел“- чрезвычайно сложный узел, завязанный, согласно древнегреческой мифологии, фригийским царём Гордием, а впоследствии рассечённый мечом Александра Македонского. В переносном смысле выражение «гордиев узел» означает всякое запутанное сплетение обстоятельств, а выражение „разрубить гордиев узел“ – разрешить какое-либо сложное, запутанное дело, какие-либо затруднения прямолинейным способом [<https://ru.wikipedia.org>]; „ეშმაკის კერძი“ – „ბოროტი, უკუღმართი ვინმე [ონიანი, 1966:68]; „აბრაამის ტაბლა“ – „უხვი, ყოველგვარი სანოვავით პირთამდე სავსე სუფრა; სტუმართმოყვარეობა, გულუხვობა“ [<http://idioms.tsu.ge/?paged=91&cat=54>]. მათ რუსული შესატყვისი არა აქვთ.

მეორე პრინციპის შემთხვევაში ფრაზეოლოგიურ მსგავსებებს ქმნის ე.წ. ფრაზეოლოგიური ანალოგები, რომლებიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც თარგმანის ენაში არ არსებობს, ან დაკარგულია ფრაზეოლოგიური ეკვივალენტები

და უნდა შეირჩეს იმავე მნიშვნელობის სხვა შესიტყვება. ეს პრინციპი უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტის მაღალ ხარისხს. აქაც აღინიშნება რამდენიმე განსხვავება: **პირველი**, აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს ფრაზეოლოგიზმის ემოციური და სტილისტური მნიშვნელობა, **მეორე**, უნდა გავითვალისწინოთ ორი ფაქტი: ზოგიერთი ანალოგიური ფრაზეოლოგიზმის არათანაბრობა და ფრაზეოლოგიზმის ნაციონალური მნიშვნელობა.

მესამე პრინციპი არის **კალკირება**. ფრაზეოლოგიზმების ზუსტი, ანუ ზედმიწევნითი თარგმნა. კალკირება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შედეგად მივიღებთ ისეთ გამონათქვამს, რომლის მნიშვნელობა აღიქმება მკითხველის მიერ და არ გამოიკვეთება შეუთავსებლობა თარგმანის ენის საერთო ნორმებთან.

კალკი საკმაოდ ფართოდ გამოიყენება მთარგმნელობით პრაქტიკაში, რადგან ის გვაძლევს საშუალებას, შევინაჩუნოთ ორიგინალური წყობა, რაც თარგმნის დროს მნიშვნელოვანია. ამ გზით ვირჩევთ შექმნილი სახეობის მეტაფორულ ორიგინალს. ფრაზეოლოგიური კალკის შექმნის ძირითად სირთულეს წარმოადგენს მისი ფორმის გარდაქმნა ფრთიან ფრაზად. ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნისას, რომელთა ანალოგი სამიზნე ენაში არ მოიძებნება. ისინი უნდა ითარგმნოს ზედმიწევნით და არა აღწერითი თარგმანით, თანაც უნდა დავყრდნოთ დედნის ენის ლექსიკური საწყისების ტრანსფორმაციას. „თვალი ისევ ძაღლებისაკენ გაგვირბოდა“ – „снова поглядывая одним глазом на собак“, გამოყენებულია ფრაზეოლოგიზმის აღწერილობითი მეთოდი, რადგან სამიზნე ენაში არ არის ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც გამოხატავს მას. შესაბამისად ფრაზეოლოგიზმი ითარგმნება შენდგენიარად: ოპტიმალურ მთარგმნელობით გადაწყვეტად მიჩნეულია ფრაზეოლოგიური ერთეულის ძიება, თუმცა სათარგმნ ენაში მსგავსი მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმთა ძიება დედანთან შედარებით შეუზღუდულია იმის გამო, რომ ორიგინალის ენაში შესაბამისი ფრაზეოლოგიზმების უქონლობა საშუალებას გვაძლევს, გადავთარგმნოთ ანალოგიური ფრაზეოლოგიური ერთე-

ულის საშუალებით, მაგრამ ის აწყობილი იქნება სხვა ხატოვანი გამოთქმის საფუძველზე. ასევე საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ სტილისტური და ემოციური შეფერილობა უმეტეს შემთხვევაში არ ემთხვევა და ამ დროს ზუსტი ჩანაცვლება შეუძლებელია. კალკირება ანუ ზედმიწევნითი თარგმნა ზოგჯერ დასაშვებია, მაგრამ ეს მეთოდი ხშირად არაეფექტურია, საინტერესო ისაა, რომ ხანდახან მთარგმნელს შემოაქვს და ნერგავს თარგმნის ახალ კულტურას. ეს გზა დასაშვებია იმ შემთხვევაში, როცა ფრაზეოლოგიზმს აქვს ბიბლიური, ანტიკური, ან მითოსური წარმომავლობა. ისტორიულ-კულტურული ტექსტების თარგმნისას გამოიყენებენ კალკირებას, შესაძლოა მოკლე განმარტების მნიშვნელობით. თარგმნის ამ სახეობას ეწოდება **პარალელური თარგმნა**: თუ თარგმანის ენაში არ არის ფართო ფრაზეოლოგიური ეკვივალენტები, რომლებიც ფრაზეოლოგიური ერთეულებიდან გამომდინარეობს, საჭიროა ვეძებოთ სიტყვის ხატოვანი მნიშვნელობის შესაბამისობა ე.წ. ფრაზეოლოგიის ერთსიტყვიან, ნაწილობრივ ეკვივალენტებში, მაგალითად, „*Сошел с ума*“ – გაგიჟდა.

მეთოხე პრინციპია აღწერითი თარგმნა. ეს არის დედნის ენის ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობის გადმოცემა მეორე ენაზე. უდავოა, რომ აღწერითი თარგმნის დროს იკარგება ორიგინალის ენის ხატოვანება, ამიტომ მთარგმნელები ამ მეთოდს მიმართავენ მაშინ, როცა არ არის სხვა მეთოდების გამოყენების საშუალება [მეტრეველი, 2022:5]. მაგალითად, „**სახელადაც მეყოფა და სახრავადაც**“ – პირდაპირი მნიშვნ.: სასახელოდაც და პრაქტიკულად გამოსაყენებლადაც მეყოფა. ხატოვანი მნიშვნ.: ყველა მხრით სამყოფია. შდრ. დიდი კაცის ნეკის შეხებაც დიდი მოწყალებაა. ბ-ნმა ჟორდანიამ პასუხი მაღირსა, თუნდაც „გზადაგზა“, ეს სახელადაც მეყოფა და სახრავადაც (ილ. ჭავჭავაძე) [სახოკია, ტ. II. 1954:144]. ამ ფრაზეოლოგიზმის ზუსტი ეკვივალენტი არ არსებობს რუსულ ენაში, ამიტომ მისი თარგმნისას საჭიროა აღწერითი თარგმნის გამოყენება: „*Этого мне будет достаточно для всего*“.

ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნის კვლევა საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ ის საჭიროებები და სირთულეე-

ბი, რომლებიც დგას მთარგმნელის წინაშე მათი თარგმნისას და რომ უმნიშვნელოვანესია ლექსიკოლოგიის, ლინგვოკულტუროლოგიისა და ენის ისტორიის მონაცემების გამოყენება.

თარგმნის ისტორია დიდი ხანია მეცნიერების განხილვის საგანია, თუმცა მიღებულია, რომ თარგმნა ბიბლიაზე ადრე თარიღდება. თუ დავეყრდნობით ბიბლიას, როგორც წყაროს, მასში საუბარია განსხვავებული ენების არსებობის შესახებ მხოლოდ შემდეგ მონაკვეთში: „მოვედით, გარდავიდეთ და შეურიეთ მათ ენანი მუნ, რათა არა ესმოდის თვითოულსა ჰმაჲ მოყუსისა“ [დაბ.11.7.

https://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/dzveli/dabadeba/dabadeba-11.htm], რაც ეწინააღმდეგება ენათმეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებას.

ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის საგანი არ არის მოცემულ მოსაზრებათა განხილვა, თუმცა საზოგადოდ მნიშვნელოვანია თარგმნის დაწყების რეალური თარიღის დადგენა.

თარგმნის საჭიროება გამოიკვეთებოდა ადამიანთა ურთიერთობის პირველივე დღეებიდან სხვადასხვა სფეროში კომუნიკაციისათვის. მთარგმნელობითი სერვისების მოთხოვნა ევოლუციასთან ერთად იზრდებოდა და ახლა ის უკვე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

სიტყვები **თარგმანი** და **თარგმანება** ძველქართულ ტექსტებში „განმარტებას, კომენტირებას“ ნიშნავდა: ამ სიტყვათაგან პირველი არსებითი სახელია და განმარტებულ, კომენტირებულ ტექსტს ნიშნავს, ხოლო **თარგმანება** ზმნა იყო და გამოიყენებოდა განმარტების პროცესის, კომენტირების აღსანიშნად. სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავდა ამ სიტყვებს: „**თარგმანი** – სიტყვის გაცხადება“; „**თარგმანება** – ვთარგმნი, ითარგმნა, სთარგმნის, უთარგმნა“ [ორბელიანი, 1991:1:301]. ი. აბულაძე თავის ძველი ქართული ენის ლექსიკონში შემდეგ განმარტებას იძლევა: „**თარგმანი** – მთარგმნელი, კომენტატორი“, „**თარგმანება** – განმარტება, „გამოთარგმანებაი“ [აბულაძე, 2014:179].

საყურადღებოა, რომ დასავლეთევროპულ ენათა დიდ ნაწილში თარგმნის პროცესის აღსანიშნად არსებობს სიტყვა

translation, რომელიც მომდინარეობს ლათინური ენიდან და ნიშნავს „მიტანას; გადატანას“. იმავე ენებსა და ძველ ქართულში არის ტერმინი მეტაფრასი, რომელიც ნიშნავს „სიტყვა-სიტყვით, ზედმიწევნით თარგმნას“ და ძველი ბერძნული წარმოშობისაა. ეს ტერმინები იყო თარგმნასთან დაკავშირებული თეორიების ცენტრში თარგმნის ისტორიის განმავლობაში და გვეხმარებოდა იმის დადგენაში, თუ როდის და სად გამოიყენებოდა თარგმანი საუკუნეების განმავლობაში.

თარგმნის საწყის პერიოდს სახელდება შუამდინარეული ცივილიზაციის ეპოქა, როდესაც შუმერული პოემა „გილგამეში“ ითარგმნა აზიურ ენებზე დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულში. სხვა უძველესი ნათარგმნი ნაწარმოებები ეკუთვნით ბუდისტ ბერებს, რომლებმაც თარგმნეს ინდური დოკუმენტები ჩინურად. ცოტა მოგვიანებით ძველი ბერძნული ტექსტები გადაითარგმნა რომაელი პოეტების მიერ და ადაპტირებული იყო ახალი ლიტერატურული ნაწარმოებების შესაქმნელად. ცნობილია, რომ მთარგმნელობითი სერვისები რომში გამოიყენეს ციცერონმა და ჰორაციუსმა და მას იყენებდნენ მე-17 საუკუნემდე, სანამ არ განვითარდა ახალი პრაქტიკა.

ამტკიცებენ, რომ ბერძენი აკადემიკოსების დასკვნები ეყრდნობა არაბი მეცნიერების მთარგმნელობითი მუშაობის პრინციპებს. მათ არაბულიდან თარგმნეს სამეცნიერო, გასართობი და ფილოსოფიური ნაწარმოებებიც. [<https://www.kwintessential.co.uk/blog/generalinterest/the-history-of-translation>]

თარგმნის საჭიროება გაიზარდა რელიგიური ტექსტებისა და სასულიერო თეორიების განვითარებასთან ერთად. რელიგიის პრიორიტეტისა და მნიშვნელობის გაზრდის გამო საჭირო გახდა რელიგიური წიგნების სხვადასხვა ენაზე თარგმნა. რელიგიური ტექსტები მრავალ ენაზე უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი. ცნობილია, რომ ერთ-ერთი პირველი თარგმნილი რელიგიური ტექსტი იყო „ძველი აღთქმა“, რომელიც ებრაული ენიდან ბერძნულად ითარგმნა ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში.

რელიგიამ ისეთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თარგმნის პრაქტიკის განვითარებაში, რომ ეკლესია წმინდა იერონიმესაც კი ასახელებს თარგმნის მფარველ წმინდანად, რომელმაც თარგმნა ლათინურად ბიბლიის ტექსტი ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში. ეს თარგმანი გახდა რომის კათოლიკური ეკლესიის უპირატესი კანონიკური ტექსტი. პროტესტანტიზმის, როგორც რელიგიურ მიმდინარეობათა ჯგუფის გაჩენასთან ერთად გაიზარდა ბიბლიისა და სხვა რელიგიური ტექსტების ევროპულ ენებზე თარგმნის აუცილებლობა, პროტესტანტული რეფორმაციის დროს ბიბლიის სწრაფი თარგმნისა და გავრცელების გზით. დასავლეთ ევროპაში ქრისტიანობას ორი გზა ჰქონდა: ლათინურ ენაზე დაფუძნებული რომაული კათოლიციზმი ან ენობრივად მრავალფეროვანი პროტესტანტიზმი, მართლმადიდებლობა კი ჯერ კიდევ რეფორმამდე მრავალი საუკუნით ადრე ნებას რთავდა მართლმადიდებლურ ეკლესიებს საკუთარ ენებზე ბიბლიის თარგმნისა. დასავლური ქრისტიანობის ამ ორ მიმდინარეობას შორის ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი განსხვავება იყო ტექსტების უთანასწორობა და ბიბლიის საკვანძო სიტყვებსა და მონაკვეთებს შორის დიდი განსხვავება.

მთარგმნელები ხშირად იყვნენ ფარული პერსონაჟები, „უსახელო“ ადამიანები, რომლებმაც გზა გაუხსნეს თარგმნის იდეების, ცოდნისა და თეორიების გავრცელებას საუკუნეების განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში თარგმნად მუშაობა წარმოუდგენლად სახიფათო იყო და მრავალმა შრომის გამო სიცოცხლეც კი დაკარგა. მათ შორის იყო ცნობილი მთარგმნელი უილიამ ტინდეილი, რომელიც სიკვდილით დასაჯეს ჰოლანდიაში 1536 წელს, რადგანაც თარგმნიდა ბიბლიას ინგლისურად. <https://www.kwintessential.co.uk/blog/general-interest/the-history-of-translation>

„ძველი ქართული ენის, როგორც სალიტერატურო, მწიგნობრული ენის ჩასახვა, ჩამოყალიბება და განვითარება ჩვენში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასა და მთარგმნელობით მოღვაწეობას უკავშირდება, რადგანაც ქართულ ენაზე ქრისტიანობამდე პერიოდის ლიტერატურული ფაქტი არ არის დადასტურებული“ [მელიქიშვილი, 2019].

ქრისტიანობის შემოსვლასა და გავრცელებასთან ერთად მთარგმნელობითი მოღვაწეობა ფართოდ გაიშალა, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო კერებში, პირველ რიგში, წმიდა მიწაზე – იერუსალიმ-პალესტინისა და სირიის, შემდგომ კი ბიზანტიის სამონასტრო კერებში [მენაბდე, 1980].

ქართული თარგმანის ისტორიაში მიზანდასახულობის, მეთოდისა და ენობრივი სტილის თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი პერიოდი: წინარეათონული (ორი ქვეპერიოდით – იერუსალიმურ-პალესტინური და ტაო-კლარჯეთისა), ათონური, შავი მთისა და გელათისა [კეკელიძე, 1960: 42-79].

წინარეათონული პერიოდი – დანამდვილებით არ არის ცნობილი უძველესი თარგმანების შესრულების ზუსტი დრო და ადგილი. არ გამოირიცხავენ, რომ თარგმანება შეიძლება უსწრებდეს საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების თარიღს, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ „თარგმანის აუცილებლობა მრევლის გაჩენის შედეგად დგება“ [ხარანაული, 2006]. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის თარგმანები ახლოს მისდევს დედანს, სათანადოდ არ არის აპრობირებული ლექსიკური და გრამატიკული ეკვივალენტები. ამ პერიოდის მთარგმნელებს არ ჰქონდათ შემუშავებული თარგმნის კონცეფცია და პრინციპები, ისინი გზადაგზა პოულობდნენ სათარგმნის შესაბამის ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს. ხოლო თარგმნის შემდგომ ეტაპზე თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ნაპოვნი საშუალებები [ხარანაული, 2006].

წინარეათონული პერიოდი წმინდა წერილისა და ლიტურგიკული ლიტერატურის თარგმნით იწყება. ამ პერიოდის ჩვენამდე მოღწეული თარგმანების შემსრულებელთა ვინაობა, სამწუხაროდ, ხელნაწერებს არ შემოუნახავთ.

ქართული სალიტერატურო სკოლის ფუძემდებლის, **ქქუთიმე ათონელის**, მთარგმნელობითი მეთოდი და სტილი განსაზღვრული იყო ქართველი მრევლის ინტერესებიდან გამომდინარე, ის ცდილობდა რთული საღვთისმეტყველო ლიტერატურა ადაპტირებული სახით მიეტანა მრევლამდე. მისი საქმიანობა ღირსეულად გააგრძელა მისმავე ბიოგრაფმა **გი-**

ორგი მთაწმინდელმა, რომელმაც მნიშვნელოვნად განავითარა ბერძნული ტექსტის ქართულად თარგმნის პრაქტიკა.

უძველესი იერუსალიმური ნუსხებისა და გიორგი მთაწმინდელის თარგმანის ერთმანეთთან შედარების შედეგად ილია აბულაძე ადასტურებს მათ „ყოველმხრივ სიახლოვეს ერთმანეთთან, ერთის მიღევნებით მეორის დამუშავებას, ანუ, როგორც გიორგი მთაწმინდელს აქვს ნათქვამი, „ხელის აპყრობას ახლად მთაგმნელისათვის ადრინდელი თარგმანით“. „ძველი თარგმანის მიღევნებით ახლის შესრულება ისე, რომ სიახლოვე ყოფილიყო ბერძნულ დედანთან, გიორგი მთაწმინდელის ცნობილი მეთოდია. ამ გზით იმუშავა მან სახარების და დავითნის ახალ თარგმანებზე, ამავე მეთოდით მუშაობდა „ექუსთა დღეთას“ ახალ თარგმანზეც [აბულაძე, 1964:12].

ამავე სკოლის დიდი მოღვაწე **ეფრემ მცირე** გახლდათ ქართული თარგმანის ე.წ. „ელინოფილური“ მიმართულების სრულიად ახალი კონცეფციის ავტორი, რომელსაც თანამედროვეთაგან შექმნილი ბევრი დაბრკოლების გადალახვა უწევდა. დრომ გამოკვეთა, რომ თარგმანის განვითარების ისტორიაში მისი ღვაწლი ფასდაუდებელია.

XI-XII საუკუნეები იწოდება „ელინოფილურ“ ხანად ქართული ლიტერატურისა და თარგმნის ისტორიაში. ამ პერიოდის ნაშრომები გამოირჩევა ცნებითი ღირებულების ლექსიკის სიმდიდრით.

დ. მელიქიშვილის დასკვნით, „ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ლიტერატურის მიზანდასახულობა და სისტემურმა თარგმნა-დამუშავებამ მოითხოვა ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხედვისა და აზრის ზუსტად გადმოცემა, ცნებათა დიფერენცირებისათვის საჭირო სპეციალურ ტერმინთა ზუსტი შესატყვისების დაძებნა და წარმოება, რასაც შედეგად მოჰყვა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება და სისტემაში მოყვანა, ქართული მეცნიერული ენის შექმნა“ [მელიქიშვილი, 2006:8].

სირიაში, ანტიოქიის მახლობლად მდებარე შავ მთას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საღვთისმეტყველო-მთარგმნელობითი საქმიანობის ისტორიაში. შავ მთაზე ქართველთა

მთარგმნელობითი მოღვაწეობა XI საუკუნის 30-იანი წლებიდან გაჩაღდა. ღირსი მამის – **გიორგი დაყუდებულის** ძალისხმევით ჩაეყარა საფუძველი ბერძნულიდან ქართულად „ელინოფილური“ მიმართულების თარგმნას – ზედმიწევნით თარგმანს, აღჭურვილს სქოლიო-კომენტარებით. „ეფრემ მცირის მიერ შავ მთაზე დანერგილი ეს წესი – ტექსტის ზედმიწევნით გამოძიება და თარგმანთან ერთად მისი განმარტება-კომენტირება შემდგომში გელათის საღვთის-მეტყველო-ლიტერატურული სკოლის ძირითად მიზნად და მიმართულებად იქცა“ [მელიქიშვილი, 2006:9].

„ამ პერიოდში მთარგმნელობითი საქმიანობა ეკლესიამონასტრებში, ძირითადად ბერ-მონაზვნების წრეში მიმდინარეობდა. რელიგიური თავმდაბლობის პრინციპის თანახმად, ისინი ანონიმურად იღვწოდნენ და ამიტომაც, პირველ მთარგმნელთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია“ [კოპალიანი, 2012:12].

სასულიერო წიგნები თუ ძირითადად არამეულიდან და ბერძნულიდან ითარგმნებოდა, საერო ლიტერატურაში მე-19 საუკუნემდე დომინირებდა სპარსულიდან ნათარგმნი სარაინდო პოემები, რომელთა თარგმნის დროს ე.წ. „თავისუფალი თარგმნის“ ხერხს იყენებდნენ. მსგავსი ინტერპრეტაციები პოპულარობით სარგებლობდა ხალხში. მსგავსი თარგმანებიდან აღსანიშნავია ქართულად გადმოკეთებული ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ (ქართული ვერსიით „როსტომიანი“), „ქილილა და დამანა“ და განსაკუთრებით „ვისრამიანი“, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა შემდეგი ხანის ორიგინალური ქართული ლიტერატურის განვითარებაზე [კოპალიანი, 2012:13].

„XVII-XVIII სს-იდან საქართველოში განვითარებულ ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით დაიწყო რუსულ-ქართული კონტაქტების გააქტიურება, რამაც XIX ს-იდან, საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ. ბუნებრივია, ინტენსიური ხასიათი მიიღო. საქართველოში რუსული ენის ცოდნის აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა მთარგმნელობითი საქმიანობა, ორენოვანი ლექსიკონებისა და გრამატიკების შედგენის საჭიროება. რუსული ენის გავლენა საგრძნობი გახდა ქართული ენის ლექსიკაზე. ნასესხობებმა სა-

ლიტერატურო ენაშიც შემოაღწია. განსაკუთრებით გაიზარდა რუსულის გავლენა საბჭოთა პერიოდში (1921-იდან), როდესაც ენობრივმა კონტაქტებმა ბილინგვური ხასიათი მიიღო. რუსული ლექსიკა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში (განსაკუთრებით, პოლიტიკურსა და პროფესიულ სფეროებში) შემოიჭრა. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო მდიდარი სამწერლობო ტრადიციების მქონე ენისათვის, ქართულში ეს გავლენა სიტყვათა სესხებისა და კალკირების ზღვარს არ გასცილებია"

მე-19 საუკუნიდან ქართული საზოგადოება დასავლური ლიტერატურით ინტერესდება და ჩნდება თარგმანებიც, განსაკუთრებით აღსანიშნავია უილიამ შექსპირის შემოქმედების ქართული თარგმანები. რომელთა თარგმნა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დაიწყო. პირველი სრულფასოვანი ქართული თარგმანი შექსპირის ტრაგედიისა „მეფე ლირი“ ილია ჭავჭავაძემ ივანე მაჩაბელთან ერთად შეასრულა. მოგვიანებით ივანე მაჩაბელმა მარტო განაგრძო მთარგმნელობითი საქმიანობა და თარგმნა უილიამ შექსპირის შვიდი პიესა, ესენია: „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მაკბეტი“, „რიჩარდ მე-სამე“, „იულიოს კეისარი“, „ანტონიო და კლეოპატრა“ და „კორიოლანოსი“. ეს თარგმანები დედნის კონგენიალურად ითვლებიან. „მაჩაბელმა ევროპული ლიტერატურის მხატვრული თარგმნისთვის მყარი ტრადიცია შექმნა“ [კოპალიანი, 2012:14], რომელიც მრავალმა ქართველმა მთარგმნელმა გააგრძელა და გრძელდება დღესაც.

მოგვიანებით, უკვე მე-20 საუკუნეში, მთარგმნელობითი საქმიანობა საქართველოში უფრო ორგანიზებული გახდა და 1977 წელს საქართველოს მწერალთა კავშირთან დაარსდა ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია, რომლის მიზანიც იყო ქართულ ენაზე მთარგმნელობითი დეფიციტის შევსება, მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ქართულ ენაზე თარგმნა და ქართული ლიტერატურის მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაცია. დღევანდელისგან საკმაოდ განსხვავებული და საინტერესო იყო ამ პერიოდისათვის მთარგმნელთა შერჩევის პრინციპი, ორიგინალი ენის ცოდნაზე მეტი ყურადღება ექცეოდა მთარგმნელის მშობლიური

ენის გამომსახველობითი ხერხების სრულყოფილ ფლობასა და ლიტერატურულ შესაძლებლობებს, რაც სათარგმნი ენის ცოდნასთან ერთად უმნიშვნელოვანესია დღესაც სრულყოფილი თარგმანისათვის [კოპალიანი, 2012:12].

ლიტერატურულ-მთარგმნელობითი საქმიანობის პარალელურად მე-18 საუკუნიდან ბიზნესი სარგებლობს მთარგმნელობითი სერვისებით. ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ ეკონომიკა სწრაფად განვითარდა, მან საშუალება მისცა ტექსტებისა და ბიზნესთან დაკავშირებული მასალების უფრო სწრაფ განვითარებას. თანამედროვე პრაქტიკაში ინტერნეტის ფართოდ დანერგვამ აქტუალური გახადა მანქანური თარგმნა.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, ომის შემდგომ პერიოდში, მთარგმნელობითმა საქმიანობამ მწვერვალს მიაღწია. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ითამაშა ახალმა მეცნიერულმა კვლევებმა. ამ პერიოდიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეცნიერებას, ტექნიკას, ეკონომიკას, პოლიტიკას და სხვა. საერთაშორისო ურთიერთობებმა მკვეთრად გაზარდა მოთხოვნა კვალიფიციურ მთარგმნელებზე [ჩიქვინიძე, 2009:4]. ინტერნეტმა რევოლუცია მოახდინა მთელ მსოფლიოში ტექსტებისა და დოკუმენტების წვდომისა და თარგმნის პროცესში, იქნება ეს თანამედროვე თუ ისტორიული ნაწარმოებები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მყისიერი/მანქანური თარგმნის სერვისი გვთავაზობს მხოლოდ მეტაფრასულ თარგმანს (სიტყვა-სიტყვით თარგმნა), სპეციალიზებული ფირმები, ელექტრონული (კომპიუტერული) პლატფორმები და მთარგმნელები ინტენსიურად თარგმნიან ტექსტებს მრავალ ენაზე. მანქანური თარგმნა დღეს საზოგადოებაში აქტუალური და საჭიროა წარმატებული საერთაშორისო ურთიერთობისათვის. ყოველდღიურად ადამიანები ურთიერთობენ თარგმნითი სერვისების საშუალებით ენისა და კულტურის განსხვავებების მიუხედავად. დღეს თარგმნის ხელმისაწვდომობა შეიძლება ნიშნავდეს განსხვავებას წარმატებასა და წარუმატებლობას შორის.

II თავი. ქართული ფრაზეოლოგიზმები

საყოველთაოდ ცნობილია ფრაზეოლოგიის როლი და ადგილი ამა თუ იმ ენაში და ასევე ის ფაქტი, რომ ის, როგორც უჩვეულო ენობრივი მოვლენა, მუდამ ენათმეცნიერთა განსაკუთრებული ინტერესის და კვლევის საგანს წარმოადგენს. დღემდე ვერ ხერხდება და დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული მისი ზუსტი და ცალსახა კლასიფიცირება, რადგან მრავალი განსხვავებული, ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი (და ზოგჯერ სრულიად მიუღებელი) მოსაზრება არსებობს ენათმეცნიერთა შორის. მიუხედავად მეცნიერთა დიდი მცდელობისა, ის ჯერ კიდევ არასაკმარისად არის შესწავლილი და გაანალიზებული. უფრაზეოლოგიოდ, მხოლოდ ცალკეული სიტყვების მეშვეობით, ძნელი, ზოგჯერ კი შეუძლებელიც კი იქნებოდა ადამიანის აზრის ნიუანსების მთელი სიმდიდრის გამოხატვა.

ფრაზეოლოგიზმთა კლასიფიცირების შესახებ ქართულ სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურაშიც არსებობს მრავალგვარი მოსაზრება.

ბიძინა ფოჩხუა თავის წიგნში „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ განიხილავს შესიტყვებების ტიპებს და აღნიშნავს, რომ ქართული ლექსიკოლოგიის ერთ-ერთი რთული ამოცანათაგანია სიტყვათა შეთანხმების აღრიცხვა და დასისტემება. მკვლევარი სიტყვათშეხამებათა ლექსიკო-ლოგიური კლასიფიკაციის რამდენიმე ცდას გამოყოფს. აქვე ყურადღება ამახვილებს ამ ცდების საერთო ნაკლზე, რომ არ არის დაძებნილი იმგვარი ნიშან-თვისებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა, ენაში არსებული შესიტყვებათა ერთობლიობა წარმოგვედგინა ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნული ჯგუფების სახით. ამის ობიექტურ მიზეზად წარმოდგენილია ლექსიკის სწრაფად ცვლა, რომელიც იწვევს გარდამავალი საფეხურების არსებობას. ბ. ფოჩხუა გამოყოფს ექვს ძირითად ჯგუფს, რომლებიც ქვეჯგუფებად აქვს დაყოფილი.

მკვლევარი შესიტყვებათა ერთ-ერთ ქვეჯგუფში განიხილავს ფრაზეოლოგიზმებს ანუ მყარ შესიტყვებებს. ეს არის

სიტყვათა ჯგუფი, რომლის ერთი წევრი მეტწილად არის განყენებული ან მნიშვნელობისაგან დაცლილი ზმნა, მაგრამ შესიტყვება მაინც შეიცნობა ისე, როგორც შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამი, მაგალითისთვის განხილული აქვს შანსი, ინტერესი, აღიარებს (ვისიმე) უპირატესობას, სიმართლეს... [ფოჩხუა, 1974:300].

მეცნიერი კლასიფიკაციის დროს ერთ-ერთ სახესხვაობად გამოყოფს ფრაზეოლოგიზმურ ერთიანობებს, რომლებშიც სიტყვები შედარებით მყარად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, საერთო მნიშვნელობა არის არა შემადგენელი ელემენტების ჯამი, არამედ ამ ჯამის განზოგადება, ან მეტაფორა: **კბილებს აკრაჭუნებს, ფეხს წაიტეხს** და სხვა.

ამ ჯგუფიდან გარდამავალი ვითარებაა წარმოდგენილი იდიომური გამოთქმისაკენ ზოგიერთ გამოთქმაში, მაგ.: **თეთრი ყვავი, ეშმაკის კერძი...**

ცალკე ჯგუფებადაა კლასიფიცირებული დამთავრებული აზრის მქონე ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც წინადადების სახეს ღებულობენ. მაგ.: **ხელი ხელს ბანს, ჭერში ბუზებს ითვლის** და სხვა.

ბ. ფოჩხუა მიუთითებს, რომ ამ ჯგუფების საზღვრები მკაფიო არ არის, აღსანიშნავია, რომ დაჯგუფება რიგ შემთხვევაში აგებულების მიხედვით ხდება, ზოგჯერ კი შინაარსის მიხედვით. მკვლევარი წერს: „შესიტყვებათა ლექსიკოლოგიურ დაჯგუფებათა სხვა ცდებიც არსებობს, სავსებით დამაკმაყოფილებელი სქემა ჯერაც ვერ შექმნილა, იქნებ წარმატებისათვის ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყოს გენეტიკური თვალსაზრისის გამოყენება – შესიტყვებათა განლაგება განვითარების ერთ ხაზზე თავისუფალი შესიტყვებიდან იდიომატურ გამოთქმამდე. საამისოდ საჭირო იქნება შესიტყვებათა მთელი ერთობლიობის თავმოყრა და სემანტიკურად გაანალიზება, რაც, ცხადია, ძალზე შრომატევადი სამუშაოა“ [ფოჩხუა, 1974:300].

ფრაზეოლოგიზმების რაობის კვლევის დროს უმნიშვნელოვანესია მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობის ისტორიის კვლევა, რიგ შემთხვევებში სიტყვის მნიშვნელობის ცვლას ბიძგს აძლევს სათანადო სიტყვის რეგულარული ხმარე-

ბა სხვადასხვა კონტექსტში. აღნიშნული აზრის დასადასტურებლად ბ. ფოჩხუას მოყვანილი აქვს მაგალითი სიტყვის მნიშვნელობის რამდენადმე ცვლისა: **მესვეური** თავდაპირველად მკაში მეთაურ მომკალს, სვის გამტანს ნიშნავდა და იმ რიგის ტერმინი იყო, როგორიცაა **გუთნისდედა, მეხრე, მცნობარი** და სხვა, შემდეგ ეს სიტყვა მეტაფორულად გამოიყენებოდა გზის გამკვლევის, ახალი მიძიმე საქმის დამწყების აღსანიშნავად. ამ „ახალი მიმართულების“ **მესვეური** იყო სახელოვანი Современник-ი (ილია), სალიტერატურო ენაში კი **მესვეური** სიტყვის ეს ახლებური ხმარება დამკვიდრდა, რის გამოც მან პირვანდელ მნიშვნელობასთან კავშირი გაწყვიტა, ე.ი. მეტაფორის ხასიათი დაკარგა და პატივისცემის მქონე „საქმის დამწყების“ მნიშვნელობიდან შემოიფარგლა მეთაურის, ხელმძღვანელის აღნიშვნით. ამდენად, ფრაზეოლოგიზმის რაობის მნიშვნელობის კვლევა დაკავშირებულია მნიშვნელოვან კვლევასთან ფრაზისა, მასში შემავალი სიტყვების სემანტიკური ერთეულების კვლევიდან გამომდინარე [ფოჩხუა, 1974:301].

თ. გამყრელიძის ხელმძღვანელობით შედგენილ თეორიული ენათმეცნიერების სახელმძღვანელოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფრაზების აგების დროს ლექსემათა და სიტყვათფორმათა კომბინირებისა და შერჩევის ზოგად კანონზომიერებებს, მათ შორის არ გამორიცხავენ სემანტიკური წესების მნიშვნელობას, მაგრამ აქვე აღინიშნება, რომ ზოგიერთი ფრაზის მნიშვნელობა არ დაიყვანება მასში შემავალ ლექსემათა მნიშვნელობაზე (მათ სალექსიკონო განმარტებებზე). უდავოა, რომ „მყარი შესიტყვებებისათვის ნიშანდობლივია სტრუქტურული, ლექსიკური, სემანტიკური, აგრეთვე ხმარების სტაბილურობა“ [გამყრელიძე 2008:374]. ამ მოსაზრების დასტურია ფრაზეოლოგიური ლექსიკონები, რომლებშიც ისინი „მზა“ ერთეულების სახითაა შეტანილი.

თ. გამყრელიძის ჯგუფის აზრით, ფრაზეოლოგიზმები მიიღება ლექსემათა მუდმივი კონტექსტის საფუძველზე, მათში ზოგიერთი ან ყველა კომპონენტის მნიშვნელობაა გარდაქმნილი მეტაფორის, მეტონიმისა თუ სხვათა ფორმით. მკვლევარი ფრაზემათა სტრუქტურის მდგრადობის განმსაზღვრე-

ლად მიიჩნევს მისი კომპონენტების შენაცვლებადობის შეზღუდულობას, მართლაც ფრაზეო-ლოგიზმების ფორმები უმეტესწილად ფიქსირებულია და მის ნაწილებს შორის სხვა სიტყვათფორმების ჩასმა, როგორც წესი, აკრძალულია, მაგალითად: **გული წაიღო** და არა **მთელი გული წაიღო**, **დროს კლავს** და არა **დიდ დროს კლავს** და სხვა [გამყრელიძე, 2008:375].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფრაზეოლოგიზმების ნაწილების ცვალებადობა შეზღუდულია, მეტიც – აკრძალულია, მაგრამ მათზე ერთი მხრივ მაინც მოქმედებს სტრუქტურული (გრამატიკული) და სემანტიკური წესები, თუმცა ისე არა, როგორც თავისუფალ შესიტყვებებზე. მეორე მხრივ კი ფრაზემები უცვლელია, მაგრამ შესაძლოა რიგ შემთხვევებში ფრაზემათა ლექსიკური შედგენილობისა თუ ზოგიერთი გრამატიკული მახასიათებლის მოდიფიკაცია, მათ სტრუქტურაში არსებობს უცვლელი კომპონენტებიც, მაგალითად: **ენაზე ადგას – ენის წვერზე ადგას**, **ტყავი გააძრო – კუდამდე ტყავი გააძრო** და სხვა [გამყრელიძე 2008:375]. ზღვარი თავისუფალ და მყარ შესიტყვებებს შორის პირობითია, თუმცა არსებობს გარდამავალი შემთხვევებიც, მაგალითად, **თვალს აღევნებს** (გამოცდის ჩატარებას).

იმავე წიგნში აღინიშნება შემდეგიც: „სიტყვათფორმის ნაწილებისაგან განსხვავებით, ფრაზემის ნაწილები თავისუფალი (და არა ბმული) ფორმებია; ფონეტიკური და გრამატიკული მახასიათებლების მიხედვით ისინი სიტყვათფორმებია და არა მორფემები. რაც შეეხება სემანტიკურ მხარეს, ზოგიერთი ლექსემის მნიშვნელობა, ფრაზემის მნიშვნელობის მსგავსია იმ თვალსაზრისით, რომ იგი არ დაიყვანება კომპონენტების (მორფემების) მნიშვნელობებზე (მაგალითად, **თავდახრილი** – მორჩილი, **მუხღრიაუკეცავად** -დაუსვენებელიც), მაგრამ ასეთი შემთხვევები ფრაზეოლოგიაში არ განიხილება“ [გამყრელიძე, 2008:341].

ენათმეცნიერი გივი ნებიერიძე ფრაზებს სინტაქსში განიხილავდა, მაგრამ იქვე აღნიშნავდა, რომ არის ისეთი ფრაზებიც, რომლებიც მნიშვნელობით ცალკეულ სიტყვებს ემთხვევა. ამ მოვლენას მეცნიერი ფრაზის ლექსიკალიზაციად მიიჩნევ-

და, ასე უტოლდება ფრაზა ლექსიკურ ერთეულსო. მაგალითი-სათვის მოყვანილი აქვს **თეთრი ოქრო** – ამ ფრაზის მნიშვნელობაა „ბამბა“, **შავი ოქრო** – ნახშირი, **წერილი წაიღო** მნიშვნელობით უდრის „მოკვდა“ სიტყვას. ენათმეცნიერი მკვეთრად მიჯნავს ფრაზის ორგვარ გაგებას. მაგალითად, **წერილი წაიღო** გამოიყენება პირდაპირი მნიშვნელობით წინადადებაში: „მეზობელმა ფოსტაში წერილი წაიღო“, მაგრამ იგივე შესიტყვება **წერილი წაიღო** გადატანითი მნიშვნელობის მქონეა წინადადებაში: **მეზობელმა წერილი წაიღო**, ანუ „მეზობელი მოკვდა“. პირველ შემთხვევაში **წერილი წაიღო** არის უბრალოდ ფრაზა, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი ფრაზეოლოგიზმია და მისი მნიშვნელობა სხვაგვარია, მას საკუთარი ლექსიკური მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მიიჩნევა მკვლევარი ლექსიკალიზებულიად ფრაზეოლოგიზმს [გ.ნებიერიძე, 1919:37].

იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოადგენენ ესა თუ ის მეცნიერები ფრაზეოლოგიზმთა კლასიფიკაციას, შეგვიძლია ვიმსჯელოთ მათ დამოკიდებულებაზე ამ საკითხის მიმართ.

თ. გამყრელიძის ჯგუფი ფრაზეოლოგიზმთა კლასიფიკაციას წარმოგვიდგენს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ერთ-ერთ მათგანს საფუძვლად უდევს შესიტყვების კომპონენტებისა და მთელი შესიტყვების მნიშვნელობათა თანაფარდობა (ვ. ვინოგრადოვი), მაგალითად, **ბოლთას სცემს** ფრაზემაში კომპონენტებს შორის კავშირი უფრო მჭიდროა, ვიდრე, ვთქვათ, **შიშმა შეიპყრო** ფრაზემაში. გამოყოფენ აგრეთვე მყარ შესიტყვებათა დისტრიბუციულ (გრამატიკულ) კლასიფიკაციას, ე.ი. ითვალისწინებენ წინადადებაში მათ სინტაქსურ როლს და გამოყოფენ ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის ეკვივალენტურ ფრაზებს. მაგალითად, ფრაზემა **კალმით ნახატი** ზედსართავი სახელის ეკვივალენტურია, **ღვთის ანაბარად** – ზმნიზედისა და ა.შ. ცალკე ჯგუფს ქმნიან წინადადების ეკვივალენტური ფრაზები: „ჩაბარდა პატრონს“, „წყალში ჩაიყარა“... [გამყრელიძე, 2008:376];

ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაციის დროს ცალ-ცალკე გამოყოფენ იდიომებს, ფრაზეოლოგიურ შესიტ-

ყვებებს, სამეტყველო შტამებს, ფრაზეოსქემებს და ე.წ. „ფრთიან გამოთქმებს“ (ანდაზებს, აფორიზმებსა და მისთ.).

იდიომა ანუ იდიომატური გამოთქმა ფორმით ემთხვევა თავისუფალ შესიტყვებებს, მაგრამ ლექსიკური სტრუქტურით, ანუ აზრობრივად, სემანტიკურად გარდაქმნილია. მაგალითად: **ტყემაღზე ზის** „არაფერი იცის“, **თითით საჩვენებელი** „სამაგალითო“ და სხვა. იდიომები წარმოადგენს სიტყვათა ექსპრესიულ სინონიმებს და მათი მნიშვნელობა არა მარტო კომპონენტებისათვის დამახასიათებელი კონოტაციების შემცველია, არამედ თვით ფრაზების ხატოვან საფუძველსაც შეიცავს, რის გამოც იდიომის მნიშვნელობა ლექსემის მნიშვნელობაზე მდიდარია [გამყრელიძე, 2008:376].

ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში სემანტიკურად გარდაქმნილია მხოლოდ ერთი ლექსემა, ხოლო კომპონენტებს შენარჩუნებული აქვთ სემანტიკური დამოუკიდებლობა. მაგალითად: **რკინის ნერვები** = „ძლიერი“ ნერვები, **ეკლიანი გზა** = „რთული“ გზა და სხვა. [გამყრელიძე, 2008:376].

სამეტყველო შტამში უახლოვდება ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს. იგი არის ხშირად ან რეგულარულად ხმარებული შესიტყვებები, რომლებიც მზა სახითაა მოცემული გარკვეული შინაარსის გამოსახატავად. ცნობილია, რომ ტერმინი **შტამში** იხმარება დაუფიქრებელი, უგემოვნო გამონათქვამის აღსანიშნავად. ამგვარ უარყოფით შეფასებას მოკლებულია ტერმინები: **კლიშე, სტანდარტი, სტერეოტიპი**, რომლებიც აღნიშნავენ გარკვეულ დარგებში აუცილებელ ენობრივ ფორმულებს. შტამებია: **ფასდაუდებელი, ნათელი მომავალი, უშრეტი ენერგია** და სხვ. შტამებად მიიჩნევენ სამეტყველო ეტიკეტის (ზრდილობის) ფორმულებსაც, მაგალითად: **უდრმესი პატივისცემით, კარგად ბრძანდებოდეთ, დიდად გმადლობთ** და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი სტატუსის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს [გამყრელიძე, 2008:377].

ფრაზეოსქემა არის სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქცია, რომელშიც სიტყვათა ნაწილი იცვლება კონტექსტის მიხედვით. ამგვარ „სინტაქსურ იდიომებს“ აღნიშვნის ანალიზური ფუნქცია აქვთ. ფრაზეოსქემებია, მაგალითად:

ადეჟი და... (ჰკითხე, მიუტანე, ნახე...), ეს რა შეკითხვაა?! ეს რა საქციელია?! [გამყრელიძე, 2008:376].

ფრთიანი გამოთქმა ანდაზა, აფორიზმი, ბიბლეიზმი (მოარული ფრაზები ბიბლიიდან), მხატვრული ლიტერატურიდან, მითოლოგიიდან, ფილმებიდან და მისთანებიდან გავრცელებული ფრაზები. მათ უფრო მეტად წინადადების ფორმა აქვთ. მაგალითად: „**რასაცა გასცემ, შენია...**“, „**ქვა ქვაზე არ დატოვა**“ (ბიბლეიზმი) [გამყრელიძე, 2008:377]

ხაზგასასმელია შესიტყვებათა ექსპრესიულობა, თუმცა გვხვდება კონოტაციას მოკლებული ფრაზებიც, მაგალითად: **დროთა განმავლობაში, ყოველი შემთხვევისათვის და სხვა** [გამყრელიძე, 2008:378].

გ. ნებიერიძეს ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაციის დროს გამოყოფილი აქვს სამი ძირითადი სახეობა:

1. **ფრაზეოლოგიური შენაზარდი;**
2. **ფრაზეოლოგიური შენაერთი;**
3. **ფრაზეოლოგიური კონსტრუქცია.**

მეცნიერის აზრით, ფრაზეოლოგიური შენაზარდის მოტივაცია სინქრონული თვალსაზრისით უცნობია. ასეთი შენაზარდი მნიშვნელობის მხრივ სიტყვის ეკვივალენტურია. მაგალითად, **ჩაილულის წყალი დალია** აღნიშნავს „დაიკარგა“-ს, მაგრამ სინქრონული თვალსაზრისით გაუგებარია, თუ რა კავშირია ჩაილულის წყლის დაღევასა და დაკარგვას შორის, თუმცა ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით ადვილია მათ შორის კავშირის დამყარება. ცნობილია, რომ ლეკიანობის დროს ლეკების მიერ გატაცებულ საქონელს მღევარი თუ დაეწეოდა მდინარე ჩაილულამდე, რომელიც გარეკახეთში მიედინება, მაშინ კიდევ იყო შესაძლებელი საქონლის დახსნა, მაგრამ თუ ლეკები მდინარე ჩაილულს იქით გაასწრებდნენ, მაშინ მათი ძებნა უნაყოფო იყო. ამიტომ შეიქმნა ფრაზეოლოგიზმი **ჩაილულის წყალი დალია**, რომელიც უკვალოდ დაკარგვის სინონიმი გახდა [ონიანი, 1966:169].

ფრაზეოლოგიური ერთეულის სემანტიკა არ უდრის ამ ერთეულში შემავალი სიტყვების მნიშვნელობათა მექანიკურ ჯამს, მაგრამ ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა მოტივირებუ-

ლია მოცემული კომპონენტებით. მაგალითად, **ენით ზურგს იფხანს** „ლაქლაქა“, **ტუჩი აიბზუა** „იუკადრისა“, **თვალი ჩაუკრა** „ანიშნა“ და სხვა. ფრაზეოლოგიზმების მოტივირების საფუძველი ცხადად ჩანს ფრაზაში **თვალი ჩაუკრა**: ჩვეულებრივ, თვალის ჩაკვრით რაღაცას ანიშნებენ მეორე ინდივიდს. ამიტომაცაა ამ ორი სიტყვის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობაა **რამეზე, ვინმეზე მინიშნება**, ასევეა **ტუჩი აიბზუა**, რომელსაც პირდაპირი სემანტიკით ამბობენ მაშინ, როცა ადამიანს რამე არ მოსწონს და ტუჩს ზემოთ ასწევს ხოლმე, ამიტომვე ტუჩის აბზუებაც მეტაფორულად უკადრისობის მნიშვნელობას იძენს [ონიანი, 1966:145].

გამოიყოფა ფრაზეოლოგიზმთა ჯგუფი, რომლებშიც მნიშვნელობა ყოველთვის დაიყვანება ფრაზის შემადგენელი კომპონენტის მნიშვნელობაზე, მაგრამ რადგან ასეთი გამონათქვამები კლიშეებად არის ქცეული, ამიტომაც ისინი ფრაზეოლოგიზმებად უნდა მივიჩნიოთ [გამყრელიძე, 2008:377]. მაგალითად: **სამარისებური სიჩუმე, ვირივით ჯიუტი, ყვავივით შავი** და სხვა. ამგვარ ფრაზეოლოგიზმთა სხვა ენაზე ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნა, ჩვენი აზრით, არც ისე ძნელი და მიუღწეველია.

გ. ნებიერიძე გარკვეულ ფრაზეოლოგიზმთა დამკვიდრების მიზეზებზე მსჯელობის დროს აღნიშნავს, რომ უამრავი ფრაზეოლოგიზმი, რომელთა არსებობაც რომელიმე კონკრეტულ მოვლენასთან, ადგილთან ან დროსთან არის დაკავშირებული, აქტიურად გამოიყენება დღესაც. მაგალითად, **რუბიკონი გადალახულია**-ს არსებობა უკავშირდება გაიუს იულიუს ცეზარს, რომელიც თავისი ჯარით დიდხანს იდგა მდინარე რუბიკონთან და ყოყმანობდა, გადაელახა თუ არა იგი, ე.ი. ბრძოლა დაეწყო თუ არა გალების წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ბოლოს მან ბრძანება გასცა რუბიკონის გადალახვისა. ამ გამონათქვამს იყენებენ მაშინ, როცა ადამიანი ღიდი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ გადაწყვეტილებას მიიღებს და აუცილებლად დადებითს. ასეთი გამოთქმები ერთიანდება იდიომებში. მათ, როგორც ვხედავთ, სპეციალური მნიშვნელობა აქვთ, რომლის გამოცნობა თვითონ იდიომაში შემავალი სიტყვების მიხედ-

ვით შეუძლებელია. მართალია, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება და რუბიკონის გადალახვა ერთმანეთთან რაიმე ლოგიკურ კავშირში არაა, მაგრამ რადგანაც ეს ორი ფაქტი ისტორიულად ერთმანეთს დაუკავშირდა ცეზარის გალიაში ლაშქრობის დროს, ამიტომაც **რუბიკონის გადალახვამ** იდიომური მნიშვნელობა მიიღო და ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ურყევი გადაწყვეტილების მიღება, გამამყვეტი ნაბიჯის გადადგმა [<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php>].

მსგავსი წარმოშობა აქვს ფრაზას **სიზიფეს შრომა**, რომელიც ბერძნულ მითოლოგიას უკავშირდება. მითის მიხედვით, სიზიფე ცბიერი და პატივმოყვარე კაცი იყო, ერთ-ერთი ვერსიით, ოდისევის მამა. სიზიფე კორინთოს ბინადარი ყოფილა. ეს ქალაქი სავაჭრო და სანაოსნო იყო. სიზიფე მოხერხებული და გაიძვერა კაცი იყო. ყველა ავტორი, ვინც მას ახსენებს, აღნიშნავს, რომ სიზიფე ღმერთებმა მძიმე დანაშაულობებისთვის დასაჯეს, ჰადესში გაგზავნეს და კლდის დიდ ლოდს შეაჭიდეს – მან უნდა ააგოროს მწვერვალზე ლოდი. აიტანს ვაივაგლახით, სულს მოითქვამს, მაგრამ ქვა დაუგორდება, ისევ აიტანს, კიდევ დაუგორდება და ასე უსასრულოდ... ჰომეროსი არ ამბობს, მაგრამ სხვები აღნიშნავენ, რატომაც დაისაჯა სიზიფე: ღმერთებს ატყუებდა, მდიდრებს ძარცვავდა, ზევსი გასცა და სხვა ბევრი უცნაურობა ჩაიდინაო. მაგალითად, სიზიფემ ერთხელ თავის შესაპყრობად გამოგზავნილი სიკვდილი მოხერხებით შეიპყრო და ადარავინ კვდებოდა თურმე ქვეყანაზე. საბოლოოდ, სიზიფეს სახე დამკვიდრდა მარადიულად და უნაყოფოდ მშრომელი, ერთგვარად ტრაგიკული ადამიანის აღსანიშნავად. ფრაზეოლოგიზმის განმარტება კი შემდეგია: **დაუსრულებელი, უნაყოფო მძიმე შრომა**. <http://www.nplg.gov.ge>. ასეთივე წარმომავლობის იდიომებია: **არიადნას ძაფი, გორდიას კანძის გახსნა** და სხვა.

მყარი შესიტყვებების წყარო ხშირად ლიტერატურული ნაწარმოებებია, განსაკუთრებით კი „ბიბლია“, რომლის ტექსტი უამრავი ფრაზეოლოგიზმის წყაროა მსოფლიოს მრავალ ენაში და მათ შორის ქართულშიც. ჩვენს ენაში ხშირად იხმარება ფრაზა **ხელები(ც) დამიბანია**, რომელიც უკავშირდება პონ-

ტოელ პილატეს. სახარების მიხედვით, პილატეს არ სურდა იესოს სიკვდილით დასჯა, მაგრამ იერუსალიმის მღვდელმთავრებთან დაპირისპირება აფიქრებდა. ბოლოს მან მღვდელმთავრებს განუცხადა, რომ ვერ ხედავს დანაშაულს იესოს ქმედებებში, თუმცა ხალხი მტკიცედ მოითხოვდა სინედრიონის გადაწყვეტილების შესრულებას, ქრისტეს ჯვარცმას. პილატე ცდილობდა, გადაერწმუნებინა ისინი და შეახსენა, რომ პასეჟის დღესასწაულის გამო მას ისედაც უნდა შეეწყალებინა ერთი დამნაშავე. პასუხად ხალხმა ქრისტეს ნაცვლად ვინმე ბარაბას გათავისუფლება მოითხოვა. საბოლოოდ პრეფექტი პილატე დაჰყვა შეკრებილთა ნებას, თვითონ კი აიღო თასი და წყლით ხელები დაიბანა, თან განუცხადა მათ: უბრალო ვარ ამ მართალი კაცს სისხლისგან, დანარჩენი თქვენ იცითო. მან ბრძანა იესოს გამოლტვა, შემდეგ კი გადასცა ხალხს ჯვარზე გასაკრელად. სახარების ტექსტის ამ პასაჟიდან დამკვიდრდა ფრაზეოლოგიზმი **ხელის დაბანა**, რომელსაც მნიშვნელობად „**პასუხისმგებლობის თავიდან მოხსნა, საქმეში ჩაურევლობა, განზე გადგომა**“ მიემაგრა. მაგ.: მე მაგ ცოდვაში არ ჩავდგები. აი, შენი მოცემული ხუთი თუმანი, მე კი **ხელები დამიბანია** (ილია) [ონიანი, 1966:189].

ფრაზეოლოგიზმთა რაობის დადგენის დროს მნიშვნელობათა განსაზღვრასთან ერთად შეძლებისდაგვარად უნდა გაირკვეს მათი წარმოშობის წყაროები, თუმცა ეს მუდამ არ არის შედეგიანი.

საყურადღებოა ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში შესიტყვებებს შორის დამყარებული პარადიგმატული მიმართებებიც. მაგალითად, **სინონიმურია** ფრაზები: **ტყემაღზე ზის – აზრზე არაა; ზურგი მისცა – ხელი გაუმართა** და ა.შ.; **ანტონიმური** ფრაზეოლოგიზმებია: **კიტრად ღირს – ცეცხლის ფასი ადევს, კალმითაა ნახატი – ჯოჯოხეთის მამხალაა** და ა.შ.; **პოლისემიური** ფრაზეოლოგიზმებია **გულზე ვარდის გადაფენა – გახარება, აღფრთოვანება** [ონიანი, 1966:28]; **გულზე შემონთება – შეწუხება, აღელვება, გაბრაზება** [ონიანი, 1966:29]; **გულის ჰოვნა – მოსულიერება, მადის გაღვიძება, გუნებაზე მოყვანა** [ონიანი, 1966:45] და სხვა.

ძნელი გადასაწყვეტია ომონიმისა და პოლისემიის გამიჯვნის საკითხი ფრაზების შემთხვევაში. ზოგიერთი მკვლევარი ომონიმებად მიიჩნევს „პირდაპირი“ და ფრაზეოლოგიური მნიშვნელობით ნახმარ შესიტყვებებს. როგორც დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, სინონიმური და ანტონიმური ფრაზების სტრუქტურა შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს. მაგალითად, ერთი და იმავე სინონიმურ რიგს წარმოადგენენ ფრაზები: **კალმით ნახატი // ცით მოწყვეტილი ვარსკვლავი // ვარსკვლავებს ეთამაშება; მეცამეტე გოჭი // არამკითხე მოამბე** და სხვა.

გიორგი ახვლედიანი გამოყოფს ენაში სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირების, ე.წ. სიტყვათშეერთების (შესიტყვების) ორ ასპექტს: სინტაქსურად თავისუფალ სიტყვათშეერთებასა და ლექსიკალიზებულ სიტყვათშეერთებას. ენათმეცნიერი აღნიშნავს, რომ ლექსიკალიზებული სიტყვათშეერთებანი მიისწარაფიან ერთ სიტყვად, ერთ ლექსემად ქცევისაკენ. იგი აღარებს ორ სიტყვათშეერთებას: **რკინის გზა** (რკინიგზა) და **რკინის კარი**. თავისუფალი შესიტყვება **რკინის კარი** შედგება ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვისაგან: ეს კარია და ის რკინისაა, ამ გამოთქმის მნიშვნელობა მიიღება მასში შემავალი სიტყვების ჯამისაგან, ასევე შეგიძლია ვთქვათ **მეტაღის კარი, რკინისგან გაკეთებული კარი...** შეიძლება შეიცვალოს სიტყვათა რიგი: **კარი რკინისა**, მაგრამ შეუძლებელია შევცვალოთ გამოთქმა **რკინი(ს)გზა**: ეს რკინისგან გაკეთებული გზა კი არ არის, არამედ ტრანსპორტის ერთ-ერთი სახის ერთიანი ცნებაა [ახვლედიანი, 1972:161].

ქართულ ენაში უხვადაა მსგავსი სიტყვათშეთანხმებები, მაგალითად:

მანდილი ახურავს, როგორც თავისუფალი სიტყვათშეთანხმება, შედგება ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვისაგან და აქვს სემანტიკა: **ქალს ახურავს მანდილი; თავსაფარი ახურავს ქალს**; მაგრამ როგორც იდიომა **მანდილი ახურავს** ითქმის მხდალსა და ლაჩარ მამაკაცზე, ასევე პატიოსან, ნამუსიან, ყოჩაღ ქალზე. „კაცები არ იყავით? ქალი როგორღა მოატაცებინეთ?... ქუდის მაგივრად **მანდილი უნდა გეხუროთ**“ (ა.

ყაზბ); „მე ქალი არ ვყოფილვარ და ეს **მანდილი არა მხურე-ბია თავზედ**, თუ შენივე კბილით არ დაგაგლეჯინე შენივე ხორ-ცები...” (ვ. ბარნ) [ონიანი, 1966:109].

ჰირი არ დაგწვას, როგორც თავისუფალი სიტყვათშე-თანხმება გამოიყენება ცხელი საჭმელ-სასმელის მიღების დროს და მისი კომპონენტების ადგილის ცვლილებაც შესაძ-ლებელია ენაში, მაგრამ როგორც იდიომატური გამოთქმა **ჰი-რი არ დაგწვას** დაუშლელია და ნიშნავს **ვერ მოგართვეს, ვერ ეღირსები** [ონიანი, 1966:125].

თ. ავალიანი და მ. აროშიძე ფრაზეოლოგიზმის მთავარ ნიშნად მიიჩნევენ შემადგენელი კომპონენტების მხოლოდ ფორმალურ ურთიერთდამოკიდებულებას და აღნიშნავენ, რომ მათ ახასიათებთ შინაგანი მთლიანობა. დამოკიდებულე-ბის მიხედვით გამოყოფენ 3 სახის ფრაზეოლოგიზმს:

1. **ფრაზეოლოგიური მთლიანობა (შენაზარდი)**, „რომ-ლის შემადგენელი კომპონენტების მთლიანობა მაქსი-მალურია, ისინი თითქოს შეზრდილნი არიან ერთმა-ნეთთან, რის გამოც ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობის მოტივაციის დადგენა არაფრით არ ხერხდება“ [ავალი-ანი, აროშიძე, 2021:202]. მეცნიერები თვლიან, რომ ასე-თი ფრაზეოლოგიზმები სიტყვის ეკვივალენტურია თა-ვისი მნიშვნელობით, თუმცა ეს მნიშვნელობა შემადგე-ნილი ნაწილების მნიშვნელობებთან არ არის დაკავში-რებული და „არ გამოიყვანება მათგან“. მაგალითად ასახელებენ ფრაზეოლოგიზმს **ჩაილულის წყალი და-ლია**, რომელიც ნიშნავს **უკვალოდ გაქრობას, უქმად ჩავლას, დავიწყების მიცემას**. ჩაილული (ჩაილური) მდინარეა ქიზიყში [უნდა იყოს: გარეკახეთში – შ.ც.]. თ. სახოკიას განმარტებით, თუ მოტაცებულ საქონელს ამ მდინარეს გაატარებდნენ, შემდეგ ეს საქონელი პატრო-ნისთვის საბოლოოდ დაკარგული იყო. ამ გარემოების განზოგადების საფუძველზეა მიღებული იდიომი [ონი-ანი, 1966:196].
2. **ფრაზეოლოგიური ერთიანობა (ნაერთი, შენაერთი)** – მისი მნიშვნელობაც შემადგენელი კომპონენტების

მნიშვნელობათა ჯამს არ უდრის, მაგრამ ფრაზეოლოგიური შენაწარდებისაგან განსხვავებით, მოტივირებულია ამ კომპონენტებით [ავალიანი, აროშიძე, 2021:202]. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმის **ამ ქვეყნისა აღარ არის** განმარტება არის **მომაკვდია**, „[ბაბაღლე] **ამ ქვეყნისა აღარ არის**, პირი იმ ქვეყნისკენ აქვს მიქვეული (ილია) [ონიანი, 1966:16]; **ენის შებრუნება** – პასუხის გაცემა, სიტყვის შებრუნება (შეპასუხება), „თამარს არასდროს **ენა არ შეუბრუნებია** მამისთვის...“ (კ. გამს.) [ონიანი, 1966:65].

3. **ფრაზეოლოგიური კონსტრუქცია (გამონათქვამი)** – გვხვდება თავისუფალ შესიტყვებადაც და მყარ კონსტრუქციადაც. თავისუფალ შესიტყვებაში მეცნიერები განიხილავენ ფრაზეოლოგიზმის კომპონენტების პირდაპირ მნიშვნელობას, ხოლო თავისუფალი შესიტყვების ფრაზეოლოგიზაციად მიიჩნევენ, რა თქმა უნდა, გადატანით მნიშვნელობას [ავალიანი, აროშიძე, 2021:203]. მაგალითად, **ნაცრის ქექვა** შეიძლება გავიგოთ, როგორც ნაცრის რაიმეთი ქექვა და ამ შემთხვევაში ის წარმოადგენს თავისუფალ შესიტყვებას, მაგრამ მას თუ განვიხილავთ, როგორც ფრაზეოლოგიზმს, მისი მნიშვნელობა გახდება **უსარგებლოდ შრომა, წყლის ნაყვა, უსაქმურობა** [ონიანი, 1966:65], ეს იქნება თავისუფალი შესიტყვების ფრაზეოლოგიზაცია. აქვე თ. ავალიანი და მ. აროშიძე ასახელებენ ერთგვარ კლიშეებს, „რომელთა გამოყენებაც ლამის სავალდებულო სახეს იძენს: **საკითხის დასმა, პოზიციის დაფიქსირება, სამარისებრი სიჩუმე, ვირივით ჯიუტი, ყარამან ყანთელი, რუბიკონი გადალახა და სხვა**“ [ავალიანი, აროშიძე, 2021:203]/

თ. ავალიანი და მ. აროშიძე ეწინააღმდეგებიან ფრაზეოლოგიზმის აბსოლუტურ სინონიმად ტერმინ **იდიომას** გამოყენებას (იდიომების შემსწავლელი დარგის სახელწოდებაა იდიომატიკა) (ქეე, 2008: 484), თუმცა აღნიშნავენ, რომ „ლინგვისტთა ნაწილი იდიომებად თვლის მხოლოდ ისეთ ფრაზეოლო-

გიზმებს, რომელთა წარმოქმნა დაკავშირებულია კონკრეტულ მოვლენასთან, დროსთან თუ ადგილთან. ასე მაგალითად, 1572 წლის 24 აგვისტოს, წმინდა ბართლომეს დღესასწაულის წინა დამეს, კათოლიკეებმა მოაწყვეს ჰუგენოტების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რაც შემდგომში რელიგიურ ომში გადაიზარდა. აქედან გაჩნდა იდიომა **ბართლომეს დამე**, რაც საშინელებას, უბედურებას ნიშნავს“ [ავალიანი, აროშიძე, 2021:203].

მეცნიერები ფრაზეოლოგიზმთა შორის განსაკუთრებულ ადგილს უთმობენ ანდაზებსა და აფორიზმებს და იზიარებენ მოსაზრებას, რომელიც მათ ფრაზეოლოგიური ნომინაციის კერძო შემთხვევებს მიაკუთვნებს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, უდავოა, რომ ფრაზეოლოგიის გარეშე, ცალკეული სიტყვების მეშვეობით, ძალიან ძნელი, მეტიც, შეუძლებელი იქნებოდა, სათქმელი სრულყოფილად, დამაჯერებლად და ლამაზად გამოგვეხატა.

III თავი. რუსული ფრაზეოლოგიზმები

რუსულ ენაში მეცნიერები გამოყოფენ ფრაზეოლოგიზმების სამ ძირითად ტიპს: იდიომებს, ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და ფრაზეოლოგიურ კომბინაციებს.

იდიომები (ფრაზეოლოგიური შერწყმა) რუსულ ენაშიც ისეთივე თვისებისაა, როგორიც _ ქართულ ენაში. ეს არის მყარი გამონათქვამები, რომლებსაც აქვთ აზრი მხოლოდ უცვლელი სახით. სიტყვების ჩანაცვლების ან გადაწყობისას იდიომის მნიშვნელობა იკარგება. მაგალითად: ფრაზეოლოგიზმს **бить баклуши** „უსაქმურად ყოფნას“ ნებისმიერი ცვლილება მნიშვნელობას დაუკარგავს.

ფრაზეოლოგიური ერთეულები მყარი ფიგურალური გამონათქვამებია, რომელთა მთლიანი მნიშვნელობა ცალკეული სიტყვების მნიშვნელობიდან ხდება ნათელი. მაგალითად, ფრაზა **попасться на удочку** „ანკესზე წამოგება, სხვის დაგებულ მახეში გაბმა“ შეიძლება გავიგოთ სხვა ენაზე თარგმნის დროსაც კი. ფრაზეოლოგიური ერთიანობის მნიშვნელობა არ დაიკარგება, თუ ანკესის აღმნიშვნელ რუსულ სიტყვას კაუჭის აღმნიშვნელი სიტყვით ჩავანაცვლებთ ან სხვა დროში ჩავსვამთ.

ფრაზეოლოგიური კომბინაციები მყარი, მაგრამ მოქნილი ფორმებია, რომელთა მნიშვნელობა ცალკე საკვანძო სიტყვებით განისაზღვრება. ამ შემთხვევაში, არასაკვანძო სიტყვები შეიძლება შეიცვალოს სინონიმებით. მაგალითად, **умирать от любви** „სიყვარულისგან კვდომა“ – умирает от любви „კვდება სიყვარულისგან, ძალიან უყვარს“, ან **умирать от восторга** „აღტაცებისგან კვდომა“ – умирает от восторга „აღტაცებისგან, აღფრთოვანებისგან კვდება, უსაზღვროდ აღტაცებულია“, ორივე ფრაზის მნიშვნელობა ნათელია [გრიგორენკო, 2008:93].

რუსულ ფრაზეოლოგიზმსაც, როგორც ენის დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს, აქვს თავისი განმასხვავებელი ნიშნები:

1. ფრაზეოლოგიზმი შედგება ორი ან მეტი სიტყვისაგან, მაგალითად: **играть на нервах** „სხვის ნერვებზე თამაში“, **семь пятниц на неделе** „კვირაში შვიდი პარასკევის ქონა, გეგმებისა და დაპირებების ხშირად ცვლა“, **биться как рыба об лед** „გაჭირვებასთან უშედეგოდ ბრძოლა“...
2. ფრაზეოლოგიურ ერთეულებს აქვთ უცვლელი შემადგენლობა: ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების მსგავსად რუსული ფრაზეოლოგიური ერთეულების ლექსიკური შემადგენლობაც არანაირად არ შეიძლება შეიცვალოს, რადგან ამ შემთხვევაში მისი მნიშვნელობა დაიკარგება. მაგალითად, შევეცადოთ შეცვალოთ სიტყვები კომპლექტაციაში **висеть в воздухе**, „აღმოჩნდე გაურკვეველ მდგომარეობაში“. შეცვლის შედეგად მივიღებთ ფრაზებს: **летать в воздухе** „ჰაერში ფრენა“, ითქმის მტვერზე, ჩიტზე, თვითმფრინავზე და აღარ არის ფრაზეოლოგიური ერთეული; **висеть в открытом воздухе** „ცაში ფრენა“, ითქმის ფრანზე; **висеть на канате** „თოვზე დაკიდება“, ითქმის, მაგალითად, ჯამბაზზე. ამ ლინგვისტური ექსპერიმენტის შედეგად, ნათელი გახდა, რომ **висеть** სიტყვის ამოღებამ ფრაზეოლოგიზმს მნიშვნელობა დაუკარგა.
3. ფრაზეოლოგიური ერთეულების მთავარი მახასიათებელია კვლავწარმოება: როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაში ფრაზეოლოგიურ ერთეულებს დიალოგის პროცესში კი არ ქმნიან, არამედ იღებენ მათ ენის ლექსიკური მარაგიდან, როგორც მზა ერთეულებს გამომხატველი მეტყველების შესაქმნელად.
4. ფრაზეოლოგიური ერთეულებს აქვს ენაში დამკვიდრების ისტორია: ზოგჯერ ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობის გაგება შეუძლებელია მისი წარმოშობის ისტორიისა და ეთნიკური რეალიების ცოდნის გარეშე. მაგალითად, ფრაზა **на козе не подъедешь** „თხაზე ვერ მიუახლოვდები“ ძნელი გასაგებია ენის ცუ-

დად მცოდნესათვის, განსაკუთრებით კი უცხოელი-სათვის. არსებობს მოსაზრება, რომ ეს ფრაზეოლოგიური ერთეული მჭიდრო კავშირშია ხუმრობებთან, რომლებითაც ძველ დროში მხიარულობდა ხალხი ბაზრობებსა და დღესასწაულებზე, როცა მასხარებს ხალხის გასაცინებლად თხის, დათვისა და სხვათა ფორმა ეცვათ, თუმცა იყვნენ ადამიანები, რომლებზეც ეს ხუმრობები და მასკარადი გავლენას ვერ ახდენდა. ამის გამო ამ ფრაზეოლოგიზმს ხმარობენ რუსულში პირქუში, გაუცინარი ადამიანის აღმნიშვნელია. [https://dic.academic.ru].

5. ფრაზეოლოგიზმის ყველა სიტყვა წინადადების ერთი წევრია. მაგალითად, განვიხილოთ სინტაქსური ფუნქცია შესიტყვებისა **работать до седьмого пота** „თავდადებით შრომა, მუხლჩაუხრელად შრომა“ (ზედმიწევნით: „მეშვიდე ოფლამდე მუშაობა“). წინადადებაში – **сегодня мы (что делали?) работали до седьмого пота** – ფრაზეოლოგიზმი **работали до седьмого пота** შემასმენლის როლს ასრულებს.

ფრაზეოლოგიზმი შეიძლება იყოს ერთი სიტყვის სინონიმი: **тьма тьмущая = много** „უამრავი, აურაცხელი“ [გრიგორენკო, 2008:95].

აკადემიკოსი ა. შახმატოვი „რუსული ენის სინტაქსში“ ხაზს უსვამს სიტყვების განუყოფელი კომბინაციების საკითხის უდიდეს მნიშვნელობას არა მხოლოდ ლექსიკოლოგიისთვის, არამედ გრამატიკისთვისაც. „ფრაზაში ვგულისხმობთ მისი კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრას, რომელიც მთავარი და დაქვემდებარებული ელემენტების განსაზღვრაცაა. ზოგიერთი ფრაზის ასეთი დამლა შეუძლებელია. მაგ. სიტყვათა შეთანხმება „два мальчика“ (რთული საქმის მკეთებელი) თანამედროვე სინტაქსური მიმართებების თვალსაზრისით ურღვევია“ (ვინოგრადოვი 1977, გვ.140). განუყოფელ ფრაზებში კომპონენტების კავშირი შეიძლება აიხსნას ისტორიული თვალსაზრისით, მაგრამ გაუგებარია... თანამედროვე გრამატიკული ურთიერთობების ცოცხალი სისტემის თვალ-

საზრისით. განუყოფელი ფრაზები ენის განვითარების წინა საფეხურების გადმონაშთიცაა. ა. შახმატოვი ასევე ნათლად ახასიათებდა ლექსიკური და გრამატიკული ფორმებისა და მნიშვნელობების მჭიდრო ურთიერთქმედებას ფრაზეოლოგიზმების ფორმირების პროცესში. ის აღნიშნავდა, რომ „ზოგიერთი სიტყვის განმარტებასთან გაერთიანება ხშირ შემთხვევაში ერთ წინადადებას ქმნის, მაგრამ მოცემული სიტყვათშეთანხმებები ამ კომბინაციების წყალობით ინარჩუნებს დამოუკიდებლობას. მაგალითად: სიტყვათშეთანხმება „почтовая бумага“ (საფოსტო ქაღალდი) – ერთი მხრივ, ორივე სიტყვა ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას მათ გამოყენებასთან მჭიდრო კავშირის გამო კომბინაციებში, როგორიცაა **საფოსტო ყუთი, ფოსტა** და, მეორე მხრივ, **საწერი ქაღალდი, თეთრი ქაღალდი** და ა.შ ". მაგრამ ხშირად ასეთი განცალკევება ირღვევა და ორივე კომბინირებული სიტყვის კიდევ უფრო მჭიდრო კომბინაცია იქმნება (შდრ. **ни синь пороха „არა ლურჯი ღენთი“**-ს ნაცვლად **не синя пороха „ლურჯი ღენთის გარეშე“**). ეს მიუთითებს იმაზე, რომ გამონათქვამებიდან, როგორიცაა - **железная дорога „რკინიგზა“** წარმოიქმნება მიმართებითი ზედსართავი სახელი **железнодорожный „სარკინიგზო“**, რომელშიც **железно** რთული სიტყვის უცვლელი ნაწილია. ა. შახმატოვი სვამს კითხვას: „შეიძლება თუ არა **железная „რკინისა“ железная дорога**-ში ჩაითვალოს განმარტებად? არ უნდა ჩაითვალოს **железная дорога „რკინიგზა** და სხვა კომბინაციები, რომლებიც განუყოფელია მათი მნიშვნელობით, თუმცა გრამატიკულად რღვევად კომბინაციებად? ამრიგად, მეცნიერი ვარაუდობს, რომ სიტყვათა სემანტიკური განუყოფელობა იწვევს მისი გრამატიკული დაყოფის შესუსტებას და დაკარგვასაც კი. განუყოფელი სიტყვიერი ჯგუფის სემანტიკურ გადაზრებასთან დაკავშირებით გვხვდება მისი გრამატიკული ტრანსფორმაციაც. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ფრაზეოლოგიზმი **спустя рукава „არასერიოზული, დაუდევარი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებულიება რაიმე საქმიანობისადმი“** გახდა იდიომატური მთლიანობა, იგი ნაწილაკიდან გადაიქცა ზმნიზებად. მაგრამ ზმნიზებად გადაქცევის შედეგად შეუძლებელია ამ

კომბინაციაში **рукава**-ს განსაზღვრა, როგორც ბრალდებით ბრუნვაში მდგომი პირდაპირი ობიექტისა. შესაბამისად, „პირველადი ობიექტური ურთიერთობები შეიძლება წაიშალოს და შეიცვალოს ბრუნვის ფორმის გამოყენების მიუხედავად“ (ვინოგრადოვი, 1977:143) და ცოცხალი მნიშვნელობის ნაცვლად, უმოტივაციო გამოყენება რჩება.

განუყოფელი სიტყვათშეთანხმების გრამატიკული ხასიათის ცვლილება ასევე შეიძლება შეინიშნოს გამოთქმაში **от нечего делать** “მოცლილობის ჟამს, უსაქმობის დროს”. სხვადასხვა ფრაზეოლოგიური ჯგუფების სტრუქტურაში ლექსიკური და გრამატიკული ფენომენების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი გადაუჭრელი რჩება ა. შახმატოვის მიერ, მაგრამ მეცნიერი სინტაქსური თვალსაზრისით გამოყოფს ოთხი ტიპის მყარ სიტყვათშეთანხმებას.

1. გრამატიკულად განუყოფელი სიტყვათშეთანხმება, ცოცხალი სინტაქსური მიმართულების თვალსაზრისით გაუგებარია, მაგრამ ლექსიკურად თავისუფალი, ასეთია მაგ.: რეგიონალურ ენაში არსებითი სახელის ინფინიტივთან შეთანხმება, პირდაპირი ობიექტის დამატების მნიშვნელობით: **надо протопить комнату** – ოთახი უნდა გათბეს, **испортить шубу** – ქურქი გააფუჭა [აკიმოვა, 2013:18].
2. გრამატიკულად განუყოფელი სიტყვათშეთანხმება, არამოტივირებული თანამედროვე სინტაქსური ურთიერთობების თვალსაზრისით, მაგრამ ლექსიკური თვალსაზრისით დაშლილი, თუმცა არა სრულიად. ესაა თავისუფალი ფრაზები, რომლებიც საშუალებას იძლევა ჩანაცვლო და გამოიყენო ნებისმიერი სიტყვა მხოლოდ ერთი ჩანაცვლებული წევრის ნაცვლად. ასეთი ტიპისაა სიტყვათშეთანხმება რიცხვით სახელთან: **два килограмма** „ორი კილოგრამი“, **два воробья** „ორი ბელურა“, **два пальца** „ორი თითი“ და ა.შ. ისეთი სიტყვათშეთანხმებები, როგორიცაა **пятого января** „5 იანვარს“, **десятого марта** „9 მარტს“, **тридцать первого декабря** „31 დეკემბერს“, რომლებშიც რიცხობითი რიც-

ხვითი სახელი ნათესაობით ბრუნვშია. ასეთ შესიტყვებებში ნათესაობითი ბრუნვის გამოყენება ვერ აიხსნება სიტყვის თანამედროვე ცოცხალი ფორმით, რადგან. სიტყვა **номер** „ნომერი“ იმდენად მჭიდროდ არის შერწყმული თავის განმარტებასთან, რომ იგი ხდება ზედსართავი სახელის შემცვლელი ნაწილი: **он живет в доме номер восьмом** „ის ცხოვრობს N 8 სახლში“, **мы доехали в вагоне номер двадцать пятом** „ჩვენ მივედით, ვიმგზავრეთ N 25 ვაგონით“... როგორც ჩანს, ამ კომბინაციებმა ჩაანაცვლა სხვა კომბინაციები, სადაც სიტყვა **номер** არის დამატება: **он живет в доме номер восьмой** „ის ცხოვრობს ნომერ მერვე სახლში“... [კაკაზოვი, 2013:19].

3. ლექსიკური მნიშვნელობით განუყოფელი სიტყვათშეთანხმება, რომელიც გრამატიკულად იშლება, სრულად შეესაბამება თანამედროვე ენის ცოცხალ სინტაქსურ მოდელებს. მაგ.: **игральные карты** „სათამაშო ბანქო“, **великий князь** „დიდი თავადი, მთავარი“, **Красное село** „ლამაზი სოფელი“ [კაკაზოვი, 2013:22].
4. იმ სიტყვების კომბინაციები, რომლებიც ერთნაირად განუყოფელია როგორც სინტაქსურად, ისე ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით. ასეთია, მაგ.: **спустя рукава** „დაუღევარი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება საქმისადმი“, **очертя голову** „საქმის ნაჩქარევად, დაუფიქრებლად გაკეთება“; შდრ: **ничего делать** „უსაქმურობა, რეალური საჭიროების გარეშე ყოფნა“ [ვლავაცაია, 2019:30]. ამ საკითხს, რომელიც წამოაყენა აკად. ა. შახმატოვმა, სჭირდება შემდგომი გაღრმავებული და საფუძვლიანი კვლევა. ამკარაა, რომ მის ყოვლისმომცველ გაშუქებას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება სინტაქსისა და ფრაზეოლოგიისთვის. თუმცა, პრობლემის ფორმულირება შეიძლება ოდნავ შეიცვალოს. ა. შახმატოვმა ფრაზის გრამატიკული დამლოს კონცეფცია დამოკიდებული გახადა ფრაზის სინტაქსურ კომპონენტებად, სიტყვებად დაყოფის უნარზე. გა-

ნუყოფელობის საპირისპირო კონცეფცია გამოიყენებოდა მხოლოდ ცოცხალი სინტაქსური ურთიერთობების ვიწრო წრეზე. ამრიგად, სინტაქსური ერთობების დაშლის ნიშანი აღმოჩნდა უკიდურესად ფართო და შინაგანად განუყოფელი. სინტაქსური კავშირების ყველაზე მრავალფეროვანი ტიპები მოყვანილია დაშლის კატეგორიაში, რადგან არ იყო გათვალისწინებული დაშლის ხარისხი და თვისებრიობა. ამავდროულად, ზოგიერთ ვერბალურ ასოციაციაში მოცემულია სინტაქსური დანაწევრება, რომელიც აქტიურად არის გამოხატული სინტაქსის თანამედროვე საშუალებებით, ზოგიერთში იგი მხოლოდ ეტიმოლოგიურად არის ასახული, რაც ასახავს ვერბალური კომუნიკაციის ძველ ენობრივ ტექნიკას. ზოგიერთი სინტაქსური ურთიერთობა თავისუფლად რეალიზდება, ზოგი კი მხოლოდ ტრადიციულად რეპროდუცირდება – მრავლდება. სხვადასხვა ტიპის სიტყვათშეთანხმების მნიშვნელობა და გამოყენება არ არის ერთგვაროვანი. არის თუ არა მიზანშეწონილი სინტაქსური მიმართებების მთელი ამ მრავალფეროვნების მოქცევა დაშლის ზოგადი, არადიფერენცირებული კონცეფციის ქვეშ? დაშლად სინტაქსურ ასოციაციებში, თანამედროვე გრამატიკული ცნობიერების თვალსაზრისით შეიძლება განვასხვავოთ მათი სხვადასხვა ტიპი, მაგ: კომბინაციები, რომლებიც იშლება მხოლოდ ეტიმოლოგიურად და ისეთი კომბინაციები, რომლებიც იშლება ზოგიერთ სინტაქსურ პირობებში და ზოგიერთში – არა. ამ კონტექსტში გავიხსენოთ ე. საპირის მოსაზრება: „ყოველი დასრულებული წინადადების საფუძველში დევს მზა ნიმუში წინადადებისა – ტიპი, რომელიც ხასიათდება გარკვეული ფორმალური თავისებურებებით. ეს კონკრეტული ტიპები შეიძლება იყოს საფუძველი ნებისმიერი კონსტრუქციისთვის, რომელიც მოსაუბრეს ან მწერალს სჭირდება, მაგრამ ისინი თავად „მოცემულია“ ძირეული გრამატიკული ელემენტებით, რომლებიც ერთი სრული სიტყვიდან არის

ამოღებული. ამ გზების გასწვრივ იხსნება სინტაქსური კვლევის ახალი სფეროები” (ვინოგრადოვი 1977, გვ.151). ტრადიციული სინტაქსური თვალსაზრისი ადგილს უთმობს გრამატიკული სისტემის აქტიურ კატეგორიებს, მაგრამ სინტაქსური სწავლების ამ ახალი მეთოდების გამოსაყენებლად უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაოები, უნდა მომზადდეს ნიადაგი. არათავისუფალი(დაკავებული) ფრაზეოლოგიური ჯგუფების სემანტიკური ანალიზი თანამედროვე ენის შემადგენლობაში ბუნებრივი შესავალია ლინგვისტური კვლევის ამ ახალი სფეროებისათვის.

ფრაზეოლოგიური ჯგუფების საკითხმა მრავალი ენათმეცნიერის ყურადღება მიიპყრო და მაინც, ცალკეული დაკვირვებებისა და ზოგადი განსჯის გარდა, ძნელია რაიმე მყარი შედეგის მითითება სემანტიკური კვლევის ამ სფეროში. როგორც ჩანს, თემების ეს წრე ყველაზე მკაფიოდ აქვს გაშუქებული შ. ბალის. როგორც ა. შახმატოვისათვის, ასევე სხვა ენათმეცნიერთათვისაც თვალმისაცემი იყო ფრაზეოლოგიური ჯგუფებისა და სიტყვათშეთანხმებების 2 ტიპი:

1. სიტყვების კომბინაციები არის ინდივიდუალური, შემთხვევითი და არასტაბილური; ფრაზის ნაწილებს შორის კავშირი წყდება მისი ჩამოყალიბებისთანავე და სიტყვები, რომლებიც ქმნიან ჯგუფს, იღებენ სრულ თავისუფლებას სხვაგვარად შერწყმისა;

2. ფრაზეოლოგიური გამონათქვამები ან ფრაზები არის ჩვეული, სტაბილური სიტყვები, რომლებიც შედის მჭიდრო ურთიერთობაში რომელიმე ერთი იდეის გამოსახატავად, მაგრამ კარგავს დამოუკიდებლობას, ხდება განუყოფელი და აზრს იძენს მხოლოდ ფრაზის გაერთიანებაში. თუ სიტყვების ჯგუფში თითოეული გრაფიკული ერთობა კარგავს თავისი ინდივიდუალური მნიშვნელობის ნაწილს, ან საერთოდ არ ინარჩუნებს რაიმე მნიშვნელობას, თუ ამ ელემენტების ერთობლიობა ჰოლისტურ-სემანტიკური ერთიანობაცაა, მაშინ ჩვენს წინაშეა რთული მეტყველება, იგივე ფრაზეოლოგიური ბრუნვა. ამ ორ უკიდურესობას შორის, შარლ ბალის აზრით, ბევრი შუალედუ-

რი შემთხვევაა. შ. ბალი უარს ამბობს სხვადასხვა ფრაზეოლოგიური ჯგუფის სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციაზე. ის გვთავაზობს, განვასხვაოთ სიტყვების სტაბილური კომბინაციების მხოლოდ ორი ძირითადი ტიპი: ფრაზეოლოგიური სერია/წყობა, ან ჩვეული ფრაზეოლოგიური ჯგუფი, რომელშიც სიტყვების ბმა შედარებით თავისუფალია, საშუალებას იძლევა გარკვეული ვარიაციებისა და ფრაზეოლოგიური ერთიანობისა, რომელშიც სიტყვების ინდივიდუალური მნიშვნელობა – კომპონენტები მთლიანად იკარგება. ამ სახის გამონათქვამები ჰგავს იზოლირებულ სიტყვებს; ისინი ყველაზე ხშირად ქმნიან განუყოფელ ერთობას. ფრაზეოლოგიურ ერთიანობაში მთელის მნიშვნელობა არასოდეს უდრის ელემენტების მნიშვნელობების ჯამს. ეს არის თვისობრივად ახალი მნიშვნელობა, რომელიც წარმოიშვა სიტყვების თავისებური კომბინაციის შედეგად. ფრაზეოლოგიური ერთიანობა ხასიათდება როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ნიშნებით. გარეგანი, ფორმალური ნიშნები არის პირობითი, ცვალებადი და არ თამაშობს გადამწყვეტ როლს. ეს მოიცავს სიტყვების უცვლელ რიგს და ნებისმიერი სიტყვის ჩანაცვლების შეუძლებლობას, რომლებიც ქმნიან ფრაზეოლოგიურ ერთობას სინონიმით ან სხვა სიტყვით. ფრაზეოლოგიური ერთიანობის შინაგანი ნიშნები მოიცავენ სიტყვების კომბინაციის ჩანაცვლებას ერთი სიტყვით, რომელიც იმავე სიტყვის მნიშვნელობით ეკვივალენტურია, მისი ომონიმური დაშორება ხდება შესაბამისი თავისუფალი კომბინაციებისგან. მაგალითად, თავისუფალი კომბინაცია **взять свое (свою вещь)** „საკუთარი ნივთის აღება“ და ფრაზეოლოგიური ერთიანობა **взять свое**– „საკუთარის აღება; სასურველი მიზნის მიღწევა“. შდრ. ფრაზა ა. ჩეხოვის მოთხრობიდან „Роман с контрабасом“: Нелегко было отцепить крючок от букета, в который запуталась леска, но терпение и труд взяли свое „იოლი არ იყო ანკესის გამოღება იმ თაიგულიდან, რომელშიც ის იყო ჩახლართული, მაგრამ მოთმინებამ და შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო“ [ვლავაცაია, 2019: 41].

ლექსიკური, სინტაქსური ან სემანტიკური არქაიზმების არსებობა, ფრაზის სტრუქტურის შეუსაბამობა სინტაქსური მი-

მართებების ცოცხალ ფორმებთან: ელიფსისები, პლეონაზმები, როგორც ფრაზის ნაწილი, იძლევა მთელი ფრაზის ერთ შედგენილ სიტყვად გარდაქმნის შესაძლებლობას. მაგ.: **очковтирательство** „თვალში ნაცრის შეყრა, სიტყვით თუ საქმით მოტყუება რაღაცაში, კეთილდღეობის იერის შექმნა“, შდრ. **очковтиратель** ფრაზისგან: **втирать очки; баклушничать** „უსაქმურობა“ და **бить баклуши** „უსაქმურობა“, **железнодорожный** „სარკინიგზო“, შდრ. **железная дорога** „რკინიგზა“

ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოიქმნება ფრაზეოლოგიური ჯგუფებიდან. ფრაზეოლოგიურ ჯგუფებში შ. ბალი ზოგიერთ ტიპს განასხვავებს არა კონსტრუქციული თავისებურებებით, არამედ ლექსიკურ-სემანტიკური კომპოზიციის თავისებურებებით. ასეთია, მაგალითად, ფრაზეოლოგიური ჯგუფები **диаметрально противоположный** „სრულიად საწიანააღმდეგო, საპირისპირო“, **категорически отказаться** „კატეგორიული უარის თქმა“, **горько сожалеть** „მწარე სინანული“, **потрясающее впечатление** „წარუშლელი შთაბეჭდილების მოხდენა“, ანდა ზმნის სტაბილური კომბინაციები, რომლებიც მარტივი ზმნების პერიფრაზირებას წარმოადგენენ, მაგ.: **одержать победу** და **победить** „გამარჯვება, გამარჯვების მოპოვება“, **принять решение** და **решить** „გადაწყვეტილების მიღება“... შ. ბალი მოკლედ ჩერდება აბსოლუტურ ერთობებთან ნაკლებად დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ჯგუფებიდან გარდამავალ საფეხურებზე და აღნიშნავს, რომ აქ კიდევ უფრო ძნელია განვასხვაოთ ჩვეულებრივი ჯგუფები და აბსოლუტური ერთეულები, თუმცა ეს განსხვავება არც თუ ისე მნიშვნელოვანია. სხვა ფრაზეოლოგიური ტიპების გვერდის ავლით, შ. ბალი თვლის, რომ კითხვა და დაკვირვება დაგვეხმარება სხვადასხვა კატეგორიის პოვნაში. აქ არსებითი არის ფენომენის ზოგადი აღწერა. ფრაზეოლოგიური ერთიანობისა და ფრაზეოლოგიური ჯგუფის ცნებების ახსნით, შ. ბალი ხაზს უსვამს მათ განსხვავებებს სიტყვის ესთეტიკის თვალსაზრისით. ტრადიციული, ბანალური ფრაზეოლოგიური ჯგუფების გადაჭარბებული გამოყენება სტილისტური ორიგინალურობის დეფიციტის ნიშანია. მსუბუქი, კრეატიული სტილი გაურბის ჩვეულ ფრაზეო-

ლოგიურ ჯგუფებს, კლიშეებს. პირიქით, ფრაზეოლოგიური ერთეულების ოსტატურად გამოყენება არ ასუსტებს სტილის ექსპრესიულობას. ფრაზეოლოგიური ერთეულები ერთგვაროვანია მარტივ სიტყვებთან (შერწყმულია). იქ, სადაც სიტყვების ერთობლიობა უპირობოდ „გაქვავებულია“, საბოლოოდ დაფიქსირებულია ენის მიერ, უადგილო იქნება ორიგინალურობის მოთხოვნა, თუმცა ამ ერთიანობის შემადგენლობის განადგურება იგივეა, რაც ერთი სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურის დარღვევა. განსხვავებულ მდგომარეობაში არის ნაკლებად დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ჯგუფები, რომელთა მრავალფეროვნებაა ე.წ. კლიშე. კლიშეები არის მზა, მემკვიდრეობით მიღებული გამოთქმები, „ფრთიანი სიტყვები“. ეს არის სტერეოტიპული ლიტერატურული ფრაზებისა და გამოსახულებების სფერო, რომლებმაც დაკარგეს სიახლის ხიბლი ხშირი გამეორების გამო, „გადატანითი მთარული, გაცვეთილი სიტყვა ან გამოთქმა“. (<https://www.ganmarteba.ge/word/>). ზოგიერთი მათგანი ინდი-ვიდუალური მხატვრული შემოქმედების ფრაგმენტია, მათი უმეტესობა უცნობი წარმოშობისაა. ასეთი კლიშეები შეიძლება თვალსაჩინო აღმოჩნდეს. სინამდვილეში, ისინი მხოლოდ პირობითი გაფორმებაა და ფარავს ორიგინალური სტილის ან მჭევრმეტყველების ნაკლებობას [ვლავაცაია, 2019:51]. შეუძლებელია არ შეამჩნიოთ, რომ შ. ბაღისა და ალბერ სემეს შენიშვნები სიტყვების სტაბილური, მონათესავე სიტყვის კომბინაციების ტიპებზე ზოგადია და არა საკმარისად განსაზღვრული. აუცილებელია უფრო ახლოს დავაკვირდეთ თანამედროვე რუსული ენის ფრაზეოლოგიური ჯგუფების სტრუქტურას, უფრო მკაფიოდ განვასხვავოთ მათი ძირითადი ტიპები და მათი სემანტიკური საფუძვლები.

მარტივი და ბუნებრივია გამოვყოთ აბსოლუტურად განუყოფელი ფრაზების ტიპები, რომელთა მნიშვნელობა სრულიად დამოუკიდებელია მათი ლექსიკური შემადგენლობისგან, მათი კომპონენტების მნიშვნელობებისგან და ისეთივე პირობითი და თავისთავადია, როგორც მნიშვნელობა უმოტივაციო სიტყვა-ნიშნისა. ამ სახის ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შეიძლება ვუწოდოთ **ფრაზეოლოგიური გაერთიანებები**, ისი-

ნი არამოტივირებული და უწარმოებელია. მათ მნიშვნელობას არავითარი კავშირი არა აქვს კომპონენტების მნიშვნელობასთან. თუ მათი სემანტიკური ელემენტები იდენტურია ენის ზოგიერთ დამოუკიდებელი ცალკეული სიტყვებისა, მაშინ მათი ურთიერთობა წმინდა ომონიმურია. ფრაზეოლოგიური შეთანხმებები შეიძლება დაექვემდებარონ ეტიმოლოგიზაციას. მაგრამ „ხალხური ეტიმოლოგია“ არ ხსნის მათ ნამდვილ სემანტიკურ ისტორიას და არ ახდენს გავლენას მათ გამოყენებაზე. ფრაზეოლოგიური შერწყმის მაგალითია სასაუბრო ვულგარული გამოთქმა **кузькина мать** „სეირის ჩვენება“ (ფრაზ. მუქარა ან გაფრთხილება). იგი ჩვეულებრივ გამოიყენება ფრაზაში: **показать кому-нибудь кузькину мать**. ამის კომენტარად შეიძლება ჩაითვალოს ნაწყვეტი ნ. პომიალოვსკის რომანიდან „Брат и сестра“: Хорошо же, я тебе покажу кузькину мать „კარგი, სეირს გიჩვენებ“. **кузькина мать**-ს ვერ ავუსხნით მკითხველს. ბევრია ასეთი გამონათქვამი, რომლებმაც დროთა განმავლობაში თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგეს. ალბათ ეს **кузькина мать** „კუზმას//კუზკას დედა“ იყო ბოროტი დედაკაცი და მისით აშინებდნენ ხალხს. შდრ. ფრაზა ჩეხოვის მოთხრობიდან „Хамелеон“: Он увидит у меня, что значит собака и прочий бродячий скот! Я ему покажу кузькину мать! „მე ვუჩვენებ მაგას, რას ნიშნავს ძაღლი და სხვა მაწანწალა პირუტყვი! სეირს ვანახებ!“ ასეთივე აზრობრივი მნიშვნელობა აქვს გამოთქმას **собаку съел в чем-нибудь** „რაიმე საქმეში დიდი გამოცდილება აქვს“, (ე.ი. ამა თუ იმ საქმის კეთების ოსტატია). რუსულ ან უკრაინულ რაიონებში, სადაც სიტყვა **собака** „ძაღლი“ მამრობითი სქესისაა, (კომიკური ელფერის შესაქმნელად დასახელებულ ფრაზას ემატება ფრაზა **и сучкой закусил** „და ძუკნაც ზედ მიაჭამა“. ა. პოტებნია მიიჩნევდა, რომ ეს გამოთქმა წარმოშობით იყო ხალხური, გლეხური, დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან. ა. პოტებნიას ეტიმოლოგია საერთოდ არ აზუსტებს ამ იდიომის თანამედროვე მნიშვნელობას და ძალიან ჰგავს „ხალხურ ეტიმოლოგიას“. **собаку съел** გამოთქმის განუყოფელობა, მისი ლექსიკური არაწარმოებულიობა აშკარად აისახება მის მნიშვნელობასა და გამოყენე-

ბაში, სინტაქსურ კავშირებში. მაგ.: ნეკრასოვის პოემაში „Кому на Руси жить хорошо“ ვკითხულობთ: **Заводские начальники, По всей Сибири славятся – Собаку съели** „ქარხნის უფროსები მთელ ციმბირში არიან ცნობილი, როგორც ამ საქმის დიდოსტატები“. ფრაზეოლოგიური შერწყმის გრამატიკული სტრუქტურის ასეთი მკვეთრი ცვლილება ჩვეულებრივ ასოცირდება მისი იდიომატური ბუნების ზრდასთან, სემანტიკური გაყოფის დაკარგვასთან.

გამოთქმას, **как ни в чем не бывало** „თითქოს არაფერი მომხდარა“ თანამედროვე ენაში აქვს ზმნიზედის მნიშვნელობა. ამჟამად ამ ფრაზაში სიტყვა **бывало** საშუალო სქესში დგას და არ იცვლის სქესს, მაგრამ XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურულ ენაში იკვეთებოდა მოქმედების საგანთან სიტყვაფორმის გრამატიკული შეთანხმების აუცილებლობა და ეს სიტყვა სქესსაც იცვლიდა. მაგ.: მ. ლერმონტოვის ნაწარმოებში "Бэла" ვკითხულობთ: За моею тележкой четверка быков тащила другую, как ни в чем не *бывала*, несмотря на то, что она была доверху накладка „ჩემი ეტლის უკან ოთხი ხარი ისე მოათრევდა მეორე ეტლს, თითქოს არაფერი მომხდარაო, მიუხედავად იმისა, რომ ის ეტლი პირთამდე იყო დატვირთული“; ასევე დ. ბეგიჩევას რომანში „Семейство Холмских“ ვკითხულობთ: „Князь Фольгин, как будто ни в чем не *бывал*, также шутил „თავადი ფოლგინი, თითქო აქ არაფერი მომხდარიყოს, ისევ ისე ხუმრობდა“. თუ თეორიული მოსაზრებებით ვიხედომძღვანელებთ, მაშინ შესაძლებელი იქნება ფრაზეოლოგიური შერწყმა ოთხ ძირითად ტიპად დავყოთ – იმისდა მიხედვით, თუ რამ გამოიწვია გამოსატყვის განუყოფლობა.

1. ფრაზეოლოგიური შერწყმა, რომელიც შეიცავს მოძველებულ ან ხმარებიდან გასულ, შესაბამისად, სრულიად გაუგებარ სიტყვებს. მაგ.: **у чёрта на куличках** „სადაც, ძალიან შორს; გადაკარგულში“; **во всю Ивановскую** „მთელი ხმით ყვირილი, ღრიალი“; **попасть впросак** „უხერხულ, არასასიამოვნო, წამგებიან ვითარებაში ჩავარდნა“ და ა.შ. [ბუშევა, 2021:17].

2. ფრაზეოლოგიური შერწყმა, მათ შორის გრამატიკული არქაიზმები, რომლებიც წარმოადგენენ სინტაქსურად განუყოფელ მთლიანობას ან მათი სტრუქტურით არ შეესაბამებოდათ თანამედროვე სიტყვათა წყობის ცოცხალ ნორმებს. მაგ.: **ничтоже сомняшеся** „ცოტა, ყოველგვარი ეჭვის გარეშე“; **была – нибыла** „რაც იქნება, იყოს“; **и вся недолга** „ეს არის და ეს, დასრულდა“ და ა.შ.
3. ფრაზეოლოგიური შერწყმა, რომელმაც განიცადა ექსპრესიული ინდივიდუალიზაა და ამიტომ გახდა განუყოფელი როგორც ლექსიკურად, ასევე სემანტიკურად. მაგ.: **чего доброго** „კარგი რა შეიძლება მოხდეს (როცა რაიმე უსიამოვნოა მოსალოდნელი)“; **вот тебе и на – „ბიჭოს! ერიჰა!“** (გაკვირვების, გაოცების შეძახილი) და ა.შ.
4. ფრაზეოლოგიური შერწყმა, რომელიც ისეთი სემანტიკური ერთიანობაა, რომ კომპონენტების ლექსიკური მნიშვნელობები სრულიად „გულგრილია“ მთლიანის გაგების მიმართ. მაგ.: **сидеть на бобах** – იტყვიან, როცა დანაკარგი დიდია, ან განიცდიან მარცხს რამეში; **души не чаять в ком-нибудь** „მზე და მთვარე მასზე ამოსდის, ძალიან უყვარს“ [ბუშევა, 2021:21]. ეს კლასიფიკაცია ძალიან სქემატურია.

თავისთავად ცხადია, რატომ არის განუყოფელი ის ფრაზეოლოგიური შერწყმა, რომელიც მოიცავს ლექსიკურ კომპონენტებს და არ ემთხვევა რუსული ენის ცოცხალ სიტყვებს (მაგ.: **во всю Ивановскую** „მთელი ხმით ყვირილი“; **вверх тормашками** „თავდაყირა; ამოყირავება“, **бить баклуши** „უსაქმურობა, დროის უქმად დაკარგვა“; **точить лясы, точить балясы** „უსაქმურობა და ყბელობა“). მაგრამ ერთი ასეთი მინიშნება თანამედროვე რუსული ენის ლექსიკურ სისტემაში შესაფერისი სიტყვის არარსებობის შესახებ საკმარისი არ არის გამოთქმის იდიომატური განუყოფლობის გასაცნობად. საკითხის გადაჭრა ხდება სემანტიკური რიგის ფაქტორებით. შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც არ არის შესაბამისი სიტყვა, მაგრამ ცოც-

ხალია მისი განშტოებები, ერთგვაროვანი მორფემები. ასეთ შემთხვევებში, გამონათქვამი პოტენციურად იშლება ლექსებებად. თუმცა ეს ხელს არ უშლის მის სემანტიკურად განუყოფლობას. ასე, მაგალითად გამოთქმა **навести лыжи** „წასასვლელად, გასაქცევად მომზადება“. მ. სალტიკოვ-შჩედრინის „Пестрые письма-ში წერია: Куда это он лыжи навестил? Ишь спешит, точно в аптеку торопится „სად აპირებს გაქცევას? ისე ჩქარობს, თითქოს აფთიაქში აგვიანდებოდეს“; ნ. გოგოლის „Мертвые души“: **Мужик убежит как дважды два, навестит так лыжи, что и следа не отыщешь** „გლეხი ისე უცებ გაიქცევა, მის კვალსაც ვერ მიაგნებ“. ფრაზეოლოგიურ შერწყმაში ლექსიკური ელემენტების სემანტიკური შედარების ან დაპირისპირების არსებობაც კი არ იწვევს იდიომის ანალიზურ დაყოფას, კომპონენტების მნიშვნელობებთან მისი მნიშვნელობის ცოცხალი კავშირის რეალიზებას. ასეთია, მაგალითად იდიომა **ни к селу ни к городу** „უადგილოდ რამის თქმა, წამოროშვა“. შდრ. ჩეხოვის მოთხრობაში „Брак по расчету“: **Телеграфист кокетливо щурит глаза и то и дело заговаривает об электрическом освещении – ни к селу ни к городу** „ტელეგრაფისტი კეკლუცად ჭუტავს თვალებს და ხანდახან სრულიად უადგილოდ როშავს, ბჟუტურობს ელექტროგანათებაზე“. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც ფრაზეოლოგიური შერწყმის სტრუქტურა განისაზღვრება ლექსიკური ელემენტის არსებობით, რომელიც უცხოა ენის სისტემისთვის და ამ კავშირის მიღმაა. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი **вверх тормашками** „თავდაყირა; ამოყირავება“ შდრ. ჩეხოვის მოთხრობაში „Счастливчик“: **Вы говорите, что человек творец своего счастья. Какой к черту он творец, если достаточно большого зуба или злой тещи, чтоб счастье его полетело вверх тормашкой?** „თქვენ ამბობთ, რომ ადამიანი საკუთარი ბედნიერების შემოქმედია. რა ჯანდაბის შემოქმედია, თუ მტკივანი კბილი ან ბოროტი სიდედრიც კი საკმარისია, რომ მისი ბედნიერება ამოყირავდეს“, შდრ. ასევე გამონათქვამები: **гнать в три погибели** – ძალიან ძლიერი ჩაგვრა, შევიწროება; **не мытьем, так катаньем** – ვისიმე იძულება,

შეგისრულოს შენი სურვილი; **без сучка, без задоринки** – სუფთად, უნაკლოდ და ა.შ. [ბაბკინი, 1979:65].

ფრაზეოლოგიური შესიტყვების კვლევისადმი წმინდა გარეგანი, ფორმალური, თუმცა ლექსიკოლოგიური მიდგომა მიზანს არ აღწევს. ცალკეული სიტყვა, რომელიც ცნობილია მხოლოდ როგორც იდიომის ნაწილი და, შესაბამისად, მოკლებულია სახელობით ფუნქციას, ყოველთვის არ არის გამოხატვის სრული სემანტიკური განუყოფლობის ნიშანი. მაგ.: **положа руку на сердце** – გულზე ხელი დაიდუ, გულწრფელად, ალაღად თქვი; **сидеть сложа руки** – გულხელდაკრეფილი ჯდომა, უსაქმურად ყოფნა; **среди бела дня** – დღისით, მზისით; **на босу ногу** – შიშველ ფეხზე, უწინდებოდ...[ბაბკინი, 1979:69].

გრამატიკული არქაიზმები ყველაზე ხშირად იდიომატურ გამოთქმას გამოიყენებიან. მაგ, გამონათქვამი **спустя рукава** – **საქმისადმი** გულგრილი, უყურადღებო დამოკიდებულება. შდრ. ა. ჩეხოვის მოთხრობაში „Агафья“: От всей фигуры (огородника Савки) так и веяло безмятежностью, врожденной, почти артистической страстью к житью зря, **спустя рукава** – მთელი მისი (იგულისხმება მეზოსტნე სავკა) სხეულიდან იფრქვეოდა სიმშვიდე, სიცოცხლისადმი თანდაყოლილი, არტისტული, გულგრილი ვნება“; ასევე შდრ.: **очертя голову** – დაუფიქრებლად რამის კეთება; **во вся тяжкая** – თავშეუკავებლად. ასე რომ, შერწყმის მთავარი ნიშანი არის მისი სემანტიკური განუყოფლობა, მთლიანობის მნიშვნელობის აბსოლუტური გამოყოფა კომპონენტებიდან. ფრაზეოლოგიური შერწყმა არის სემანტიკური ერთეული, რომელსაც არა აქვს შინაგანი ფორმა. ის არც ნაწარმოებია და არც სემანტიკური ელემენტების ჯამი, ეს არის დაშლილი და, თანამედროვე ენის გადმოსახედიდან, ამორფული ლექსიკური ნაწილების ქიმიური კომბინაცია. ამავედროულად, მთელის სემანტიკურ განუყოფელობას ზოგჯერ თან ახლავს ფრაზეოლოგიური შერწყმის ნაწილებს შორის გარე გრამატიკული საზღვრების შენარჩუნება. ეს ფრაზის ყოფილი ლექსიკური დაყოფის ერთგვარი კვალია. მაგ: გამოთქმა **держат в ежовых рукавицах** – ვინმესადმი მკაცრად, უშელავათოდ მოპყრობა; თანამედროვე ენაში შინაგანი ფორმა მოკლე-

ბულია ხელში ჩაიგდო, დაიჭირა. შდრ. **держать в (крепких) руках** – ვინმესადმი მკაცრად მოპყრობა – ა. ჩეხოვი თავისი მოთხრობების პერსონაჟების მეტყველებაში არაერთხელ იყენებს ელიფსურ გამოთქმას **держать в ежовых рукавицах**. მაგ.: მოთხრობაში „Месть“: Твой Собакевич, наверное, **держит в ежовых** горничную и лакея „შენი სობაკევიჩი, ალბათ, მკაცრად ექცევა მოახლესა და ლაქიას“. ასევეა მოთხრობაში „Длинный язык“: Он у меня, папочка, **в ежовых** был „მამიკო, მე მას მკაცრად ვექცეოდი“; მოთხრობა „Дуэль“-ში ა. ჩეხოვი იდიომას **держать в ежовых рукавицах** ანაცვლებს პირობითი ეკვივალენტით **держать в ежах**: Он здесь король и орел, он **держит** всех жителей **в ежах** и гнетет их своим авторитетом „აქ ის არის მეფე და არწივი, ყველას მკაცრად ეპყრობა, ჩაგრავს თავისი ავტორიტეტით“. ამრიგად, ამ ფრაზეოლოგიურ შერწყმაში, სიტყვათა წყობის ზოგადი გრამატიკული სქემა უცვლელი რჩება, მაგრამ მხოლოდ დამხმარე ფრაზეოლოგიზმები/სემანტიკები რჩება მის ლექსიკურ შემადგენლობაში უმოძრაოდ.

გარეგანი ფორმა ზოგჯერ ძალიან არასტაბილურია სხვა თვალსაზრისითაც. მაგალითად, ის ექვემდებარება ფონეტიკურ ან ევფონიკურ გავლენას. მაგალითად, იდიომა **с боку припёка** „არასაჭირო, სრულიად ზედმეტი რამ“ (შდრ. **Припёка** „გამომცხვარ ცომეულზე გვერდებზე მიკრული ზედმეტი მინაწვაკი ცომი“) ყოველგვარი გრამატიკული მნიშვნელობის გარეშე იქცევა დაწყვილებულ გამონათქვამად **с боку припеку**. ნ. გოგოლის მოთხრობაში „Женитьбе“ პერსონაჟი პოდკოლესინი ამბობს: Ну, да как же ты хочешь, не говоря прежде ни о чем, вдруг сказать **с боку припеку**: "Сударыня, дайте я на вас женюсь! „აბა, როგორც შენ გინდა, ადრე არაფერი გითქვამს და უცებ თქვი სრულიად უადგილოდ: "ქალბატონო, ნება მიბოძეთ, ცოლად მოგიყვანოთ!" ფრაზეოლოგიურ შერწყმაში ყველა ელემენტი ისეა შერწყმული და არადიფერენცირებული სემანტიკური თვალსაზრისით, რომ ელიფსური გამოტოვება ან თუნდაც ერთი წევრის გამომხატველი შემოკლება საერთოდ არ მოქმედებს მთლიანობის მნიშვნელობაზე, არ იწვევს მის სრულ დაშლას.

ერთი მხრივ, ასეთი შერწყმა სემანტიკურად უცვლელია, თუმცა მას შეიძლება ჰქონდეს გრამატიკული ფლექსიის ფორმები, მაგ.: **у черта на куличках** და **к черту на кулички** „საღდაც დასაპარგავში, საღდაც ძალიან შორს (შდრ. პ. ბობორიკინის რომანიდან „Из новых“: жалуется, что его шлют к черту на кулички „ჩივის, რომ მას მოუსაველეთმი გზავნიან“.

მეორე მხრივ, თუ სინტაქსური პირობები იძლევა საშუალებას, შერწყმის ნაწილიც კი შეიძლება იყოს მთლიანი ფრაზის ტოლფასი და იმოქმედოს მთელის მნიშვნელობით. ფრაზეოლოგიურმა შერწყმამ ამ შემთხვევებში შეიძლება უმტიკუნეულოდ დაკარგოს ნაწილები ერთმანეთის მიყოლებით. მაგალითად, იდიომა **ни в зуб толкнуть (// толконуть) не смыслит** „საერთოდ არაფერი იცის, არაფრის აზრზე არაა“ ასეა გამოყენებული მ. სალტიკოვ-შედრინის „Современная идилия“-ში: „Я к Гинцбургу – не понимаю... Я к Розенталю – в зуб толкнуть не смыслит „გინცბურგს ვეუბნები – არ ესმის, როზენტალთან მივედი -აზრზე არაა...“ ი. მაკაროვის „Воспоминания“-ში წერია: **Прелесть что за немочка. Да то беда, по-французски-то я маракую, а по-немецки ни в зуб толкнуть не умел** „ისეთი შესანიშნავი გერმანელი გოგოა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ფრანგულად კარგად ვჭიჭიკებ, მაგრამ გერმანულის აზრზე არა ვარ...“ იგივე მნიშვნელობა აქვს ვარიანტულ გამონათქვამს: **ни в зуб толкнуть**; მაგ.: ი. გონჩაროვის „Обломов“-ში: **Надзиратель придет, хозяин домовый что-нибудь спросит, так ведь, ни в зуб толкнуть – все я! Ничего не смыслит** „ზედამხედველი მოვა, სახლის პატრონი რაღაცას იკითხავს და აზრზე არ არის. ყველაფერი მე უნდა ვაკეთო! არაფერი არ ესმის...“; ი. ჩეხოვის მოთხრობაში „Репетитор“ წერია: **В шестой раз задаю вам четвертое склонение, и вы ни в зуб толкнуть! Когда же, наконец, вы начнете учить уроки?** „მეექვსედ გაძლევთ დავალებად მეოთხე ბრუნებას და თქვენ მაინც არაფრის აზრზე არ ხართ! ბოლოს და ბოლოს როდის დაიწყებთ გაკვეთილების სწავლას?...“; შემოკლებული ფრაზაც **ни в зуб** გამოიყენება იმავე მნიშვნელობით, მაგ. ფ. დოსტოევსკის „Дневник

писателя“-ში ვკითხულობთ: **Человек он темный, законов ни в зуб** „ის ბნელი ადამიანია, კანონების აზრზე არაა“.

სასაუბრო მეტყველებისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სტრუქტურულ-სემანტიკური თანასწორობა ფრაზეოლოგიზმისა. გარდა ამისა, სასაუბრო მეტყველებაში უფრო ხშირი და პროდუქტიულია ფრაზეოლოგიური ერთეულების ფრაგმენტაციისა და დაბინძურების პროცესები. შესიტყვებიდან **валить через пень колоду** „საქმისადმი გულგრილი მიდგომა, საქმის კეთება ზერელედ“ ზმნის ამოვარდნის გამო ჩამოყალიბდა სასაუბრო იდიომატური ვარიანტი **через пень колоду**. მაგ.: მ. სალტიკოვ-შედრინის „Недоконченные беседы“-ში წერია: **Выдумал немец Кунц кушетку для сечения, а мы дерем через пень колоду, как в древности драли** „გამოიგონა გერმანელმა კუნცმა დანაწევრებისთვის ტახტი, ჩვენ კი ისევ ზერელედ ვაკეთებთ საქმეს, როგორც ადრე ვაკეთებდით“. ასეთი პროცესები ფრაზეოლოგიური შესიტყვების ფორმირების ცხადი სიმპტომებია. აქ სხვადასხვა სემანტიკური მიზეზი არსებობს.

ამრიგად, გამონათქვამის სემანტიკური ბირთვის სრულ დაბინძვას მიჰყავართ ფრაზეოლოგიური ჯგუფის იდიომატურ შერწყმამდე. მაგ.: **сесть на бобах** „ცარიელ-ტარიელად დარჩენა, მარცხის განცდა, წაგება, ყველაფრის დაკარგვა“. შდრ. ფ. დოსტოევსკის „Идиот“-ში: **Ну куда мы теперь потащимся... Денег у нас нет..., вот и сели теперь на бобах, среди улицы...** აბა, სადღა წავეთრევიტ ახლა ჩვენ? ფული ჩვენ არ გვაქვს... დავრჩით ცარიელ-ტარიელი შუა ქუჩაში“. შდრ.: **провести на бобах** „ვისიმე გაცურება, უსახსროდ დატოვება“; **души не чаять в ком-нибудь** „გიყვარდეს ვიღაც ძლიერ, უსაზღვროდ“; **и в ус (себе) не дуёт** „ფეხებზე ჰკიდია, ვერ ამჩნევს ვერანაირ უხერხულობას, არ წუხს“. ა. გრიბოედოვის ნაწარმოებში ვკითხულობთ: **Ведь столбовые все, а в ус никому не дуют** „ყველა გაქვავებული დგას, მაგრამ ყველა ფეხებზე ჰკიდიათ“. ნ. გოგოლის „Ревизор“-ში: **Ты себе и в ус не дуешь** „არანაირ უხერხულობას არ განიცდი“. ნ. ნეკრასოვის „Герои времени“: **Слыл умником и в ус себе не дул – И – наглупил на всю Россию** „ცნო-

ბილი იყო ჭკვიან ადამიანად ასაღებდა და ყველა ფეხებზე ეკი-
და და შეირცხვინა თავი მთელს ქვეყანაზე...“; ნ. გოგოლის
„Мертвые души“: Копейкин мой, можете вообразить, себе и в ус
не дует. Слова-то ему эти, как горох к стене „ჩემი კოპეიკინი,
თქვენ წარმოიდგინეთ, არავის ყურადღებას არ აქვს. მისთვის
ეს სიტყვები ისევეა, როგორც კედელს რომ ცერცვი შეაყარო“ .

ჰოლისტიკური იდიომატური ერთობა არის ნებისმიერი
გამოთქმა, რომელიც ლექსიკურად გაუგებარია თანამედროვე
სისტემის თვალსაზრისით და ლიტერატურულ ლექსიკაში შე-
ტანილია როგორც „უცხო სხეული“, როგორც „ციტატა“ სხვა
ენიდან ან დიალექტიდან. მაგ.: **ничтоже сумняся** (**// сумня-
шеся**) „უყოყმანოდ, ოდნავი ეჭვის გარეშე, დაუეჭვებლად“ (სა-
ეკლესიო ენიდან). ნ. ლესკოვის ნაწარმოებში „Котин доилец и
Платонида“: **Они переплетали книги, малярничали, лудили
кастрюли – и все это делали ничтоже сумняшеся, и дешево и
скверно** „ისინი კინძავდნენ წიგნებს, მღებრობდნენ, ქვაბებს
და ამას აკეთებდნენ უყოყმანოდ, იაფად და საზიზღრად...“. ა.
ჩეხოვის „Несчастье“: **не задумываясь и ничтоже сумняся,
решает большие вопросы** ყველა საკითხს, უყოყმანოდ, დაუეჭ-
ვებლად აგვარებს დიდ საკითხებს...“ [ფილატოვა, 2004:75].

ასევე ძალიან მაღალია ექსპრესიული და ემოციური ფაქ-
ტორების როლი ფრაზეოლოგიური შესიტყვების ფორმირება-
ში. ექსპრესიულ მნიშვნელობას შეუძლია ადვილად გამოხა-
ტოს და/ან გაანეიტრალოს სიტყვის ან ფრაზის ობიექტური
მნიშვნელობების სპექტრი. თავდაპირველი კონტექსტიდან
ამოგლეჯილი ფრაზა სწრაფად გადაიქცევა იდიომატურ შე-
სიტყვებად. მაგალითად, გამოთქმა **Вот так клюква** – ერ-
თდროულად გამოხატავს დანანებასა და გაოცებას. ა. ჩეხოვის
ნაწარმოებში „Шило в мешке“-ში ვკითხულობთ ორი კაცის სა-
უბრის შესახებ: ერთი ლანძღავს მისთვის უცნობ კაცს, მეორე
კი სინანულით და გაოცებით გაიფიქრებს, ეგევ ახალი ამბა-
ვიო: – **Всем хорош человек, но одна беда: пьяница!** – **"Вот так
клюква!" – подумал Посудин** -ყველანაირად კარგი ადამიანია,
მაგრამ ერთი უბედურება სჭირს: ლოთია... -ესევ ახალი ამბა-
ვი,- გაიფიქრა პოსუდინმა...“[ფილატოვა, 2004:77].

ექსპრესიული შესიტყვება ასევე მოიცავს ისეთ გამონათქვამებს, როგორიცაა **поминай как звали** დაიკარგა უგზო-უკვლოდ „უგზო-უკვლოდ გაქრა, მიდი და ეძებე“, რომელიც გამოიყენება ზმნის ფუნქციით მყისიერი-თვითნებური მოქმედების წარსული დროის მნიშვნელობით. ა. ჩეხოვის მოთხრობა „Налим“-ში ვკითხულობთ: **Всё растопыривает руки, но уже поздно, налим – поминай как звали** „ახლა სულ ხელებს შლის, მაგრამ უკვე გვიანია, ნალიმი (ვირთეზასებრი თევზი – შ.ც.) დაიკარგა უგზო-უკვლოდ...“. მისივე ნაწარმოებში „В ссылке“-ში: **Перевез я их сюда, сели – и поминай как звали!** „მოვიყვანე ისინი აქ, დასხდნენ და დაიკარგნენ უგზო-უკვლოდ...“ შდრ. ასევე ფრაზეოლოგიზმები: **чего доброго** – გამოხატავს ცუდის მოლოდინს: ერთიც ვნახოთ და...; **черта с два!** „ვერ მოგართვეს“ (გამოხატავს უარყოფას რაიმე წინადადებაზე, მოთხოვნაზე); **вот тебе и на!** – გამოხატავს გაოცებას, მოულოდნელობას, უარყოფას; **пиши пропало!** „საქმე ცუდადაა!“; **по добру по здоруву!** „ნებით დამემორჩილე, სანამ ღამაში ხარ, ასე მოიქეცი“; **так и быть** „იყოს ასე“; **как нетак** „არავითარ შემთხვევაში“ [ფილატოვა, 2004:79].

ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას შეიძლება ჰქონდეს ომონიმები. ისინი აბსოლუტურად დამოუკიდებელნი არიან ამ ომონიმების ლექსიკური მნიშვნელობებისგან. შევადაროთ შესიტყვება **пули отливать** „როშვა, ამბის არასწორად მოყოლა, მოტყუება, სიცრუის მოყოლა“. შდრ., მაგ.: ა. ჩეხოვის მოთხრობა „Месь“-ში წერია: **Поди-ка, какие пули отливают. В лицо другом величает, а за глаза я у него индюк и пузан...** „ერთი უსმინე, რაებს როშავს! წადი რა, პირში მედგრად ასადებს თავს და ზურგს უკან ინდაურად და ღიპიანად გამოვყავარ“ და, მეორე მხრივ, პროფესიული ტერმინი **отливать пули** „ტყვიების ჩამოსხმა“. შევადაროთ ასევე ჩეხოვის ნაწარმოებში „Переселил“: **под мухой или с мухой** „ნასვამი, ნაყლაპი, შეზარხოშებული“: **Ежели возница не пьян и лошади не клячи, то и тридцати верст не будет, а коли возница с мухой да кони наморены, то целых пятьдесят наберется** „თუ მეეტლე ფხიზელია და ცხენები ჯაგლაგები არ არიან, 30 ვერსიც არ იქნება [იქამდე], ხოლო თუ

მეტლე ნაყლაპია და ცხენებიც დაქანცულნი არიან, მაშინ მთელი 50 ვერსიც გამოვა“. ასევე ფრაზიოლოგიზმებია: **диву дасться „გაოცება“, труса // трусу праздновать „სიმხდალეს, შიშს აყოლა“; заморить червячка „უზმოზე სასმლის გადაკვრა“; благим матом (кричать) „ხმამაღალი ყვირილი, ღრიალი“; сапоги в смятку „სისულელე, უაზრობა“; при пиковом интересе „წაგებულად დარჩენა საქმეში, უარაფროდ დარჩენა“; взятки гладки с кого-нибудь „მისგან ნურაფერს ელოდები, მისგან ვერაფერს ეღირსები“; до положения риз „გახდამდე, სანამ ტანსაცმელს გაიხდი“; и концы в воду „ყველა კვალი დაიკარგა, უკვალოდ გაქრა“; шиворот на выворот „პირუკუ, უკუდმა“; сон в руку „სიზმრის ცხადად ახდენა“ [ფილატოვა, 2004:80].**

ა. სეშე თავის ნაშრომში „ფრაზის ლოგიკური სტრუქტურის შესახებ“ წერს, რომ ლექსიკოლოგიური სინთეზი ანადგურებს ფორმირების ელემენტების სწორ მნიშვნელობას, რომლებიც ერწყმიან ერთმანეთს ერთ მთლიანობაში და სრულიად კარგავენ ინდივიდუალურობას. ფრაზეოლოგიური შესიტყვების სემანტიკურ ერთიანობას ხშირად ამყარებს ფრაზის სინტაქსური განუყოფლობა ან მოტივაციის ნაკლებობა, სადაც მის მორფოლოგიურ კომპონენტებს შორის ცოცხალი სინტაქსური კავშირის არარსებობაა. მაგალითად, გამონათქვამები: **так себе „ისე რა, არა უშავს რა“; куда ни шло „რამენაირად, როგორღაც“; то и дело „ძალიან ხშირად; მუდამ“; хоть куда „შესანიშნავი, დიდებული, მშვენიერი“; трусу праздновать „სიმხდალე, მშიშრობა“; диву дасться „გაოცება“; выжить из ума „ჭკუიდან გადასვლა, შეშლა“; чем свет „გარიჟრაჟზე, უთენია“; как пить дать „აუცილებლად; უეჭველად, უდავოდ; ცხადია“. ჩეხოვის ნაწარმოებში „Баба“ ვკითხულობთ: **Дело было ясное, как пить дать „საქმე სრულიად ცხადი იყო; საკითხი დღესავით ნათელი იყო“; мало ли какой „არცთუ ცოტა“; из рук вон плохо „არ ვარგა, ძალიან ცუდია“; так и быть „იყოს ასე, კარგი“; шутка сказать „ხუმრობა ხომ არ არის...“ (რისამე განსაკუთრებული მნიშვნელობის ხაზგასმა); себе на уме „ცბიერი, ანგარიშიანი, მხოლოდ სარგებელს ეძებს საქმეში“.****

[<https://dic.academic.ru/dic.nsf/ogegova/216602>].

ამრიგად, ფრაზეოლოგიური შესიტყვება არის მხოლოდ სიტყვების ეკვივალენტი. ისინი კავშირს ამყარებენ და ზეგავლენას ახდენენ წინადადების წევრებზეც და სხვა წინადადებებზეც. ცხადია, იმ შემთხვევებში, როდესაც გრამატიკულად და ფონეტიკურად განსხვავებული კომპონენტების ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ეწინააღმდეგება მთლიანი ფრაზის კომპონენტების ცალკეულ მნიშვნელობას გაუქმებულია, მაგალითად, ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელი იდიომის **куры не клюют** „ძალიან ბევრი“ (მაგ.: ფული) აქვს რაოდენობრივი სიტყვის მნიშვნელობა, ის ხდება სინონიმი გამონათქვამისა **пропасть, уйма** „აუარება, უსაზღვრო, ძალიან ბევრი“. მაგ.: **денег у него – куры не клюют** „უამრავი ფული აქვს“, მდრ.: სინონიმური სემანტიკის ფრაზა: **денег у него – пропасть**. მდრ.: სალტიკოვ-შიქედრინის ნაწარმოებში „По шехонской старине: **По малости торгуюм! – Сказывай: "помалости". Куры денег не клюют, а он смиренником прикидывается** „-ვვაჭრობთ ცოტ-ცოტას! -იძახე, ცოტ-ცოტასო. უამრავი ფული აქვს, მაგრამ თავი მოაქვს ძალიან უწყინარ ადამიანად...“ ამ შესიტყვებას ხშირად ახლავს სიტყვა „деньги“ და ამით შესიტყვება სემანტიკურად, მაგრამ არა გრამატიკულად და სინტაქსურად მჭიდროდ ებმის წინადადების სხვა წევრებს. ამ ხერხის გამო თანამედროვე ენაში ნორმალურია ისეთი ფრაზების გამოყენება, როგორიცაა: **денег у кого-нибудь куры не клюют** „ვიდაცას უამრავი, უთვალავ ფული აქვს“. რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუნქციის მქონე შესიტყვებების ამავე კატეგორიაში შედის გავრცელებული იდიომა **раз, два и обчелся** ანდა **раз-другой и обчелся** „თითო-ოროლა, ძალიან ცოტა“. არსებითად ყველა ეს ვარიანტი უნდა იქნეს აღიარებული, როგორც ერთი ფრაზეოლოგიური ერთეულის მორფოლოგიური სახესხვაობანი. ამ გამოთქმის მჭიდრო გრამატიკულ და სემანტიკურ ერთიანობას ხაზს უსვამს მისი გამოყენების სინტაქსური ორიგინალურობა. მაგ.: зю мелникоз-პეჩერსკის რომანში „В лесах“ ვკითხულობთ: **Таких начетников мало мне встречать доводилось. По всему старообрядчеству таких раз, два и**

обчелся „ასეთ ნაკითხს ძალიან ცოტას თუ შევხვდრივარ. სტარობრიადცებში ამნაირები თითო-ოროლაა“. ა. ოსტროვსკის პიესაში **„Не все коту масленица“** წერია: **Кавалеров-то у нас один-другой – обчелся, гулять-то не с кем** „ჩვენში ძალიან ცოტა კავალერი გყავს, გასეირნება არავისთანაა შესაძლებელი“ [შახმატოვი, 1977:140].

ფრაზეოლოგიური შესიტყვების გრამატიკული თავისებურებებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ შესაძლებელია ცალსახად აღმოიფხვრას განსხვავება მდგომარეობის გამომხატველ ზმნასა და სახელობით ფორმას შორის, განსაკუთრებით წარსულ დროში. ასე, მაგალითად, იდიომა **и был таков** „მოკურცხლა, უცებ გაიქცა, მოძუდგა“ გამოხატავს მოქმედების ძალიან შესამჩნევ ელფერს და აახლოებს მას ზმნასთან. ა. ჩეხოვის მოთხრობაში **„Накануне поста“** ვკითხულობთ: **А он, бывало, как заметит, что его пороть хотят, прыг в окно и был таков** „ასეც ხდებოდა, ის, როგორც კი შეამჩნევდა, მისი ცემა უნდოდათ, ისკუპებდა ფანჯარაში და უცებ მოკურცხლავდა“ [ვინოგრადოვი, 1977:151].

ცხადია, რომ ფრაზეოლოგიური შესიტყვების ფარგლებში, რომელიც პრაქტიკულად წინადადებას წარმოადგენს, შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა სახის გრამატიკული ცვლილება და გადაადგილება. ასე, მაგალითად, ფამილარული იდიომა **и пошла писать губерния** „ამოძრავდება, დაიწყო ძნელი, ხანგრძლივი და/ან მძიმე საქმე“ თანამედროვე ენაში გამოიყენება, როგორც უმოტივაციო, უცვლელი. მაგ: ა. ჩეხოვის მოთხრობაში **„Скучная история“** წერია: **Стоит мне только оглядеть аудиторию и произнести стереотипное «в прошлой лекции мы остановились на...», как фразы длинной вереницей вылетают из моей души и пошла писать губерния!** „როგორც კი თვალს გადავავლებ აუდიტორიას და ვიტყვი სტერეოტიპულ ფრაზას: „ბოლო ლექციაზე ჩვენ შევჩერდით...“ და ჩემი სულიდან გრძელ მწკრივად მოფრინავენ ახალი ფრაზები და იწყება დიდი რიარია!“. ამ გამონათქვამის განუყოფელობად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გრამატიკული სინონიმის არსებობა, როგორიცაა **и пошло писать**, რომელშიც ნაკლებად გასაგებია

ზმნის უპირობა. მაგ.: გონჩაროვის „Обломов“-ში წერია: **Все хохочут, долго, дружно, несказанно, как олимпийские боги. Только начнут умолкать, кто-нибудь подхватит опять – и пошло писать** „ყველა დიდხანს, ერთხმად, არნახულად ხარხარებდა, როგორც ოლიმპოელი ღმერთები. როგორც კი დაიწყებდნენ დამშვიდებას, ერთ-ერთი მათგანი ხელახლა იწყებდა და კვლავ ატყდებოდა დიდი ამბავი“. ბევრად უფრო იშვიათად იხმარება ამ იდიომის მესამე ვერსია – ზმნის უპირობ ფორმა საშუალო სქესში: **и пошло писать** „და აირია ყველაფერი“ [ვინოგრადოვი, 1977:154].

ფრაზეოლოგიური შესიტყვებების ანალიზითაც ცხადი ხდება, რომ მათ შემადგენლობაში და ლექსიკურ ცვლილებებს შორის არ არსებობს პარალელიზმი. თუმცა მათ სისტემაში გრამატიკული ფაქტორის მეტი ფუნქცია უდავოა. სემანტიკური სინთეზი და ფრაზეოლოგიური შესიტყვების წევრებს შორის გრამატიკული ურთიერთობების შენარჩუნება მხოლოდ ენობრივი ტრადიციის დათმობაა და წარსულიდან არის შემორჩენილი. ჩვეულებრივ, ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში ახალი ტიპის სინტაქტური ურთიერთობები კრისტალიზდება ხოლმე [ვინოგრადოვი, 1977:159].

თუ მჭიდროდ შეკრულ ფრაზეოლოგიურ ჯგუფში შენარჩუნებულია კომპონენტების სემანტიკური გამიჯვნის სუსტი ნიშნები, თუ არსებობს სულ ცოტა ერთი მინიშნება საერთო მნიშვნელობის მოტივაციის შესახებ, მაშინ უკვე ძნელია შესიტყვებაზე საუბარი. ასეთია, მაგალითად, გამონათქვამები: **держат камень за пазухой** – გულში ცუდი განზრახვის ქონა, შურისძიება დაგეგმვა; **выносить сор из избы** – ჭორაობა, ხმების გავრცელება საკუთარი ინტერესის საწინააღმდეგოდ; **у кого-нибудь семь пятниц на неделе** – „ხშირ-ხშირად იცვლის საკუთარ მოსაზრებებს, შეხედულებებს“; **стреляный воробей** – „დიდი გამოცდილების მქონე ადამიანი“; **мелко плавать** – „ვინმე უმნიშვნელო ადამიანი“; **кровь с молоком** – „კარგი შესახედაობის ახალგაზრდა ადამიანი, ჯანსაღად რომ გამოიყურება“; **последняя спица в колеснице** – „ადამიანი, რომელიც ასრულებს უმნიშვნელო როლს“; **плясать под чужую дудку** –

„სხვის დაკრულზე ცეკვა“; **без ножа зарезать** – „სიტყვები, რომლების ადამიანს სულიერად ანადგურებს; ვისიმე ჩაგდება გამოუვალ მდგომარეობაში“; **язык чесать // языком чесать** – „ენის ფხანა, უაზრო საუბარი“; **из пальца высосать** – „თითიდან გამოწოვა (ბრალდებისა, საყვედურისა)“; **первый блин комом** – რაიმე საქმის წარუმატებლად წამოწყება [ვინოგრადოვი, 1977:160].

ლიტერატურული წარმომავლობის ზოგიერთ გამონათქვამში მთლიანი მნიშვნელობა დაკავშირებულია ფრაზის შინაგან გაგებასთან, სიტყვების პოტენციურ მნიშვნელობასთან, რომლებიც ქმნიან ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს. ასეთებია, მაგალითად: **плыть по течению** – „ბედს მინდობა, დინების მიყოლა“; **плыть против течения** – „ტენდენციის საპირისპიროდ მოქმედება, სხვისი აზრის გაუთვალისწინებლად მოქმედება“; **всплыть на поверхность** – „რაღაცის (სიტყვის, მოქმედების) გამოაშკარავება“. ამრიგად, მრავალი ფრაზეოლოგიური ერთეული ადვილად გამოიცნობა, როგორც ფიგურალური გამონათქვამები. ისინი იღებენ პოტენციური გამონათქვამების ფორმას. თანამედროვე ენაში მათთვის მიკუთვნებული ხატოვანი მნიშვნელობა ზოგჯერ საერთოდ არ შეესაბამება მათ რეალურ ეტიმოლოგიას. უმეტესწილად, ეს არის გამონათქვამები, რომლებიც შედგება კონკრეტული მნიშვნელობის სიტყვებისგან და აქვთ შესამჩნევი ექსპრესიული ელფერი. მაგალითად, გამონათქვამს – **положить // класть зубы на полку** – „სიღარიბეში ცხოვრება, სასმელ-საჭმლის უქონლობა, მინიმუმამდე ყველა საჭიროების შეზღუდვა“. იგი გვხვდება ი. ტურგენევის მოთხრობა „Нови“-ში: **Я еду на кондиции, – подхватил Нежданов, – чтобы зубов не положить на полку** – მე მივდივარ კონდიციაზე, – საუბარს აჰყვა ნეჟდანოვი, – რათა არ ვიშიმშილო“. შევადაროთ გამოთქმა **уйти в свою скорлупу** „საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა“, რომელიც, გვხვდება ა. ჩეხოვის ნაწარმოებში „Человек в футляре“ და შეიცავს გამონათქვამის გარკვეულ ექსპოზიციას: **Людей, одиноких от натуры, которые, как рак-отшельник или улитка, стараются уйти в свою скорлупу, на этом свете немало** „ამქვეყნად ცოტანი არ არიან განდევნილ კიბორჩხალასავით,

ან ლოკოკინას მსგავსად ბუნებით მარტოსული, საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანები“. შინაგანი ფორმის სიცოცხლისუნარიანობას ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურაში ხელს უწყობს პარალელიზმი, იმავე სემანტიკური სერიების კუთვნილი სიტყვების შედარება. მაგალითად: **из мухи делать слона** „გაბუქვა, უმნიშვნელო რამისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება“, რომელიც ოდნავ განსხვავებული ვარიანტის სახით გვხვდება ფ. დოსტოევსკის რომან „Идиот“-ში: **Они там все, по своей всегдашней привычке, слишком забежали вперед и из мухи сочинили слона** „ისინი იქ ყველანი თავიანთი მუდმივი ჩვევის შესაბამისად ძალიან წინ გაიჭრნენ და ბუზი სპილოდ წარმოაჩინეს.“ ასეთივეა ფრაზეოლოგიზმები: **из огня да в полымя** – ერთი უსიამოვნებიდან უარესში ჩავარდნა, ცეცხლზე ნავთის დასხმა“; **нет худа без добра** „უსიამოვნებამაც კი შეიძლება რაიმე სიკეთე მოგვცეს“; **переливать из пустого в порожнее** „ერთი უაზრო საქმის გაგრძელება სხვა უაზრობით; უაზროდ ლაყობა“; **валить с больной головы на здоровую** „საკუთარი, ან სხვისი დანაშაულის სხვისთვის გადაბრუნება“ და ა.შ. [ვინოგრადოვი, 1977:161].

ფრაზეოლოგიური ერთეულები სიტყვების პოტენციური ეკვივალენტებია და ამ მხრივ ისინი გარკვეულწილად უფრო ახლოს არიან ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებთან, განსხვავდებიან მათგან მათი სტრუქტურის სემანტიკური სირთულით, მათი ზოგადი მნიშვნელობის პოტენციური წარმოშობით კომპონენტების სემანტიკური კავშირიდან. ფრაზეოლოგიური ერთეულები გარეგანი, ბგერითი ფორმით შეიძლება ემთხვეოდნენ სიტყვების თავისუფალ კომბინაციებს. მდრ. ერთი მხრივ, **вымыть голову // намылить голову кому-нибудь** „ვიდაცის მკაცრად გაკრიტიკება, გალანძვრა, გაჯორვა“ და, მეორე მხრივ, ომონიმურად თავისუფალი ფრაზები მათი პირდაპირი მნიშვნელობით: **вымыть голову // намылить голову кому-нибудь** „სხვისთვის თავის დაბანა // თავის გასაპნვა“; **биться из-за куска хлеба** „ბრძოლა არსებობისათვის“ და **биться с кем-нибудь из-за куска хлеба** „ვინმესთან ჩხუბი ერთი ნაჭერი პურის გამო“... [ვინოგრადოვი, 1977:161].

ფრაზეოლოგიური ერთეული ხშირად იქმნება არა იმდენად სიტყვიერი სერიის ხატოვანი მნიშვნელობით, არამედ ფრაზის სინტაქსური სპეციალიზაციით, მისი გამოყენება ხდება ფიქსირებული გრამატიკული ფორმით. მაგალითად, სახუმარო-ფამილარული გამონათქვამი **со всеми потрохами** „მთლიანად“ გამოყენებულია მ. პარფიონოვის ერთ-ერთ მოთხრობაში: **Этому человеку доверить себя со всеми потрохами можно** „ამ ადამიანს შეგიძლია მთლიანად მიენდო...“ არსებობს ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულებიც, რომლებშიც მკვეთრი გრამატიკული ძვრები დამოკიდებულია ფრაზის შემადგენელი სიტყვების სემანტიკურ მახასიათებლებზე. მაგალითად, სახუმარო-ფამილარული გამონათქვამი **ноль внимания** „სრულებით არ აქცევს არანაირ ყურადღებას“ ჩვეულებრივ გამოიყენება პრედიკატის ფუნქციით. მაგ.: ა. ჩეხოვის მოთხრობაში „Красавицы“ წერია: **какое... несчастье... влюбиться в эту хорошенькую и глупенькую девочку, которая на вас ноль внимания** „რა უბედურებაა, შეგიყვარდეს ასეთი კარგი და ჩურჩუტი გოგო, რომელიც სრულებით არ გაქცევდეთ არანაირ ყურადღებას...“ იმავე ავტორის მოთხრობაში „Поцелуй“: **Каков?... Мы стоим возле, а он ноль внимания! Этакая шельма** „როგორი საქმეა?... გვერდით ვუდგავართ და ის კი არანაირ ყურადღებას არ გვაქცევს... ეს არამზადა, ესა!“ მოთხრობა „Скучная история“: **Медик пьян как сапожник. На сцену – ноль внимания. Знай себе дремлет да носом клюет** „ექიმი საშინლად მთვრალია. სცენისკენ არც კი იყურება, თავი ჩაუქინდრავს და თვლემს...“ [ვინოგრადოვი, 1977:164].

ხშირად ფრაზეოლოგიური ერთეულის შინაგანი იზოლაცია იქმნება ექსპრესიული მნიშვნელობის სპეციალიზაციით. ამა თუ იმ სიტუაციიდან, რაღაც ფართო კონტექსტიდან მოშორებით, გამოთქმა ინარჩუნებს გამოხატვის თავისებურ სახესხვაობებს, რომლებიც ამ გამოთქმის ცალკეულ ნაწილებს ერთ სემანტიკურ მთლიანობაში აერთიანებს. გამოხატვის ეს ინდივიდუალური სახესხვაობები მოქმედებენ ფრაზის სინტაქსურ ფორმაზე. ამ მხრივ, ნიშანდობლივია შესიტყვება **белены обшелся** „გამოსულელება, გამოშტერება, გამოჩერჩეტება“, რო-

მელიც სრულად შეესატყვისება ქართულ ფრაზეოლოგიზმს: **ლენცოფა ხომ არ გიჭამია?** „ხომ არ გასულელდი? გაგიჟდი? ხომ არ გადაირიე?“ გვხვდება ა. პუშკინის ზღაპარში „Сказка о рыбаке и рыбке“: **Что ты баба, белены объелась** „რა გჭირს, დედაკაცო, სულ მთლად გადაირიე?“; შდრ.: დ. ფონვიზინის „Недоросль“: **Что ты дядюшка? Белены объелся?** „რა მოგივიდა, ძიაკაცო, სულ მთლად გადაირიე?“ ნ. ა. ჩეხოვის მოთხრობაში „Неприятность“: Тот дурак, словно белены объелся, шляется по уезду, кляузничает да сплетничает „ის სულელი თითქოს მთლად გადაირია, დაწანწალებს მთელ მაზრაში, შარიანობს და ჭორაობს“. როდესაც სინტაქსური ფორმა იცვლება, საანალიზო ფრაზის რეალური, პირდაპირი მნიშვნელობაც უმალ გააქტიურდება. ის კარგავს პირობით ფიგურულ მნიშვნელობას და იღებს თავდაპირველ სემანტიკას – აღნიშნავს **ლენცოფას**. „რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (1834, ტ. I, გვ. 119), სიტყვა **белена** განმარტებულია როგორც შხამიანი დამატრობელი მცენარე, კერძოდ, ლენცოფა. ანალოგიურად, საჭმელზე სათქმელი აღფრთოვანების თავისებურად, პირდაპირ გამომხატველი სიტყვათშეხამება **пальчики оближешь (оближете)** „თითებს ჩაიკვნეტ (ჩაიკვნეტო)“ კარგავს ინდივიდუალიზმს და გარდაიქმნება ორწევრიანი წინადადების ემოციურ-გადატანით გამოთქმად. მაგ.: ნ. სალტიკოვ-შჩედრინის ერთ-ერთ ნაწარმოებში: **Вот, дядя, дамочка-то – пальчики оближете** „აი, ბიძაჩემო, ქალი, თითებს ჩაიკვნეტ!“ ა. პისემსკის რომანში „Люди сороковых годов“ წერია: **Я тебе Вальтер Скотта дам. Прочитаешь – только пальчики оближешь** „მე შენ მოგცემ ვოლტერ სკოტის წიგნებს. წაიკითხავ და თითებს ჩაიკვნეტ!“ [ვინოგრადოვი, 1977:165].

განსაკუთრებით საყურადღებოა შესიტყვებები, რომლებიც ეფუძნება შიდა კონტრასტს, ეტიმოლოგიურ შეუსაბამობას, ან შედარებული სიტყვების ირონიულ კონოტაციას. მაგალითად, **без году неделя** „სულ ცოტა ხანი; გამოცდილების უქონლად“. ეს შესიტყვება გვხვდება ი. ტურგენევის მოთხრობაში „Часы“: **Без году неделю на свете живет, молоко на губах не обсохло, недоросль! И жениться собирается** „ამქვეყნად ცო-

ტა ხანია ცხოვრობს, რძე არ შეშრობია პირზე ამ უმწიფარს! და ცოლის შერთვას აპირებს...” ა. პისემსკის ნაწარმოებში „**Старая барыня**” ეს შესიტყვება გამოყენებული აქვს, როგორც განუყოფელი ზმნიზუდა **Малый без году неделя из яйца вылупился, а она уже... женить его хочет** [ბიჭი] პატარაა, თითქოს გუშინ დაიბადა და მას [დედამისს] მისი დაქორწინება სურს“. შდრ.: არსებობს ფრაზეოლოგიური შესიტყვება **кормить завтраками** „ყალბი დაპირების მიცემა“, რომელსაც კალამბურის სახე აქვს: აგებულია რუსული завтрак „საუზმე“ და завтра „ხვალ“ სიტყვების ბგერით მსგავსებაზე. ამ ფრაზეოლოგიური შესიტყვების ვარიანტი გამოყენებულია ნ. გოგოლის „**Мертвые души**“-ის შემდეგ კონტექსტში: **Ему подносят горькое блюдо под названием "завтра"** „მას მიართმევენ მწარე საუზმეს, სახელად “ხვალ“.

ფრაზეოლოგიზმი **откладывать в долгий ящик** „საქმის გაურკვეველი დროით გადადება“ ასევე კალამბურია, რადგან სიტყვა **долгий** „ხანგრძლივი; გრძელი“ ხსნის, მიანიშნებს გამოთქმის ძირითად მნიშვნელობას და **ящик** „ყუთი“ სიტყვასთან ერთად აღიქმება როგორც ორაზროვანი, ირონიული ფრაზა.

ისევე, როგორც სიტყვებში, ფრაზეოლოგიურ ერთეულებშიც ფიგურალურობა, რომელიც თან ახლავს მნიშვნელობას, ხშირად მკაფოდ არც არის მოცემული, არამედ ნავარაუდევია. ის ისტორიულად ცვალებადია და, რა თქმა უნდა, არ საჭიროებს გამოთქმის ეტიმოლოგიას. მაგალითად, ასეა ფრაზეოლოგიზმებში: **держаться в черном теле** – ითქმის ვინმეს ფიზიკური ტანჯვის შესახებ; **вывести на чистую воду** „ცუდი ზრახვების აღამიანის გამოაშკარავება, მხილება“; **отвести душу** „დაგროვილი სათქმელის ამოთქმა“.

ომონიმურ კალამბურად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი შესიტყვება, რომელიც თანამედროვეობისადმი ირონიულ მიდგომას გულისხმობს. მაგალითად, **положение хуже губернаторского** „უკიდურესად არასასიამოვნო, გამოუვალი მდგომარეობა“, ზედმიწევნით: „მდგომარეობა გუბერნატორის {მდგომარეობა}ზე უარესია“. ეს გამოთქმა ცხენოსნობის ჟარ-

გონიდან მომდინარეობს: ადრე გუბერნატორი ეწოდებოდა უჯიშო ულაყ ცხენს, რომელსაც შორი-ახლოს მიუშვებდნენ ჯიშიან ფაშატთან, რათა აღეზნო იგი, მაგრამ გუბერნატორ ცხენს ფაშატთან შეჯვარების საშუალებას არ აძლევდნენ. მე-19 საუკუნის ლიტერატურულ ენაში, განსაკუთრებით მის პუბლიცისტურ სტილში, ეს გამოთქმა გაგებულ იქნა გუბერნატორის ორაზროვან დაცინვად. ბ. მარკევიჩის რომანში „Бездна“ ვკითხულობთ: **Не даром говорят: положение хуже губернского. – Он усмехнулся остроумию этой ходячей поговорки** „ტყუილად არ ამბობენ, მდგომარეობა ძალიან არასასიამოვნოაო // მდგომარეობა გუბერნატორის მდგომარეობაზე უარესიაო. მას ჩაეცინა ამ მოარული ანდაზის სიმახვილეზე“

ა. პოტებნია ხაზს უსვამდა ამ ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულების განვითარების კავშირს პოეტური აზროვნების ფორმებთან. იგი წერდა: „ენის ელემენტარული პოეზია, ანუ ცალკეული სიტყვების ფიგურატიულობა და მუდმივი კომბინაციები, რაც არ უნდა შესამჩნევი იყოს, უმნიშვნელოა ენის უნართან შედარებით, რომ შექმნას გამოსახულება სიტყვების კომბინაციიდან, ფიგურალური თუ არაფიგურალური. მოცემული ენით გათვალისწინებულია გამოსახულების მომცემი ორი სიტყვის შერწყმის შესაძლებლობის ეფექტი“ [შახმატოვი, 1977:146]. ასე რომ, მრავალი გამოთქმის შინაგანი მთლიანობა განპირობებულია ხატოვანი მნიშვნელობის ერთიანობით. ამ ფრაზეოლოგიური ერთეულებიდან ბევრი წარმოადგენს ცოცხალი ფიგურალური გამონათქვამების გაქვავებულ კვალს, საკმაოდ თავისუფლად შეჯგუფებულს ერთი მეტაფორული ცენტრის გარშემო [შახმატოვი, 1977:150]. მაგალითად, ამ ტიპისაა ფრაზეოლოგიზმი **стоять одной ногой в гробу // в могиле** „ცალი ფეხით სამარეში დგომა“, რომელიც დასტურდება ა. ჩეხოვის ნაწარმოებში „Скучная история“: **и подобные нелепые мечты в то время, когда одной ногой я стою уже в могиле...** „მსგავსი უაზრო ოცნებები იმ დროს, ცალი ფეხი სამარეში გიდგას...“

ფრაზეოლოგიური შესიტყვების სემანტიკის წარმოებულობის, მოტივაციის ცნება დაკავშირებულია მისი ლექსიკური

სტრუქტურის გაგებასთან, ანუ მთელის მნიშვნელობის მიმართებასთან შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობასთან. ფრაზეოლოგიური შესიტყვების სემანტიკა შეიძლება შეიქმნას ევფონიური საშუალებებით – რითმული თანხმოვნებით, ალიტერაციებით. მაგალითად, ასეთ მიღებული შემდეგი ფრაზეოლოგიური შესიტყვებები: **Федот да не тот** – იტყვიან ადამიანზე, ვინც რეალურად იმაზე უარესი აღმოჩნდა, ვიდრე აქამდე იცნობდნენ; **эле-эле душа в теле** – „ცოცხალ-მკვდარი, არც ცოცხალი და არც მკვდარი (ადამიანი); **всякой твари по паре** – ჭრელი, ნარევი საზოგადოება; **на вкус и на цвет мастера нет** – „ყველას მოსაწონი ოსტატი (ან ზოგადად ადამიანი) არ არსებობს“; **днем с огнем искать // не сыскать // не отыскать** – „მისი მსგავსი სანთლით საძებარია“ და სხვანი [ვინოგრადოვი, 1977:165].

ფრაზეოლოგიური ერთეულები ყოველთვის არ ქმნიან განუყოფელი ელემენტების უმოძრაო, გაყინულ მასას მუდმივი სიტყვების თანმიმდევრობით. ზოგჯერ ფრაზეოლოგიური შესიტყვების ნაწილები შეიძლება ერთმანეთისაგან სხვა სიტყვებით იყვნენ დამორებული [ვინოგრადოვი, 1977:166].

ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში სიტყვები ექვემდებარებიან საერთო გამოხატულების ან რეალური მნიშვნელობის ერთიანობას. აქ აბსოლუტურად განუყოფელია მთელის მნიშვნელობა, კომპონენტების ინდივიდუალური ლექსიკური მნიშვნელობები თითქოს მათში შერწყმულია. ა. სეშე ასეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს **სინთეზურ ჯგუფებს** უწოდებდა და ხაზს უსვამდა, რომ მათში გამოთქმის ჰოლისტიკური მნიშვნელობა გარკვეულწილად დამოუკიდებელია ცალკეული კომპონენტების ლექსიკური მნიშვნელობებისგან [ვინოგრადოვი, 1977:169]. ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან ერთად არსებობს სხვა, უფრო ანალიზური ტიპის სიტყვების სტაბილური კომბინაციები. ფრაზეოლოგიური ერთეულები შთანთქავენ სიტყვის ინდივიდუალურობას, თუმცა არ ართმევენ მას სემანტიკას. მაგალითად, სასაუბრო მეტყველებაში არსებობს ფრაზეოლოგიზმი **глаз не казать, носу не казать** „გარეთ ცხვირი არ გამოყო, არსად გამოჩნდე“. აქ დადასტურებული **казать** „გამოჩენა“

ზმნის პოტენციური მნიშვნელობა სხვა კონტექსტში არ გვხვდება, მაგრამ მაინც იგრძნობა მთლიანად შესიტყვების სტრუქტურაში, მაგრამ არსებობს სტაბილური ფრაზეოლოგიური ჯგუფები, რომლებშიც შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობები ბევრად უფრო მკაფიოდ და მკვეთრად წარმოჩნდება ხოლმე. მაგალითად, ასეთია შესიტყვებები: **щекотливый вопрос** „საჩოთირო, რთული საკითხი“; **щекотливое положение, обстоятельство** „საჩოთირო ვითარება“; **обдать презрением, злобой** „ვინმესადმი ზიზღით მოჰყრობა; აბუჩად აგდება“ და სხვანი [ვინოგრადოვი, 1977:170].

სიტყვების მნიშვნელობათა უმეტესობა მათი კავშირებით შეზღუდულია თავად ენობრივი სისტემის შიდა, სემანტიკური ურთიერთობებით. ეს ლექსიკური მნიშვნელობები შეიძლება გამოჩნდეს მხოლოდ ცნებების მკაცრად განსაზღვრულ დიაპაზონთან და მათ სიტყვიერ აღნიშვნებთან დაკავშირებითაც. ამავდროულად, როგორც ჩანს, არ არსებობს ასეთი შეზღუდვის საფუძველი თვით აღნიშნული ობიექტების, მოქმედებებისა და ფენომენების ლოგიკურ ან მატერიალურ თავისებურებაში. ეს შეზღუდვები იქმნება მოცემულ ენაში თანდაყოლილი სიტყვიერი მნიშვნელობების შეერთების, დაკავშირების გზით. მაგალითად, **братъ** „ალება“ სიტყვას, ერთი მხრივ, აქვს მნიშვნელობა „**გავლენის ხელში ჩაგდება, გავლენის მოპოვება**“ და, მეორე მხრივ, გამოხატავს **გრძნობებისა და განწყობის ზეგავლენას**, თუმცა თავისუფლად არ ერწყმის **ემოციის, განწყობის** ყველა მნიშვნელობას. რუსულად ამბობენ: **страх берет** შიში ეუფლება“ და შიშის აღმნიშვნელი ნაცვლად ამ ზმნას შეიძლება შეერწყას სიტყვები: **тоска** „დარდი; მოწყენილობა“, **досада** „სინანული“, **злость** „ბრაზი“, **ужас** „დიდი შიში, საშინელება“, **зависть** „შური“, **смех** „სიცილი“, მაგრამ არ შეიძლება ითქვას: **радость берет** „სიხარული იღებს“, **удовольствие берет** „სიამოვნება იღებს“. ასე რომ, ამ ზმნის გამოყენება გრძნობებისა და განწყობების აღნიშვნასთან დაკავშირებით ფრაზეოლოგიურად შეზღუდულია. ზოგჯერ ძნელია ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობის დადგენა. მასში საერთო ლოგიკური ბირთვი არ ჩანს მკაფიოდ. ფრაზეოლოგიურად და-

კავშირებული მნიშვნელობა, განსაკუთრებით შესაბამისი კონტექსტების სივიწროვესა თუ სიახლოვეში, იყოფა ცალკეული ფრაზებისთვის დამახა-სიათებელ ინდივიდუალურ ნიუანსებად. მაშასადამე, ყველაზე ხშირად ასეთი მნიშვნელობა არ არის განსაზღვრული, თუმცა შესაძლებელია სინონიმების შერჩევა, რომლებსაც შეუძლიათ გამოხატონ და შეცვალონ იგი შესაბამის კომბინაციაში. ბევრ სიტყვას საერთოდ არა აქვს თავისუფალი მნიშვნელობა, ისინი მოკლებულნი არიან პირდაპირ სახელობით ფუნქციას და ენაში არსებობენ მხოლოდ ახლო ფრაზეოლოგიური ჯგუფების შემადგენლობაში. მათ ლექსიკურ განცალკევებას მხოლოდ სინონიმური სიტყვების არსებობა ამყარებს. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სიტყვების ლექსიკურ მნიშვნელობას განსაზღვრავს მათი ადგილი მოცემული ენის ლექსიკურ სისტემაში, მათი კავშირი სიტყვებისა და სიტყვათა ჯგუფების სინონიმურ მწკრივებთან, მათი პოზიციით სიტყვებისა და ფორმების შესაბამის ლექსიკურ ან გრამატიკულ გაერთიანებებში. ასეთია, მაგალითად, თანამედროვე ენაში სიტყვა **потупить** „დახრა (თვალებისა)“ გამოირჩევა სემანტიკურად ახლომდგომი სიტყვების ჯგუფთან სტაბილური გამოყენებით: **потупить взор, взгляд, глаза** „მზერის, თვალის დაბლა დახრა, დაშვება“; **потупить голову** „თავის ჩაქინდვრა“. უფრო ხშირად იწარმოება შესიტყვებები ზმნასთან **потупиться**, რომელსაც იგივე განმარტება აქვს [გრიგორენკო, 2008:95].

თავისუფალი და შეკრული მნიშვნელობების შინაარსში განსხვავებები იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია, რომ მათი არევა აუცილებლად იწვევს შესიტყვის მთელი სემანტიკური სტრუქტურის დამახინჯებას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სიტყვის ფრაზეოლოგიური კავშირების ხარისხი გარკვეულწილად დამოკიდებულია მის გრამატიკულ სტრუქტურაზე. არსებითი სახელების სახელობითი მნიშვნელობები, განსაკუთრებით კონკრეტული, მატერიალური ხასიათის, ყველაზე მრავალფეროვანი და თავისუფლად არის შერწყმული. შემდეგ მოდის გარდამავალი ზმნები, რასაც მოჰყვება გარდაუვალი ზმნები. უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ სალიტერატურო ენაში XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. უფრო და უფრო ფართოდ გავრცელ-

და ზმნების კომბინაციები აბსტრაქტულ არსებით სახელებთან. ზმნებთანაც თითქმის იმავე დონეზეა ზედსართავი სახელების თავისუფალი კავშირები ძირითად სახელობით მნიშვნელობებში. ზმნიზედათა კატეგორიაში მხოლოდ ხარისხის, ნაწილობრივ დროისა და ადგილის ზმნიზედებს აქვთ სიტყვების კომბინაციის მეტ-ნაკლებად ფართო შესაძლებლობები. ფრაზეოლოგიური ჯგუფები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სიტყვების არათავისუფალი, დაკავშირებული მნიშვნელობების განხორციელებით, წარმოადგენს რუსულ ენაში სიტყვების სტაბილური კომბინაციების ყველაზე მრავალრიცხოვან და სემანტიკურად მრავალფეროვან კატეგორიას [გრიგორენკო, 2008:97].

ფრაზებს, რომლებიც წარმოიქმნება სიტყვების არათავისუფალი მნიშვნელობების გამოყენებით, უწოდებენ **ფრაზეოლოგიურ კომბინაციებს**. ფრაზეოლოგიური კომბინაციები არ არის უპირობო სემანტიკური ერთობები, ისინი ანალიზურნი არიან. მათში არათავისუფალი მნიშვნელობის მქონე სიტყვა სინონიმური ჩანაცვლების იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. ფრაზის თანდაყოლილი ანალიზურობა შეიძლება შენარჩუნდეს მაშინაც კი, როდესაც არათავისუფალი სიტყვის გამოყენების კონტექსტი შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ან ორი ფრაზით. მაგალითად, სიტყვა **беспросыпный** „გამოუფხიზლებელი“ გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ სიტყვა ლოთობის აღმნიშვნელ სიტყვა **пьянство**-სთან ერთად. ამ სიტყვის ნაწილობრივი სინონიმი **беспробудный** „გამოუღვიძებელი, გამოუფხიზლებელი“ უპირატესად წიგნური სტილის მკვიდრია და უფრო ფართო ფრაზეული კავშირები აქვს. **спать беспробудным сном** „ხანძლივი ძილით ძილი, დიდხანს ძილი“; **беспробудное пьянство** „გამოუფხიზლებლად სმა, თავმუკავებლად ლოთობა“. ამ მაგალითებში სიტყვების **беспросыпный**-სა და **беспробудный**-ს მორფოლოგიური შემადგენლობის გამჭვირვალობა, მათი კავშირი მრავალ ლექსიკურ ბუდესთან განამტკიცებს მათ ლექსიკურ მნიშვნელობებს, მათ გარკვეულ დამოუკიდებლობას. სხვაობა სინთეზურ ჯგუფს ან ფრაზეოლოგიურ ერთობასა და ფრაზეოლოგიურ კომბინაციას შორის

შემდეგია: **ფრაზეოლოგიურ კომბინაციაში გაერთიანებული სიტყვების მნიშვნელობები გარკვეულწილად თანაბარია. ფრაზეოლოგიური ერთობლიობის შემადგენელი ერთ-ერთი სიტყვის არათავისუფალი მნიშვნელობაც კი შეიძლება იყოს აღწერილი, განსაზღვრული ან გამოხატული სინონიმით.** ფრაზეოლოგიურ კომბინაციაში, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთი სიტყვის მნიშვნელობა აღიქმება, როგორც მნიშვნელობა, რომელიც არ არის თავისუფალი, დაკავშირებული. ფრაზეოლოგიური კომბინაცია ხასიათდება სინონიმური, პარალელური გამონათქვამ(ებ)ის არსებობით, რომელიც დაკავშირებულია იმავე საკვანძო სიტყვასთან, დამახასიათებელია ფრაზეოლოგიურად არათავისუფალი სიტყვის განცალკევება და ჩანაცვლება მაგალითად, **затронуть чувство чести** „ღირსების გრძნობის შელახვა“ და **затронуть чьи-нибудь интересы** „ვიღაცის ინტერესების შელახვა“... ენაში ხდება ანალიზური ტენდენციების მუდმივი შეჯახება, რომელიც მიზნად ისახავს სიტყვათშეხამების ცალსახად გაგებას და სინთეზურ ტენდენციებს, ეს კი აჩქარებს ფრაზეოლოგიური კომბინაციის ფრაზეოლოგიურ ერთიანობაში გადასვლას. ამ ტენდენციების ურთიერთქმედება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში რეგულირდება ლექსიკური კორელაციების ცოცხალი სისტემით და მოცემული გამოხატვის პოზიციით ამ სისტემაში. არათავისუფალი სიტყვის მნიშვნელობების გაქრობა იწვევს დაკარგვას ან თუნდაც შედარებით ლექსიკურ განცალკევებას. ამის შემდეგ ფრაზეოლოგიური კომბინაცია თანდათან იქცევა ფრაზეოლოგიურ ერთიანობად და თავად არათავისუფალი სიტყვა ხდება პოტენციური სიტყვა და არა რეალური. მაგალითად, თანამედროვე სალიტერატურო ენაზე სიტყვა **претворить** „ა(დ)სრულება რაღაცისა, განხორციელება“ კარგავს საეკლესიო სლავურ მნიშვნელობას და რჩება მხოლოდ შემდეგ გამონათქვამებში: **претворить в жизнь** „ცხოვრებაში განხორციელება“, **претворить в дело** „საქმეში განხორციელება“. ამ ზმნის სინონიმი **воплотить** „განხორციელება“ გაცილებით ფართოა თავისი სემანტიკური მასშტაბით და უფრო გამორჩეული ლექსიკური კავშირებით. ამრიგად, სიტყვების ეგრეთ წოდებული არათავისუფალი მნიშვნელობე-

ბის განხორციელებით ჩამოყალიბებულ მჭიდრო ფრაზეოლოგიურ ჯგუფებს შორის, ფრაზეოლოგიურ კომბინაციებს შორის გამოიყოფა სიტყვათწყობის ორი ტიპი: **ანალიზური**, უფრო დაშლილი, რომელიც საშუალებას იძლევა ცალკეული წევრების სინონიმებით ჩანაცვლებისა და **სინთეზური**, რომელიც ბევრად უფრო ახლოს არის ფრაზეოლოგიურ შესიტყვებასთან. ფრაზეოლოგიური ჯგუფები ან ფრაზეოლოგიური კომბინაციები თითქმის მოკლებულნი არიან ომონიმებს, ისინი შედიან მხოლოდ სიტყვებისა და გამოთქმების სინონიმურ სერიაში.

იმისთვის, რომ ფრაზეოლოგიურმა ჯგუფმა მოიძიოს ომონიმური სიტყვათწყობა, აუცილებელია ჯგუფის თითოეული წევრის ომონიმური სიტყვების არსებობა. ამასთან, თავად ფრაზეოლოგიური კომბინაციები შეიძლება იყოს ფრაზეოლოგიური ერთეულების ან შერწყმის ომონიმები [გრიგორენკო, 2008:98]. მაგალითად, **отвести глаза от кого-нибудь** „ვინმესთვის თვალის არიდება“ ფრაზეოლოგიური შეხამებაა და იმავე მნიშვნელობით მქონე **отвести глаза кому-нибудь** – ფრაზეოლოგიური შესიტყვება [გრიგორენკო, 2008:98].

ფრაზეოლოგიურ კომბინაციებში სინტაქსური ბმულები სრულად შეესაბამება თანამედროვე ფრაზების ცოცხალ ნორმებს. თუმცა, ეს კავშირები მათში ტრადიციულად არის რეპროდუცირებული. ფრაზეოლოგიური კომბინაციების სტაბილურობისა და სემანტიკური შეზღუდვის ფაქტი ვარაუდობს, რომ ცოცხალ გამოყენებაში ისინი გამოიყენება, როგორც მზა ფრაზეოლოგიური ერთეულები – რეპროდუცირებადი და არა ახლად ორგანიზებული მეტყველების პროცესში. შესაბამისად, გრამატიკული დაყოფა იწვევს მხოლოდ ამ ფრაზების ეტიმოლოგიური ბუნების ცოდნას და არა მათ სინტაქსურ ფუნქციებს თანამედროვე ენაში [გრიგორენკო, 2008:98].

IV თავი. თარგმნის თეორიის ძირითადი საკითხები

თარგმნის პრაქტიკა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საუკუნეებს ითვლის, ხოლო თარგამანმცოდნეობა, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, შედარებით ახალია. მას საფუძველი ჩაეყარა ერთა შორის კულტურული ფასეულობების გაცვლის პრაქტიკის დაწყებისთანავე. ეს არ იყო მეცნიერული თეორიის რანგში აყვანილი სისტემა, არამედ იყო ცდები იმისა, რომ დაძებნილიყო ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე გადატანის ტექნიკა, დადგენილიყო ზოგადი კანონზომიერებანი და შემუშავებულიყო სარეკომენდაციო ნორმები, რომელთა დაცვაც სასურველი იყო თარგმნის პროცესში. იმავდროულად გამოიკვეთა თარგმანის შეფასების კრიტერიუმებიც და ჩამოყალიბდა მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები.

თარგმნის ფენომენი ყოველთვის იზიდავდა ენათმეცნიერთა, ფსიქოლოგთა, ლიტერატურათმცოდნეთა თუ ეთნოგრაფთა ყურადღებას. საგულისხმოა, რომ ერთნი მიიჩნევდნენ თარგმნის თეორიას ლინგვისტიკის ქვედარგად, მეორენი – ლიტმცოდნეობის განაყოფად. აღნიშნული განსხვავებული მიდგომები ბუნებრივია, რადგან თარგმნის თეორია, პირველ რიგში, სწორედ ამ მეცნიერებებთანაა დაკავშირებული. თარგმნის თეორიასთან სხვადასხვაგვარი მიდგომა დღესაც დამახასიათებელია. არის შეპირისპირებით ლინგვისტიკასთან, ასევე შეპირისპირებით ლიტმცოდნეობასთან მისი გაიგივების ცდები. ამის მიზეზი თარგმანთა ხასიათის ნაირგვარობაა. მაგალითად, თარგმნის თეორიის ერთ-ერთი სახეობა, მხატვრული თარგმნის თეორია ინტერდისციპლინური ხასიათისაა და ბუნებრივია, რომ სარგებლობს, როგორც ერთი დარგის, ისე მეორე დარგის მეთოდებითა და ტერმინოლოგიით.

XX საუკუნის 60-იან წლებში განსაკუთრებით გამოიკვეთა თარგმნის ლინგვისტური კვლევის პრობლემატიკა. რაც გარკვეულწილად გაემიჯნა თარგმნის ლიტმცოდნეობითი ხასიათის პრობლემებს, მეტიც, ის თარგმნის მეცნიერული შესწავლის ახალ მიმართულებად ჩამოყალიბდა, რომელიც თარგმნას განიხილავს საკუთრივ ლინგვისტიკის პოზიციებიდან და

უკავშირდება ენათმეცნიერების ახალი მიმართულების, კერძოდ, კომუნიკაციის თეორიის განვითარებას. „ეს მიმართულება კვლევის ორბიტაში აერთიანებს ისეთი თეორიული ხასიათის პრობლემებს, როგორებიცაა თარგმნის პროცესის, ანუ ენათაშორისი კომუნიკაციის მოდელირება, თარგმნის ზოგადლინგვისტური პრობლემები, ენათა უნივერსალურობის გამოვლენა თარგმანის გზით, ზოგადლექსიკოლოგიური საკითხები (სიტყვებისა და ფრაზეოლოგიზმების ენათაშორისი სინონიმია, უეკვივალენტო ლექსიკა), კანონზომიერ შესაბამისობათა საკითხები, ენათა სტრუქტურული განსხვავებულობით პირობადებული პრობლემები თარგმანში(უეკვივალენტო გრამატიკული კატეგორიები და მათი ფუნქციური ტრანსფორმები შეპირისპირებულ ენებში)“ [საყვარელიძე, 2001:9].

თარგმნის დროს დაშვებული უზუსტობანი, უპირველეს ყოვლისა, აზარალებენ თვით დედნის ტექსტის არქიტექტონიკას, ანუ ეწინააღმდეგებიან ავტორის ნებას, მახინჯდება ტექსტის ექსპრესიულ-გამოსახველობითი მხარე, თარგმანს აკლდება მნიშვნელოვანი დეტალები და მკითხველს არ ექმნება სრული წარმოდგენა ტექსტის მხატვრული, თუ სხვა თავისებურებათა შესახებ. მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილის რომან „არსენა მარაბდელში“ წერია: „არსენა **ორ ცეცხლზე იწვის**, სიხარულზე, რადგან მარინე ნახა, და ვარამზე, რადგან საბედოსაც და დასაც უყიდიან“ [ჯავახიშვილი, 2012:45]; რომანის რუსულ თარგმანში კი ეს ფრაზა ასეა ნათარგმნი: „Продают и сестру, и невесту“ [ჯავახიშვილი, 1956:50], არსენას განცდებზე კი აქ სრულებით არ არის ხაზი გასმული, თუმცა ქართულსა და რუსულ ენებს აქვთ სავსებით იდენტური ფრაზეოლოგიზმები: რუს. **Меж двух огней** და ქართ. **ორ ცეცხლს შუა**, რაც გადმოსცემს დიდ ტანჯვას, მძიმე განცდას გამოუვალი მდგომარეობის გამო [ფრაზეოლოგიზმები, 2014], რომლის გამოყენებაც მთარგმნელმა სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო საჭიროდ არ ჩათვალა.

საინტერესო სურათი მივიღეთ ამავე ფრაზეოლოგიური შესიტყვების მანქანური თარგმნის შედეგად:

Арсена горит **на двух огнях** (გუგლის მთარგმნელი), (იანდექსის მთარგმნელი).

ორ ცეცხლს შუა ყოფნა მანქანურად ასე ითარგმნება: **Быть между двух огней** (გუგლი). ამრიგად, როცა ნაცვლად ფრაზეოლოგიზმისა **ორ ცეცხლზე იწვის** მანქანას მივაწოდეთ მისი სინონიმური მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიზმი, მანქანამ ეს მეორე ვარიანტი უკეთ თარგმნა და ფრაზეოლოგიზმთა ენათაშორისი სინონიმების პრინციპიც დააკმაყოფილა.

ენობრივ ფორმათა ტრანსპოზიციის საშუალებებზე დაკვირვების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფრაზეოლოგიზმთა სხვა ენაზე ტრანსფორმირების საკითხს. კვლევამ აჩვენა, რომ ფრაზეოლოგიზმთა უთარგმნელობის საკითხი არაერთხელ წარმოქმნილა თარგმნის თეორიაში, არამარტო მთარგმნელის მიერ თარგმნის შემთხვევაში, არამედ უმეტესწილად აქტუალურია დღესაც, მანქანური თარგმნის დროს. ამ პრობლემის წარმომშობი არის ის, რომ ყოველ ენას აზროვნებისა და მსოფლხედვის საკუთარი საშუალებები და შესაბამისი ორიგინალური სიტყვიერი ფორმები მოეპოვება, რომლებიც ზოგ შემთხვევაში შესაძლოა დაემთხვეს მეორე ენისას, უმეტესად კი განსხვავებულია.

მრავალ ფრაზეოლოგიზმში შინაგანი ფორმის დამთხვევაც დასტურდება. ენათა განვითარების დღევანდელ ეტაპზე ძნელია ფრაზეოლოგიზმთა სადაურობის გარკვევა, ანუ რომელია თარგმნითი ვარიანტი და რა შემთხვევაში გვაქვს უბრალოდ დამთხვევა. ცხადია, რომ მაგალითად, ფრაზეოლოგიზმები „**ხელის დაბანა**“ – „**умить руки**“ საერთო პირველწყაროდან, სახარებიდან მომდინარეობს, მაგრამ ფრაზეოლოგიზმებს „**ხელის ადება**“ – „**Опускать руки**“ სემანტიკური კონსტრუქცია ერთი აქვთ, მაგრამ ძნელი სათქმელია, საიდან წარმოდგა ისინი.

მსგავსი და ბევრი სხვა რამ შეიძლება დავასკვნათ არამანქანურ თარგმანებზე დაკვირვების შედეგად. მიხეილ ჩხაიძე თავის ნაშრომში „ავტომატური თარგმანი“ აღნიშნავს, რომ ავტომატური თარგმანის ანალიზი ორ დონეზე ხდება: მორფო-

ლოგიურსა და სინტაქსურზე, ხოლო მესამე სემანტიკური დონე მის სინთეზთან ერთად განიხილება. მორფოლოგიური ანალიზის არსი შემდეგია: მანქანამ მიიღო ტექსტი გასარჩევად, ის პირველი სიტყვიდანვე იწყებს გარჩევას, ცხადია, ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის პროცესში მხოლოდ მორფოლოგიური ანალიზი საკმარისი არ არის. რაც შეეხება სინტაქსურ ანალიზს, მანქანა იწყებს სიტყვებს შორის არსებული კავშირების მოძებნას, თუ რომელი სიტყვა რომელს უკავშირდება წინადადებაში, არკვევს სიტყვათა ურთიერთდაქვემდებარების ხასიათს, თუმცა სინტაქსური შეთანხმების სახეები საკმარისი არ აღმოჩნდა სწორად თარგმნის პროცესისათვის [საყვარელიძე, 2001:149]. აღნიშნული დასკვნები სიტყვათა და მარტივ შესიტყვებათა თარგმნაზე დაკვირვების შედეგად გაკეთდა. საგულისხმოა, რომ ფრაზეოლოგიზმთა სრულყოფილი მანქანური თარგმნისათვის მხოლოდ მორფოლოგიური, სინტაქსური და მათი სინთეზური ანალიზი საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია, მათთან ერთად შინაარსობრივი, ანუ სემანტიკური ასპექტების გათვალისწინებაც.

ჩავატარეთ ცდა: დავაკვირდით იმას, იძლევა, თუ არა სხვაობას „არსენა მარაბდელის“ ერთი და იმავე ფრაზეოლოგიზმების მთარგმნელის მიერ თარგმნილი და კომპიუტერის მიერ შესრულებული თარგმანი. შედეგები ასეთი აღმოჩნდა:

ფრაზეოლოგიზმი **ენაზე იკბინა** [ჯავახიშვილი, 2012:3] მთარგმნელისეულ რუსულ თარგმანში ასეა წარმოდგენილი: ...заставило **прикусить губу** „აიძულა ტუჩი მოეკვნითა“ [ჯავახიშვილი, 1956:8].

მანქანა გვთავაზობს თარგმანის შემდეგ ვერსიას:

Он **прикусил язык** „მან ენაზე იკბინა“ (გუგლი) და **Прикусывание языка** „ენაზე კბენა“ (იანდექსი).

სხვაობა ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიზმებს შორის მინიმალურია მთარგმნელისეულ თარგმანში: თუ ქართულში სინანულით სიტყვის გაწყვეტა გამოიხატება **ენაზე კბენის** ხატოვანი ასახვით, რუსულში იგივე აზრი გადმოცემულია **ტუჩის მოკვნე**ტის ხატოვანი სახით, მანქანამ კი ქართული შესიტყვება თარგმნა პირდაპირ და თარგმანის ფრაზეოლოგიზმი დაემ-

თხვა ორიგინალისას, ვინაიდან რუსულ ენასაც აღმოაჩნდა იმავე ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიზმი და, **რაც მთავარია, მანქანის მეხსიერებაში შეტანილი აღმოჩნდა სწორედ საჭირო ფრაზეოლოგიზმი.**

მ. ჯავახიშვილი რომანში იყენებს ტრადიციულ ქართულ ფრაზეოლოგიზმს **ტყუილ-უბრალოდ ჭიასაც არ დაადგამს ფეხს** [ჯავახიშვილი, 2012:8]. ქართულ ენაში იმავე შინაარსს გამოხატავს ვარიანტული ფრაზეოლოგიზმები: **ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამს, ჭიანჭველას ზედ არ გადაუვლის, ჭიანჭველასაც კი ფეხს აარიდებს** "გულკეთილია, შემბრალებელია" [სახოკია, 1955:181].

რუსულ თარგმანში იმავე აზრის გადმოსაცემად გამოყენებულია ფრაზეოლოგიზმი: **(Он) мухи не обидит** [ჯავახიშვილი, 2014:14], რომლის ზედმიწევნითი თარგმანია: „ის ბუხს არ აწყენინებს“ და გამოიყენება ასევე უბოროტო, კეთილი ადამიანის მახასიათებლად [ფრაზეოლოგიზმები, 2014].

მანქანური თარგმანი ასეთი აღმოჩნდა:

Червяк даже не ступит „ჭიაც კი არ დააბიჯებს“ (გუგლი) და Червь даже не наступит на „ჭიაც კი არ დააბიჯებს ზედ“ (იანდექსი).

აქაც უმნიშვნელოა სხვაობა ქართულ დედანსა და მთარგმნელის მიერ შერჩეულ რუსულ ფრაზეოლოგიზმს შორის: თუ ქართულში გულკეთილობა, სათნოება გამოიხატება **ჭიისათვის ფეხის დაუდგმელობის** ხატოვანი ასახვით, რუსულში იგივე აზრი გადმოცემული გვაქვს **ჭიის არ გაბრაზების** ხატოვანი თქმით. უარესი შედეგი მოგვცა მანქანურმა თარგმანმა – ფრაზა თითქოს სიტყვა-სიტყვითაა ნათარგმნი, მაგრამ არეულია ზოგი არსებითი რამ: ქართულ დედანში ფრაზის სუბიექტი ადამიანია, ხოლო ობიექტი – ჭია, რომელსაც ფეხს არ ადგამს სუბიექტი, რუსულ თარგმანში კი სუბიექტად ჭიაა გამოყვანილი, ხოლო ობიექტად – ადამიანი, ანუ ჭიას შეუძლია, მაგრამ ფეხს არ ადგამს ადამიანს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაირღვა გრამატიკულ-სინტაქსური მიმართებები, რამაც სემანტიკა დააზარალა. მიზეზი კი ისაა, რომ მანქანა „ვერ მიხვდა“, რა ხდება, ვინ ვის არ ადგამს ფეხს, ვინაიდან, როგორც ჩანს, **მის მეხსიე-**

რებაში არ არის შეტანილი ქართული დედნის შესატყვისი ფრაზეოლოგიზმი *мұхи не обидит* და ქართული ფრაზა ჩვეულებრივ წინადადებად ჩათვალა, ოღონდ აერია სუბიექტი და ობიექტი.

ამგვარი მაგალითები გვარწმუნებენ იმაში, რომ მანქანური თარგმნა უკვე საკმაოდ წინაა წასული, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ საკვლევი და მანქანისათვის „სასწავლებელია“.

V თავი. პრაგმატული ასპექტები შიდაენობრივ კომუნიკაციაში და თარგმნის ექსტრალინგვისტური ფაქტორები

პრაგმატიკა სემიოტიკის დარგია. ის სწავლობს კომუნიკაციაში სხვადასხვა ნიშნის გამოყენების თავისებურებებს. პრაგმატული ფაქტორები მოიცავს მრავალფეროვან ინფორმაციას. ეს ინფორმაცია შესაძლებელს ხდის სხვადასხვა გამონათქვამისა თუ ტექსტის მნიშვნელობის დადგენას უშუალოდ მოცემულ სიტუაციურ (პრაგმატულ) კონტექსტში.

პრაგმატული ფაქტორები მოიცავს ინფორმაციის მრავალფეროვნებას და ეს ინფორმაცია მოცემულია კვლევის პრიორიტეტების მიხედვით, როგორცაა ენციკლოპედიური ცოდნა, სოციალური ნორმები, ჩარჩოები, წინადადებების დამოკიდებულებები, განზრახვები, მოსაზრებები და შეხედულებები. ეს ინფორმაცია შესაძლებელს ხდის გაანალიზებული განცხადებების მნიშვნელობის დადგენას უშუალოდ მოცემულ სიტუაციურ კონტექსტში.

თარგმნის პროცესში, მით უმეტეს ფრაზეოლოგიზმების თარგმნისას მთარგმნელი, ჩვენს შემთხვევაში მანქანა, უნდა ფლობდეს ენის სისტემის ცოდნის შესაბამის სემანტიკურ კომპეტენციას და ნაწარმოებში ჩართული სოციალური ნორმების ცოდნის პრაგმატულ კომპეტენციას ერთდროულად.

პრაგმატიკის, როგორც ლინგვისტიკის სფეროს სისტემური კავშირები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი. ასევე ნაკლებადაა გამოკვლეული პრაგმატიკის არსი ენათაშორისი კომუნიკაციის აქტში, თარგმნაში. თარგმნის პრაგმატიკის წვდომა ბევრადაა დამოკიდებული შიდაენობრივი კომუნიკაციის კანონზომიერებათა გამოვლენასა და შესწავლაზე, რაც წარმოაჩენს კომუნიკაციის პროცესზე პრაგმატული ასპექტების მოქმედების ნიშნებს ენობრივი და გარეენობრივი ფაქტორების სახით [საყვარელიძე, 2001:18].

ვერბალური კომუნიკაციის თეორია შედარებით ახალი თეორიაა ენათმეცნიერებაში და შეისწავლის ენობრივ საშუალებათა ფუნქციონირების კანონზომიერებებს ადამიანთა სა-

მეტყველო უნარებზე დაკვირვებით. მისი კვლევის სფეროში ერთიანდება ადამიანთა სამეტყველო ქმედების ყოველგვარი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო კონტექსტში.

„ინფორმაციის თეორიის მნიშვნელობა კომუნიკაციური ლინგვისტიკისთვის იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელს უწყობს ინფორმაციის გადაცემისა და მიღების ზოგადი კანონზომიერებების აღწერას ცნებათა და ტერმინთა ერთიან სისტემაში“ [საყვარელიძე, 2001:18].

რადგანაც კომუნიკაციის აქტი მუდამაა დაკავშირებული ადამიანთა ცხოვრების კონკრეტულ აუცილებლობასთან, შეუძლებელია, არ დავინახოთ სოციალურ ფაქტორთა მოქმედების კვალი.

კომუნიკაციის ყოველი აქტი შეიცავს პრაგმატულ მიმართებას მასში მონაწილე პირებს შორის. მის სრულყოფილებაში გარეუბნობრივმა ფაქტორებმა შესაძლოა შექმნან გარკვეული შეფერხება დეკოდირების¹ პროცესში.

ლინგვისტური პრაგმატიკა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ზოგადი ცნება, რომელიც ყალიბდება ენობრივ ნიშნებსა და მათ ერთობლიობასთან (ტექსტთან) ადამიანთა ვერბალური კომუნიკაციის პირობებში.

თანამედროვე ლინგვისტიკის მრავალ რთულ პრობლემას შორის, უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ენათაშორისი კომუნიკაციის ლინგვისტური ასპექტების შესწავლას, რომელსაც „თარგმანს“ ან „მთარგმნელობითი აქტივობას“ უწოდებენ.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გერმანელი მწერალი და მთარგმნელი ავგუსტ შლეგელი წერდა, რომ თითოეული თარგმანი არის მისთვის ძნელი და შეუძლებელი ამოცანის ამოხსნის მცდელობა, ყოველმა მთარგმნელმა აუცილებლად უნდა დაძლიოს ორივე ენაში არსებული პრობლემები, რადგან მასზეა დამოკიდებული ხალხის, ენის, ორიგინალური კულტურისა და გემოვნების შენარჩუნება [ვოლოდინა, 1998:1].

¹ დეკოდირება – გაშიფვრა (იხ.: ტექნიკური ტერმინოლოგია: ქართულ-რუსული ნაწილი/საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტი; რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედ.. – თბ.: მეცნიერება, 1982.:568.

მეცნიერების განვითარებასთან ერთად ცხადი გახდა, რომ თარგმნის პროცესი ორგანოზომილებიანია: პირველ რიგში, მთარგმნელმა უნდა აღმოაჩინოს საწყისი ტექსტის ლინგვისტური თავისებურებები და დაადგინოს რთული შესიტყვებების მნიშვნელობა და, მეორე, დააკვირდეს და გააანალიზოს საწყისი ტექსტის გრამატიკული სტრუქტურები და შემდეგ დაიწყოს თარგმნა.

ამჟამად გახდა, რომ თარგმნის პროცესის განსახორციელებლად აუცილებელია ექსტრალინგვისტური ინფორმაციის შესწავლა, რაც ნიშნავს კულტურათა ცოდნას.

ცნობილი ჰოლანდიელი ენათმეცნიერი კრისტიან კორნელიუს ულენბეკი წერდა: „საწყისი ენისა და სამიზნე ენის ცოდნა საკმარისი არ არის. მთარგმნელი აუცილებლად კარგად უნდა იცნობდეს ორივე ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურას“ [ვოლოდინა, 1998: 29].

თარგმანის ტექსტის კონსტრუირების პროცესში მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ექსტრალინგვისტური ფაქტორები: მთარგმნელის სუბიექტური ფაქტორი, გარეუბნობრივი სოციალურ-კულტურული ფონი და მასთან უშუალო კავშირში მყოფი მიმღები ეთნოკულტურული კოლექტივის ფაქტორი.

მთარგმნელის სუბიექტური ფაქტორის პრობლემას თარგმნის პროცესში უკავშირდება თარგმანის ტექსტის წარმოქმნის ფსიქოლოგიური იმპულსი და გამოიხატება არაზუსტ და ტენდენციურ ინტერპრეტაციაში, რომელიც ხშირად იჩენს ხოლმე თავს თარგმანის ტექსტში. წინასწარი ფსიქოლოგიური შენარტებით მთარგმნელი იწყებს საკუთარი განწყობის გამოსახატავად შესაბამისი ენობრივი ფორმების ძიებას, რის შედეგადაც ტექსტში გამძაფრებულია ის, რასაც მთარგმნელი მიიჩნევს მნიშვნელოვანად და გვერდი აქვს ავლილი იმ დეტალებს, რომლებიც მთარგმნელისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო [გრიგორენკო, 2008:95].

გარეუბნობრივი რეალობის ფონში იგულისხმება ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური, ეთნოგრაფიული და კულტურული რეალიები, რომლებსაც შეიცავს ორიგინალის ტექსტი.

იმისათვის, რომ კომუნიკაციის აქტი სრულყოფილად განხორციელდეს და არ წარმოიშვას ანტიკომუნიკაციური ბარიერები, მნიშვნელოვანია ექსტრალინგვისტიკის ღრმად შესწავლა და გამოყენება.

VI თავი. მანქანური თარგმნის ზოგადი საფუძვლები და პრინციპები

6.1. კორპუსლინგვისტიკის ზოგადი საკითხები

კორპუსლინგვისტიკა არის გამოყენებითი ენათმეცნიერების სრულიად ახალი დარგი, რომელიც გულისხმობს ლინგვისტური კორპუსების (ტექსტური კორპორების) აგებისა და გამოყენების ზოგადი პრინციპების შემუშავებას.

<http://www.lomonosovfund.ru/enc/ru/encyclopedia:01210:article>

არქეტიპული კორპუსის მაგალითები არსებობდა თანამედროვე ციფრულ ეპოქამდე და გამოიხატებოდა XIII საუკუნეში ბიბლიის სიტყვების ინდექსირებისა და შეთანხმების მცდელობებით. კორპუსლინგვისტიკის, როგორც აკადემიური დისციპლინის გაჩენა მჭიდროდ არის დაკავშირებული ციფრული ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობასთან ენობრივი კორპუსის ჩასაწერად, შესანახად და შესამოწმებლად, რაც გამოწვეულია გამოთვლითი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებითა და ასევე ციფრული შინაარსის მზარდი ხელმისაწვდომობით მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან. მიუხედავად იმისა, რომ გამოთვლითი და სტატისტიკური ხელსაწყოების გამოყენება გადამწყვეტ როლს თამაშობს კორპუსლინგვისტიკაში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კორპუსისთვის უმნიშვნელოვანესია ორი არსებითი აქტივობა: ლინგვისტური საკითხების შესწავლა და კორპუსების გამოყენება. ლინგვისტური თეორიები და არგუმენტაცია საჭიროა კორპუსზე დაფუძნებული დამუშავებისა და ანალიზის საფუძვლის დასაყრდენად (კენედი/2001) [თანდაშვილი, <http://tandaschwili.com/>].

პირველი თანამედროვე კორპუსი არის ბრაუნის უნივერსიტეტის (აშშ) სტანდარტული კორპუსი („ბრაუნის კორპუსი“; ფრენსისი და კუჩერა, 1979; კუჩერა და ფრენსისი, 1967 წ.), შედგენილია 60-იან წლებში დაბალანსებული, მრავალფეროვანი წყაროებიდან შეგროვებული დაახლოებით ერთი მილიონი სიტყვა-ტექსტით. ბრაუნის კორპუსმა მოახდინა სენსაცია, როგორც კორპუსის ზომის, ასევე კორპუსის დიზაინის თვალსაზ-

რისით. თუმცა, შემდგომ წლებში კორპუსის ზომის სტანდარტი სწრაფად გაიზარდა. თანამედროვე კომპიუტერების გაძლიერებული შენახვისა და დამუშავების სიმძლავრის წყალობით, დღეს მრავალი და სხვადასხვა ტიპის კორპუსი არსებობს, რომლებიც შეიცავს ასობით მილიონ სიტყვას. მასშტაბის ზრდამ ხელი შეუწყო დარგობრივ გაფართოებას.

კორპუსლინგვისტიკა უკვე დიდი ხანია არსებობს კონკორდანსების¹ სახით, რომლებსაც იყენებენ ლექსიკოლოგები და ლექსიკოგრაფები. მისი ბოლოდრო-ინდელი აღორძინება დაკავშირებულია კომპიუტერის დანერგვასთან კორპუსების მშენებლობაში და მონაცემთა მოსახერხებელ ხელმისაწვდომობასთან. ამან გამოიწვია მონაცემთა არსებული ბაზების გაფართოება და ახლის შექმნა. კორპუსის კვლევების უპირველესი მიზანია ენობრივი მახასიათებლებისა და შაბლონების იდენტიფიცირება, რომლებიც დაკავშირებულია ენის როგორც ტიპურ, ისე არატიპურ გამოყენებასთან სხვადასხვა კონტექსტში, მაგალითად, ჟანრებში, გარემოში და აუდიტორიაში. აქცენტირებულია ემპირიული ანალიზი, ხოლო ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს ხარისხობრივი ან რაოდენობრივი. თანამედროვე კორპუსლინგვისტიკაში გამოიყენება ისეთი მიდგომები, როგორებიცაა დისკურსის ანალიზი, ინტერკულტურული კომუნიკაცია.

კორპუსლინგვისტიკამ თავისი წვლილი შეიტანა გამოყენებითი ლინგვისტიკის რამდენიმე მიმართულებაში, ლექსიკოგრაფიისა და გრამატიკის სფეროებში, კორპუსლინგვისტიკამ ასევე აჩვენა რეგისტრის ცვალებადობის სფეროები (მაგ., სალაპარაკო და წერილობითი ენა, სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინებში სტილისტური ვარიაციების სახით, ენის ცვლილება დროთა განმავლობაში ისტორიული ან დიაქრონიული კორპუსების გამოყენებით, გენდერული განსხვავებების შესწავლა და, ახლახან, მეორე ენის შესწავლის სფერო [თანდაშვილი, <http://tandaschwili.com/>]. ბუნებრივად არსებული

¹ სიტყვებისა და ცნებების ანბანური ჩამონათვალი, სადაც მიეთითება მოცემულ ტექსტში მათი განლაგება, მნიშვნელობა, აგრეთვე აღინიშნება სიტყვებისა და ცნებების გამოყენების რაოდენობა (გურგენიძე, მოხელის სამაგიდო ლექსიკონი. 2004, 483).

ენის დიდი, პრინციპული კოლექციების გამოყენებით კორპუს-ლინგვისტიკას შეუძლია ზუსტად შეისწავლოს და აღწეროს ენობრივი მახასიათებლები და ნიმუშები, რომლებიც დაკავშირებულია ენის გამოყენებასთან სხვადასხვა კონტექსტში (მაგ.: **მე ამ საქმეში ხელები დამიბანია, ჯერ ხელიც კი არ დამიბანია**), სხვადასხვა მნიშვნელობა საუბარში და როგორ იცვლება ენა ქცევისა და კონტექსტის გათვალისწინებით. ეს აღწერილობები შეიძლება გამოვიყენოთ ვარიაციის ნიმუშების ზუსტად აღსაწერად და ასეთივე ვარიაციები უნდა შეიქმნას სხვა ენაზე, ჩვენს შემთხვევაში რუსულ ენაზე მისი თარგმნისათვის.

კორპუსლინგვისტიკის უპირველესი მიზანია ენის გამოყენების ზუსტი ხარისხობრივი და რაოდენობრივი აღწერა ავთენტურ ნიმუშებზე დაყრდნობით. ამ აღწერილობის არსებითი ნაწილია ინფორმაცია სხვადასხვა ფორმისა და ფუნქციის განაწილებისა და სიხშირის შესახებ სხვადასხვა ენობრივ და ექსტრალინგვისტურ გარემოში, რომელიც აერთიანებს რაოდენობრივ და თვისობრივ შედარებებს ენის ცვალებადობის პროცესში. ნებისმიერი შესწავლის ცენტრალური ამოცანაა, აჩვენოს გარკვეული განსხვავებები სხვადასხვა პირობებში ენის გამოყენებაში (იქნება ენის ფორმებში, ამ ფორმების ფუნქციებში თუ ამ ფორმებისა თუ ფუნქციების შედარებით სიხშირეებსა და განაწილებაში). კორპუსლინგვისტიკა გამოირჩევა დისკურსის ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა დრო, ადგილი, მიზანი, სტილი ან მონაწილეთა ატრიბუტები. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ტიპის მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ენის ცვალებადობის არსებობის დასადგენად (მათ შორის, სოციალური, დიალექტური გამოკითხვები, კითხვარები, რომლებიც ასახავენ კონკრეტული ფუნქციების კონკრეტულ ფორმებს ან გამომხატულებებს, ან გამოყენებისადმი დამოკიდებულების გამოკითხვას, რაც შეიძლება გამოსადეგი იყოს ნებისმიერი დაფიქსირებული განსხვავებების ინტერპრეტაციაში. აღინიშნება, რომ ყველაზე პირდაპირი და ზოგადად ყველაზე სასარგებლო ტიპის მტკიცებულება მოდის ავთენტური ენის გამოყენების ნიმუშების რაოდენობრივი შედარები-

დან, რომელიც წარმოადგენს კონტრასტული გამოყენების თითოეულ პირობას.

მაშასადამე, ლინგვისტური ვარიაციის შესწავლის დიდი ნაწილი კორპუსის შედარებითი ანალიზის ტოლფასია. ყველაზე პირდაპირი და ზოგადად ყველაზე სასარგებლო ტიპის მტკიცებულება მოდის ავთენტური ინფორმაციის ნიმუშების რაოდენობრივი შედარებიდან, რომლებიც წარმოადგენენ კონტრასტული გამოყენების თითოეულ პირობას. მაშასადამე, ლინგვისტური ვარიაციის შესწავლის დიდი ნაწილი კორპუსის შედარებითი ანალიზის ტოლფასია [თანდაშვილი, <http://tandaschwili.com>].

6.2. მანქანური თარგმნის ზოგადი საკითხები

გასული საუკუნის შუა ხანებში გაჩნდა იდეა სხვადასხვა ენაზე ავტომატურად თარგმნისა. ეს სისტემა ადრეულ პერიოდში არ იძლეოდა დამაკმაყოფილებელ შედეგს, ბოლო ხანებში მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი თარგმნაში. პრობლემის დიდი ნაწილის გადაჭრამ გამოიწვია ახალი ლინგვისტური თეორიების განვითარება.

მანქანური თარგმნის დასაბამად შეიძლება ჩაითვალოს 1954 წელი. სწორედ ამ წელს გაიმართა „გამოთვლითი“ მანქანის, ანუ კომპიუტერის მიერ შესრულებული თარგმნის საჯარო წარდგენა. ისტორიაში ეს ამბავი ატარებს „ჯორჯთაუნის ექსპერიმენტის“ სახელს. იგი განხორციელდა იმავე უნივერსიტეტისა და კომპანია IBM-ის¹ თანამშრომლობით. ექსპერიმენტი გამოიხატებოდა შემდეგში: მანქანაში ატვირთეს „პერფორბარათებზე“² მოთავსებული 60 წინადადება რუსულ ენაზე, მანქანამ კი თარგმნა ინგლისურ ენაზე.

¹ IBM (International Business Machines Corporation) — კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი კორპორაცია მსოფლიოში.

² პერფორბარათი სტანდარტული ზომისა და ფორმის ბარათია (სქელი ქაღალდის, მუყაოს, პლასტმასისა), რომელზეც გადააქვთ ინფორმაცია გარკვეული სისტემის პერფორაციით (ნაჩვრეტებითა და ჭრილებით). განირჩევა პერფორბარათის ორი ძირითადი

რუსული ენის არჩევა გამოიწვია „ცივი ომის“ დაწყებამ და მასთან დაკავშირებით რუსულ ენაზე შემოსული უზარმაზარი ინფორმაციის გაანალიზების აუცილებლობამ. ექსპერიმენტისთვის აირჩიეს ნავთობქიმიის თემატიკა და თითოეული მიწოდებული წინადადება იყო ძალიან მარტივი. მაგალითად: *Обработка повышает качество нефти; Командир получает сведения по телеграфу*. ამგვარად თარგმნის პროცესში საკმაოდ წარმატებული შედეგი მიიღეს, მეტიც, წარმოიშვა მოსაზრება, რომ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში მანქანური თარგმნის ყველა ამოცანა სრულად გადაწყდებოდა [Дроздова, 2015:3]

შემდგომი წლების კვლევებმა აჩვენა, რომ პრობლემა მანქანური თარგმნისა უფრო რთული და მრავალმხრივია, ვიდრე წარმოედგინათ. მანქანური თარგმნის სისტემებმა წლების განმავლობაში განიცადეს მნიშვნელოვანი ცვლილებები.

სისტემების პირველი თაობა, რომლებიც 60-იანი წლების შუა პერიოდით თარიღდება, თავისი ტექნიკით ახლოსაა სიტყვა-სიტყვით თარგმნასთან: რუსული ენის თითოეულ სიტყვას, ან სიტყვათშეთანხმებას შერჩეული ჰქონდა ლექსიკონში ნაპოვნი ინგლისური ენის ეკვივალენტი. პირველი თაობის სისტემებს არ გააჩნდათ სიტყვის მრავალ-მნიშვნელოვანობის პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა, რის გამოც თარგმანი ძალიან პრიმიტიული და დაბალი დონისა იყო.

1960 წლის შუა პერიოდიდან 1970 წლამდე არსებული სა-თარგმნი მანქანები ითვლება მეორე თაობის სათარგმნ მანქანებად. მათი მთარგმნელი მექანიზმი და შიდა სტრუქტურა იყო უფრო განვითარებული. სიტყვა-სიტყვით თარგმნის ნაცვლად თითოეულ წინადადებას (მიწოდებულს სათარგმნი მასალის ენის გრამატიკის საფუძველზე) მანქანა აგებდა სინტაქსური სტრუქტურით. ამის შემდეგ ლექსიკონში სიტყვები ენაცვლებოდა, ანუ მიმდინარეობდა წინადადების სინთეზი სამიზნე ენაზე. მანქანური თარგმნის ამ ეტაპზე ფართოდ გამოიყენე-

დი სახეობა: მანქანური და ხელით სახარისხებელი [საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი. გიორგი გიორგიძე, გურამ კარტოზია; საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ცენტრ. სა-მეც. ბიბ-კა. – მე-2 შვეს. და გადამუშ. გამოც. – თბ.: მეცნიერება, 1974.:157].

ბოდა მორფოლოგიური და სინტაქსური ანალიზი, რომელმაც საგრძნობლად გააუმჯობესა თარგმნილი ტექსტები, მაგრამ სირთულეები, განსაკუთრებით სემანტიკასთან დაკავშირებით მაინც რჩებოდა.

80-იანი წლები ითვლება მანქანური თარგმნის ახალ ეტაპად, როცა ჩნდება სემანტიკური ტიპის თარგმნა. ამ ტიპის მანქანური თარგმნის პრინციპი ეფუძნება თეორიას „მნიშვნელობა – ტექსტი“. მანქანური თარგმნა არის ტექსტების ავტომატურად თარგმნის პროცესი ერთი ენიდან მეორეზე ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით და ადამიანის ჩარევის გარეშე, თუმცა სპეციალისტები გარკვეულწილად მაინც მონაწილეობენ ამ პროცესში, ლექსიკური ერთეულების მანქანისთვის მიწოდების მიზნით. თანამედროვე მანქანური თარგმნა ზოგი მახასიათებლით აღემატება ჩვეულებრივი ლიტერატურული თარგმნის შესაძლებლობებს: მას შეუძლია წყაროს ტექსტში მოცემული ინფორმაციის სრული მნიშვნელობის გადმოცემა სამიზნე ენაზე, აანალიზებს ტექსტის ყველა ელემენტს და ადგენს, თუ როგორ დამოკიდებულებამია სიტყვები ერთმანეთთან [ლევინი, 2015: № 3.7].

ი. მელჩუკის მიერ შექმნილი თეორიის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ლინგვისტები: ი. აპრესიანი და ა. ჟოლკოვსკი. ეს თეორია არის მრავალდონიანი მოდელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გადავიდეთ ტექსტიდან მის სემანტიკურ სტრუქტურაზე, რომელიც დაწერილია უნივერსალურ ენაზე, შემდეგ კი პირიქით, დავბრუნდეთ სემანტიკური სტრუქტურიდან ნებისმიერ ბუნებრივ ენაზე. ტექსტიდან მნიშვნელობაზე გადასვლა და პირიქით, ხდება არა პირდაპირ, არამედ რამდენიმე ეტაპად. ამ გადასვლის ექვსი დონეა განსაზღვრული:

ფონოლოგიურ და სემანტიკურ დონეებს შორის არის ზედაპირულ-მორფოლოგიური, ღრმა-მორფოლოგიური, ზედაპირულ-სინტაქსური და ღრმა სინტაქსური დონეები. სემანტიკური დონე აღწერილია გრაფებით, სინტაქსური დონეები – „დამოკიდებულების ხის“ სახით, ხოლო მორფოლოგიური და ფონოლოგიური დონეები წრფივია.

მიუხედავად ამ თეორიის უნივერსალურობისა და დიდი პოტენციალისა, მის გამოყენებას მანქანური თარგმნის სისტემებში ჯერ არ მიუღწევია საუკეთესო შედეგისთვის, მანქანური თარგმნის ათწლეულების კვლევამ აჩვენა, თუ რა სერიოზული სირთულეებია ბუნებრივი ენიდან უნივერსალურ მეტაენაზე თარგმნის პროცესში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ინტერაქციული მანქანური თარგმნის გაჩენას, რაც თარგმნის სხვადასხვა ეტაპზე სისტემებში უშუალოდ ჩართული ადამიანის მონაწილეობას გულისხმობს. ეს მონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით:

- წინასწარი რედაქტირება: ადამიანი არედაქტირებს შესატან ტექსტს;
- თარგმნის შემდგომი რედაქტირება: ადამიანი არედაქტირებს მანქანის მიერ უკვე თარგმნილ ტექსტს;
- ნაწილობრივ ავტომატიზებული თარგმანი: თარგმნის პროცესში ადამიანი და მანქანა ურთიერთთანამშრომლობენ: ადამიანი მონაწილეობს მანქანური თარგმნის პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასაჭრელად;
- შერეული სისტემები: პოსტრედაქტირება და პრერედაქტირება

აღრე შემუშავებული მანქანური თარგმნის სისტემებიდან დღეს არსებობს ორი ძირითადი, ყველაზე გავრცელებული ტიპი: **წესებზე დაფუძნებული და სტატისტიკაზე დაყრდნობილი.**

წესებზე დაფუძნებულია არსებითად მეორე თაობის სისტემები. მათ შორის შეგვიძლია გამოვყოთ ორი ქვეტიპი: ტრანსფერული და ენათაშორისი (ინტერლინგვისტური), რომლებსაც საფუძვლად უდევს საერთო იდეა – კავშირი შემავალი და გამომავალი წინადადებების სტრუქტურას შორის.

ტრანსფერის სისტემა მოიცავს სამ ეტაპს: ანალიზი, გადაცემა და სინთეზი. იმისათვის, რომ მანქანამ გაიგოს მიწოდებული ტექსტი, საჭიროა მისი მორფოლოგიური, ლექსიკური და სემანტიკურ-სინტაქსური ანალიზი.

შემდეგ თითოეული წინადადებისთვის დგება გარჩევის სქემა და წარმოიქმნება ტრანსფერი. მიწოდებული ტექსტის სტრუქტურა იცვლება მანქანისგან მიღებული ტექსტის სტრუქტურით.

ბოლო ეტაპი არის სინთეზი, ანუ მანქანიდან გამომავალი წინადადების ფორმირება. ტრანსფერული თარგმნის სისტემის კლასიკური მაგალითია PROMT- სისტემა.¹

ინტერლინგვისტური სისტემები ემყარება უნივერსალური მეტაენის არსებობას, რომელიც წარმოადგენს წინადადების მნიშვნელობას ნებისმიერ ბუნებრივ ენაზე [ლევინი, 2015:7]. ასეთი სისტემები მოიცავს ორ ეტაპს: ანალიზი და სინთეზი. ანალიზის ეტაპზე შემავალი ტექსტი ტრანსფორმირდება ლექსიკონისა და გრამატიკული წესების დახმარებით უნივერსალურ მეტაენაზე. მეორე ეტაპზე უნივერსალური მეტატექსტი გარდაიქმნება წინადადებად სამიზნე ენის ლექსიკონისა და გრამატიკული წესების გამოყენებით.

მთავარი ნაკლი ამ სისტემისა ჯერ კიდევ არის ის, რომ ყველა ბუნებრივი ენისთვის არ არის შედგენილი უნივერსალური სემანტიკური ერთიანობა [დროზდოვა, 2015:5]

სისტემების უპირატესობა ის არის, რომ აქვს თარგმნის მაღალი სიზუსტე. თუმცა მასთან ერთად ხშირად ჩნდება „მანქანის აქცენტი“, არაბუნებრივი ფორმით მოწოდებული ტექსტი.

მანქანური თარგმნის ერთ-ერთი მთავარი სიძნელე სინონიმური სიტყვების თარგმნაა. მაგ.: ფრაზაში **მონების პარტია** პრობლემა იმის დადგენა, თუ რა აზრია ამ ფრაზაში: თუ იგულისხმება მონების პოლიტიკური პარტია, რომელიც მონებმა შექმნეს, მაშინ გამოთქმა უნდა ითარგმნოს როგორც **party of slaves**, მაგრამ თუ ნაგულისხმევია გასაყიდად გამოყვანილი მონების ჯგუფი, მაშინ სწორი თარგმანი იქნება **consignment of slaves**. ეს ქმნის პრობლემას მანქანისთვის მოკლე ფრაზების თარგმნის შემთხვევაში [Дроздова, 2015: № 3 (7)].

¹ ProMT არის ენების მთარგმნელობითი პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელი კომპანია ბიზნესისა და კერძო მომხმარებლებისთვის (არსებობს 1991 წლიდან). მან შექმნა უფასო ონლაინ მთარგმნელობითი სერვისი, რომელიც ახლა ცნობილია როგორც PROMT-სისტემა. <https://www.promt.com/>

თარგმნის ხარისხის გაუმჯობესების მთავარი ამოცანაა, ასწავლონ მანქანას მთლიანი ტექსტის აზრის გაგება, რათა სწორად თარგმნოს ტექსტის სათაურები, ან ტექსტის ცალკეული ნაწილები.

არსებობს ასევე სპეციალური ცოდნის კომპონენტის „ლინგვისტურ პროცესორებთან“ დაკავშირების აუცილებლობა მანქანური თარგმნის პრობლემის სრულ გადაწყვეტამდე.

რა სარგებელი აქვს მანქანურ თარგმნას?

დღეს მთარგმნელები იყენებენ მანქანური თარგმნის სერვისებს უფრო სწრაფად და ეფექტურად თარგმნისთვის. ქვემოთ მოცემულია მანქანური თარგმნის რამდენიმე უპირატესობა. დღევანდელი ცხოვრების დაჩქარებული ტემპის პირობებში დროის ეკონომიას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს უკლებლივ ყველა სფეროში.

✓ ავტომატური მთარგმნელობითი მომსახურება

მანქანური თარგმნა კარგი დამხმარეა პროფესიონალი მთარგმნელებისთვის. თარგმნის მართვის მრავალი სისტემა აერთიანებს მანქანური თარგმნის ერთ ან მეტ მოდელს თავის სამუშაო პროცესში. ისინი ტექსტს ავტომატურად თარგმნიან, შემდეგ კი მთარგმნელი არედაქტირებს მას [Дроздова, 2015: № 3 (7)]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროფესიონალი მთარგმნელი დროსა და ენერგია ზოგავს: მანქანა მას აწვდის ტექსტის „შავ“, სამუშაო თარგმანს, რომელიც შეიცავს დიდ ნაწილს სწორი, გამართული ენით გადაღებულ ნაწილს, რომელსაც მინიმალური სწორება სჭირდება, ხოლო ცუდად თარგმნილი ნაწილები შედარებით ცოტაა და მას სერიოზული რედაქტირებისათვის ბევრად ნაკლები დრო და ენერგია ჰყოფნის.

✓ თარგმნის მაღალი სიჩქარე

მანქანური თარგმანი ძალიან სწრაფია, მას შეუძლია თარგმნოს დიდი რაოდენობით მონაცემები, როგორიცაა რეალურ დროში ჩატის შეტყობინებები, ან ვრცელი ტექსტები. გარდა ამისა, მანქანური თარგმნა საშუალებას იძლევა, დავამუშაოთ დოკუმენტები უცხო ენაზე, ვიპოვოთ შესაბამისი ტერმინები და დავიმსხვავოთ ისინი მომავალში მათი გამოყენების მიზნით.

✓ ენების დიდი არჩევანი

მანქანური თარგმნის მრავალი ძირითადი პროვაიდერი მომხმარებელს სთავაზობს 50-დან 100-მდე და მეტ ენაზე თარგმნას. გარდა ამისა, თარგმნა შესაძლებელია მრავალ ენაზე ერთდროულად, რაც სასარგებლოა საერთაშორისო გამოწვევებისა და დოკუმენტაციის განახლებისთვის.

✓ ეკონომია

მანქანური თარგმნა აუმჯობესებს პროდუქტიულობას და უზრუნველყოფს თარგმანის სწრაფად მიწოდებას, რაც ამცირებს დროს ბაზარზე. არ არის საჭირო ადამიანის მუდმივად ჩარევა მთარგმნელობითი სისტემების მუშაობაში, რადგან სისტემას შეუძლია უზრუნველყოს მეტ-ნაკლებად მისაღები ხარისხის ელემენტარული თარგმანი. ეს ამცირებს ხარჯებს და აჩქარებს თარგმნის პროცესს. მაგალითად, დიდი პროექტებისთვის, მანქანური თარგმნა შეიძლება ინტეგრირებული იყოს ტექსტის შიგთავსის მართვის სისტემებთან, რათა ავტომატურად მონიშნოს და მოამზადოს შიგთავსი სხვა ენაზე თარგმნამდე.

✓ მონაცემთა ანალიზი

მანქანური თარგმნის ზოგიერთ სახეობას შეუძლია მომხმარებელთა მილიონობით კომენტარის დამუშავება და უაღრესად ზუსტი შედეგების მიწოდება მოკლე დროში. კომპანიები საანალიზოდ ყოველდღიურად თარგმნიან სოციალურ ქსელებსა და ვებსაიტებზე განთავსებულ დიდ კონტენტს. მაგალითად, მათ შეუძლიათ ავტომატურად გაანალიზონ მომხმარებელთა მიმოხილვები, რომლებიც დაწერილია სხვადასხვა ენაზე.

როგორ განვითარდა მანქანური თარგმნა?

ბუნებრივი ენის ტექსტების ავტომატურად თარგმნისთვის კომპიუტერების გამოყენების იდეა პირველად გაჩნდა 1950-იანი წლების დასაწყისში. თუმცა, იმ დროს თარგმნის სირთულე გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე მეცნიერები ფიქრობდნენ. მანქანური თარგმნის განსახორციელებლად, იმდროინდელ კომპიუტერებს არ ჰქონდათ გამოთვლითი ძალა მონაცემების დასამუშავებლად და შესანახად.

მეოცე საუკუნის ბოლოს. მანქანური თარგმნის სტატისტიკურმა მიდგომამ დაიწყო დომინირება. სტატისტიკური თარგმნა არ ეფუძნება წესებს, არამედ მხოლოდ სტატისტიკას. ასეთი თარგმნის მთავარი მეთოდი არის, მანქანამ ისწავლოს ასი ათასობით პარალელური ტექსტი სხვადასხვა ენაზე.

თანამედროვე მანქანური თარგმნის სისტემების საფუძველია ალგორითმი, სათარგმნი ენების ფორმალური გრამატიკისა და სტატისტიკის გამოყენებითი მონაცემები. (ენის შესასწავლად სისტემა ადარებს ათასობით პარალელურ ერთეულს), ტექსტები, რომლებიც შეიცავს ერთსა და იმავე ინფორმაციას, მაგრამ სხვადასხვა ენაზე. თითოეული შესწავლილი ტექსტისთვის სისტემა ქმნის უნიკალური მახასიათებლების ჩამონათვალს. იშვიათად გამოიყენება სიტყვები და სპეციალური სიმბოლოები, რომლებიც ჩნდება ტექსტში გარკვეული სიხშირით [Дроздова, 2015: № 3 (7)].

მანქანური თარგმნის თანამედროვე სისტემებს, როგორც წესი, აქვთ სამი ძირითადი ნაწილი:

- თარგმნის მოდელი,
- ენის მოდელი,
- დეკოდერი.

თარგმნის მოდელი არის ცხრილი, რომელშიც ჩამოთვლილია სიტყვები და ფრაზები ერთ ენაზე და იქვეა განთავსებული მათი შესაბამისი ვარიანტები სათარგმნ ენაზე, სიზუსტის სავარაუდო არჩევანით. სისტემა ადარებს არა მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს, არამედ რამდენიმე ფრაზას, ზედიზედ მიწოდებულს. თითოეული ენის (დაწყვილებული ენების) თარგმნის მოდელი შეიცავს მილიონობით წყვილ სიტყვასა და ფრაზას. რაც შეეხება ენის მოდელს, ის იქმნება სისტემის მიერ ტექსტების შესწავლის ეტაპზე.

დეკოდერი ამუშავებს თარგმანს. იგი აკეთებს ტექსტის მორფოლოგიურ-სინტაქსურ (გრამატიკულ) ანალიზს, ირჩევს ყველა შესაძლო ვარიანტს და ახარისხებს კლებადი ალბათობით. დეკოდერი აფასებს ყველა მიღებულ ვარიანტს ენის მოდელისა და გამოყენების სიხშირის მიხედვით და ირჩევს წინადადების საუკეთესო ვარიანტს.

სტატისტიკური მონაცემების გამოყენება საშუალებას აძლევს მანქანას, მთარგმნელობითი სისტემა ცვალოს ენასთან ერთად. თუ მომხმარებელი ახალ სიტყვას შესთავაზებს მანქანას და ეს სიტყვა მანქანის საცავში არ არის, სისტემა დაუყოვნებლივ აფიქსირებს მას და იწყებს დამუშავებას.

თარგმნის ხარისხის გასაუმჯობესებლად მანქანის სისტემა რეგულარულად ახლდება და მოწმდება, თუმცა მაღალი ხარისხის მანქანური თარგმნა ტექსტებისა ჯერ კიდევ შეუძლებელია [ლევინი, 2015:3].

მანქანური თარგმნა წარმოდგენილია პროგრამებისა და ინტერნეტსერვისების ნაკრებით. მათგან ყველაზე პოპულარულია: **Google translate** და **Yandex.translate**.

6.3. Google Translate-ს მეთოდოლოგია

სერვისი **Google Translate** შეიქმნა **SMT** (Statistical Machine Translation – სტატისტიკურ-მანქანური თარგმანი) მოდელით. მას ჰქონდა თარგმნის გამორჩეული მეთოდი. არ იყო დაფუძნებული გრამატიკის წესების ანალიზზე, მაგრამ ეფუძნებოდა მასალების იმ გიგანტურ საცავს, რომელიც შეტანილი იყო მომხმარებლების მიერ თარგმნის დროს ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ტექსტის ბლოკები შედგენილია ყველა შესაძლო სანდო წყაროს გამოყენებით.

Google Translate-ის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი წყარო იყო წიგნები, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტები და სხვა.

ამ დროისთვის ცნობილია, რომ **Google Translate**-ის „კორპუსს“ ტრილიონზე მეტი სიტყვა აქვს. სერვისი ტექსტის მანქანური თარგმნის ხარისხის მახასიათებლების გასაუმჯობესებლად აქტიურად იყენებს მომხმარებლისეულ უნიკალურ თარგმანს. მონაცემთა ბაზაში ფრაზების მომხმარებლისეული ვარიაციების შეყვანით ის ხელს უწყობს უნიკალური ტექსტის გენერირებას [<https://support.google.com/translate/answer/2534530>].

Google-ის ჯგუფი ფოკუსირებულია ალგორითმებზე, რომლებიც გამოიყენება მასშტაბური პრინციპით. მათი მუშაობა მოიცავს ტრადიციული **NLP**¹ ამოცანათა სპექტრს, ზოგადი დანიშნულების სინტაქსითა და სემანტიკური ალგორითმებით, რომლებიც ემყარება უფრო სპეციალიზებულ სისტემებს.

უფრო ფართო დონეზე, **NLP** დგას კომპიუტერული მეცნიერების, ხელოვნური ინტელექტისა და ენათმეცნიერების მიჯნაზე. მიზანია, კომპიუტერებმა დაამუშაონ, ან „გაიგონ“ ბუნებრივი ენა, რათა შეასრულონ სასარგებლო ამოცანები, როგორიცაა: ანალიზი, მეორე ენაზე თარგმნა და კითხვებზე პასუხი. ენის სემანტიკური მონაცემების სრულად გაგება და წარმოდგენა ძალიან რთული მიზანია; ამრიგად, შეფასებულია, რომ ენის სრულყოფილი გაგება მიიღწევა მხოლოდ ხელოვნური ინტელექტის (შემოკლებით: **AI**) სრული სისტემით [მარტინი, 2023:5].

თანამედროვე თარგმნა მოითხოვს ანალიზს პარალელური ენების წყვილების ტექსტის შესაქმნელად. ის სწავლობს ახალ ლექსიკას. სისტემაში დამოუკიდებლად შედის სიტყვების თარგმნის ახალი ვარიაციები ან ფრაზები, თუ ისინი განსხვავდება. იგი მეხსიერებაში ინახავს ახალი ვერსიების შესაძლო თარგმანებს და შეუძლია გამოიყენოს ეს ვერსიები მომავალში. **SMT**-ის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა ის არის, რომ ის რეგულარულად ახლდება და ვითარდება ენის პარალელურად, ანუ, თუ ახალი სიტყვა გამოჩნდება, ან არსებული სიტყვა შეიცვლის ლექსიკურ მნიშვნელობას, მაშინ სისტემა აღიარებს მას და დანერგავს თავის მონაცემთა ბაზაში. შედეგად, უმჯობესდება ტექსტის თარგმნის ხარისხი (<https://support.google.com/translate/answer/2534530?hl=ka>). მაგრამ **SMT**-ს აქვს მნიშვნელოვანი ნაკლი. ამ სისტემას სჭირდება მაღალი ხარისხის აპარატურა. პროგრამის გასაუმჯობესებ-

¹ NLP – ნეიროლინგვისტური პროგრამირება. NLP არის კომპიუტერის უნარი, გააანალიზოს და გაიგოს ადამიანის ენა. ის ხელოვნური ინტელექტის ქვეჯგუფია, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის ენაზე და მჭიდრო კავშირშია გამოთვლით ლინგვისტიკასთან, რომელიც უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს ენის გაგების სტატისტიკურ და ფორმალურ მიდგომებზე. <https://ka.shaip.com/blog/what-is-nlp-how-it-works-benefits-challenges-examples/>

სებლად საჭიროა დიდი რაოდენობით გამოთვლები. **SMT** თარგმანისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ისიც, რომ ტექსტის წარმოქმნის ხარისხი მთლიანად დამოკიდებულია მომსახურების კორპუსში მონაცემების ოდენობაზე. უფრო ხშირად სერვისის მიერ წარმოქმნილი ტექსტის თარგმანის ვარიაციებზე მეტად ამართლებს მომხმარებლის მიერ შეთავაზებული ვერსიები.

Google Translate-ის გამოყენებით ტექსტის თარგმნის შეფასების ორი ვარიანტია პროგრამაში: „კარგი თარგმანი“, ან „ცუდი თარგმანი“, თუ მომხმარებელი აფასებს როგორც „ცუდ თარგმანს“, პროგრამა ითხოვს ხარვეზის მითითებას:

- ✓ არასწორი მნიშვნელობაა გადმოცემული;
- ✓ გაუგებარი ან წარუმატებელი ფორმულირებაა;
- ✓ ძალიან ფორმალური ან არაფორმალურისტილია;
- ✓ შეუსაბამოა სქესი და სხვა.

ამ ეტაპების გავლის შემდეგ **Google Translate** მომხმარებელს აძლევს უფლებას თარგმანის სწორი ვერსიის შეთავაზებისა. დღეისათვის შესაძლებელია მხოლოდ სიტყვებისა და მოკლე ფრაზების სწორი ვერსიების შეთავაზება **Google**-ისთვის.

2017 წლიდან გუგლის მთარგმნელის ხელოვნური ინტელექტი ნეირონულ სისტემაზე გადავიდა [გოგიშვილი, 2020:7], თუმცა სტატისტიკაზე დაყრდნობით მისი მუშაობა კვლავ მნიშვნელოვანია.

6.4.Yandex.Translate-ს მეთოდика

Yandex.Translation-ის მეთოდი შედგება სამი ეტაპისგან: თარგმნის, ენის მოდელისა და დეკოდერისაგან.

დაწყვილებული ენების პრინციპით თარგმნის მოდელი არის ცხრილი, რომელიც შედგება შეყვანილ ენაზე მანქანისთვის ცნობილი ყველა სიტყვის და ფრაზებისაგან და მათი თარგმანისგან გამომავალ ენაზე გადაცემის სიზუსტის მითითებით. სისტემა ითვალისწინებს არა მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს, არამედ ფრაზებს და მყარ სიტყვათა შეთანხმებებს.

შემდეგ მოდის ენის მოდელი, რომელზედაც უნდა ითარგმნოს ტექსტი. ენის მოდელი შეიცავს სიას, რომელიც შედგება მოწოდებულ ტექსტებში ნაპოვნი ყველა სიტყვისა და ფრაზისგან მათი გამოყენების სიხშირესთან ერთად.

დეკოდერი ჩართულია თარგმნის პროცესში: თითოეული საწყისი ტექსტისა და წინადადებებისთვის შერჩეულია თარგმანის ყველა ვარიანტი. თარგმანის მოდელის ფრაზები გაერთიანებულია და განლაგებულია ალბათობის კლებადობით. ამდენად, ენის მოდელი ეფუძნება სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც კარნახობენ დეკოდერს თარგმანის რომელი ვარიანტი უფრო შეუფერება ამ ფრაზას.

სტატისტიკური სისტემების მთავარი უპირატესობა არის ის, რომ იგი „ცდილობს“, არ ჩამორჩეს ენის განვითარებასა და ხარისხს. თუ ენაში რაიმე ცვლილებაა, სისტემა მაშინვე ცნობს ამას და თვითონ სწავლობს. გამომავალი ტექსტი ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვის მსგავსია. თუმცა ასეთის არსებობისთვის სისტემები მოითხოვენ სერიოზულ ტექნიკურ რესურსებს დიდი მოცულობის მაღალი ხარისხის პარალელური ტექსტების სახით.

სისტემის ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი არის ტექსტის სტრუქტურისადმი მგრძნობელობის ნაკლებობა, რის გამოც გამომავალი ტექსტი შეიძლება შეიცავდეს დიდი რაოდენობით გრამატიკულ შეცდომებს [დროზდოვა, 2015 : № 3 (7)].

6.5. მომხმარებლის წვლილის შეტანა მანქანური თარგმნის გაუმჯობესებაში, დადებითი მხარეები და საფრთხეები

მანქანური თარგმნის გაუმჯობესების აუცილებლობა გამოიკვეთა სხვადასხვა კვლევის შედეგად. ჩვენი კვლევის პროცესმაც ცხადყო პრობლემათა სიმრავლე, გამოიკვეთა, რომ მანქანას სჭირდება მეტი რესურსი, უმნიშვნელოვანესია კომპენტური მომხმარებლის როლი ამ საქმეში.


1. Glosbe (<https://app.glosbe.com/>) არის საერთაშორისო პლატფორმა, რომელიც წარმოგიდგენთ უფასო ლექსიკონებს

კონტექსტური თარგმანებით, ე.წ. მთარგმნელობით მეხსიერებაში. ის გვთავაზობს:


- მილიარდობით ნათარგმნ ფრაზას;
- ფრაზების ილუსტრაციებს;
- ჩანაწერებსა და გამოთქმებს;
- მილიარდობით ნათარგმნ წინადადებას;
- გრძელი ტექსტების ავტომატურად თარგმნას.

Glosbe შემუშავებულია მრავალი ადამიანის ძალისხმევით. ლექსიკონის ადმინისტრაცია მოუწოდებს მომხმარებელს, წვლილი შეიტანოს თარგმნის პროცესში და უამრავი მომხმარებელი ყოველდღიურად ამატებს ახალ ვერსიებს.


Glosbe-ში ჩაშენებულია **translate.google**, რომლიდანაც პროგრამა იღებს ძირითად რესურსს. ასევე არსებობს **glosbe.translate**, შედარებით მცირე რესურსით, რომელშიც ძირითადად განთავსებულია **Glosbe**-ს წევრთა თარგმანები. მოსახერხებელია მისი გამოყენება, რადგან შეიცავს დიდ და ფართო მნიშვნელობის თარგმანებს, მაგრამ აქვეა რისკ-ფაქტორები, რადგან მის თითოეულ წევრს შეუძლია ატვირთოს თარგმანის ვერსიები და მათი სანდოობის გადამოწმება, სავარაუდოდ, არ ხდება, თუმცა პროგრამა თავდაცვის მიზნით საკმაოდ საინტერესო ნაბიჯებს გვთავაზობს თარგმანის ატვირთვის პროცესში. პირადად ჩვენ ავტვირთეთ რამდენიმე ფრაზეოლოგიზმის თარგმანი, როგორც ქართულიდან რუსულ ენაზე, ასევე პირიქით, ორივე ენის ფრაზეოლოგიურ ლექსიკონებზე დაყრდნობით. პროგრამა ითხოვს ზუსტ თარგმანს და არა მანქანური თარგმნით განსაზღვრულს, ასევე ითხოვს ორივე ენაზე ფრაზეოლოგიზმთა განმარტებას, წინადადებას, რომლებშიც გამოიყენება შეთავაზებული ფრაზეოლოგიზმი.



1.



2.




3.

4.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა ყველა მომხმარებელს აძლევს შეფასების საშუალებას, რაც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია თარგმანის დაზუსტებისათვის.

2. **Targmne.ge** (<https://www.targmne.ge>) არის ქართული მთარგმნელი ვებგვერდი, რომელმაც პირადად ჩვენ მოგვცა საშუალება ფრაზეოლოგიზმის თარგმანის ატვირთვისა. ის არ ითხოვს ფრაზის განმარტებას, ითხოვს მხოლოდ და მხოლოდ ფრაზის თარგმნის ვერსიას და პროგრამა 48 საათის შემდეგ გამოაჩენს თარგმანს გარკვეული გადამოწმების შემდეგ, თუმცა გადამოწმების პრინციპი უცნობია.



3. **Sketch Engine** – არის სიტყვათმეხამებითი მოდულების პროგრამა, რომელიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენისათვის. ამ ენების კორპუსის ტიპი და სხვა მონაცემები კომპიუტერების სიმძლავრისა და მონაცემთა გაზრდის პარალელურად იზრდება.

გამოიკვეთა, რომ პროგრამები, რომლებიც კორპუსისა ან ვებკორპუსის შექმნის შესაძლებლობას იძლევა, ყველა ენისთვის არაა ხელმისაწვდომი; აღინიშნება, რომ ეს არის ერთ-ერთი მზა პლატფორმა, რომელიც იძლევა ქართულენოვანი კორპუსის (ასევე ვებკორპუსის) შექმნის შესაძლებლობას [კენჭიაშვილი, 2021:103]. მას ამჟამად აქვს მხოლოდ სატესტო ვერსია. პროგრამა, რომლითაც გარკვეული ექსპერიმენტი ჩატარდა საკვლევ კორპუსის სამუშაო ვერსიის შექმნის მიზნით, არის „სკეჩენჯინი“ [Language Corpus Management and Query System: Sketch Engine, 2020]. „Sketch Engine“-ს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებენ, როგორც „სიტყვათმეხამებითი მოდულების პროგრამას“ [დარასელია, 2015 – ტაგველი, 2011]. კორპუსის სახელწოდებაა „ქართული მჭევრმეტყველების კორპუსი“ [ქართული მჭევრმეტყველების კორპუსი, 2020].


მანქანური ენის კორპუსი გვთავაზობს სიტყვებისა და ფრაზების მრავალრიცხოვან ბაზას, მათ ლექსიკურ მონაცემებს, სიტყვათა სიებს და ლექსიკონებს მრავალ ენაზე. მისი მონაცემები გენერირებულია ავთენტური ტექსტების მონაცემთა ბაზებიდან, რომელსაც ეწოდება ტექსტური კორპუსები. უმსხვილესი კორპორები შეიცავს 60,000,000,000-სიტყვიან ტექსტებს. კორპუსები იდეალური მონაცემთა ნაკრებია ენის მოდე-

ლირებისთვის (LLMs). მისი მომხმარებლები არიან პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელები, ლექსიკონისა და ენის სასწავლო მასალის გამომცემლები და ყველა, ვისაც სჭირდება სანდო ლექსიკური მონაცემები.

წინამდებარე ნაშრომის საჭიროებიდან გამომდინარე ვცადეთ რამდენიმე ფრაზეოლოგიზმისა და ტექსტის გადართარგმნა **lexical computing** სიტყვათშეთანხმების მოდელირების პროგრამაში. პროგრამა ტექსტს ანაწევრებს სიტყვებად, ასევე სრულ ფრაზებად, აძლევს საშუალებას მომხმარებელს, თვითონ შექმნას მოდელირების კორპუსი, როგორც ერთენოვანი, ასევე ორენოვანი. პროგრამა მუშაობს სატესტო ვერსიაში და რეგისტრაციის გავლის შემდგომ სთავაზობს მომხმარებელს 30-დღიან უფასო მომსახურებას.


გაირკვა, რომ დღეისათვის სიტყვათშეხამებითი მოდელების საძიებო სისტემა მოიცავს 500-ზე მეტ კორპუსსა და ვებკორპუსს 90-ზე მეტ ენაზე, მათ შორის, ქართული ენის ვებკორპუსს – **Georgian Web 2013 (KaWaC)** [თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014ბ: 55].

კორპუსში დამუშავებულია ბევრი ლექსიკური და გრამატიკული კატეგორია, რის მიხედვითაც ამუშავებს და თარგმნის სიტყვებს. ფრაზეოლოგიზმთა თარგმანი ამ ეტაპზე შეუძლებელი აღმოჩნდა, ის ქართულ სიტყვებს მცირე რაოდენობით შეიცავს. ახალი კორპუსის შექმნისას განსაზღვრავ მის ფუნქციას, ერთენოვანი კორპუსის არჩევა გულისხმობს ტექსტის დახარისხებას სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის მიხედვით.



ამ ეტაპისთვის არც ეს მთარგმნელი კორპუსია მზად ფრაზეოლოგიზმთა თარგმნისათვის, ის არ აღიქვამს ფრაზეოლოგიზმს ერთ მთლიანობად და ანაწევრებს მას.

5. Google Translate-ის პლატფორმა აძლევს მომხმარებელს საშუალებას, დაეხმაროს მას თარგმნის პროცესის დახვეწაში. ამ პროცესში ჩასართველად გვერდითა ზოლში „**გამოხმარების გაგზავნაზე**“ დაწკაპუნებით მომხმარებელს შეუძლია მოიპოვოს უფლება ამ პროცესში ჩართვისა, შეატყობინოს **Google**-ს, კმაყოფილია თუ არა თარგმანით, შესთავაზოს ცვლილებები და წარადგინოს თარგმანის გაუმჯობესებული ვერსია. „გუგლის“ მთარგმნელი მანქანა, როგორც აღვნიშნეთ, სტატისტიკაზე მნიშვნელოვნადაა დაფუძნებული, ამიტომ მომხმარებლის აქტიურობა მნიშვნელოვანია, რომ რადენიმე მომხმარებლის შეთავაზების შემდეგ მან არასწორი თარგმანი სწორად აქციოს.



6. **Common Voice** – ხმოვანი ტექსტის მთარგმნელია. მას ამჟამად რეგულარულად იყენებენ, თუმცა ბევრი სირთულე ახლავს ნებისმიერი მარტივი ერთეულების, მით უმეტეს ფრაზეოლოგიზმების თარგმნისას. მას უკავშირდება ფრაზეოლოგიზმთა ტექსტური თარგმნის პრობლემებიც. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როცა წარმოთქმული სპეციფიკური ქართული ბგერები არასწორად აღიქმება. არადა მცდარად აღქმული ბგერით მანქანა სიტყვა-სიტყვით თარგმნასაც კი ვერ შეძლებს, ან ალგორითმს წაიყვანს აღქმული სიტყვის გამოყენებით მის რესურსში არსებული სხვა შესაბამის ფრაზეოლო-გიზმისკენ, რომელიც სრულიად შეუცვლის მნიშვნელობას ფრაზეოლოგიზმს და შესაბამისად წინადადებასაც.

რამდენჯერმე ვცადეთ, გვეთარგმნა ხმოვანი თარგმნის გამოყენებით ფრაზეოლოგიზმი **ალმურის აკურა** „გაწითლება, სახის აღეწვა“ [ონიანი, 1966:15]. მანქანამ თითოეულ ცდაზე განსხვავებულად აღიქვა ჩვენგან წარმოთქმული ფრაზეოლოგიზმი: პირველ ჯერზე ფრაზა „აღიქვა“ როგორც **ალმური საკურა** და რუსულად „თარგმნა“ როგორც **Альм сакура**; მეორეჯერ „გაიგონა“ **სალამი საკურა** და მოგვაწოდა „თარგმანი“: **Альм сакура**; მესამედ „გაიგო“ როგორც **allure საკურა** და „გვითარგმნა“ როგორც **Очарование Сакуры**.

ამასთანავე ვცადეთ ტექსტური თარგმნა ფრაზეოლოგიზმისა **ალმურის აკურა**, მაგრამ მანქანისთვის უცხო აღმოჩნდა ეს ფრაზეოლოგიზმი და გვითარგმნა, როგორც **переплет Альмури**.

ჩვენ მიერ ხმოვანი თარგმნის პროგრამისათვის ქართულ ენაზე სათარგმნად შეთავაზებულ რუსულ ფრაზეოლოგიზმებში მანქანამ ფონემებიც სწორად აღიქვა, სიტყვებიც და თარგმანიც სწორად შეარჩია: **братъ на прицел = დამიზნება, высосать кровь = სისხლს წოვს**.

ამ მაგალითებზე დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ ქართული სიტყვისა თუ ფრაზის აღქმა უჭირს მანქანას, რუსულს უმეტესად სწორად იგებს და შეძლებისდაგვარად თარგმნის. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ უჭირს სპეციფიკური ქართული

ბგერების აღქმა და მისთვის უცხოა ქართულ ბგერათა წყობა, ანდა მანქანა ისევ თავის მეხსიერებაში ამოწმებს და მისთვის ნაცნობი მსგავსი ფონეტიკური წყობის სიტყვას წერს ქართულადაც, რადგან, როგორც მაგალითით გამოიკვეთა, **ალმურის აკვრა** თითოეულ ცდაზე სხვადასხვაგვარად აღიქვა მანქანამ (სამივე ჯერზე ქართული სიტყვა **აკვრა** წინა სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული **ს** ფონემიანად აღუბლის იაპონურ სახელწოდება **საკურა**-სთან გააიგივა) და, შესაბამისად, რუსულადაც არასწორად თარგმნა, ტექსტად ჩაწერილი ფრაზეოლოგიზმის უთარგმნელობა ადასტურებს მოსაზრებას, რომ მას საერთოდ არა აქვს საცავში ამ ფრაზეოლოგიზმის რუსული თარგმანი. ამიტომ **ამ ეტაპზე აქტუალური და საშური საქმეა სპეციფიკურ ქართულ ფონემათა სწორად აღქმის პრობლემის გადაწყვეტა, რის მომდევნო ეტაპზე უკვე შესაძლებელი გახდება ქართული ფრაზეოლოგიზმების სწორად გაგადათარგმნა სხვა ენებზე.**

Common Voice-ს პლატფორმა **Mozilla firefox**-ის პროექტია და მის ფარგლებში ივსება მსოფლიოს სხვადასხვა ენის ბაზები მოხალისეების მიერ. გამონაკლისია ქართული ენა: ჩვენს ენაზე **Common Voice**-ში ჯერჯერობით მხოლოდ 21-საათიანი ჩანაწერი მოეპოვებათ, რაც სრულიად არ არის საკმარისი არამცთუ ფრაზეოლოგიზმების, არამედ ცალკეული ქართული სიტყვების სწორად აღქმისათვის. იმისათვის, რომ სამომავლოდ შეიქმნას ქართული მეტყველების ამომცნობი პროგრამები, საჭიროა ქართულად საუბრის დაახლოებით 10000-საათიანი მასალა [ბადალიანი, 2022. <https://batumelebi.netgazeti.ge/news>]. ნებისმიერ მსურველს შეუძლია ქართულ ენაზე წინადადებების შედგენა, რის საფუძველზეც მომავალში შეიქმნება ერთიანი ქართულენოვანი კრებულები. პროგრამა მოხალისე მონაწილეს სთხოვს რამდენიმე წინადადების წარმოთქმას და ხმის ჩამწერი იწერს მას. ამის შემდგომ მოხალისე ამოწმებს ჩანაწერს. მოხალისეთა აქტიური ჩართულობა დაეხმარება მანქანას ისწავლოს და ამოიცნოს ქართული ენა და გარდაქმნას ტექსტად, რაც მნიშვნელოვანია ხმოვანი თარგმნის სრულყოფისათვის. საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ერთ-ერთი მხარდამჭე-

რია ამ პროექტისა, თუმცა, როგორც ჩანს, მისი ძალისხმევა ამ მხრივ საკმარისი არ არის და მეტი აქტიურობაა აუცილებელი.

მომხმარებლის მიერ პლატფორმებისა და პროგრამებისათვის მიწოდებული თარგმანები, ბუნებრივია, შეიცავს საფრთხეებს და საჭიროა კონტროლის მკაცრი მექანიზმი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზრდება მანქანური თარგმნის ხარისხი. ადამიანები პროფესიების მიხედვით მუშაობენ პუბლიკაციებსა თუ სხვადასხვა ექსპერიმენტებზე და მათთვის საჭიროა სრულყოფილი თარგმანი, მაგრამ მათაც შეუძლიათ გარკვეული წვლილის შეტანაც თარგმნის გაუმჯობესების საქმეში.

VII თავი. ფრაზეოლოგიზების თარგმნის თავისებურებანი ქართული და რუსული მასალის მიხედვით

7.1. ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის თავისებურებები მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ დედნისა და რუსული თარგმანის მიხედვით

თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებები იმ ენის საგან-
ძურში შედის, რომელზეცაა ისინი თარგმნილი. მართალია,
თარგმანი დედანს ვერასდროს შეედრება, მაგრამ მაინც დიდი
მნიშვნელობა აქვს სიზუსტით თარგმნას. მოცემულ პარაგრაფში
განვიხილავთ დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის **მი-
ხეილ ჯავახიშვილის** რომან „**არსენა მარაბდელის**“ პროფესი-
ონალი მთარგმნელის მიერ რუსულად გადათარგმნილი ვარი-
ანტიდან ფრაზეოლოგიზმების გადაღების დროს გამოკვეთილ
თავისებურებებს. საანალიზო მასალა ამოკრებილია შემდეგი
გამოცემებიდან: მ. ჯავახიშვილი, 2012: [http://www.nplg.gov.ge/
ebooks/authors/mikheiljavakhishvili/arsena%20marabdeli. pdf](http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/mikheiljavakhishvili/arsena%20marabdeli.pdf) ,
„Арсен из Марабды“ – М. Джавахишвили, Авторизованный
перевод с грузинского Б. Корнеева [Тбилиси, 1956].

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსულ გამოცემას აწე-
რია, ეს არის ავტორიზებული თარგმანიო, ანუ ისეთი თარგმა-
ნი, რომელიც სრულდება ავტორის მეთვალყურეობით, ან მისი
ნებართვით. ვვარაუდობთ, რომ მ. ჯავახიშვილმა რუს მთარ-
გმნელს გადაუგზავნა პირადად მის მიერ შესრულებული პჯკა-
რედული თარგმანი, ხოლო ბ. კორნეევმა იგი გამართა რუსული
ენის ნორმების დაცვით. საბჭოთა პერიოდში ეს მიღებული
პრაქტიკა იყო. ეს დეტალი მნიშვნელოვანია, რადგან გვავარაუ-
დობინებს მწერლისა და მთარგმნელის მჭიდრო თანამშრომ-
ლობას და იმას, რომ მთარგმნელს ქართულ დედანთან მაქსი-
მალურად ახლომდგომი პჯკარედი ექნებოდა ხელთ, რაც მას
უკეთ დაანახებდა არა მარტო რომანის სიუჟეტურ და მხატ-
ვრულ დეტალებს, არამედ ნაწილობრივ წარმოდგენას მაინც
მუუქმნიდა ქართული ენის ბუნების შესახებაც.

რომანში ათეულობით განსხვავებული ფრაზეოლოგიზმია გამოყენებული. დედნისა და თარგმანის ტექსტების შეჯერებამ ქართული ფრაზეოლოგიზმების თარგმნის მხრივ სხვადასხვა ვითარება გვიჩვენა. კერძოდ:

1. ქართული ფრაზეოლოგიზმები რუსულ თარგმანშიც ნათარგმნია მასთან ახლოს მდგომი შესაბამისი აზრის გამომხატველი რუსული ფრაზებით. მაგალითად:

„– ვეჟო, – წამოიძახა უცებ ზაალმა, – ვეჟო, ალბათ გაუგეს ერმალას, რომ ის დეკემბრელების დახმარებით ახალ სამეფოს დაარსებას აპირებდა სადღაც აქეთ. – და ხელით შემოხაზა ჰაერი. შემოხაზა და **ენაზე იკბინა**, რადგან ენამორღვეულ მასპინძელს ყველანი გაოცებით და შიშით დაამტერდნენ“ [ჯავახიშვილი, 2012:3].

ფრაზეოლოგიზმი **ენაზე კბენა** ქართულად აღნიშნავს **წამოცდენილი ნათქვამის მონანიებასა და უცებ გაჩუმებას**. მისი სინონიმებია: **თითზე კბენა, ენის მოკვნე** [ონიანი, 1966:61].

რუსულ თარგმანში წარმოდგენილია ქართული შესიტყვების თითქმის სრული შესატყვისი ფრაზეოლოგიზმი: „(Она) заставило Заала **прикусить губы**“ [ჯავახიშვილი, 1956:8]. რუსული ფრაზეოლოგიზმის **прикусить губы** სემანტიკა სრულად ემთხვევა ქართული ფრაზეოლოგიზმის სემანტიკას და ასე განიმარტება: **Не говорить все откровенно, прервав свою речь** [ფრაზეოლოგიზმები, 2014].

სხვაობა ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიზმებს შორის მინიმალურია: თუ ქართულში სინანულით სიტყვის გაწყვეტა გამოიხატება **ენაზე კბენის** ხატოვანი ასახვით, რუსულში იგივე აზრი გადმოცემულია **ტუჩის მოკვნე**ის ხატოვანი სახით.

„ტყუილ-უბრალოდ **ჭიასაც არ დაადგამს ფეხს**“ [ჯავახიშვილი, 2012:8].

ქართულად იმავე შინაარსს გამოხატავს ვარიანტული ფრაზეოლოგიზმები: **ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამს, ჭიანჭველას ზედ არ გადაუვლის, ჭიანჭველასაც კი ფეხს აარიდებს** „გულკეთილია, შემბრალებელია“ [სახოკია, 1955:181].

რუსულ თარგმანში იმავე აზრის გადმოსაცემად გამოყენებულია ფრაზეოლოგიზმი: „(ОН) **мужи не обидит**“ [ჯავახიშვილი, 2014:14], რომლის ზედმიწევნითი თარგმანია: „ის ბუხს არ აწყენინებს“ და გამოიყენება ასევე **უბოროტო, კეთილი ადამიანის** მახასიათებლად [ფრაზეოლოგიზმები, 2014];

აქაც უმნიშვნელოა სხვაობა ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიზმებს შორის, თუ ქართულში გულკეთილობა, სათნოება გამოიხატება ჭიისთვის ფეხის დაუდგმელობის ხატოვანი ასახვით, რუსულში იგივე აზრი გადმოცემულია **ჭიის არ გაბრაზების** ხატოვანი თქმით.

ზაალმა კარვის კარებში ქალის თავს **მოჰკრა თვალი**“ (გვ. 8). ფრაზეოლოგიზმი **თვალი მოჰკრა, თვალი ჰკიდა** მყისიერად დანახვას აღნიშნავს [ზედგინიძე, 2014:370].

ამ წინადადების რუსული თარგმანიც ახლოს დგას დედნის ტექსტთან მხოლოდ ფრაზეოლოგიზმით: „**заал просил взгляд в сторону шатра**“ [ჯავახიშვილი, 1956:14] „ზაალმა მზერა სტყორცნა კარვის მხარეს“. სხვაობა ამ შემთხვევაში მაინც გვაქვს: ქართული ფრაზეოლოგიზმი **უნებურად დანახვას** გულისხმობს, რუსული კი ხაზს უსვამს **მოქმედების შეგნებულობა-მიზანმიმართულობას** (სინონიმთა ლექსიკონი).

თუ სემასიოლოგიის, როგორც ენათმეცნიერების დარგის მიხედვით ვიმსჯელებთ, უმნიშვნელოვანესია მიმართება აღსანიშნავსა და აღმნიშვნელს შორის. დადგენილია, რომ ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა ენაზე სხვადასხვაგვარად შეიძლება გადმოიცეს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ენა სამყაროს აღსაწერად საკუთარ საშუალებებს იყენებს, რაც ამ ენათა გამოხატულების პლანში აისახება, ადამიანები არსებითად ერთნაირად აცნობიერებენ გარეენობრივ სინამდვილეს, ასე რომ არ ყოფილიყო, სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის წევრები ერთმანეთს ვერ გაუგებდნენ, ვერ მოხერხდებოდა ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, შეუძლებელი იქნებოდა უცხო ენის შესწავლა.

ამგვარად, ის, რაც საერთოა ყველა ადამიანისათვის, თავისებურ სემანტიკურ სტრუქტურებს ქმნის თითოეულ ენაში. შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ენების სემანტიკური სის-

ტემები ერთი ზოგადი სისტემის ვარიანტებია [გამყრელიძე, 2008:309].

აქედან გამომდინარე, ზემოთ მოყვანილი მაგალითების მსგავსი ფრაზეოლოგიზმების თარგმანებში, მართალია, არ შეინიშნება ქართული ფრაზეოლოგიზმის ზედმიწევნით თარგმნა აბსოლუტურად იგივეობრივი რუსული ფრაზეოლოგიზმებით, მაგრამ ისინი მაინც სემანტიკურად იდენტური ერთეულებია.

2. დედანში გამოყენებული ფრაზეოლოგიზმები რუსულ თარგმანში ჩანაცვლებულია ფრაზის შინაარსობრივი მნიშვნელობის წინადადებით:

„მარინე ჯორჯიაშვილმა ყურები სცქვია“ [ჯავახიშვილი, 2012:8]. ფრაზეოლოგიზმი **ყურების აცქვეტა // ყურების დაცქვეტა** აღნიშნავს **ყურადღების გამახვილებას, სმენად გადაცეკვას** [ონიანი, 1966:164].

რუსულ თარგმანში ამ ფრაზეოლოგიზმის სემანტიკა გადმოცემულია სტრუქტურულ-სემანტიკურად საკმაოდ დაცილებული ფრაზეოლოგიზმით: „Марине Джорджиашвили насторожилась жадно **ловя** каждое **слово**“ [ჯავახიშვილი, 1956:14] „მარინე ჯორჯიაშვილი გაფაციცდა, ხარბად **იჭერდა რა ყოველ სიტყვას**“;

„მე ცალი ფეხი სამარეში მიდგას“ [ჯავახიშვილი, 2012:26]. ქართულში ამ ფრაზეოლოგიზმს, ჩვეულებრივ, მოხუცები იტყვიან ხოლმე და გამოიყენება შემდეგი სემანტიკით: **„სიკვდილის პირზე ვარ მისული, დიდხანს ვერ ვიცოცხლებ“** [ონიანი, 1966:172].

რუსულად თარგმნისას ციტირებული ქართული ფრაზეოლოგიზმისაგან ძალზე განსხვავებული ფრაზეოლო-გიზმია გამოყენებული: „(Папа) бурчал что-то о предстоящем своем **переселении на тот свет**“ [ჯავახიშვილი, 1956:30] „(მამა) რაღაცას ბურტყუნებდა **იმქვეყნად თავისი გადასახლების შესახებ**“. **„იმქვეყნად გადასახლება“** იგივეა, რაც **„გარდაცვალება“**. როგორც ვხედავთ, აქ ფრაზეოლოგიზმთა იდენტობაზე საუბარი ზედმეტია.

„გულში ზაალის ასულის დაროს დანიშვნა უღევსო“ [ჯავახიშვილი, 2012:6]. **გულში ჩადება** აღნიშნავს **„რისამე გაფიქრებას, აზრად მოსვლას, რისამე განზრახვას“** [ონიანი, 1966:161].

„Элизбар намеревается обручиться с дочерью Заала Даро“ [ჯავახიშვილი, 1956:12] „ელიზბარი აპირებს ზაალის ქალიშვილ დაროზე დანიშვნას“, რაც გამოხატავს ქართული ფრაზეოლოგიის „გულში ჩადების“ შინაარსს, თუმცა სტრუქტურულად შორსაა დედნისეული ფრაზეოლოგიზმისაგან.

„არსენამ კიდევაც გვასახელა და კიდევაც **დაგვჭრა თავები**“ [ჯავახიშვილი, 2012:37]. **თავის მოჭრა, კისრის მოჭრა და სახელის გატეხა** იდიომთა ლექსიკონში განმარტებულია როგორც **შერცხვენა** [ონიანი, 1966:82]. რუსულ თარგმანში მოცემული წინადადება ნათარგმნია უზუსტო აღწერით: „Выручил нас сегодня Арсен, но мы-то, мы опозорились...“ [ჯავახიშვილი, 1956:40] „გვიხსნა არსენამ დღეს, მაგრამ ჩვენ შევრცხვით“. ფრაზეოლოგიზმი ნათარგმნია შინაარსობრივი მნიშვნელობის სიტყვით, თუმცა არაზუსტია მთლიანი წინადადების თარგმანი.

იქიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, რომ გადატანითი მნიშვნელობა არ არის დამოუკიდებელი და იგი ყოველთვის მოტივირებულია პირდაპირი მნიშვნელობით, შესაძლოა, ეს დავასახელოთ ფრაზეოლოგიზმების თარგმნის ასეთი ტიპების საფუძვლად. უფრო არსებითი კი ის არის, რომ აქ **გადამწყვეტ როლს ორი ეთნოსის მსოფლხატთა სისტემების დიდი სხვაობა ასრულებს**: ქართველი და რუსი უფრო ხშირად სინამდვილეს სხვადასხვა სიტყვიერი ფორმით გამოხატავენ.

3. ფრაზეოლოგიზმის თარგმანი არ არის წარმოდგენილი, რის გამოც რუსული წინადადების შინაარსი დედანში არსებული ფრაზეოლოგიზმით გადმოცემულ აზრს ზედმიწევნითი სიზუსტით, გრძნობის თვალსაზრისით ვერ გადმოსცემს. მართალია, ამ დროს ფრაზის შინაარსობრივი სტრუქტურა არ ირღვევა, მაგრამ შეფასებისათვის, ჩვენი აზრით, არასაკმარისია, როცა ქართული ფრაზეოლოგიზმის ანალოგიური რუსულშიც მოიპოვება. მაგალითად:

„მღევარი მარნეულიდან მაშინვე მარაბდაში ამოიჭრა, მაგრამ დაგვიანებისა და ბნელი ღამის გამო არსენას დევნაზე **ხელი აიღო** და იქვე დაბინავდა“ [ჯავახიშვილი, 2012:190]. ქართულში **ვინმეზე, რამეზე ხელის ადება** უდრის „თავის მიწებებას, მიტოვებას“ [ონიანი, 1966:88].

რუსულ ვარიანტში კი ეს ადგილი ასეა ნათარგმნი: „(Он,) поспешил в Марнеули сам, но погоня прибыла в Марабду с опозданием, отряд Арсена скрылся в ночи“ [ჯავახიშვილი, 1956:180].

რუსულ ენაში არსებობს ფრაზეოლოგიზმი: **Опускать руки** – Проявлять полное безразличие к делам, разочароваться в чем-либо [ფრაზეოლოგიზმები, 2014] „საქმეებისადმი სრული უგულისყურობის გამოვლენა, რამეზე გულის გატეხა“. აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეული ახლოსაა ქართული ფრაზეოლოგიზმის შინაარსთან, თუმცა ის არ არის გამოყენებული რუსულ ვარიანტში.

„არსენა **ორ ცეცხლზე იწვის**, სიხარულზე, რადგან მარინე ნახა, და ვარამზე, რადგან საბედოსაც და დასაც უყიდიან“ [ჯავახიშვილი, 2012:45]. ეს ფრაზეოლოგიური ერთეული და მისი ვარიანტი **ორ ცეცხლს შუა ჩავარდნა** გამოხატავს **გამოუვალ, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნას** [ონიანი, 1966:123].

რუსულ თარგმანში შესაბამისი ფრაზაა: „Продают и сестру, и невесту“ [ჯავახიშვილი, 1956:50], არსენას გრძნობაზე კი აქ სრულებით არ არის ხაზი გასმული, თუმცაღა ქართულსა და რუსულ ენებს აქვთ თითქმის იდენტური ფრაზეოლოგიზმები. შდრ.: რუს. **Меж двух огней** „ორ ცეცხლს შუა“, რაც გადმოსცემს **დიდ ტანჯვას, მძიმე განცდას გამოუვალი მდგომარეობის გამო** [ფრაზეოლოგიზმები, 2014]. მთარგმნელმა ამ ფრაზეოლოგიზმის გამოყენებაც საჭიროდ არ ჩათვალა.

„ყამარი მალე უნდა მოვიტაცოთ, თორემ სხვები მოგვტაცებენ და **ხახამშრალს დაგვტოვებენ**“ [ჯავახიშვილი, 1956:18]. ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულს ქართულში აქვს ვარიანტები: „**პირში ჩალაგამოვლებული დატოვება**“, „**ცარიელზე დასმა**“, რომლებიც გამოხატავენ მოტყუებას, გაწბილებას [ონიანი, 1966:186.].

რუსულ თარგმანში წინადადება მოცემული ფრაზეოლოგიზმით გამოტოვებულია. რუსულში გამოიყენება ფრაზეოლოგიზმი „оставлят ни с чем“, რომელიც შემდეგი მნიშვნელობითაა მოცემული ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში: „ни с чем – безуспешно“ https://synonym.slovaronline.com/1024877-NI_S_CHEM. რუსული ფრაზეოლოგიზმი ზედმიწევნითი სიზუსტით ვერ გამოხატავს დედანში მოცემული წინადადების შინაარსს, თუმცა ახლოსაა მასთან.

„ღობე-ყორეს ნუ ედები, რა გინდა ჩემგან?“ [ჯავახიშვილი, 2012:30]. **„ღობე-ყორეს მოდება“** გამოხატავს უთავბოლოდ, უგზოუკვლოდ, უაზროდ მოქმედებას, ან ლაპარაკს [ონიანი, 1966:161.]. რუსულ თარგმანში გამოტოვებულია ფრაზეოლოგიზმი და წინადადება მოცემულია შემდეგი სახით: „А тебе что нужно?“ [ჯავახიშვილი, 1956:34].

რუსულ ენაში არის ფრაზეოლოგიზმი **„Вокруг да около“** – (кругом) бродить (иноск.) — как-нибудь, не добираясь до сути, не попадая, куда нужно. Ср. Пожалуйста, загляните только в газеты... что это такое? Все ведь стоит! Разве это печать, которая всегда вертится вокруг да около? <https://rus-michelson-tolk-dict.slovaronline.com/>. მოცემული წინადადების ზუსტი თარგმანი შესაძლებელი იყო რუსულ ენაზე, თუ მთარგმნელი დაწერდა: **„Не ходи вокруг да около – скажи прямо“**.

4.ერთეულ შემთხვევებში „არსენა მარაბდელის“ რუსულ თარგმანში არის ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ნათარგმნია ზედმიწევნით და წარმოდგენილია, როგორც სიტყვათა მყარი შეხამებანი, თუმცა ისინი ამ ფორმით არ არის გავრცელებული რუსულ ენაში, ან არსებობს ფორმის მიხედვით იდენტური გამონათქვამი, ოღონდ მას სრულიად სხვა სემანტიკა აქვს:

„შენი ხმალი და ჩემი კისერი!“ [ჯავახიშვილი, 1956:11]. ფრაზეოლოგიზმის სემანტიკაა **„რაც გასურდეს, ის მიყავი, ყველაფრის უფლებას გაძლევი, მზად ვარ გემსახურო“** [ონიანი, 1966:168];

ტექსტის რუსულ თარგმანში ეს ფრაზეოლოგიზმი ასეა ნათარგმნი: **„Твоя сабля – моя голова“** [ჯავახიშვილი, 1956:17]

„შენი ხმალი – ჩემი თავი“. არსებობს რუსულში ასეთი გამოთქმა: **Мой меч, твоя голова и плечи** „ჩემი ხმალი – შენი თავი და მხრები“, მაგრამ იგი ადრესატზე მოსაუბრის უპირატესობასა და აღმატებულ უფლებებს უსვამს ხაზს, რაც საპირისპიროა ქართული ფრაზეოლოგიზმის სემანტიკისა.

[<http://folklor.academic.ru>.]

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ფრაზემების სისტემა შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს, მით უმეტეს სხვადასხვა ენაში და ის პარადიგმატული მიმართებები, რომლებიც ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში შესიტყვებებს შორის მყარდება, უნდა დამყარდეს „სათარგმნ ენაშიც“, ჩვენს შემთხვევაში – რუსულ ენაში და აზრის სიზუსტით გადმოსაცემად უნდა მოერგოს რუსული ენის ფრაზემათა სისტემას.

ჩვენ ვეთანხმებით პროფ. გურამ რამიშვილის საყურადღებო მოსაზრებას, რომ „გავრცელებული არგუმენტები, რომ ყველა ენით შეიძლება გამოითქვას ერთი და იგივე, რომ თარგმანი ადვილად შესაძლებელია და ა.შ., ჩვენ შეიძლება უფრო მკვეთრად ჩამოვაყალიბოთ, გადამწყვეტია არა ის, რის შესახებ ვამბობთ, არამედ უფრო ის, რას ვამბობთ“ [რამიშვილი, 2000:133].

იქიდან გამომდინარე, რომ აგებულების მხრივ სიტყვათა ურთიერთობა ქართულ შესიტყვებაში არსებითად სხვაგვარია, ვიდრე რუსულში, შესაძლებელია, ქართული ფრაზეოლოგიზმის სტილი, სიტყვათა შედგენილობა, შინაარსი არ დაემთხვეს რუსული ენისას, ნამდვილი თარგმანის მტერი სწორედ სიტყვა-სიტყვითი თარგმანია. ამერიკელი ენათმეცნიერი ე. ნაიდა აღნიშნავდა: „ის, რაც კარგია ჩემი ენისთვის, ცუდია სხვა ენისათვის“. ყოველი ენა თავისებურად ანაწევრებს და გადმოგვცემს აზრს, ამიტომ მთარგმნელი კარგად უნდა იცნობდეს ორივე ენის სტრუქტურას. „ყოველი ენა მსოფლმხედველობრივია“ [რამიშვილი, 2000:102], რაც ნიშნავს სხვადასხვაგვარი აზროვნების შესაძლებლობასა და სამყაროს სხვადასხვაგვარად შეცნობას.

7.2. ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის თავისებურებები ანტონ ჩეხოვის „კამტანკას“ დედნისა და ქართული თარგმანის მიხედვით

ფრაზეოლოგიური ერთეულები ინახავენ და თაობიდან თაობას გადასცემენ ცოდნას საზოგადოებაში განვითარებული ცვლილებებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ. რუსულ ენაში არის სიტყვათშეთანხმებები, რომლებიც გარკვეული ცნებების ვერბალიზაციის საშუალებას იძლევა და ყალიბდება განზოგადებულ-ჰოლისტური ერთეულები, რომლებიც კოდირებს სხვადასხვა კონფიგურაციაში.

ფრაზეოლოგიზმები იმდენად ხშირად გამოიყენება ყოველდღიურ მეტყველებაში, ზოგჯერ ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ ამას. რუსულ ენაში სიტყვათშეთანხმება უფრო მეტია, ვიდრე ფრაზეოლოგიზმი, არსებობს ბევრი გამონათქვამი, რომლებმაც ფრაზეოლოგიზმების გვერდით დაიმკვიდრეს ადგილი. ფრაზეოლოგიზმების თარგმნის პროცესში, შესაძლოა, ვერ მოხერხდეს მათი სინონიმური ფრაზეოლოგიზმის მოძებნა სათარგმნ ენაში, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სემანტიკის სიზუსტით თარგმნას, რათა არ დაირღვეს ნაწარმოების შინაარსი და თუნდაც ნაწილობრივ შენარჩუნდეს დედნისეული ეროვნული „სურნელი“.

ჩვენ საგანგებოდ განვიხილეთ ქართულიდან რუსულ ენაზე მთარგმნელის მიერ თარგმნილი მხატვრული ნაწარმოების თარგმნის თავისებურებანი, არანაკლებ საინტერესოა, რა წინააღმდეგობებს წააწყდა მთარგმნელი რუსულიდან ქართულად თარგმნის პროცესში და როგორ გამოიკვეთა ისინი თარგმანში. განვიხილოთ **ანტონ ჩეხოვის მოთხრობა „კამტანკას“** დედანსა და ქართულად ნათარგმნ ვარიანტს შორის ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის თავისებურებები.

1. რუსული ფრაზეოლოგიზმი ნათარგმნია ქართულად რუსულის შესაბამისი ქართული ფრაზეოლოგიზმით:

Столяр то и дело **терял** ее **из виду**. რუსულ ფრაზეოლოგიზმს **терять из виду** „თვალთაგან მიფარება“ აქვს მრავალი სინონიმი: исчезать из виду; исчезать вдали; исчезать из поля

зрения; переставать быть видимым; переставать быть доступным зрению; пропадать; скрываться; скрывать, скрываются из глаз; скрываться с горизонта; теряться из виду... [Словарь синонимов ASIS.B.H. Тришин.2013; <https://us-phraseology-dict.slovaronline.com>]. დასახელებული ფრაზა გამოყენებულია ტექსტში, როგორც **თვალთახედვის არედან გაქრობა, თვალს მოფარება**. ქართული თარგმანი მოცემული ფრაზისა ზუსტად გადმოსცემს რუსული ფრაზის შინაარსს და მოცემულია ნათარგმნ ტექსტში: „როგორც კი თვალს მოეფარებოდა“.

„Довольно тебе **бить баклуши**“. ფრაზეოლოგიზმ **Бить баклуши**-ს სემანტიკაა: **бездельничать, заниматься пустяками** [<https://kartaslov.ru/значение-слова/бить+баклуши>] დედნის აღნიშნული ფრაზეოლოგიზმი ქართულად ნათარგმნია, როგორც **უქმად ყოფნა**, რომელიც სიზუსტით გადმოსცემს რუსული ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობას.

Чёрт бы вас взял! – Значение словосочетания: „черт (тебя, его, их и т. д.) возьми (или дери, поberi, подери и т. п.)!“ — восклицание, выражающее удивление, восхищение или возмущение, негодование. См. также чёрт. (Малый академический словарь [<https://kartaslov.ru/значение-слова/чёрт+бы+вас+взял>]).

ეს ფრაზეოლოგიზმი ქართველი მთარგმნელისაგან გადმოღებულია, როგორც „**ეშმაკსაც წაუღიხართ**“, შდრ. ქართულშივე: **ეშმაკმა წაიღოს (ეშმაკსაც წაუღია)** – ამბობენ გაბრაზებით ვინმეზე. <https://www.ganmarteba.ge/word/%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98>.

Делал вид – „создавать видимость чего-либо, реально этого не делая: Ариадна старалась влюбиться, делала вид, что любит, и даже клялась мне в любви. Но я человек нервный, чуткий; когда меня любят, то я чувствую это даже на расстоянии, без уверений и клятв, тут же веяло на меня холодом, и когда она говорила мне о любви, то мне казалось, что я слышу пение металлического соловья [Чехов, „Ариадна“, 1895].

[https://ru.wiktionary.org/wiki/делать_вид]. შდრ. ქართ.: თავის დაჭერა (როგორმე) – მოქცევა (როგორმე) თავის შეკავება“ [ონიანი.1966:81];

ა. ჩეხოვისეული ფრაზეოლოგიზმი **Сквозь землю провалился** რუსულად განიმარტება ასე: исчез, потерялся из виду [<https://kartaslov.ru/значение-слова>], ქართულად იგი ნათარგმნია, როგორც „**მიწამ ჩაყლაპა**“. რუსულ განმარტებაში ფრაზეოლოგიზმი ახსნილია, როგორც თვალთახედვის არედან გაქრობა, ქართული თარგმანში ის ნათარგმნია, როგორც „**მიწამ ჩაყლაპა**“. ქართული ფრაზეოლოგიზმის განმარტება შემდეგია: „ანაზღეულად გაუჩინარდა, უკვალოდ დაიკარგა, მიწამ უყო პირი“ [ონიანი, 1966:114]. ქართულ ენაში არის სხვა ფრაზეოლოგიზმიც: „**თვალს მოეფარა**“, რომელიც გადმოსცემს იმავე მნიშვნელობას შერბილებული ხარისხით.

2. რუსული ფრაზეოლოგიზმი ნათარგმნია ქართულად სინონიმური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმით, თუმცა ქართულ ენაში არის რუსული ფრაზეოლოგიზმის უფრო ზუსტი შესატყვისი:

Чёрт знает, რომელიც განიმარტება ასე: Черт знает кто (или что, какой, куда и т. п.) (прост.) — 1) неизвестно кто (что, какой, куда и т. п.). *Черт знает на что расходовался ум воспитанника!* Помяловский, Очерки бурсы. *Всем уже стало ясно, что заехали мы черт знает куда.* Вересаев, На японской войне; 2) о ком-, чем-л. очень плохом, дурном. *Матвей Матвеевич спросил Леонида, далеко ли он едет.* — В Малмыж, — отвечал тот хмуро. — *Черт знает какое сообщение — на лошадях!* Телешов, На тройках. См. также *чёрт*. [Малый академический словарь] <https://kartaslov.ru/значение-слова/Чёрт+знает>. ა. ჩეხოვის მოთხრობის ქართულ თარგმანში ამ სიტყვათშეთანხმების შესატყვისად მოცემულია „**ეშმაკმა დალახვროს**“, რომელიც არის დიდი უკმაყოფილების, აღშფოთების გამომხატველი წამოძახილი [<https://www.ganmarteba.ge>]. ჩვენი ვარაუდით, „**დალახვროს ეშმაკმა**“, შესაძლოა, იყოს რუსული „**Черт побери**“-ს კალკირება; ზღრ.: Черт побери – „чёрт возьми“ – „возглас, выражающий сильную досаду, неудовольствие; Чёрт возьми, я не позволю обращаться со мной, как с мальчишкой!“ А. П. Чехов, „Из записок вспыльчивого человека“ 1887 г. [цитата из НКРЯ]; *Даром что вы, сколько мне известно,*

женщина, я не посмотрю: я старый солдат, черт возьми! [Тургенев, „Завтрак у предводителя“, 1846]. цитата из НКРЯ); *Но не стал бы я сулить почтенному человеку в несчастье, человеку, — не скажу достойному всякого уважения, но по крайней мере воспитанному человеку, черта на каждом шагу. Вы все говорите: черт возьми! черт возьми.* <https://kartaslov.ru/значение-слова/чёрт+возьми>. ქართულ ენაში არის გამონათქვამი: „**ღმერთმა // უფალმა უწყის**“, რომელიც ქართულისთვის უფრო ბუნებრივია და მეტი სიზუსტით გადმოსცემს რუსული ფრაზეოლოგიზმის შინაარსს.

Кожа да кости რუსულად ასე განიმარტება: „**о крайне худом, изможденном человеке**“ [<https://kartaslov.ru/значение-слова/кожа+да+кости>], მოთხრობის ქართულ თარგმანში ამ ფრაზეოლოგიზმის შესატყვისად წერია „**სული ძლივს გიდგას**“, რომელიც ზუსტად ასახავს რუსული ფრაზის მნიშვნელობას, თუმცა ქართულ ენაში არის პარალელური ფრაზეოლოგიზმი დედნის ტექსტში გამოყენებული ფრაზეოლოგიზმისა: „**ძვალი და ტყავია**“. საგულისხმოა, რომ „**ძვალი და ტყავია**“ უფრო ზუსტად გადმოსცემს რუსული ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობას, „**სული ძლივს უდგას**“ კი ქართულში იხმარება განსხვავებულ შემთხვევებში, მაგალითად ძლიერი დაღლილობის გამოსახატავად.

3. რუსული ფრაზეოლოგიზმი ქართულად ნათარგმნია არა ფრაზეოლოგიზმით, არამედ იმავე მნიშვნელობის მქონე ქართული სიტყვით.

„столяр был **пьян, как сапожник**“. ფრაზეოლოგიზმი ასე განიმარტება: **пьян до беспамятства**, см. Пьяный, რომელიც ქართულად ზუსტი მნიშვნელობის სიტყვით „**გამობრუქული**“-თ არის ნათარგმნი.

Но скоро утомление и теплота **взяли верх** над грустью. ფრაზეოლოგიზმის განმარტება ასეთია: „**брать (взять) верх**“ — добиваться преимущества, одолевать [<https://kartaslov.ru/значение-слова/брать+%28взять%29+ve>]. ეს ფრაზეოლოგიზმი მოწყენილობაზე გამარჯვებას გულისხმობს, ქართული თარგმანიც

ზუსტად გადმოსცემს ფრაზის შინაარსს: „მაღე დაღლილობამ და სითბომ დაჯაბნა მოძალებული სევდა“.

4. რუსული ფრაზეოლოგიზმი ნათარგმნია ქართულად ფრაზეოლოგიზმით, მაგრამ ის არ გადმოსცემს სიზუსტით რუსული სიტყვათშეთანხმების შინაარსს.

„заслоняя ей поле зрения“, ფრაზეოლოგიზმის სემანტიკაა: „угловое пространство, видимое глазом при фиксированном взгляде и неподвижной голове. Каждый глаз среднестатистического человека имеет поле зрения: 55° вверх, 60° вниз, 90° наружу (то есть суммарное поле зрения двумя глазами — 180°) и 60° — внутрь. Но это верно только для ахроматического зрения (это связано с тем, что на краях сетчатки нет рецепторов колбочек, способных различать цвет). Наименьший размер поля зрения — у зелёного цвета, наибольший — у синего (Википедия)“ [<https://kartaslov.ru/значениеслова/заслоняя+ей+поле+зрения>] ქართულად წერია: „**თვალში ეჩხირებოდნენ**“, ანუ უხმოდნენ თვალთახედვის არეს. აზრობრივი თარგმანი რუსული ფრაზეოლოგიზმისა „**თვალში ეჩხირება**“ ქართულ ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკონში განმარტებულია ამგვარად: „**მუდამ თვალწინ არის, ძალაუნებურად ყურადღებას იქცევს, არ მოსწონს, თვალში არ მოსდის**: „წინა სკამიდან უკანა სკამზე გადამსვა, თვალში ნუ მეჩხირებიო“ (აკაკი). დედნის ტექსტში მოცემული ფრაზეოლოგიზმის სემანტიკაა „დაჩრდილა, შეამცირა მისი ხედვის არე“, ხოლო ქართული ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა **თვალში ეჩხირება** არ უდრის დედნისეულს.

7.3. მხატვრული და არამხატვრული ტექსტების ქართული ენიდან რუსულ ენაზე მანქანური თარგმნის თავისებურებანი

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო ურთიერთობების სწრაფად განვითარებამ და ტექნიკურ-ტექნოლოგიურმა პროგრესმა გამოიწვიეს მანქანური თარგმნის აუცილებლობა და პოპულარობა. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ მთარგმნელობითი სისტემებიდან მიღებული მონაცემები ჯერ კი-

დეჲ არ არის სრულყოფილი, თუმცა ეხმარება მომხმარებელს ტექსტის ძირითადი იდეის გაგებაში. ჩვენი მიზანია იმის გარკვევა, თუ რა სახის პრობლემები იჩენენ თავს მანქანური თარგმნის პროცესში იდიომატური გამოთქმებისა და ფრაზების/ფრაზეოლოგიზმების თარგმნის თვალსაზრისით. მაგალითისთვის ერთმანეთს შევუდარეთ, ერთი მხრივ, სხვა შინაარსის მხატვრული ნაწარმოებების, მეორე მხრივ კი არამხატვრული ტექსტების თარგმანები და მათი თარგმნის დროს გამოკვეთილი თავისებურებები.

საანალიზო მასალა ამოკრებილი გვაქვს შემდეგი მხატვრული ნაწარმოებებიდან: ნიკო ლორთქიფანიძის „გული“ [<http://buki.ge/library-4796.html>], რეზო ინანიშვილის „დამრიგებელი“ [<https://www.aura.ge/103-saskolo/8474-rezo-inanishvili--damrigebeli.html>] და საინტერნეტო არამხატვრული პუბლიკაციები: „როდესაც ოჯახში ერთი ბავშვი იზრდება – რას ამბობს დედისერთებზე მეცნიერება“ [11 მაისი, 2019, რუბრიკა „საინტერესო ამბები“. <https://www.izrune.ge/?id=1377>]; „KAR.GE კატალოგი – ქართული წარმოების ყველა პროდუქცია ერთ პლატფორმაზე“ [რუბრიკის წარმდგენი სტარტაპერი, 2016. <https://www.marketer.ge/karkatalogi>].

მხატვრული ნაწარმოებების ავტორების ნიკო ლორთქიფანიძისა და რეზო ინანიშვილის მოღვაწეობის პერიოდებს ერთმანეთისაგან თითქმის ნახევარი საუკუნე ამორებს. მიზეზი ქრონოლოგიური სხვაობის არჩევისა იყო ის, რომ, გვსურდა გარკვევა, რამდენად გამოიკვეთებოდა სირთულეები მანქანური თარგმანისა სხვადასხვა ეპოქის ლექსიკური ერთეულების თარგმნის პროცესში (ინტერნეტპუბლიკაციები, რა თქმა უნდა, თანამედროვე პერიოდისაა).

თარგმანებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე თავისებურება:

1. ქართული სინონიმური ფრაზეოლოგიზმები მანქანამ რიგ შემთხვევაში სიზუსტით თარგმნა რუსულად:

„პროფესორმა ხელები ჩამოუშვა“ [ნ.ლორთქ. <http://buki.ge/library-4796.html>]. აქ ფრაზეოლოგიზმია: **ხელები ჩამოუშვა** „ხელი ჩაიქნია“. იხ.: **ხელების ჩამოშვება** „იმედის

დაკარგვა, გულის გატეხა, ყველაფერზე ხელის აღება“ [ონიანი, 1977:192.]. ფრაზეოლოგიზმი რუსულად **გუგლმა და იანდექსმაც** სწორად და ერთნაირად თარგმნეს: Профессор **опустил руки**. ორივე შემთხვევაში მანქანამ პირდაპირ თარგმნა თითოეული სიტყვა, რადგან რუსულ ენაშიც არის დედანში მოცემული ქართული ფრაზეოლოგიზმის იდენტური **Опускать руки** – Впадать в отчаяние, покоряться судьбе, переставать что-либо делать для исправления положения“ [http://xn--g1arj2c.xn--p1ai/rki/fraz/02zh-o/opuskat_ruki.html 250 фразеологизмов для иностранцев“]. თარგმანი ადასტურებს მოსაზრებას ფრაზეოლოგიზმთა ენათაშორისი სინონიმების არსებობის შესახებ.

თვალი ისევ ძაღლებისაკენ **გაგვირბოდა** [რ.ინანიშვილ. <https://www.aura.ge/103-saskolo/8474-rezo-inanishvili--damrigebeli.html>]. აქ **თვალი გაგვირბოდა** იგივეა, რაც **თვალს ვერ ვაშორებდით**. ამ ფრაზეოლოგიზმის თარგმანი სიზუსტით მოგვცა **გუგლმა** შემდეგი სახით: **не сводя глаз с собак**. იხ.: **Глаз не сводить с кого-чего** – смотреть на кого-что-н., не отрываясь. (*Лисица*) *вертит хвостом, с вороны глаз не сводит*. Крылов (Толковый словарь Ушакова)“- [https://kartaslov.ru]. **იანდექსმა** შემოგვთავაზა ფრაზა: **снова поглядывая одним глазом на собак**. ცხადია, **Yandex**-ის თარგმანი უფრო შორს დგას ქართული ფრაზეოლოგიზმის შინაარსისაგან.

2. მანქანას გარკვეულ შემთხვევაში უჭირს წინადადების სემანტიკური ბმის გაგება.

წვრილად მოვახსენებ მასწავლებლებს შენი **ხელიდან წასვლის** ამბავსო“ [რ.ინანიშვილ. <https://www.aura.ge/103-saskolo/8474-rezo-inanishvili--damrigebeli.html>]. ეს წინადადება **გუგლმა** ასე თარგმნა: **расскажу учителям о твоём исчезновении**, ხოლო **იანდექსმა** შემდეგი არაბუნებრივი რუსული თარგმანი შემოგვთავაზა: „я пойду в ту школу и расскажу учителям историю твоего **ухода из твоих рук**“. პირველი თარგმანის შემთხვევაში ცხადია, რომ მანქანამ კონტექსტთან ვერ დააკავშირა სიტყვა **წვრილად**, რომელიც **ზედმიწევნით სიზუსტეს** გულისხმობს, ასევე ვერ გაიგო ფრაზეოლოგიზმი **ხელიდან წასვლა**, რომლის სიტყვა-სიტყვითი თარგმნის შემთხვევაშიც მი-

ვიღებდით რუსულ ფრაზეოლოგიზმს **Уйти из рук** – оказываться вне владения, распоряжения, выходить из под контроля. *Имеется в виду, что ценности, удача, инициатива, власть быстро и независимо от желания лица или группы лиц, которые владели ими раньше, перестают им принадлежать*“ [<https://dic.academic.ru>].

„თანამედროვე მანქანური თარგმანი [ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის – შ.ც.] აღემატება ჩვეულებრივი ლიტერატურული თარგმანის შესაძლებლობებს – მას შეუძლია წყაროს ტექსტში მოცემული ინფორმაციის სრული მნიშვნელობის გადმოცემა სამიზნე ენაზე. ის აანალიზებს ტექსტის ყველა ელემენტს და ადგენს, თუ როგორ დამოკიდებულებაშია სიტყვები ერთმანეთთან“ [ლევინი, 2015:4], ეჭვქვეშ აყენებს და წინა პლანზე წამოსწევს პროგრამათა ბაზების სრულყოფილების საკითხს.

3. მანქანას ხშირად უჭირს ომონიმური სიტყვების სწორად ამოცნობა და თარგმნა ფრაზებში

„ბოლოს იცით, კიდე რა მოხდა? ისა, რომა შემოვიდა მოხუცებულ დედაჩვენი და ცივი წყალი გადმოგვასხა თავზე...“ (ვაჟა). **გუგლმა** ეს წინადადება ასე თარგმნა: „Наконец, знаешь, что еще случилось, Иса, Рома, наша старая мать пришли и облили нас холодной водой?“, **იანდექსმა** კი ეს ვარიანტი შემოგვთავაზა: „Вы, наконец, знаете, что еще произошло? Вошла пожилая мать и вылила на нас холодную воду“. „ცივი წყლის გადავლება“, „ცივი წყლის გადასხმა (თავზე)“ იდიომთა ლექსიკონში განმარტებულია, როგორც გაწბილება, იმედის გაცრუება [ონიანი, 1966:175]. გამოდის, რომ ამ პლატფორმებმა ქართული ფრაზეოლოგიზმი ვერ იცნეს.

„თუ ეწყინა, ცივი წყალი დალიოს“ – შდრ.: **გუგლის** თარგმანი: „Если он обидится, пусть выпьет холодной воды“, **იანდექსის** ვარიანტი: „Если вы расстроены, выпейте холодной воды“. „ცივი წყლის დაღევას“ ქართულში აქვს შემდეგი სემანტიკა: „ვინმე რომ გაჯავრდება, ან განაწყენდება და ამას არაფრად ჩააგდებენ, მაშინ იტყვიან: „თუ ძაან ხარ გაჯავრებული, ცივი წყალი დალიე“ [ზუღდინიძე, 2014:370].

პირველი ქართული ფრაზეოლოგიზმის „ცივი წყლის გადასხმა/გადავლება“ ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმი რუსულ ენაში არ მოიძებნა, ამიტომ საჭიროა მისი შინაარსობრივი თარგმნა, სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ფრაზეოლოგიზმით გადმოცემულ ემოციას არ შეიცავს და, შესაბამისად, თარგმნილი წინადადებაც აზრს კარგავს. მეორე მაგალითის google-ისეული თარგმანი უფრო ზუსტია, ვიდრე – Yandex-ისა და რადგანაც სიტყვა-სიტყვითი თარგმნის შემთხვევაში სათარგმნი ენის ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმი არსებობს სამიზნე ენაში, აზრის გაგება უფრო იოლია, თუმცა Yandex-ის თარგმანი ფრაზეოლოგიზმად არც აღიქმება.

4. მანქანა ფრაზეოლოგიზმში უცნობი სიტყვის ამოცნობის დროს თარგმნის სიტყვა-სიტყვით და მისთვის უცნობი სემანტიკური მნიშვნელობის სიტყვას ანაცვლებს სხვა სიტყვით, რომელშიც შეიძლება კონტექსტის შინაარსთან დაკავშირება, თუმცა ფრაზა გაუმართავია.

(საჯობა) მიწაში ჩავმძვრალიყავი [რ.ინანიშვილი. <https://www.aura.ge/103-saskolo/8474-rezo-inanishvili--damrigebeli.html>].**გუგლმა** თარგმნა, როგორც мне хотелось **упасть на землю, იანდექსმა** კი თარგმნა დედანთან ახლომდგომი ფრაზით: мне захотелось **вжаться в землю**. რუსულში არის „მიწაში ჩავმძვრალიყავი“-ს სინონიმური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმი **Провалиться сквозь землю**, მაგრამ მანქანამ ვერ ამოიცნო სიტყვაფორმა **ჩავმძვრალიყავი** და თარგმნა, როგორც **ჩაკუმშულიყავი. შეკუმშვა, დაპატარავება** შეიძლება განვიხილოთ მიწაში ჩაძრომის სურვილის მნიშვნელობად, მაგრამ კონტექსტში მისი მნიშვნელობა არასწორია.

5. მანქანური თარგმანი არასწორია, ის არ უკავშირდება ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობას.

ისინი მაინც თავისას განაგრძობდნენ [რ.ინანიშვილი. <https://www.aura.ge/103-saskolo/8474-rezo-inanishvili--damrigebeli.html>].**იგულისხმება**, რომ ისინი ჯიუტობდნენ. **გუგლი** ვერ ჩასწვდა ფრაზის შინაარსს და მცდარი თარგმანი შემოგვთავაზა შემდეგი სახით: **продолжали идти „სვლას განაგრძობდნენ“**, **იანდექსმაც** მცდარი თარგმანი მოგვანოდა: они

собирались куда-нибудь пойти, შესაძლებელია მანქანის შემოთავაზებული ვერსიები გავიგოთ, როგორც **არ იშლიდნენ თავისას და განაგრძობდნენ სვლას**, მაგრამ დედნის ტექსტში სრულიად სხვა მოქმედების გაგრძელებაზეა საუბარი.

თავს ვეღარ ვწვდი გაკვეთილებზე [რ.ინანიშვილი. <https://www.aura.ge/103-saskolo/8474-rezo-inanishvili--damrigebeli.html>] – იგულისხმება დადლილობითა და უძილობით გამოწვეული უძლურება. **გუგლმა** წინადადება მცდარად თარგმნა: я не могла заставить себя пойти на занятия, **იანდექსმა** კი შემდეგნაირად: я не смог ходить на занятия. აქ თარგმანი აზრობრივად ასცდა დედნის შინაარსს, რომელიც გულისხმობს ფიზიკურად გამოფიტვას, გადაქანცულობას, უილაჯობას.

იდიომატური გამონათქვამის, წინადადებისა თუ ტექსტის სხვა სტრუქტურული ელემენტების თარგმნისას მათი სხვადასხვა კუთხით აღქმაა აუცილებელი. მნიშვნელოვანია ტექსტის თარგმნის პროცესში მაკროსტრუქტურული და მიკროსტრუქტურული პერსპექტივის ერთდროული გათვალისწინება. პირველის შემთხვევაში ყურადღება მახვილდება ტექსტის ტიპზე, მის გაგებაზე, თარგმნის ზოგად სტრატეგიაზე, კულტურულ ასპექტებსა და თარგმნის ფუნქციაზე. მიკროსტრუქტურული პერსპექტივის დროს საკვლევი ობიექტია წინადადება, წინადადების სხვადასხვა დონე, აქ უკვე საქმე გვაქვს ცალკეულ ლექსიკურ-სემანტიკურ და სინტაქსურ პრობლემებთან, როგორიცაა მეტაფორების გამოყენება ტექსტის გარკვეულ ნაწილში და რთული კონსტრუქციის წინადადებების ახსნა/თარგმნა. ტექსტის სრულყოფილი თარგმანის მისაღებად მანქანა უნდა ითვალისწინებდეს ორივე პერსპექტივას, მათი ნაწილობრივი გათვალისწინება იძლევა შეუსაბამო თარგმანს.

აღსანიშნავია, რომ ბუნდოვანების, სტრუქტურული და ლექსიკური განსხვავებების, ასევე გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენების პრობლემები არა მარტო მყარი შესიტყვებების თარგმნის პროცესში გამოიკვეთა, არამედ მეტაფორების, მოქმედებათა აღმნიშვნელი სახელების სხვადასხვა ფორმის, აბრევიატურათა და სხვათა თარგმნის პროცესშიც.

როგორც ირკვევა ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის პროცესის კვლევისას, მანქანისთვის თარგმნის დროს მნიშვნელოვანი პრობლემაა „გადაჯაჭვის მიმართების“ ამოცნობა, რომელიც საფუძვლად უდევს ლექსიკური მნიშვნელობის გარდაქმნის ისეთ რეგულარულ ტიპს, როგორიცაა **მეტაფორა** [გამყრელიძე, 2008:327]. მანქანისთვის ადვილი აღმოჩნდა იმპლიკაციური კავშირების ამოცნობა, რადგან ისინი გამოსატყვევებელი სინამდვილეში არსებული მოქმედებების აზრობრივ ანალოგს. კლასიფიკაციური კავშირების ამოცნობა და თარგმნა ისევე გაუჭირდა მანქანას, როგორც ფრაზეოლოგიზმების თარგმნა, რადგან კლასიფიკაციური კავშირები მყარდება მსგავსების, საზიარო ნიშნების საფუძველზე, სწორედ კლასიფიკაციური კავშირის მნიშვნელოვანი გამოვლინებაა მეტაფორა. ვნახოთ, რა შედეგს იძლევა ქართული ენის მეტაფორების მანქანური თარგმნა:

შინ წელმოწყვეტილი დავბრუნდი [რ.ინანიშვილი. <https://www.aura.ge/103-saskolo/8474-rezo-inanishvili--damrigebeli.html>]. მდრ.: წელმოწყვეტილი განმარტებით ლექსიკონში ასეა განმარტებული: წელმოწყვეტილი-ი (წელმოწყვეტილისა) 1. ვისაც წელი მოწყვეტილი (ხერხემალი დაზიანებული) აქვს. ვის რად უნდოდა წელმოწყვეტილი ხარი (მ. არაგვ.). ოძელაშვილი წელმოწყვეტილივით ჩაჯდა უნაგირზე (მ. ჯავახ.). 2. გადატ. ილაჯგაწყვეტილი, ქანცამოცლილი. || ზარმაცი, უნიათო. 3. გულგატეხილი, გაუბედურებული. გამოუცდელი ქალი, ისიც ჯავრისაგან წელმოწყვეტილი და გულდაბნეული, რა პატრონობას გაუწევდა ოჯახს! (ე. ნინოშ.). სიტყვა წელმოწყვეტილი ფრაზეოლოგიზმ „წელი სწყდება“-სგან მიღებული მიმღეობაა: „წელი სწყდება, წელში გაწყვეტა – ძლიერ დასუსტება, დაუძლურება, ძალ-ღონის გამოცლა“ [ონიანი, 1977:181]. მანქანამ ფრაზა თარგმნა შემდეგნაირად: „и я вернулся домой, как будто год был сорван“. წელი მანქანამ „გაიგო“, როგორც წელიწადი. ქართული ომონიმური სიტყვების თარგმნის დროს ხშირად გვხვდება ასეთი დარღვევა. **იანდექსმა** განსხვავებულად თარგმნა იგივე წინადადება: „и я вернулся домой со слезами на глазах“, აქ საერთოდ ამოღებულია „წელმოწყვეტი-

ლის“ მნიშვნელობის ამსახველი სიტყვა, ან ფრაზა, თვალ-
ცრემლიანი დაბრუნება გამოხატავს წუხილს, მაგრამ ვერ აღ-
წერს სულიერ მდგომარეობას სრულად – პერსონაჟი წუხილ-
თან ერთად ნერვიულობისაგან ძალაგამოცლილია. 1. **ქვრივო-
ხერი?** – ორივე მთარგმნელ პროგრამას მივაწოდეთ **ქვრივო-
ხერი** ფორმით. **გუგლმა** თარგმნა ასე: „**вдовой Окери?**“, **იან-
დექსმა**, როგორც „**Вдовья охра**“, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერც
ერთმა და ვერც მეორე სისტემამ ვერ ამოიცნო კომპოზიტიური
სიტყვის მეორე კომპონენტი **ოხერი**, რომლის მნიშვნელობაც
განმარტებით ლექსიკონში შემდეგია: „**ოხერ-ი** (ოხრისა) ვისაც
არავინ არა ჰყავს, – უპატრონო, უთვისტომო, ეული...“
[<http://ena.ge/explanatory-online>]. საყურადღებოა აგრეთვე გუგ-
ლის თარგმანში დადასტურებული **Окери** „სიტყვაც“, რომე-
ლიც, ჩვენი ვარაუდით, მანქანური თარგმნის შუალედურ, საყ-
რდენ ენად გამოყენებული ინგლისური ენიდან უნდა მომდინა-
რეობდეს, რაზეც **ხ** ფონემის გადმოსაცემად რუსულ „თარგმან-
ში“ **к** ასოს გამოყენება მიგვანიშნებს: ინგლისურში ტრადიციუ-
ლად სხვა ენათა **ხ** ფონემას **kh** გრაფემათა კომპლექსი გად-
მოსცემს. ამრიგად, მანქანას მანამდე გაუჭირდება თარგმნოს
ქვრივოხერი კომპოზიტიანი წინადადებაც, რომელშიც ეს სიტ-
ყვა იქნება გამოყენებული, ვიდრე ადამიანი მიაწვდის საჭირო
ინფორმაციას მისი სემანტიკისა და სხვაენოვანი ეკვივალენტე-
ბის შესახებ.

2. წინადადებაში „გარდა ამისა, მრავალ ღონისძიებას
შევუხილეთ ჩვენი რესურსებით“ სიტყვა **შევუხილეთ** გამოყენე-
ბულია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ წარმოდ-
გენილი ერთადერთი მნიშვნელობით: **შეხილება** (შეხილებისა)
კუთხ. (გურ.) სახელი **შეხილება** ზმნის მოქმედებისა, – შველა
(გ. შარამ.). **გუგლმა** ამ წინადადების შემდეგი თარგმანი მოგვა-
წოდა: мы **будем видеть** многие события с нашими ресурсами
„ჩვენ ჩვენი რესურსებით **დავინახავთ** მრავალ მოვლენას“. **ჩანს**, პროგრამამ **შევუხილეთ** ზმნა არ იცის და იგი მიამსგავსა
შევხედეთ ზმნას, რამაც მთელი წინადადების თარგმნის პრო-
ცესი მცდარი მიმართულებით „გაიტყუა“. **იანდექსის** პროგრა-
მასაც იგივე ნაკლი აღმოაჩნდა – მან **შევუხილეთ** გააიგივა **შევე-**

ხეთ ზმნასთან და შედეგიც მცდარი გამოუვიდა: Кроме того, мы **прикоснулись** ко многим событиям с помощью наших ресурсов „ჩვენი რესურსების დახმარებით **ჩვენ შევეხეთ** მრავალ მოვლენას“.

3. დის **ნაზს ხელს** არ გაუსწორებია სასთუმალი [<http://buki.ge/library-4796.html>] – მოცემული ფრაზა მანქანამ **გუგლის მთარგმნელის** გამოყენებით თარგმნა შემდეგნაირად: **Рука сестры Наз не касалась подушки** „ბალიშს არ ეხებია დაიკო **ნაზის ხელი**“, სადაც პროგრამამ მიცემით ბრუნვაში მდგომი სიტყვაფორმა **ნაზს** აღიქვა ქალის პირსახელად; სულ სხვა ტიპის ცდომილება წარმოგვიდგინა **იანდექსის** საშუალებით თარგმნამ: Нежная рука сестры не касалась **неба** „დის ნაზი ხელი არ შეხებია **ზეცას**“. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ „გამოიცნო“ პროგრამამ სათარგმნ წინადადებაში სიტყვა **ზეცა**. Google-ს საცდელად შევთავაზეთ წინადადების მოკლე ფრაზის ვარიანტები: **დის ნაზს ხელს // დის ნაზ ხელს** და ორივე ვარიანტი წარმატებით გადაიტარგმნა: **Нежная рука сестры**. გამოდის, რომ მთლიანი ტექსტის თარგმნის დროს შეცდომა „გარანტირებულია“, ხოლო შედარებით მოკლე ფრაზებს უფრო ზუსტად თარგმნის მანქანა? ერთი რამ უდავო გვეჩვენება: ფაქტია, რომ ამ კონკრეტული წინადადების ბოლომდე სწორად თარგმნა ჯერჯერობით ვერც ერთი პლატფორმით ვერ ხერხდება.

4. წინადადება **იღუმალის მწუხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს გუგლმა** თარგმნა როგორც **С таинственной грустью не смотрел он в глаза Сатро в комнате больного** „იღუმალი მწუხარებით არ უყურებდა ის [მამაკაცი] სატრფოს [სატრფო გაგებულია ადამიანის საკუთარ სახელად] თვალებში ავადმყოფის ოთახში“. ამ შემთხვევაში გამოიკვეთა, რომ მთლიანი ფრაზა არასწორად გაიგო მანქანამ, რადგან ვერ ამოიცნო სიტყვა **სატრფო**. **იანდექსმა** იგივე წინადადება ასე თარგმნა: **она** не заглядывала с грустью в комнату **больной** „მას [ქალს] მწუხარებით არ შეუხედავს ავადმყოფის [ქალის] ოთახში“. ნათარგმნიდან მკითხველი ვერ მიხვდება, რომ სნეული კაცის ოთახში არ შეუხე-

დავს მის შეყვარებულ ქალს, რადგანაც თარგმანი გვეუბნება, ქალმა არ შეიხედა სნეული ქალის ოთახში. შესაბამისად, დაიკარგა წინადადების მნიშვნელოვანი დეტალი: ავტორის სათქმელი და პერსონაჟის ტრაგიზმი არც ერთი მთარგმნელობითი პლატფორმის მიერ ნათარგმნ ტექსტში არ იგრძნობა. ჩვენი აზრით, ერთი მიზეზი ამ შეცდომებისა ისაა, რომ პლატფორმებმა სწორად ვერ გაიგეს სიტყვა **სატრფო**, მეორე მიზეზია ის, რომ ქართულ ენას არა აქვს გრამატიკული სქესის კატეგორია, რუსულში კი ეს კატეგორია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს და სქესის გამოუხატველობა წარმოუდგენელია, რამაც „დააბნია“ მანქანა. ასეთ შემთხვევებში ადამიანის წინასწარ ჩარევა თარგმნის დაწყებამდე გარდაუვალი ჩანს. თუ მანქანას შევთავაზებთ შესაბამის ცნობებს, ისიც შესთავაზებს მომხმარებელს სწორ თარგმანს.

5. წინადადება **შევიდა საყვარელ შვილის ობლათ დატოვებულ ოთახში** გუგლმა თარგმნა შემდეგნაირად: *мать вошла в комнату, где ее любимый сын остался сиротой* „დედა შევიდა ოთახში, სადაც მისი საყვარელი შვილი ობლად დარჩა“, იანდექსმა კი შემდეგი ვარიანტი მოგვცა: *вошла в комнату, покинутую ее любимым сыном* „შევიდა მისი საყვარელი ვაჟიშვილის მიერ მიტოვებულ ოთახში“. პირველ შემთხვევაში ფრაზის შინაარსი არაზუსტია, **ოთახის ობლად დატოვება** მანქანამ გაიგო, როგორც **შვილის ობლად დარჩენა** თავისისავე ოთახში, მეორე შემთხვევაში კი მიახლოებულად თარგმნა, „შევიდა მისი ვაჟიშვილის მიერ მიტოვებულ ოთახში“, მაგრამ **ოთახის ობლად დატოვების** ხაზგასმით ავტორის მიერ გამოხატული გულისტკივილი „ობლათ“ სიტყვის უთარგმნელად არ ჩანს არც მეორე თარგმანში. მაგრამ თუ წინადადებას ოდნავ ჩავასწორებთ თანამედროვე ქართულის გრამატიკული ნორმებით **შევიდა საყვარელი შვილის ობლად დატოვებულ ოთახში** და ვთხოვთ მანქანას გვითარგმნოს, შემდეგ სურათს მივიღებთ: *Он вошел в комнату, оставленную любимым сыном сиротой* „ის [კაცი] შევიდა საყვარელი ვაჟიშვილის მიერ ობლად მიტოვებულ ოთახში“ (გუგლი); *Он вошел в комнату своего любимого сына* „ის [კაცი] შევიდა თავისი საყვარელი ვა-

ქიშვილის ოთახში“ (იანდექსი). ამრიგად, **გუგლის** თარგმანი აზრობრივად დაუახლოვდა დედნის ტექსტს, იანდექსმა კი კვლავ ვერ თარგმნა სიტყვა **ობლად**, თუმცა ცალკეული სიტყვის მიწოდების შემთხვევაში გამოიკვეთა, რომ მას სიტყვათა რესურსში აქვს ქართული **ობოლი**-ს შესაბამისი რუსული სიტყვა. ორივე ახალი თარგმანის არსებით ნაკლად კვლავ დარჩა გრამატიკული სქესის მცდარად გაგება.

6. **არსენა ჯორჯიაშვილი** ორივე პლატფორმის (გუგლის, იანდექსის) მიერ ითარგმნა, როგორც **Арсена Георгиашвили**. მართალია, **ჯ** ფონემა არ არსებობს რუსულში და მის ნაცვლად იწერება **дж**, მაგრამ მანქანამ დაარღვია ეს წესი და თარგმნა, როგორც **Георгиашвили**. ეს არის საყურადღებო ფაქტი გვარსახელში მანქანის მიერ გარკვეული ნაწილის თარგმნისა, უფრო ზუსტად, ტრანსკრიბირებისა. ამის გამო, თუ მკითხველი ცდის რუსული ვერსიით ამ კონკრეტულ პიროვნებაზე ინფორმაციის მოძიებას, ვერ შეძლებს, თუმცა არსენ ჯორჯიაშვილი ქართულ რეალობაში ცნობილი პიროვნებაა: იგი იყო დეპოს მუშა და გაფიცულ მუშათა რევოლუციური კომიტეტის გადაწყვეტილებით მოკლა რევოლუციური მოძრაობის მტერი, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალი ფიოდორ გრიაზნოვი. ამ ტერაქტის გამო იგი დახვრიტეს.

7. ერთ წინადადებაში სინტაგმა **უხორცო სუპს** ავტორი იყენებს იმ გაჭირვების ხაზგასასმელად, რომელსაც ოჯახი განიცდიდა. მანქანამ **უხორცო სუპი** ორივე სათარგმნი პლატფორმის საშუალებით გვითარგმნა როგორც **постный суп** „სამარხვო სუპი“. მართალია, ქრისტიანთათვის უხორცო სუპი ნამდვილად არის სამარხვო კერძი, მაგრამ მოთხრობაში მოცემული სინტაგმა **უხორცო სუპი** სათანადო პერიოდის ეკონომიკური სიდუხჭირის წარმოსაჩენად აქვს ავტორს გამოყენებული, რუსულ რეალობაში უხორცო სუპი, ჩვეულებრივ ჯანსაღ საკვებად ითვლება და არანაირ ემოციას არ გამოიწვევს ტექსტის თარგმანში მისი ამოკითხვა. „უ“ თავსართით წარმოებული მიმართებითი ზედსართავი სახელი დედნის ტექსტში გაჭირვებას გამოხატავს და მანქანის მიერ მოწოდებული რუსულად

თარგმნილი ვერსია სრულად უკარგავს ამ ფრაზას იმ ტრაგიზმს, რომელიც დედანში ამოკითხვის დროს იგრძნობა.

8. წინადადება ...**და ვიყავით მშვიდად, ტკბილად** ბედნიერებას, იდილიას გამოხატავს. გუგლის მიერ შემოთავაზებული უკეთესი თარგმანი ასეთია: И мы **мирились, сладко** „...და ჩვენ ვეგუებოდით // ერთმანეთს ვურიგდებოდით, ტკბილად“, რაც აზრობრივად გაუგებარია. იგივე წინადადება **იანდექსმა** თარგმნა შემდეგნაირად: И мы **были спокойны, милы** „ჩვენ ვიყავით მშვიდნი, საყვარელნი“.

9. წინასწარ ვიცოდით, რომ ფრაზაში **[ვთამაშობდით] ხან კოჭაობას, და ხანაც კაკლაობას** ძველი ქართული ხალხური თამაშების სახელწოდებებს: **კოჭაობა**-სა და **კაკლაობა**-ს მანქანა ვერ გადათარგმნიდა, მაგრამ ველოდით, რომ ტრანსლიტერაციულ **кочаоба** და **каклаоба** ფორმებს მაინც მოგვცემდა, მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა: გუგლმა ისინი ამ სახით „თარგმნა“: иногда в **пряники**, а иногда в **орехи** „ხანდახან თაფლაკვერს, ხან – კაკლებს“, ხოლო იანდექსმა შემდეგნაირად: иногда на **имбире**, а иногда и на **орехах** „ხანდახან კოჭაზე [ჯანჯაფილზე], ხან – კაკლებზე“. შდრ. ქეგლი: **კოჭაობა** (კოჭაობისა) სახელი **კოჭაობს** ზმნის მოქმედებისა, – კოჭის თამაში. **კოჭაობ-ს** კოჭს თამაშობს. [მანდილოსანს] საიდანღაც შეემჩნია, რომ მისი მოწაფე შვილები, მისივე ანაბარები და სხვა ქუჩის ბიჭები კოჭაობდნენ (ი. ეკალ.). ფულებით კოჭაობს ფულებით თამაშობს. || საუბ. გადატ. ბევრი ფული აქვს; ბევრ ფულს ხარჯავს, ფლანგავს. [თავადი] ფულებით კოჭაობდა (ვ. ბარნ.) (<http://ena.ge/explanatory-online>); **კაკლაობას, ჯილაობას** ა. ღლონტის ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონი ასე განმარტავს: ბავშვთა თამაშობაა ერთგვარი (ა. გვენც., თ. ბერიამშ.).

10. ფრაზა **მკერდში სულ რაღაც მწიწკნიდა** გუგლმა თარგმნა, როგორც в **груди все пульсировало** „მკერდში ყველაფერი პულსირებდა“, **იანდექსმა** კი საერთოდ გამოტოვა მოცემული წინადადების თარგმანი, მან ვერ ამოიცნო სიტყვა **მწიწკნიდა**, თუმცა google-ს მიერ თარგმნილ წინადადებაში გამოხატულია გულისცემა (ფიზიოლოგიური პროცესი) და არა ისეთი მძიმე ში-

ნაგანი განცდები, როგორიც დედნის წინადადებაშია გადმოცემული. **წიწკნის** ზმნას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს ქართულში. შდრ. ქეგლი: **წიწკნის** 1. (მოწიწკნა, მოუწიწკნია) გლეჯს (ბალახს, თმას...). დილა იყო., კურდღელი ხარბად წიწკნიდა დანამულ ჯეჯილს (თ. რაზიკ.). 2. (გაწიწკნა, გაუწიწკნია) კბილით ან ბრჭყალით წვრილ-წვრილ ნაწილებს აცლის. მეორე დღეს ფრინველნი უკვე [დათვის] ძვლებსა ხრავდნენ, წიწკნიდნენ, ზოგსაც პირდაპირ ყლაპავდნენ (ვაჟა). **ფიგურ. მიწის პატრონიც მე მწიწკნის, ჭინჭვლაც ჩემი მტერია** (რ. ერისთ.). 3. **დროდადრო ისე სტკივა, თითქოს გლეჯენ. ზის მელია, მუცელი მიმშილით წიწკნის** (თ. რაზიკ.). <http://ena.ge/explanatory-online>

11. არამხატვრული ტექსტის (სტატიის) სათაური „**როდესაც ოჯახში ერთი ბავშვი იზრდება**“ – რას ამბობს დედისურთებზე მეცნიერება სათარგმნი პლატფორმებით ითარგმნა შემდეგნაირად: **Когда в семье растёт один ребенок – что наука говорит о матерях** „როცა ოჯახში ერთი ბავშვი იზრდება – რას ამბობს მეცნიერება დედაზე“ (გუგლი); **Когда ребенок растёт в семье, что это говорит о матерях** „როცა ბავშვი იზრდება ოჯახში, რას ამბობს ეს დედებზე“ (იანდექსი). ორივე თარგმანი სხვადასხვაგვარადაა უზუსტო. ამ პლატფორმებისთვის სრულიად უცხო აღმოჩნდა ქართული სიტყვა **დედისურთა**, თუმცა პირველ ვარიანტში **ერთი ბავშვი** მაინც აღმოჩნდა ნათარგმნი, **იანდექსმა** კი სიტყვათა ეს წყვილიც არ წარმოადგინა. ქეგლში სიტყვა **დედისურთა** ასეა განმარტებული: **დედისურთა** (დედისურთასი) დედ-მამის ერთადერთი შვილი, მხოლოდ შობილი. დედისურთა ვაჟი. – [ქალო], დედისურთა ვარ, ნუ მომკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა! (ნ. ბარათ.). იქნებ დედისურთაც იყავი, იქნებ დედისათაც (გ. ხორგ.). იოთამს თვრამეტი წლის დედისურთა ვაჟი ჰყოლია (ა. სულაკ.). უღვაშაჯეჯილებულ ჯიბოს გაღმაუნელი ბასილა ბრეგვაძის დედისურთა ქალიშვილი სოფიო ჩაუვარდა გულში (ა. გეწ.). დედოფალ მარიამს მთელი ნებისყოფის დაძაბვა დასჭირდა, რომ არ ატირებულიყო და თავისი, მფარველი დედისურთა ვაჟი ხელახლა გულში არ ჩაეკრა (რ. ჯაფ.). || საუბ. ერთადერთი რამე. სტუდენტალაქიდან... ვაკის სასაფლაომდე დედისურთა ტრამვაი დადიოდა (კ. კობ.). დედისურთასავით ზმნს.

დედისერთას მსგავსად. [მამაჩემს] შვიდი შვილი ყვავდით და შვიდივეს დედისერთასავით გვანებივრებდა და გვესიყვარულებოდა (გ. ხორნ.).“ <http://ena.ge/explanatory-online>, რუსულ ენაში ერთადერთი შვილის აღმნიშვნელად გამოიყენება **единородный // единственный ребенок**, რომელიც „არ გაახსენდა“ მანქანას და, შესაბამისად, ვერც მოარგო სათარგმნ ფრაზას, არადა მანქანის რესურსში არის ეს ფრაზა და ქართულად **ერთადერთი შვილის** შეთავაზების შემდეგ უპრობლემოდ თარგმნა ის. გარდა ამისა, ორივე პლატფორმამ ხაზი გაუსვა არა იმას, თუ რას ამბობს **მეცნიერება** დედისერთა ბავშვის აღზრდის შესახებ, არამედ გახაზა, რას ამბობს ეს ფაქტი **დედებზეო**, რაც დედანში არ წერია. ამ შეცდომის ახსნა ჩვენთვის შეუძლებელია.

12. ფრაზაში **ჩინელი ფსიქოლოგის ძიან ცის** სახელი და გვარი მანქანამ გადაიღო ორ განსხვავებულ ვარიანტად: **Цзянь Ци** (გუგლი) და **Сянь Чжи** (იანდექსი). როგორც გავარკვეით, ორივე შემთხვევაში ფსიქოლოგის სახელი და გვარი არასწორადაა ტრანსლიტერირებული რუსულად: უნდა ყოფილიყო **Чжи-Сянь** (სახელი და გვარი სრულად ასე იწერება: **Чжу Зи Чжи-Сянь**. იგი ცხოვრობდა 1908-1991 წლებში). შესაბამისად გამოდის, რომ ფსიქოლოგის სახელი და გვარი არც ქართულად ყოფილა სწორად დაწერილი, მაგრამ ჩვენთვის არსებითია შემდეგის აღნიშვნაც: ორივე მთარგმნელმა პლატფორმამ სწორად ამოიცნო, რომ სახელი და გვარი უნდა გადაეღოთ რუსულ ენაზე და ასეც მოიქცნენ, როცა სინტაგმის ორივე ნაწილი დიდი ასოებით ჩაწერეს...

13. ზოგ შემთხვევაში მთლიანი ტექსტის შინაარსის, ანუ კონტექსტის გათვალისწინება ეხმარება მანქანას აზრის სწორად თარგმნაში. მაგალითად, რეზო ინანიშვილის ნოველა „დამრიგებლის“ თარგმანში მანქანა მასწავლებელ ქალზე მიმთითებელ ნაცვალსახელს თარგმნიდა მამრობითი სქესის ფორმაში, ხოლო ვაჟ პერსონაჟს ხან მამრობითი სქესით გადმოსცემდა და ხან – მდედრობითით. ამ მხრივ საყურადღებო აღმოჩნდა თარგმანი წინადადებისა **ერთხელ დავინახე, როგორ სტაცებდა ქუჩაში იმ თმას და კაბის კალთებს ქარი**.

დამრიგებელი ერთი ხელით თმას იჭერდა, მეორე ხელით – კაბის კალთებს და იცინოდა...“: Однажды я увидела (მდედრ. სქ.), как ветер развевал эти волосы и полы платья на улице. Учительница (მდედრ. სქ.) держала (მდედრ. სქ.) ее волосы одной рукой, полы платья другой рукой и смеялась (მდედრ. სქ.)... (გუგლი), ფაქტია, რომ მანქანამ კაბითა და გრძელი თმით „ამოიცნო“ სქესი პერსონაჟისა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მთხრობელის სქესზე მცდარი „დასკვნა გამოიტანა“, ვინაიდან სათანადო მინიმუმზე ფრაზაში ვერ იპოვა და ჩათვა-ლა, რომ მთხრობელიც ქალია. ცხადია, მას ტექსტის გარკვეუ-ლი სტრუქტურული კანონზომიერება აქვს მიწოდებული. ჩვენი მხრივ მეორე ჯერზე მანქანას შევთავაზეთ მარტივი წინადადე-ბა სათარგმნად: **მღვდლის კაბა ჩააცვეს მას, რომელიც გუგ-ლმა თარგმნა, როგორც **Они одели его в платье (კაბა) священ-ника**, იანდექსმა ასეთი ვარიანტი მოგვანოდა: **На него надели одеяние (სამოსი) священника“**. ცხადი გახდა, რომ კაბა რომ უპირატესად ქალის შესამოსელია, ამან სულაც არ განსაზღვრა სქესის სწორად თარგმნა, აქ კონტექსტებია გათვალისწინე-ბული.**

14. საინტერესო სურათი წარმოაჩინა მანქანურმა თარ-გმნამ ფრაზისა **საქართველოში მსოფლიო დონის LED ნათუ-რები იწარმოება**. გუგლმა ის შემდეგნაირად თარგმნა: **в Грузии производятся светодиодные лампы мирового уровня**, ხოლო **იანდექსმა** შემოგვთავაზა: **в Грузии производятся светодиодные лампы мирового класса**. როგორც ცნობილია, LED ნათურები თანამედროვეობაში მეტად პოპულარულია თავისი ენერგოეფ-რექტურობის გამო, „დიოდი ანუ LED არის დღევანდელი ყველაზე ენერგოეფექტური და სწრაფად განვითარებადი განათების ტექ-ნოლოგია. LED ნათურები უფრო დიდხანს ძლებს, უფრო გამ-ძლეა და გთავაზობთ უკეთეს სინათლის ხარისხს ვიდრე სხვა სახის განათება“, [<https://holst.ge/ge/article/linus-naturebi>]. **LED** სწორედ ინგლისური აბრევიატურაა, რომელიც იშიფრება ასე: **Light emitting diode „მსუბუქი ნათების დიოდი“**. მანქანამ აბრე-ვიატურა ორივე შემთხვევაში თარგმნა რუსულ ენაზე, როგორც **светодиодные лампы**, რაც შეესაბამება აბრევიატურის მნიშ-

ვნელობას (ჩვენ შეგვშურდა კიდეც ის, რომ რუსულ ენაზე უცვლელად კი არ არის გადმონერგილი ინგლისური აბრევიატურა, არამედ რუსულადაა სახელწოდება თარგმნილი). სინტაგმა **მსოფლიო დონის** რუსულად ითარგმნა განსხვავებულად: **Мирового уровня** და **Мирового класса**, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ორივე თარგმანი გამოხატავს ქართული სინტაგმის – **მსოფლიო დონის** მნიშვნელობას.

15. ჩვენი ყურადღება მიიპყრო წლების აღნიშვნამაც. **1908 წ. გუგლით** გადმოიცა ასე: **1908 г**, ხოლო იანდექსით თარგმნისას მანქანა ვერ მიხვდა **წ**-ს ფუნქციას, რუსული ასო ჩაწერა და გადმოიტანა წინა პოზიციაზე: **С.1908**.

16. სხვა აბრევიატურების თარგმნაც შევთავაზეთ თითოეულ მთარგმნელ პლატფორმას და შემდეგი სურათი მივიღეთ:

დედანი	translate.google.com	translate.yandex.com
ა.შ.	КАК.	A.Sh.
ე.ი.	то есть	то есть
იხ.	видеть	ср.
VII ს	VII век	VII C
ბ-ნ (დავითს)	Мистер (Дэвид)	Миссис (Дэвис)
ქ-ნ (ქ.ნ. ანას)	РС (Миссис Анна)	Ch-n (Миссис Анна)
გაერო	Объединенные Нации	ООН
და მისთ.	и его	и его
შპს.	ООО	ООО

ამ რამდენიმე მაგალითზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ქართული აბრევიატურების თარგმნა მანქანას უჭირს, მხოლოდ დროის აღმნიშვნელი აბრევიატურა თარგმნა **გუგლმა** რიცხვით სახელთან წყვილში, თუმცა ცალკე ისინიც ვერ ამოიცნო, ასევე რუსულ ველში შემოგვთავაზა ქართულ **ქ-ნ**, **ბ-ნ**-ს ინგლისური ვერსია რუსული ასოებით, დანარჩენი მაგალითები ორივე მთარგმნელი პლატფორმისათვის უცნობი აღმოჩნდა.

საყურადღებოა **ქართულ ეროვნულ ეთნოგრაფიულ რეალიებთან** დაკავშირებული ლექსიკის მონაწილეობით შედგენილი ფრაზეოლოგიზმებისა და ჩვეულებრივი სინტაგმების მანქანური თარგმნის ვერსიები.

მაგალითად, სიტყვები **ბოდჩა // ბოხჩა, ჩიხტი-კოპი, ლეჩაქი** შედიან როგორც ჩვეულებრივი სინტაგმების, ისე ფრაზეოლოგიზმების შემადგენლობაში. ისინი უკავშირდებიან ქართულ ეთნოგრაფიულ რეალიებს და ასახავენ ძველებურ კულტურას, ტრადიციებსა და ჩვევებს. მათი სახელწოდებების თარგმნა, ბუნებრივია, არ მოხერხდება, თუმცა თითოეული მათგანის განმარტების თარგმნის საშუალებით ადვილად გაიგებს მკითხველი მათ მნიშვნელობას. ამიტომ დავინტერესდით, რა შედეგს მოგვცემდა ამ სიტყვებით გადმოცემული რეალიების აღწერილობათა რუსული მანქანური თარგმანი. განმარტებები და მათი სემანტიკის დამადასტურებელი ტიპური ფრაზები ამოვკრიბეთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან. ეს განმარტებებია:

ბოდჩა – ბოდჩასავით გამოკრული რამ (თავშალი, ქურთუკი...). კაცმა მარცხენა ხელში ისევ ბოდჩად გამოკრული ქურთუკი დაიჭირა (რ. ინან.).

გუგლი: Богча – вещь, застрявшая наподобие богчи (шуба, шуба...). Мужчина держал в левой руке шубу, застрявшую в богче (Р. Инан.);

იანდექსი: Болото – вещь, вышитая в виде болота (головной убор, куртка...). В левой руке мужчина все еще держал мешковатую куртку (ТР. Инан.);

თარგმანიდან ირკვევა, რომ **ბოდჩა** რაღაც ნივთია, მაგრამ მანქანური თარგმანის მკითხველისთვის ამოუცნობი დარჩება, თუ რა სახისაა და ზუსტად რისთვის გამოიყენება იგი.

ჩიხტი-კოპი, ჩიხტა-კოპი – ჩიხტი და კოპი. დახუთული ჰაერის გამო... [ქალი] მალე ჩიხტა-კოპის მოხსნას შეუდგა (დ. სულ.);

გუგლი: Чихти-коп-и, Чихта-коп – Чихти и Копи. Из-за закрытого воздуха... [Женщина] вскоре начала снимать Чихта-коп (Д. Сул.);

იანდექსი: Чихти-Коп, чихта-Коп – чихти и копи. Из-за душного воздуха... [Женщина] вскоре начала снимать **чихта-Коппа**. მკითხველი ვერც ამ მანქანური თარგმანებიდან მიხვდება, რომ ჩიხტი-კოპი ორი ნაწილისაგან, ჩიხტისა და კოპისაგან შემდგარი თავმოსართავია ქალისა.

ქართულში აღმოსავლური ენებიდან (სავარაუდოდ სპარსულიდან) ნასესხები **ჩიხტი // ჩიხტა** სიტყვის შესატყვისად რუსულში დამკვიდრებულია იმავე სიტყვის რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი, რომელთაგან რუსულ ვიკიპედიაში ძირითად ვარიანტად **чохто** ფორმაა გამოტანილი ხუნძურ, ანდიურ, ღოდობერიულ, დარგუულ, ლეზგიურ და ყუმიკურ ვარიანტებთან ერთად: **чохто**, также известный как **чухта** (авар. **чухта, чухто [ჩუხტა, ჩუხტო]**, анд. **чутху [ჩუთხუ]**, годоб. **kɪxʈɪa [კამტა]**, дарг. **чуткъа[ჩუთყა]**, лезг. **шутку [შუთქუ]**, кум. **чутку [ჩუთქუ]**) — женский головной убор у народов Дагестана „ქალის თავსაბურავი დაღესტნის ხალხებში“ [<https://ru.wikipedia.org/wiki>]. როგორც ჩანს, მანქანას ან არ ჰქონდა მიწოდებული ეს ვარიანტები, ანდა ჰქონდა, მაგრამ იგი ფონეტიკური სხვაობის გამო ვერ მიხვდა, რომ ქართული **ჩიხტი // ჩიხტა** იგივე სიტყვაა. ადამიანის ჩაურევლად ამგვარი პრობლემის გადაჭრა ჯერჯერობით შეუძლებელია.

ლეჩაქი – 1. ქართული თავსაბურავი ქალისა, აბრეშუმის წმინდა ბადისებრი ქსოვილი; იხურავენ ჩიხტი-კოპთან და ბაღდადთან ერთად. დარეჯანმაც ყურთან ლეჩაქი გადაიკეცა, რომ კარგად გაიგოს (ილია). [ფერეიდნელი ქალები] იხურავენ ბაღდადსა და ლეჩაქსა (ი. გოგებ.). რა არ მოუტანია [ბაბოსთვის]: ხელთათმანები, ნაკერი ლეჩაქი, თავსაკრავი (ეკ. გაბ.). 2. ეს თავსახვევი როგორც ქალის ნამუსის, პატიოსნების სიმბოლო. «ვიბრძოლოთ ნამუსისათვის! ნუ შევარცხვენთ ქართველი ქალის ლეჩაქს!» (ა. ცაგარ.). მიჰყავდი იერიშებზე სამშობლოს, ვინც შენ დაგბადა, დედის ლეჩაქს და ყრმის აკვანს, საფლავებს მამა-პაპათა (გ. ლეონ.). «ჩვენს ლეჩაქს ეცით პატივი!» (ა. ყაზბ.).

გუგლი: Лечаки – 1. Грузинский головной убор женщины, сетчатая ткань из чистого шелка; Они смыкаются с Чихти-Копом

и Багдадом. Дареджан тоже заткнул ему ухо платком, чтобы он хорошо слышал (Илью). [Женщины-фереиды] закрывают Багдад и Лечак (И. Гогеб.). Что не принес [для Бабо]: перчатки, притачной лечак, повязку (Эк. Габ.). 2. до н.э. этот головной убор является символом женской чести и честности. „Давайте бороться за честь! Не будем смущать лечака грузинки!“ (А. Цагар.). Вы взяли на рейды Родину, вас породившую, ложе матери и колыбель ребенка, могилы отцов и дедов (Г. Леон.). “Уважайте нашего Лечака!” (А. Казб.);

იანდექსი: Лечач. Грузинский женский головной убор из шелковой сетчатой ткани; закрыт чихти-копом и Багдадом. Это была хорошая идея – хорошенько рассмотреть Звук (ы). [Ферейданские женщины] закрывают Багдад и Лечаксу (и. Гогеб.). Что не взяла с собой [для Бабо]: перчатки, сшитый лечач, повязка на голову (эк. габ.). 2. До н.э. Двигаться. Этот головной платок – символ женского намуса, честности. „Сражайтесь за НамУс! Нам не нужно ждать женщину целый год!“ (А. Цагар.). Возглавьте набеги на Отечество, на ту, которая вас родила, на лечак матери и колыбель ребенка, на могилы отцов и дедов (Г. Леон.). "Почитай нашего лечакса!" (А. Казб.).”

გუგლმა უცვლელად გადაიტანა **ლეჩაქის** სახელწოდება, მაგრამ **იანდექსმა** ის წარმოადგინა **Лечач**-ის მცდარი ფორმით. რაც შეეხება **ლეჩაქის** განმარტების თარგმნით ვერსიებს, შესაძლებელია, წარმოდგენა ნაწილობრივ სწორად შეექმნას დაინტერესებულ მკითხველს მათი დახმარებით. **ლეჩაქის** სემანტიკის ცოდნა კი, შესაძლოა, დაეხმაროს მკითხველს ქვემოთ წარმოდგენილი ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობის გაგებაში, პირდაპირი თარგმანის დროსაც კი. თითოეული ფრაზეოლოგიზმი შემდეგნაირად ითარგმნა მანქანურად:

ლეჩაქი არ გადაახიოს თავზე, ყურებზე – იგივეა, რაც **ყურებზე ხახვი არ დააჭრას** -ვერაფერს უზამს, ვერაფერს დააკლებს, ავნებს, ბუხსაც ვერ აუფრენს“ [ონიანი, 1977:163]; **გუგლმა** ამგვარად თარგმნა: **Не натягивайте полотенце на голову; ианდექსმა** კი ფრაზეოლოგიზმი საერთოდ ვერ თარგმნა.

ლეჩაქის ახდა, ლეჩაქის მოხდა – შერცხვენა, სახელის გატეხა, თავის მოჭრა, ნამუსის ახდა, იტყვიან ქალზე [ონიანი, 1977:108.]. გუგლმა ასე თარგმნა: **Что случилось в Лечаке**, იანდექსმა კი კვლავ ვერ თარგმნა ფრაზეოლოგიზმი.

ლეჩაქის დახურვა – შერცხვენა, თავის მოჭრა, იტყვიან ხოლმე მხდალობის ჩამდენ მამაკაცზე [ონიანი, 1977:108]. გუგლმა თარგმნა ასე: **Закройте крышку**, იანდექსმა ამჯერადაც ვერ თარგმნა ფრაზეოლოგიზმი.

სამივე შემთხვევაში გამოიკვეთა, რომ ორივე მთარგმნელ პლატფორმას ნაციონალური რეალიების ამსახველი სიტყვიერი რესურსის სრული (ერთ შემთხვევაში) და სერიოზული (მეორე შემთხვევაში) დეფიციტი აქვს.

7.4. მხატვრული და არამხატვრული ტექსტების რუსული ენიდან ქართულ ენაზე მანქანური თარგმნის თავისებურებანი

რუსული ენის ლექსიკაში ისევე, როგორც ქართულში, არის არა მხოლოდ ცალკეული სიტყვები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემომცველი რეალობის აღწერას, არამედ ფრაზები, რომლებსაც ფრაზეოლოგიური ერთეულები ეწოდება. გარდა რთული ფრაზეოლოგიური კავშირებისა, მიზეზობრივი ურთიერთობები შეიძლება გამოიკვეთოს ისეთი ფრაზული კონსტრუქციების გამოყენებით, როგორიცაა, მაგალითად, „**ფაქტია, რომ**“-ის მსგავს კონსტრუქციებში. ისევე, როგორც გრამატიკული მნიშვნელობების ფრაზების გამოყენებით გამოხატვის უმეტეს შემთხვევაში, საქმე გვაქვს სემანტიკური ელემენტების საკმაოდ რთულ კონფიგურაციასთან. ამრიგად, კონსტრუქციის სემანტიკური სტრუქტურა არის ის, რომ ის არ არის დაყვანილი მიზეზობრიობის იდეამდე.

როცა მანქანას საცავში არა აქვს სათარგმნი ენიდან მიწოდებული თარგმანის შესაბამისი ფრაზა, მანქანა რიგ შემთხვევებში ცდილობს, სიტყვა-სიტყვით თარგმნოს სიტყვათშეხამება, რაც სავსებით გამართლებულია, მაგრამ მხოლოდ იმ

შემთხვევაში, როცა ორივე ენაში ისინი სემანტიკურად ერთსა და იმავე აზრს გადმოგვცემენ, სხვა შემთხვევებში კი კარგავს აზრს მათი თარგმნა და მათი არსებობა ტექსტში უფუნქციო ხდება.

ქვემოთ წარმოვადგენთ რუსული მხატვრული და არამხატვრული ტექსტების ქართულ ენაზე მანქანური თარგმნის ზოგ ძირითად ასპექტს.

1. **უმру от смеха** – умру со смеху. თანამედროვე ზეპირმეტყველებაში აქვს 7 სინონიმი: афтар жжет, бугага, валяюсь от смеха, ржу нимагу, смешно, смеюсь, хохочу (Словарь синонимов В.Н. Тришин.2013. <https://slovaronline.com/browse/4dc418d9-dbda-377c-a65f-900ab061f504/умру-со-смеху>). მანქანური თარგმანი ორივე მთარგმნელ პლატფორმაზე სწორია, თუმცა მათ შორის განსხვავებულია მოქმედების დრო, კერძოდ, გუგლმა თარგმნა წარსულის ფორმით: **მოკვდი სიცილით**, იანდექსმა კი შემოგვთავაზა უფრო ზუსტი თარგმანი: **სიცილით მოკვდები**.
2. **упал в обморок (от смеха)** – Упасть в обморок, потерять сознание, впасть в обморочное состояние (<https://kartaslov.ru/значение-слова/упасть+в+обморок>). ამ შესიტყვების ქართულ თარგმანებად პლატფორმებმა შემოგვთავაზეს სრულიად შეუფერებელი **მიშკა გაფითრდა** (გუგლი) და ნაწილობრივი ეკვივალენტი **გონება დაკარგა** – საქმე ისაა, რომ რუსული ფრაზეოლოგიზმი გადატანით სიცილისაგან დაოსებას ნიშნავს, რაც ამ უკანასკნელ თარგმანში გამორჩენილია (იანდექსი). გადატანითობის გარეშე ეს რუსული ფრაზეოლოგიზმი ემთხვევა ქართულ შესიტყვებას **გონება დაკარგა** „გული წაუვიდა; დაიბნა, აირია, თავგზა (დ)აებნა“ [ონიანი,1966:27]. იმავე სემანტიკისაა აგრეთვე ქართული **გულის წასვლა, გული მისდის, გული უწუხს, გულზე ეყრება, გრძნობა ეკარგება** [ონიანი,1966:31].
3. **Я сошел с ума** – сойти с ума, сходить с ума (<https://ru.wiktionary.org/wiki->

/%D1%81%D0%BE%D0%B9%D1%82%D0%B8_%D1%81_%D1%83%D0%BC%D0%B0). ორივე პლატფორმამ მოგვცა შემდეგი მანქანური თარგმანი: **გავგიჟდი**. ქართულში ასევე გამოიყენება მისი პირდაპირი შესატყვისი **ჭკუიდან გადასვლა**, რომელსაც დიდი ემოციის დროს ხმარობენ, თუმცა, როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი არ მოეპოვება მთარგმნელ პლატფორმებს.

4. **Вот и все!** – რუსულში გამოიყენება შესიტყვებად მაშინ, როცა ადამიანი რამეს დაასრულებს, სრულყოფილ სახეს მისცემს. ქართულად თარგმნა მანქანამ, როგორც **სულ ეს არის** (გუგლი) და **ეს ყველაფერი** (იანდექსი), რომელთაგან პირველი ქართულშიც გამოიყენება დასასრულის აღსანიშნად.

ჩვენ გავაანალიზეთ ერთ-ერთ რუსულენოვან სტატიაში ასახული ფრაზეოლოგიზმების მანქანური თარგმნის შედეგებიც, რასაც აქვე წარმოვადგენთ. სტატია ეხება საწერი კალმის სწორად შერჩევას, შეიცავს თანამედროვე ე.წ. სამომხმარებლო ლექსიკას.

მიმოხილვას დავიწყებთ ფრაზით **не влезть (в дело)** (საქმეში) არ ჩაერიო; ნუ ჩაერევი“. იგი **გუგლმა** გვითარგმნა როგორც **არ შეხვიდე**. სიტყვა-სიტყვითი თარგმნის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მანქანას ეთარგმნა **არ შეძვრე**, მაგრამ პროგრამა „მიხვდა“, რომ სხვა რამ იყო საჭირო, თუმცა ის მაინც შეცდა. **იანდექსმა** აღნიშნული ფრაზა ტექსტის თარგმნის დროს მთლიანად გამოტოვა. ცხადია, ორივე პროგრამას არ მოეპოვება მონაცემები ქართული ენის **ჩარევა** ზმნისა: **ჩარევა** სახელი ჩ ა რ ე ვ ს, ჩ ა ე რ ე ვ ა ზმნათა მოქმედებისა: 1. ერთის მეორეში არევა, შერევა, გარევა. 2. **გადატ. რისამე მონაწილედ გახდომა; ჩაბმა. შენ ვინ გკითხავს... ჩემ საქმეში ჩარევას!...** – დაუყვია... სამსონმა დას (ე. ნინოშ.). **წილში ჩარევა** ვისიმე წილის მოზიარედ გახდომა. **სამხედრო ჩარევა** მონაწილეობის მიღება იარაღის გამოყენებით (სხვა ქვეყნის შინაურ საქმეებში). დაგმეთ ყოველგვარი აგრესია და სამხედრო ჩარევა სხვა ქვეყნების საქმეებში! (კომ.). **ქირურგიული ჩარევა** მედიც. ოპერაციის გაკეთება. ავადმყოფობის მსვლელობაში ქირურგიული

ჩარევის მიზანი შეიძლება ორგვარი იყოს (კომ.). (<http://ena.ge/explanatory-onlinej>). საანალიზო ტექსტში მოცემული ფრაზა გადატანითი მნიშვნელობითაა გამოყენებული, ამიტომ მანქანამ „ვერ მიაგნო“ ოპტიმალურ ვარიანტს ქართულ ენაში.

შესიტყვება **первый план** იგივეა, რაც **первым делом**, რომელიც განმარტებულია, როგორც **Вначале** (<https://moiposlovicy.ru/frazeologizmy>). მთარგმნელმა პლატფორმებმა მის შესატყვისად შემოგვთავაზეს **წინა პლანზე**, რაც უარყოფს იმ მოსაზრებას, რომელიც სიტყვა-სიტყვით თარგმნაზე დაფუძნებულად მიიჩნევს მანქანურ თარგმნას: მანქანას პირდაპირი თარგმნის შემთხვევაში უნდა ეთარგმნა **პირველ პლანზე/სიბრტყეზე**. შდრ.: **პლანი** – planum სიბრტყე, 1. დაშორებულობის მასშტაბი, ხარისხი. მაგ., წინა პლანი, უკანა პლანი. 2. წიგნ. რისამე განხილვის, აგების, რამესადმი მიდგომის ხერხი. მაგ., შედეგების შეფასება ფართო პლანით, საკითხის განხილვა თეორიულ პლანში. 3. კინემატ. გამოსახულების მასშტაბი კადრში“

(<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=31393>).

სინტაგმა **Золотое правило** ორივე მთარგმნელმა პლატფორმამ გვითარგმნა, როგორც **ოქროს წესი**. ის გავრცელებულია უმეტეს ენაში მსგავსი ფორმით, ასე ეწოდება იესოს საფუძვლმდებ წესს – ოქროს წესს: „ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექცეით მათ. ვინაიდან ეს არის რჩული და წინასწარმეტყველნი“ [მათ. 7:12, შდრ. ლუკ. 6:31]. ეს მაქსიმა კარგად იყო ცნობილი ძველად, განსაკუთრებით – იუდაიზმში. ქრისტიანთათვის ის სიყვარულის – კაცთმოყვარების კონტექსტში უნდა იქნეს აღქმული და გააზრებული (<http://www.nplg.gov.ge>). მიუხედავად იმისა, რომ მისი დამკვიდრება მეტყველებაში უკავშირდება ბიბლიას, მაჰმადიანური ქვეყნების სამეტყველო ენებშიც მოიძებნა ეს გამონათვაში: „ოქროს წესის პოზიტიური მოდელი: მოექცეით სხვებს ისე, როგორც გინდათ რომ მოგექცნენ თქვენ. ოქროს წესის უარყოფითი მოდელი: ნუ მოექცევი სხვებს ისე, რო-

გორც არ ისურვებდი, რომ მოგექცნენ. (ვერცხლის წესი)“ (არაბ.) (<https://ar.wikipedia.org/wik>).

7.5. ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების მანქანური თარგმნის თავისებურებანი

სარწმუნოება დიდ გავლენას ახდენს ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე. ადამიანთა სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების შინაარსს, მათი სოციალურ-კულტურული დამოკიდებულებების ხარისხს ოდითგან განსაზღვრავდა რელიგიური იდეოლოგიის საკითხები. ერთმორმუნე ერთა კულტურათშორისი დიალოგის კონტექსტში საინტერესოა ქართულ და რუსულ ენებზე ბიბლიიდან შემოსული და დამკვიდრებული ფრაზეოლოგიზმების მანქანურ თარგმნაზე დაკვირვება, კერძოდ, დასადგენია, როგორ აისახება ისინი ენების ელექტრონულ კორპუსში. სწორედ თაობიდან თაობას გადაცემული ბიბლიასთან დაკავშირებული გამონათქვამები ემსახურება ეროვნული ცნობიერების თავისებურებების თარგმნისა და დაფიქსირების საშუალებას.

რაკი ქართველებისა და რუსების უმრავლესობა ქრისტიანები ვართ, ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების დიდი ნაწილი საერთოა ორივე ენისათვის, თუმცა არსებობს ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც თითოეულმა ერმა კულტურული და სოციალური ფაქტორის გათვალისწინებით გამოყო და აირჩია მხოლოდ თავისად. განვიხილავთ ზოგი მათგანის მანქანური თარგმნის დროს გამოკვეთილ თავისებურებებს:

ალილო და ხვალაო „ამასაც მალე ვნახავთ, ესეც მალე გამოჩნდება“. „ალილო“ ძველისძველი სიმღერაა, რომელსაც შობის წინა ღამეს მოსალოცად კარდაკარ სიარულის დროს ასრულებენ. ალილო — ქართული საწესო სიმღერა. სრულდებოდა შობის წინა ღამეს. შეიკრიბებოდა რამდენიმე კაცი (სულ მცირე 3 (რადგან სიმღერა სამხმიანია), ჩამოუვლიდა ყოველ ოჯახს და სიმღერით დღესასწაულს მიულოცავდა. მასპინძელი მომღერლებს სანოვავით ასაჩუქრებდა (აუცილებლად უნდა გაეტანები-

ნათ კვერცხი – სიცოცხლისა და ნაყოფიერების სიმბოლო). ალილოს ტექსტებში („ოცდახუთსა დეკემბერსა“, „ჩიტი ღობეზე შემოჯდა“, „წისქვილს პური დავარიგე“ და სხვ.) გამოთქმული იყო ჯანმრთელობის, ბედნიერებისა და ბარაქიანობის სურვილი. ალილო მთელ საქართველოში იყო გავრცელებული და ყველა კუთხეში თავისებურად ასრულებდნენ. სიმღერას წარმართული ჰანგი უდევს საფუძვლად. „ალილო“, როგორც ჩანს, მოგვიანებით დაერქვა (**ალელუია** სიტყვისგან). ვარაუდობენ, რომ საშობაო და სააღდგომო სიმღერების საერთო სახელწოდება უნდა ყოფილიყო **ჭონა**. (<https://ka.wikipedia.org/wiki/E%9D>). ფრაზეოლოგიზმს **ალილო და ხვალაო** აქვს მნიშვნელობა წინადადებისა: „მალე ყველაფერი გაირკვევა“. იგი ხშირადაა გამოყენებული მხატვრულ ლიტერატურაშიც: „აი, **ალილო და ხვალაო**, მაინც არ იშლიდა თავისას პეპია“ (ილია) (<https://www.ice.ge/liv/liv/kartidiomebi.php>). **ალილო და სხვალაო** მანქანამ თარგმნა შემდეგნაირად: **Привет и завтра** (გუგლი) და **Алило и завтрашний день** (იანდექსი). შობის დღესასწაული ორივე ერის სარწმუნოებრივ იდეოლოგიაში მნიშვნელოვანია, მაგრამ ქართული კულტურული ელემენტების გავლენამ ეს ფრაზეოლოგიზმი ჩამოაყალიბა ასეთი სახით და, ბუნებრივია, რუსულში მსგავსი ფრაზეოლოგიზმი ვერ იქნებოდა. შესაბამისად, მანქანური თარგმნის ვერსიები არასწორია. თუმცა რუსულში არის მსგავსი სემანტიკის ფრაზეოლოგიზმი **Поживем-увидим**, რომელსაც ხმარობენ იმ შემთხვევაში, როცა რაღაც კონკრეტული მომენტისათვის გაურკვეველია, მაგრამ იმედი აქვთ, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი გაირკვევა (<https://rus-phrasology-dict.slovaronline.com>). მთავარი სხვაობა ქართულსა და რუსულ ფრაზეოლოგიზმებს შორის ისაა, რომ ქართული ფრაზეოლოგიზმი რელიგიური ტრადიციის განუყოფელი ნაწილია, ხოლო რუსული არ უკავშირდება სარწმუნოებას.

ბაბილონის გოდოლის აშენება – „ღრიანცელი, უაზრო ხმაური, არევ-დარევა, უთავბოლობა (ბიბლიური ლეგენდის მიხედვით, ბაბილონის ძლიერი სამეფოს შემქმნელმა ვინმე ნიმროდმა, მთელ ქვეყანაზე გაბატონების მიზნით, დაიწყო გოდოლის ანუ მაღალი კომკის აშენება, რომელიც ცას უნდა

მიბჯნოდა. ნამროდის თავხედობით განრისხებულმა ღმერთმა გოდოლის უამრავ მშენებელს აურია ენა – თითოეული მათგანი სხვადასხვა ენაზე ალაპარაკა და, ამდენად, მოუსპო ურთიერთგაგებინების საშუალება. ამან გამოიწვია უთავბოლოობა, არეუ-დარევა და მშენებლობის ჩაშლა. ამ ლეგენდას უკავშირდება აღნიშნული იდიომი). „...ერთსა და იმავე დროს ბავშვმა უნდა გაიკვეთოს ქართული ასოები, რუსული ასოები, ისწავლოს მათი გამოხატვა, მათგან მარცვლების, სიტყვების და ფრაზების შედგენა... საწყალო ბავშვებო! თუ თქვენ ამ **ბაბილონის გოდოლის აშენებაში** სრული გონება კიდევ შეგრჩათ, ბარაქალა თქვენის ბუნების ძლიერებას“ (ილია) [ონიანი, 1966:19]. „ბაბილონის გოდოლის აშენება“ გუგლმა თარგმნა შემდეგნაირად: „Строительство Годола Вавилона“, იანდექსმა კი, როგორც „Строительство вавилонского Годола“. მანქანამ იდიომა ვერ თარგმნა, მისთვის უცხო აღმოჩნდა სიტყვა „გოდოლი“, რომელიც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ასეა განმარტებული: „**გოდოლი/გოდლისა** (ძვ.) – მაღალი კოშკი, ზოგჯერ ზღუდე-გალავნით“ [ქეგლი, 1986:150]. რუსულში არის ფრაზეოლოგიზმი **Вавилонская башня**, რომელიც განმარტებულია შემდეგნაირად: „**Вавилонская башня** – башня, которой посвящено библейское предание, изложенное в 11 главе книги Бытие (Быт. 11:1—9). Согласно этому преданию, после Всемирного потопа человечество было представлено одним народом, говорившем на одном языке. С востока люди пришли на землю Сеннаар (в нижнем течении Тигра и Евфрата), где решили построить город, названный Вавилоном, и башню до небес, чтобы «сделать себе имя». Строительство башни было прервано Богом, который создал новые языки для разных людей, из-за чего они перестали понимать друг друга, не могли продолжать строительство города и башни и рассеялись по всей земле. Таким образом, история о Вавилонской башне объясняет появление различных языков после Всемирного потопа“ [https://kartaslov.ru].

ჯოჯოხეთის მამხალა „ძალიან უშნო, მაზინჯი, ცუდი გარეგნობის ადამიანი“. მისი გამოყენების ტიპური მაგალითი:

ჩემმა ბრძანების კილომ ძალიან შეაშინა ეს რუხი და **ჯოჯოხეთის მამხალა** დედაკაცი (მ. არაგვ.) [ონიანი, 1966:195]. ამ ფრაზეოლოგიზმის თარგმანი მანქანამ შემდეგი სახით მოგვცა: **Машхала Ада** (გუგლი) და **Ад из преисподней**. რუსულ ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკონში არ დაიძებნა სინონიმური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმი, შესაბამისად, მანქანისთვისაც უცხო აღმოჩნდა ეს ფრაზეოლოგიზმი.

აბრაამის ტაბლა – „უხვი, ყოველგვარი სანოვაგით პირთამდე სავსე სუფრა; სტუმართმოყვარეობა, გულუხვობა“ (<http://idioms.tsu.ge/?paged=91&cat=54>). მანქანამ იგი ორივე შემთხვევაში თარგმნა როგორც **Табла Авраама**, რამაც დაგვიდასტურა, რომ რუსულში არ იძებნება მსგავსი სემანტიკის ფრაზეოლოგიზმი და პირდაპირი თარგმანიც გაუჭირდა მანქანას, რადგან არ იცნობს არც სიტყვა **ტაბლას**, რომელიც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ შემდეგნაირადაა განმარტებული: 1. დაბალი მაგიდა. ზურიას ოჯახი ნაგვიანევ ვახშამს შემოსხდომოდა და ტაბლაზე გაშლილ ხორაგს ხმამაღულელებივ შეექცეოდა (მიხ. მრევლ.). || ასეთ მაგიდაზე დაწყობილი სასმელ-საჭმელი. შინ რომ ყმაწვილსა შიოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო (ანდაზა). მშვირები ტაბლას მოუსხდნენ, სუფრის თავს დასვეს ჭადარა (ს. მანშ.). ხორცი უკვე გაცივდა, მაგრამ თავკაცები ღვთისავარის მოლოდინში არიან და ჯერ ტაბლას არ მისხდომიან (მ. ჯავახ.). 2. ძვ. რელიგ. მიცვალებულის სულის მოსახსენებლად მომზადებული სასმელ-საჭმელი, რომელსაც მღვდელი აკურთხებდა, – საკურთხი. დღესაც ყველგან დარჩენილია ჩვეულებად სამკვდრო ტაბლა (ილია). ათასში ერთხელ .. ნაცნობთაგანი თუ ვინმე მიიტანს... [პაპას და თამარის] საფლავზე ტაბლას (ვაჟა). || კუთხ. (იმერ., გურ.) საკურთხისათვის გამომცხვარი ოთხკუთხი ხაჭაპური. 3. ძვ. ეთნ. ტაბაკზე, ხონჩაზე... დაწყობილი მისაკვლეველი, რომელიც მეკვლეს ახალწლის დილას ოჯახში მიჰქონდა. გოგია საახალწლო ტაბლით... კარებში იდგა (ეკ. გაბ.). 4. კუთხ. (ქიზ.) ჯარის (სართავი მანქანის) საყრდენი.

ეშმაკის კერძი „ბოროტი, უკუღმართი ვინმე“. ტიპური ფრაზა: შენ რომ იცოდე, მაგ **ეშმაკის კერძმა** რამდენი მაწვალა

(ყაზბ.) (ონიანი, 1966, 68). მანქანამ ფრაზეოლოგიზმი რუსულად შემდეგნაირად გადათარგმნა: **дьявольское блюдо** (გუგლი) და **Блюдо дьявола** (იანდექსი). ორივე შემთხვევაში ფრაზა სიტყვა-სიტყვითაა ნათარგმნი და სრულებით არ გადმოსცემს ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობას...

ამგვარი ფრაზეოლოგიზმების თარგმანთა განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **მანქანა არ აღმოჩნდა მზად ფრაზეოლოგიზმების თარგმნისათვის ერებს შორის განსხვავებული ეთნიკური მსოფლმხედველობისა და ეთნოლოგიური სიშორის გამო**, თუმცა ერთი ეთნოსის შიგნითაც გვხვდება მრავალი კუთხური სხვაობა, მაგალითად:

ადამი[ს]ქმინდელი, ადამქამინდელი – ძველი, დიდი ხნისა: ბებერი. მაგას კი ნიაღვრე ექსონების **ადამიქმინდელი** (ხევს.) [<https://www.ice.ge/liv/liv/xevs.php>];

იუდა – ბოროტი სული, ავი სული. **იუდამ ზღვან ამაჩქვიფნა, ბეგარ დავგდვა ცაშიითა** [ხევს. პოეზ, 624:1]; აგრეთვე **ოიდის კერძი** – უკუღმართი, ეშმაკი. [<https://www.ice.ge/liv/liv/xevs.php>].

ბიბლიურ ფრაზეოლოგიზმთა ნაწილი სიზუსტით თარგმნა მანქანამ ან მცირედი ცვლილებით, რაც ადასტურებს, რომ ისინი რეგულარულად გამოიყენება, როგორც ქართულ, ისე რუსულ მეტყველებაში და მანქანაც მზად აღმოჩნდა მათი თარგმნისათვის. ამ რიგის მაგალითებიდან მოგვყავს მხოლოდ ნაწილი:

უძღები შვილი „უმადური ადამიანი. ქართული საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ტრადიციით, უმრწემესი ძე (იგივე უმცროსი ძმა) ამ ბიბლიურ იგავში იწოდება, როგორც **წარწყმედი, მეცთომილი, უძღები, დაკარგული**, ასევე **მფლანგველი**“ [ლუკა 15, 32]. ეს ფრაზეოლოგიზმი გამოიყენება სხვადასხვა სემანტიკით: „1. წევრი ამა თუ იმ წრის, რომელიც არ ემორჩილება ამ წრის სურვილს; ვინც თავის ქეიფზე დადის; 2. ახლა ხუმრობით იხმარება ისეთზე, ვინც საზოგადოების ნება-სურვილს არ ემორჩილება და თავის ჭკუით უკეთურ გზას ადგას ხოლმე“ [სახოკია, ტ. 2, 1984:187]. ეს შესიტყვება ასევე გამოიყენება მაშინაც, როცა ადამიანი თავის საქციელს

მოინანიებს. იგი გუგლმა თარგმნა ბიბლიური ფრაზით **Блудный сын**. იანდექსმა არ თარგმნა ფრაზეოლოგიზმი.

გუგლმა ფრაზეოლოგიზმი **უძღები მზილი** რუსულად გადაიღო ზუსტად:

блудный сын значит:

сын, вышедший из повиновения отцу; употребляется в значении: человек беспутный, нравственно нестойкий, но чаще в значении: раскаявшийся в своих заблуждениях“ (<https://dic.academic.ru>). აქვე ვცადეთ, რუსულიდან ქართულად გვეთარგმნა იგივე ფრაზეოლოგიზმი, სურათი ისევ იგივეა.

ციური მანანა „ძალიან სასურველი, სანატრელი, საჭირო და მიუღწეველი რამ“. ბიბლიაში ესაა ციური საკვები, რასაც 40 წლის განმავლობაში ყოველდღე უგზავნიდა უფალი ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს უდაბნოში სვლის დროს. მხოლოდ შაბათს არ მოდიოდა ციდან მანანა (რადგან შაბათი ღლე ებრაელთათვის უქმე ღლე იყო), სამაგიეროდ პარასკევ ღლეს უფალი ორმაგ ულუფას უგზავნიდა. ყველას იმდენი უნდა აეკრიბა, რამდენიც დღიურად სჭირდებოდა, თუ ვინმე ზედმეტს აკრებდა, უფუჭდებოდათ (მატლები ეხვეოდა). შდრ.: „და უწვმა მანანაჲ საქმლად და პური ცათაჲ მოსცა“ [მათ: 77.24]. ფრაზეოლოგიზმი გუგლისა და იანდექსის მთარგმნელმა პლატფორმებმა ერთნაირად სრულყოფილად თარგმნეს: **Небесная манна**.

იერიქონის საყვირი „ითქმის ძალიან დიდი, მჭექარე ხმის შესახებ“. მომდინარეობს ქალაქ იერიქონის სახელიდან, რომლის მიუვალი კედლები, ბიბლიის მიხედვით (ი.ნ.6), დააქცია ებრაელი მეომრების საყვირთა ხმამ“ [<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=15792> „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“] რუსულად ზუსტად თარგმნა მხოლოდ გუგლის მთარგმნელმა პლატფორმამ: **Труба Иерихона**. რუსულიდან ქართულად არგმნის შემთხვევაშიც იგივე სურათი მივიღეთ...

7.6. მითოლოგიური ფრაზეოლოგიზმების მანქანური თარგმნის თავისებურებანი

მითოლოგიური ფრაზეოლოგია არის თემა, რომელსაც ხშირად განიხილავენ ენათმეცნიერები. ჩვენი მიზანია ამ ჯგუფის ფრაზეოლოგიზმთა მანქანური თარგმნის ლექსიკურ-გრამატიკულ თავისებურებებზე დაკვირვება. განვიხილავთ ზოგ მათგანს.

აქილევსის ქუსლი – ბერძნული მითის თანახმად, აქილევსი იყო ტროას ომის ერთ-ერთი გმირი, ჰომეროსის პოემა „ილიადას“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ფთიაში მცხოვრები მირმიდონების მეფე პელევსისა და ზღვის ქალღმერთ თეტიდას ვაჟი. იმისათვის, რომ აქილევსი უკვდავი გაეხადა, თეტიდა მას ღღისით წმინდა მდინარეში აბანავებდა, ღამლამობით კი ცეცხლის ალით რუჯავდა. ერთხელ ეს შენიშნა პელევსმა და შეშინებულმა ბავშვი ცეცხლიდან გამოაყვანინა. ამის გამო თეტიდამ პელევსი მიატოვა. სხვა მითის მიხედვით, თეტიდა აქილევსს ბანდა სტიქსის წყლით, რის გამოც არავითარ იარაღს არ შეეძლო მისი სხეულის დაზიანება. ცეცხლის ალისაგან თუ სტიქსის წყლისაგან შეუხებელი რჩებოდა ბავშვის მხოლოდ ცალი ქუსლი, რომელზეც ბავშვის გაბანის დროს ხელი ეკიდა თეტიდას. ამიტომ ცალი ქუსლი იყო აქილევსის სუსტი ადგილი (<https://ka.wikipedia.org>). ფრაზეოლოგიზმი **აქილევსის ქუსლი** ამჟამად გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ენაში და აღნიშნავს სუსტ ადგილს, რომელმაც პირი ან საქმე შეიძლება შეიწიროს. ორივე მთარგმნელმა პლატეფორმამ ეს შესიტყვება რუსულად სწორად თარგმნა – **Ахиллесова пята**. ამით დადასტურდა ამ ფრაზეოლოგიზმის ხშირი გამოყენება ქართულშიც და რუსულშიც.

გორდიას ნასკვი – ითქმის რაიმე დახლართული საქმის, ძნელი ამოცანის, გამოუვალი მდგომარეობის შესახებ. **გორდიას კვანძის გახსნა** – რაიმე რთული, დახლართული საკითხის გაბედულად, ძალის გამოყენებით გადაწყვეტა. ძველი ბერძნული ლეგენდის მიხედვით, ფრიგიის მეფე გორდიამ დახლართა კვანძი; ორაკულს ნაწინასწარმეტყველები ჰქონდა, რომ ვინც

ამ კვანძს გახსნიდა, აზიის მბრძანებელი გახდებოდა. ალექსანდრე მაკედონელმა გახსნის მაგივრად მახვილით გაკვეთა იგი და გახდა კიდევაც აზიის დიდი ნაწილის მბრძანებელი [<http://www.nplg.gov.ge>]. ფრაზეოლოგიზმი **გორდიას ნასკვი** გუგლმა თარგმნა, როგორც **могила Гордии**, ხოლო იანდექსმა რუსული ასოებით უცვლელად გადაწერა ფრაზეოლოგიზმის ქართული ვერსია – **Гордиас наскви**, არადა რუსულ ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკონში არის **გორდიას ნასკვის** შესაბამისი რუსული ფრაზეოლოგიზმი თავისი განმარტებითურთ: **Гордиев узел** – чрезвычайно сложный узел, завязанный, согласно древнегреческой мифологии, фригийским царём Гордием, а впоследствии рассечённый мечом Александра Македонского. В переносном смысле выражение «гордиев узел» означает всякое запутанное сплетение обстоятельств, а выражение „разрубить гордиев узел“ – разрешить какое-либо сложное, запутанное дело, какие-либо затруднения прямолинейным способом (<https://ru.wikipedia.org>). სავარაუდოა, რომ მანქანამ ვერ ამოიცნო ქართული **ნასკვის** მნიშვნელობა: „1. რისამე (თოკის, ძაფის და მისთ.) გადასკვნის ადგილი, – კვანძი. ძველად კითხვის დროს მოწაფეებს ეჭირათ ხელში წვრილი ბაწარი..., ათგან გამოსკვნილი. რამდენჯერაც წაიკითხავდნენ, იმდენ ნასკვს ჩაადებდნენ კრიალოსანივით (აკაკი). ჩუმად ფუსფუსებს ობობა, აბამს და აბამს ქსელებსა, თან ატანს უჯრა ნასკვებსა, ეშმაკურ გასახსნელებსა (შ. მღვიმ.). || ფიგურ. აი სად არის ჭირი დღევანდელი პოლიტიკისა. აი სად არის მისი ნასკვი, ჯერ ძნელად გამოსახსნელი (ილია). 2. გადატ. რთული, ძნელად დასაძლევ ვითარება. გრძლად თქმულს მოკლედ გამოვნასკვავთ, რომ შესაძლებელი იყოს ნასკვი საქმისა უფრო ცხადად გავითვალისწინოთ (ილია). 3. ბოტან. ბუტკოს ქვედა გაფართოებული ნაწილი, რომელიც ნაყოფად ვითარდება. ნასკვები ცვივა და, ცხადია, საგრძნობლად მცირდება მოსავალი (კომ.)“ (<http://ena.ge/explanatory-online>). როგორც ჩანს, მხოლოდ **გორდია** არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ მანქანას ქართული ფრაზეოლოგიზმის რუსული ვერსია ეპოვა. მანქანას საცდელად შევთავაზეთ **Гордиев узел** ფრაზეოლოგიზმის ქარ-

თულად თარგმნა. მან იგი იცნო და თითქმის სწორად გადმო-
თარგმნა, როგორც **გორდიუს კვანძი**. ირკვევა, რომ, როგორც
ფრაზეოლოგიზმი, ის უცნობია მანქანისათვის. აქ სხვა გარემო-
ებაც იქცევს ყურადღებას: ქართულად გადმოღებული შესიტყ-
ვების **გორდიუს** პირსახელში უ ხმოვნის არსებობა მიგვანიშ-
ნებს, რომ **რუსულიდან ქართულად თარგმნისას შუალედუ-
რი ენა ინგლისურია, ანუ ფრაზები ჯერ ითარგმნება ინგლი-
სურად, მერე კი სამიზნე ენაზე** – საქმე ისაა, რომ გორდიუს ვა-
რიანტი სწორედ ინგლისურში დასტურდება, მაგრამ არა
გვაქვს არც რუსულში და არც ქართულში (მდრ. ზემოთ გვარსა-
ხელ **ჯორჯიაშვილი**-ს რუსულად გადაღების მაგალითი –
Георгиашвили).

დიოგენეს ფარანი – ცნობილი ძველი ბერძენი ფილო-
სოფოსი დიოგენე უარყოფდა კერძო საკუთრებას, იმდროინდე-
ლი ქორწინების ფორმებსა და კულტს. იმ თვალსაზრისის სა-
ფუძველზე, რომ სიმდიდრე, ფუფუნება რყვნის ადამიანს და
უკარგავს მას ადამიანურ ღირსებებს, დიოგენე ზედმეტად მი-
იჩნევდა არა მარტო ფუფუნების საგნებს, არამედ პირველადი
მოთხოვნების საგნებსაც კი. გადმოცემის თანახმად, დიოგენემ
ხელი აიღო მთელ თავის ქონებაზე და დაიტოვა მხოლოდ ერ-
თადერთი ვერცხლის თასი, რომელიც თან დაჰქონდა წყარო-
დან სასმელი წყლის ამოსაღებად. ღამესაც კი კასრში ათევდა
ფილოსოფოსი. მან ერთხელ თვალი შეასწრო მწყემსს, რო-
მელმაც წყაროდან პეშვით ამოიღო წყალი და ისე დალია. დი-
ოგენემ ვერცხლის თასიც გვერდზე გადაისროლა, ესეც ზედმე-
ტი ყოფილაო. განდევნილობის მქადაგებელი ფილოსოფოსი
დიდ მოთხოვნებს უყენებდა ადამიანს. როგორც გადმოგვცე-
მენ, ღღისით იგი ანთებული ფარნით დადიოდა ათენის ქუჩებ-
ში და გამვლელთა შეკითხვაზე, ეს რას ნიშნავსო, უპასუხებდა,
ადამიანს დავეძებო (<https://ucnauri.com>). აქედან მომდინარე-
ობს ფრაზეოლოგიზმი **დიოგენეს ფარანი** და ნიშნავს მძიმე
მდგომარეობიდან თავის დაღწევის ცრუ საშუალებას, გამოიყე-
ნება, როცა სურთ ხაზგასმა იმისა, რომ ვინმე ნათელ წერ-
ტილს, გამოსავალს, ან ღირსეულ პიროვნებას დაეძებს იქ, სა-
დაც ის არ შეიძლება იყოს. ფრაზეოლოგიზმი ორივე მთარ-

გმნელმა პლატფორმამ რუსულ ენაზე ერთნაირად სწორად თარგმნა, როგორც **Фонарь Диогена**, რუსულ ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკონში მანქანური თარგმანის ვერსია მოცემულია, როგორც რუსული ფრაზეოლოგიზმი (<https://citaty.su/fonar-diogena>).

სიზიფეს შრომა – ითქმის დაუსრულებელ და უნაყოფო მძიმე შრომაზე. მას საფუძვლად უდევს მითი საბერძნეთის (კორინთოს) მითიური მეფის სიზიფოსის შესახებ: ღმერთების გადაწყვეტილებით, ცოდვების გამო მას მაღალ მთაზე უნდა აეგორებინა მძიმე ქვა, რომელიც მწვერვალზე ატანისთანავე უკან გორდებოდა

(<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=37189>) . ფრაზეოლოგიზმი რუსულად ითარგმნა მანქანურად და მივიღეთ **Сизифов труд**, რომელიც ფორმით მთლიანად დაემთხვა რუსულ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში წარმოდგენილ ვარიანტს (<https://ru.wiktionary.org/wiki>).

7.7. შემეცნებისა და მასთან დაკავშირებული პროცესის აღმნიშვნელი ქართული ფრაზეოლოგიზმების რუსული მანქანური თარგმანის თავისებურებანი

ადამიანი სამყაროს შესაცნობად უამრავ შემეცნებით ოპერაციას ახორციელებს. შემეცნების საშუალებით ის ამუშავებს ინფორმაციას და მასთან დაკავშირებული მენტალური, ფიზიკური და ფიზიოლოგიური პროცესებით ყალიბდება ადამიანის არსებობის ფუნდამენტი [გოჩიტაშვილი, 2011:395]. კაცობრიობა ინახავს ამ ცოდნას და ენის საშუალებით გადმოსცემს მას.

სამყაროს შეცნობას თან ახლავს დადებითი და უარყოფითი ემოციები. ადამიანის ემოციური მდგომარეობა ფსიქიკური და კოგნიტური სფეროების შერევის ინტერპრეტირებად წარმოიდგინება. მაგალითად, ასე მიაჩნია ქ. გოჩიტაშვილს,

რომელიც ქართულში გამოყოფს კოგნიტური იდიომების რამდენიმე ტიპს:

1. სხვადასხვა შეგრძნების გადმომცემი ფრაზეოლოგიზმები;
2. აღქმის პროცესის გადმომცემი ფრაზეოლოგიზმები;
3. მეხსიერების პროცესის ამსახველი ფრაზეოლოგიზმები;
4. ინტერესის პროცესის ამსახველი ფრაზეოლოგიზმები;
5. წარმოსახვის პროცესის გადმომცემი ფრაზეოლოგიზმები;
6. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც აფასებენ ადამიანის მენტალურ ქმედებასა და გონებრივ შესაძლებლობებს;
7. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც აფასებენ სამეტყველო შესაძლებლობებს. [გოჩიტაშვილი, 2011:396].

ადამიანთა ყოფიერებაში ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილია შემეცნების თითოეული დონე. ბუნებრივია, მათი ზემოქმედების შედეგად შექმნილი ფრაზეოლოგიზმები სამეტყველო ენის განუყოფელი ნაწილია.

ქართულ ენაში შემეცნებასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები კულტურული ღირებულებისაა, რადგან ასახავს, თუ როგორ აფასებს ქართული კულტურა ამა თუ იმ სააზროვნო პროცესს. ცალსახად მნიშვნელოვანია მათი სწორი თარგმნა, რომ არ დაიკარგოს ქართულ კულტურულ ღირებულებათა მრავალფეროვნება.

1. **შეგრძნების** გადმომცემი ქართული იდიომაა **კბილს კბილზე ურტყამს/აცემინებს** „სცივა“. იგი მანქანურად ითარგმნა არა ფრაზეოლოგიზმით, არამედ ჩვეულებრივი ფრაზებით: **Он бьет зуб в зуб** „ის კბილს კბილზე ურტყამს“ (გუგლი) და **Зуб ударяется о зуб** „კბილი კბილზე ეცემა“ (იანდექსი). ეს მაშინ, როცა რუსულ ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკონში არის ამ მისი შესატყვისი: **зуб на зуб не попадает** „კბილი კბილზე არ ერტყმის“ [Воинова, 1987:176], რომელიც შეცივებას აღნიშნავს. მაშასადამე, მანქანამ „ვერ იცნო“ ქართული ფრაზეოლოგიზმი და ამის გამო მისი რუსული ეკვივალენ-

ტიც „ვერ გაიხსენა“. მსგავსი რამ მოხდა რუსული ფრაზეოლოგიზმის ქართულად თარგმნის დროსაც: არასწორად ითარგმნა რუსული ფრაზეოლოგიზმი. ამრიგად, ძლიერ შეცვივების შეგრძნების სიტყვიერად გამოხატვა განსხვავებულადაა წარმოდგენილი ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიზმებში, მაგრამ მათი მნიშვნელობა ერთია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ფრაზეოლოგიზმთა სიტყვა-სიტყვითი თარგმნა უმეტეს შემთხვევაში საბოლოო პროდუქტის არასწორ ვერსიას შემოგვთავაზებს.

ალმურის ასვლა, აკვრა (სახეზე) – გაწითლება, აღეწვა. „თვით ბახვა იდგა ლოყებ-აწითლებული და ალმური ასდიოდა“ (გ. წერეთ). „ცოლქმრობის გაგონებაზე ქრისტინე შეკრთა... სახეზე ალმური აუვიდა...“ (ე. ნინოშვილი) [ონიანი, 1966:15]. ილიომა გუგლმა გადაიღო, როგორც „Альмурис Асвლა“, იანდექსმა – „Восхождение на Альмур“. მანქანამ ვერ ამოიცნო სიტყვა „ალმური“ ცალკეულ ფრაზეოლოგიზმში, წინადადება კი შემდეგნაირად ითარგმნა: „Кристина была в шоке, когда услышала о свадьбе... на ее лице появилась мрачная гримаса...“ – გუგლი; „Услышав о свадьбе, Кристина вздрогнула... Лицо Квасцов вытянулось...“ – იანდექსი. სიტყვა „ალმური“ ორსავე შემთხვევაში უცხო აღმოჩნდა მანქანისათვის, ის „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ შემდეგნაირადაა განმარტებული: „ალმური – ბუდი, სიმხურვალე, ალმური ასდის -სახე აქვს გაწითლებული (დიდი სიცხის ან აღელვების გამო)“ [ქეგელი, 1986:23];

ილაჯის გაწყვეტა – დაქანცვა, დასუსტება, ძალის გამოცლა, ქანცის გაწყვეტა; თავის მობეზრება, შეწუხება (სიტყვა **ილაჯი** მომდინარეობს არაბულიდან და ნიშნავს: საშუალება, წამალი; მკურნალობა). „...დალახვროს ღმერთმა! ილაჯი გამიწყვიტეს“ (აკაკი) {ონიანი, 1966:97}. გუგლმა „ილაჯის გაწყვეტა“ თარგმნა, როგორც „отделение иладжа“, იანდექსმა კი – „Перерыв

Иладжи". ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ რადგანაც მანქანისათვის უცხოა ქართული სიტყვები და ძნელია მათი ეკვივალენტების რუსულ ენაში მოძებნაც, საჭიროა მას მიეწოდოს იდიომის შინაარსობრივი მნიშვნელობის ფრაზები, რათა ზუსტად გადმოიცეს ავტორის სათქმელი. ამგვარი მაგალითები საკმაოდ ბევრია.

2. **აღქმის** გადმოცემა ფრაზეოლოგიზმებიდან უმეტესი წილი იდიომებია, მაგალითად, **თვალს ვერ აშორებს** – ამბობენ, როცა დაჟინებით, ყურადღებით, თვალმოუშორებლად უყურებ ვინმეს ან რამეს. მანქანამ რუსულად შემოგვთავაზა ამ შესიტყვების შემდეგი ვარიანტები: **не может оторвать глаз** „თვალს ვერ სწყვეტს“ (გუგლი) და **Ты не можешь отвести взгляд** „არ შეგიძლია თვალის მოშორება“ (იანდექსი). რუსულ ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკონში კი მოცემულია ფრაზეოლოგიზმი **Глаза не отрываются** „თვალეები არ სწყდება“ [Воинова, 1987:110]. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე რუსულ ენაში გუგლის მიერ შემოთავაზებული ვარიანტიც გამოიყენება.

სულის გატვრენა / სულის განაბვა, სულგანაბული – გაჩუმება, დაღუმება, ხმის გაკმენდა [ონიანი, 1966:142]. „სულგანაბული ბუღბული ფოთლებში მიმალულიყო...“ (აკაკი). „**სულგანაბული ბუღბული**“ გუგლმა თარგმნა, როგორც „**Душевный соловей**“, ხოლო იანდექსმა – „**Угрюмый соловей**“, „**სულის განაბვა**“ და „**სულის გატვრენა**“ კი ითარგმნა შემდეგნაირად: გუგლი – „**распространять дух**“, „**сломать дух**“; იანდექსი – „**Порождение души**“, „**Разрыв души**“. მანქანის მიერ მოწოდებული თარგმნილი ვერსიები არ გამოხატავს ქართულ იდიომათა მნიშვნელობას, მეტიც სრულიად შეუსაბამოა ქართული ვარიანტისა.

თვალის დარჩენა (ვინმეზე, რამეზე) – „ძალიან მოწონება (ვისიმე, რისამე) „პატარა იყო შემკული ბაღჩა, თვალი კი ყველას მასზე რჩებოდა და ყველას უნდოდა იმის სინაზით თვით დამტკბარიყო“ (ნ. ლორთქ.) [ონი-

ანი,1966:92]. ამ წინადადებაში წარმოდგენილი ფრაზეოლოგიზმი შემდეგნაირად თარგმნა მანქანამ: „**Все взгляды были устремлены на него**“ – გუგლი; „**И взгляды всех присутствующих были прикованы к нему**“ – იანდექსი. როგორც ვხედავთ, მანქანამ ორივე შემთხვევაში ფრაზა შინაარსობლივი აღწერის ფორმით თარგმნა...

3. **ინტერესის** გამომხატველი ფრაზეოლოგიზმია, მაგალითად, **მის გულში ჩამახედა**, რომელიც მანქანურად შემდეგნაირად ითარგმნა: **Я заглянул в его сердце** „მე მის გულში ჩავიხედე“, თუმცა რუსულში დამკვიდრებულია ასეთი ფრაზეოლოგიზმი: **заглядываться в сердце** „[ვინმეს] გულში ჩახედევა“. რუსული მანქანური თაარგმანი ამ შემთხვევაში ნაწილობრივია სწორი.

ყურების აცქვეტა – ყურადღების გამახვილება, სმენად გადაქცევა. „პეტრემ თუმცა **ყურები აცქვიტა**, ფეხის თითებზეც შედგა, მაგრამ შორს იყო და ვერა გაიგორა“ (ილია) [ონიანი,1966:164]. იდიომა შემდეგნაირად თარგმნა მანქანამ: „**В ушах у него звенело**“ – გუგლი; „**Уши ачвита**“ – იანდექსი. მაშასადამე, მანქანამ ვერ თარგმნა „**აცქვიტა**“. რუსულში არის „ყურები აცქვიტას“ ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმი „**Навести уши**“ – внимательно прислушаться к чему-н., направить внимание на что-н. Выслушал это известие спокойно, но только немного наострил уши. Гончаров. См. также ухо. (Толковый словарь Ушакова). [<https://kartaslov.ru>].

სულმა წასძლია – მოთმინება ვერ ეყო, ვერ მოითმინა, რისამე სურვილმა სძლია. „...ყველამ მოაწერა ხელი, **წამძლია სულმა** და მეც მოვაწერე ხელი“ (აკაკი). **სულმა წასძლია** მანქანამ თარგმნა არაადეკვატურად: „**Душа может уйти**“ – გუგლი; „**Душа одолела меня**“, იანდექსმა სიტყვა-სიტყვით თარგმნა იდიომა და ის არ გამოხატავს „სულმა წასძლიას“ მნიშვნელობას.

4. **მეხსიერებასთან** დაკავშირებულ ფრაზეოლოგიზმებს ხშირად გამოიყენებს საუბარში ადამიანი. მაგალითად,

თავიდან არ ამოდის. ამ გამონათქვამის რუსული მანქანური თარგმანები ასეთი აღმოჩნდა: **Сначала не понимаю „დასაწყისიდან, თავიდან ვერ ვიგებ“** (გუგლი) და **Это никуда не денется „ეს არსად, ვერსად წავა“** (იანდექსი). რუსულ ენაში დამკვიდრებული ფრაზეოლოგიზმი კი ასეთია: **не выходит из головы „თავიდან არ გამოდის“** [Войнова, 1987:115], რაც სრული ეკვივალენტია ქართული გამონათქვამისა. მანქანური თარგმანების პირველი, გუგლისეული ვერსია არაზუსტია და უზუსტობის მიზეზია **ომონიმურობა** სიტყვაფორმისა **თავიდან**, რომლის ერთი მნიშვნელობაა: **„თავის, როგორც სხეულის ნაწილის შიგნიდან“**, მეორე – **„დასაწყისიდან“**, მანქანამ აქ მეორე მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და **„მიიღო“ ჩვეულებრივი ფრაზა, ხოლო ფრაზეოლოგიურობა დაიკარგა.** რაც შეეხება თარგმანის მეორე, იანდექსისეულ ვერსიას, ის არის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი, მანქანამ **თავიდან არ ამოსვლა** გაიგო **არდაკარგვად**, ფრაზეოლოგიზმში კი გამოხატულია ის ვითარება, როცა გსურს რაიმეს დავიწყება და ვერ ივიწყებ.

გულზე დაბეჭდვა / გულზე დაჭდევა (რისამე) – „კარგად, საფუძვლიანად დახსომება, გულში ჩაჭედვა (რისამე)“ [ონიანი, 1966:28]. „ჩემი ნათქვამი გულზე კარგად დაიჭდიე!“ (თ. სახ.). **„გულზე დაბეჭდვის“** მანქანური თარგმანი ასეთია: **„Печать на сердце“** – გუგლი; **„Отпечаток сердца“** – იანდექსი. საინტერესო სურათს იძლევა მანქანისეული თარგმანი კონტექსტში თარგმნისას, არქაული **დაჭდევა** ზმნაც არ აღმოჩნდა მანქანისთვის უცხო კონტექსტში თარგმნის დროს და წინადადება თარგმნა, როგორც **„Храни мое слово крепко в своем сердце!“** – იანდექსი; **„Примите мои слова близко к сердцу!“** – გუგლი. იანდექსის თარგმანი მეტი სიზუსტით გადმოსცემს სათარგმნი წინადადების შინაარსს, გუგლის თარგმანის აზრი გასაგებია, თუმცა სათარგმნი ტექსტის ხასიათი არაა შენარჩუნებული.

თვალწინ ეხატება – ნათლად აგონდება, ცხადად წარმოიდგენს, თვალწინ უდგება. „ოტიას თვალში იგი ბევრად სჯობდა ქველიძის ქალიშვილს, რომელიც, მისდა უნებურად, **თვალწინ ეხატებოდა** და, რომელსაც ადარებდა ამ ახლადგაცნობილს“ (დ. კლდ.) [ონიანი, 1966:95]. **თვალწინ ეხატება** მანქანამ თარგმნა, როგორც „Он рисуется перед глазами“ – გუგლი; „**Прямо перед глазами**“ – იანდექსი. გუგლის თარგმანი ახლოსაც არაა იდიომის მნიშვნელობასთან, იანდექსის თარგმანი უფრო ახლოსაა იდიომის მნიშვნელობასთან.

5. **წარმოსახვის** გადმომცემი ფრაზეოლოგიური ერთეულებიდან ქართულ მეტყველებაში ხშირად გამოიყენება **ოცნების კომკებს აგებს**, რომელიც უტოპიურ, განუხორციელებელ ოცნებას გულისხმობს. მისი მანქანური თარგმანი ასეთი აღმოჩნდა: **Строит башни мечты** (გუგლი) და **Строим башни мечты** (იანდექსი), რუსულ ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკონში კი ვერ დავძებნეთ სინონიმური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმი. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შინაარსობრივი მნიშვნელობით თარგმნა.

ღრუბლებში დაფრინავს – რეალობას მოწყვეტილია, მეოცნება. ფრაზეოლოგიზმი მანქანამ თარგმნა, როგორც „Он летает в облаках“ – გუგლი; „**Летает в облаках**“ – იანდექსი. მანქანამ სიტყვა-სიტყვით თარგმნა ფრაზეოლოგიზმი, რომლის შესატყვისი აქტიურად გამოიყენება თანამედროვე რუსულ მეტყველებაშიც.

6. **სააზროვნო პროცესს** გადმოსცემს **მისხალ-მისხალ აწონა** „დაწვრილებით გასინჯა, დეტალურად გაიაზრა“ [გოჩიტაშვილი, 2011:402]. მისი რუსულენოვანი მანქანური თარგმანები შემდეგია: **Он взвешивал его снова и снова** (გუგლი) და **Мисхал-мисхал взвесил** (იანდექსი). მანქანამ აშკარად ვერ ამოიცნო ქართულში საკმაოდ იშვიათი **მისხალ-მისხალ** „დაწვრილებით, წვრილად, დეტალურად, საგულდაგულოდ“.

აღლოს ართმევა / აღლოს აღება – წინასწარ მიხვედრა, გაგება, შეტყობა; შეგუება, თავის გართმევა. „...ეს რკინის ხელი გურისაც ემუქრებოდა, ძირს უთხრიდა მის უზრუნველ ცხოვრებას და თვით არსებობასაც, თუ იგი აღლოს არ აუღებდა ახალ დროს...“ (გ. ნახუცრ.). [ონიანი, 1966:15]. „**აღლოს აღება**“ მანქანამ თარგმნა, როგორც „**принятие алгоритма**“, მისთვის უცხოა სიტყვა „**აღლო**“, რომლის მნიშვნელობაც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ შემდეგნაირადაა ახსნილი: „1. ცხოველების მიერ სუნის აღების უნარი, მეძებრული. 2. იგივეა, რაც ინსტინქტი. მერცხლები აღლოთი პოულობენგზას. 3. მიხვედრის, გარემო ვითარებაში გარკვევისუნარი. აღლოს აიღებს (აუღებს...) – მიხვდება (მიუხვდება...)“. [ქეგლ, 1986:24].

ტყემალზე ზის – არაფერი გაეგება, არაფერი იცის (რისამე შესახებ). „შენ, ჩემო ძმაო, **ტყემალზედა ზიხარ!** აბა, საიდან გეცოდინება, რა ხდება ქვეყანაზედა ან შენს გარშემო!...“ (თ. სახ.) [ონიანი, 1966:148]. „**ტყემალზე ზის**“ გუგლმა თარგმნა, როგორც „**Он сидит на Ткемале**“; იანდექსმა კი „**Сидя на ткемали**“. ორივე თარგმანი არასწორია. ქართულ სამზარეულოში ტყემალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, იდიომატ ქართული წარმოშობისაა, იმავე მნიშვნელობით გამოიყენება იდიომა **აზრზე არ არის** – არ იცის (რამე), წარმოდგენა არა აქვს (რისამე შესახებ) [ონიანი, 1966:14], რომელიც კვლავ არასწორად თარგმნა გუგლმა „**Это не имеет смысла**“, იანდექსმა – „**Никакого смысла**“...

7. ქართულ ენაში მრავალი ფრაზეოლოგიზმი გადმოსცემს ადამიანის განსხვავებულ **მენტალურ მდგომარეობას** და რეგულარულად გამოიყენება მეტყველებაში. მაგალითად, **სრულ ჭკუაზე ყოფნა**. მანქანამ ის თარგმნა შემდეგნაირად: **Быть полностью в здравом уме** (გუგლი) და **Быть сообразительным** (იანდექსი). გუგლისეული თარგმანი მეტ-ნაკლებად ახლოსაა ქართულ ვარიანტთან, ხოლო იანდექსისეული სრულიად წარუმა-

ტებელი ცდაა. წესით, ორივე პლატფორმას უნდა დაეძებნა ბუნებრივი რუსული ფრაზეოლოგიზმი **В своем уме**, რომელიც ასახულია რუსულ ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკონში და განმარტებულია როგორც ფსიქოლოგიური მდგომარეობა, „თავის ჭკუაზე დარჩენა“ [ვოინოვა, 1987:493].

ილიომა **ტვინი აქვს ნადრძობი** – უკუღმართია, ახირებულია, არანორმალურია [ონიანი, 1966:146] მანქანამ თარგმნა, როგორც „**Мозг имеет полость**“ – გუგლი; „**Мозгу приходится бороться**“ – იანდექსი. მანქანამ ვერ თარგმნა ილიომა. რუსულში არის მსგავსი ფრაზეოლოგიზმი: „**Ум за разум заходит у кого** — поговорка о том, кто не в состоянии соображать, разумно рассуждать или действовать. Просто у меня с горя ум за разум зашел. Чехов. См. также разум. (Толковый словарь Ушакова) <https://kartaslov.ru/>; იგივე სემანტიკა აქვს ასევე ფრაზეოლოგიზმს „**У него не все дома**“, რომელიც უფრო ზუსტად შეესაბამება ქართულ ილიომას, ის შემდეგნაირადაა განმარტებული: „о глуповатом человеке со странностями; ненормальном психически. Этот внезапный отъезд породил в тульском обществе массу толков, приведших оскорбленных обывателей к выводу, что у Николая Герасимовича «не все дома». Н. Э. Гейнце“. <https://kartaslov.ru/>

აფრის აშვება – დაურიდებლად მოქცევა, აწყვეტა. „-მე ჩემთვის არ ვლოცულობ... და თქვენთვის სად ვილოცებდი! – უთხრა მკვახედ ოთარაანთ ქვრივმა... – ჰა, **აფრა არ აუშვა** შენებურად, – უთხრა ღიმილით ქალმა“ (ილია) [ონიანი, 1966:18]. „**აფრის აშვება**“ გუგლმა შემდეგნაირად თარგმნა: „**снимая парус**“; იანდექსმა კი „**Спуск паруса**“, **საჭირო კი იყო** რუსულში არსებული ფრაზეოლოგიზმი „**Слететь с катушек**“, რომელიც განიმარტება შემდეგნაირად: „**лишиться разума, стать психически больным, сумасшедшим**“ <https://kartaslov.ru/>, თუმცა ის

ზედმიზევნით მაინც ვერ გადმოსცემს ქართული იდიომის მნიშვნელობას.

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ ყოველდღიური ლექსიკიდან აღებულ ფრაზოლოგიზმთა თარგმანში არის პრობლემები, თუმცა მათში მეტ-ნაკლებად **ჩანს მომხმარებლის გააქტიურების აუცილებლობა თარგმნის პროცესის გაუმჯობესებაში**. მანქანის ალგორითმის უმეტესი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, სტატისტიკურ მონაცემებს ეყრდნობა, ამას ადასტურებს ისიც, რომ გუგლის სათარგმნი პლატფორმის ხშირი გამოყენების გამო მისი ლექსიკური ერთეულების საცავი უფრო დიდია, მაგრამ არასრულყოფილი.

გამომდინარე იქიდან, რომ განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ხალხთა შორის განსხვავებული ღირებულებები და ქცევებია გავრცელებული, მათ ენებზე შესრულებულ მანქანურ თარგმანებზე დაკვირვებამ საინტერესო მასალა წარმოგვიდგინა, მით უმეტეს, როცა მანქანის თარგმნის შესაძლებლობათა არეალი მრავალმხრივია.

როგორც ცნობილია, მანქანის საშუალებით არა მარტო ტექსტის თარგმნაა შესაძლებელი, არამედ ვებგვერდის, საოფისე პროგრამებში შესრულებული ფაილებისა და საუბრის თარგმნაც კი, ასევე ხელოვნური ინტელექტის მიერ ტექსტის გენერირებაც. საერთაშორისო ურთიერთობების სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია ხმოვანი თარგმნის პროგრამების შექმნა და უკვე არსებულში ჩაშენებაც. მისი თარგმნის პრინციპი და ალგორითმი ისეთივეა, როგორც ტექსტის თარგმნის დროს გამოყენებული პრინციპი და ალგორითმი, თუმცა აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გვხვდება: როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მანქანა ხშირად ზუსტად ვერ აღიქვამს ყველა ფონემას. ქართულში არსებობს ბევრი ისეთი ბგერა, რომლების წარმოთქმაც რუსებს უჭირთ, რადგან მათ ენაში ისინი არ არსებობს.

ხმოვანი თარგმნის დახვეწა, მანქანისთვის თითოეული ქართული ბგერის სწავლება მნიშვნელოვანია, თუმცა უმნიშვნელოვანესია ტექსტების თარგმნის პროცესის სრულყოფა, ყოველდღიურ მეტყველებაში გამოყენებული ლექსიკური ერ-

თეულების, გამონათქვამების, ფრაზეოლოგიზმების თარგმნა ასევე მნიშვნელოვანია ერებს შორის ეფექტური კომუნიკაციისათვის.

7.8. ფრაზეოლოგიზმების მთარგმნელისეული და მანქანისეული თარგმანების შედარებითი ანალიზი

პროფესიონალი მთარგმნელის (ადამიანის) მიერ თარგმნილ ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვებით გამოიკვეთა სხვადასხვა ტიპის თავისებურება, კერძოდ:

- მთარგმნელი პლატფორმა თარგმნის ფრაზეოლოგიზმებს სინონიმური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმით;
- მთარგმნელი თარგმნის დედნის ტექსტის ფრაზეოლოგიზმს მისი შინაარსობრივი მნიშვნელობით;
- მთარგმნელი უთარგმნელად ტოვებს ფრაზეოლოგიზმს;
- მთარგმნელს დედნის ფრაზეოლოგიზმი ნათარგმნი აქვს ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმით, თუმცა სათარგმნ ენაში არის დედნის ფრაზეოლოგიზმის შესაბამისი უფრო ზუსტი ფრაზეოლოგიზმი.

ასევე რამდენიმე ტიპის თავისებურება შეინიშნება მთარგმნელი პლატფორმების მიერ შესრულებულ ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის შედეგებში, მეტ-ნაკლებად სერიოზული სხვაობა წარმოაჩინა ქართულიდან რუსულად მანქანურმა თარგმნამ რუსულიდან ქართულად თარგმნასთან შედარებით. ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენს დასკვნებს ამ საკითხების შესახებ, კერძოდ:

1. ქართულიდან რუსულად მანქანური თარგმნის შემთხვევაში ჩანს, რომ ზოგჯერ ფრაზეოლოგიზმის შინაარსი უფრო ზუსტადაა გადაღებული, ვიდრე პროფესიონალი მთარგმნელისეულ თარგმანში.

1.1. ფრაზაში „ზაალმა კარვის კარებში ქალის თავს მოჰკრა თვალი“ პროფესიონალმა მთარგმნელმა, რომელმაც სავარაუდოდ სრულებით არ იცოდა ქართული ენა, ვერ მოახერხა შეერჩია ზუსტი რუსული ეკვივალენტი ფრაზეოლოგიზმისა

თვალი მოჰკრა. მან წინადადება ასე ააგო: „Заал бросил взгляд в сторону шатра“. აქ სემასიოლოგიური მიმართება აღსანიშნავია და აღმნიშვნელს შორის არ არის ზუსტად შენარჩუნებული, ვინაიდან ავტორისეულ ქართულ ვარიანტში მთელი წინადადება ზაალის ქმედების უნებურობას, ქალის უნებლიედ დანახვას გულისხმობს, მთარგმნელის მიერ მოწოდებულ თარგმანში კი იმავე ზაალის შეგნებულ, გააზრებულ, „დაგეგმილ“ მზერა-ზეა აქცენტი გადატანილი, რასაც დედანი არ მოითხოვდა. მან-ქანური თარგმანის ვარიანტებიდან გუგლისეული „Заал увидел женскую голову в дверях шатра“ უნებურობას არ გახაზავს, მაგრამ სხვა მხრივ ახლოს დგას დედნის შინაარსთან. რაც შეეხება იანდექსისეულ თარგმანს: „Женские глаза на женском лице в палатке“, იგი არაადეკვატურია, რადგანაც ზმნა სრულებით გამორჩენილია და არ იხსენიება სათარგმნი წინადადების მთავარი პერსონაჟი ზაალი, ანუ მანქანამ ვერ „გვითხრა“, თუ კონკრეტულად ვინ იმოქმედა და რა მოიმოქმედა, სამაგიეროდ თვითნებურად დაამატა ქალის თვალების მოხსენიება, რაც დედანში სრულებით არ იყო.

1.2. რუსი ავტორისეული „Чёрт знает“ თარგმნილია, როგორც „ემმაკმა დალახვროს“. საკმაოდ საინტერესოა მანქანური თარგმანების ვერსიები: „ღმერთმა იცის“ – გუგლი, გუგლის ნათარგმნი „ღმერთმა იცის“ უფრო ზუსტად გამოხატავს რუსული ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობას, თუმცა ქართულისთვის ტრადიციული და უფრო ბუნებრივია „უფალმა/ღმერთმა უწყის“. მიგვაჩნია, რომ „ემმაკმა დალახვროს“ რუსული „Чорт побери“-ს კალკირებითაა მიღებული.

2. მთარგმნელის მიერ ზედმიწევნითი სიზუსტით ნათარგმნი ფრაზეოლოგიზმი ზოგჯერ გაუგებარი აღმოჩნდება ხოლმე მანქანისათვის, რომელიც აქცენტს ფრაზეოლოგიზმის რომელიმე სიტყვაზე აკეთებს და მასთან აკავშირებს მისთვის „ნაცნობ“ სხვა, ამ სიტყვის შემცველ ფრაზეოლოგიზმს:

2.1. ქართული დედნისეული წინადადება „ტყუილ-უბრალოდ ჭიასაც არ დაადგამს ფეხს“ მთარგმნელის მიერ ნათარგმნია, როგორც (Он) мұхи не обидит. გუგლმა ეს წინადადება

ასე წარმოგვიდგინა: **Ложь даже на червяка не ступит**, ხოლო იანდექსმა – **Просто вода не падает**. პროფესიონალმა მთარგმნელმა დაიცვა დედნის დედააზრი და გამოიყენა ტრადიციული რუსული ფრაზეოლოგიზმი. გუგლისეული თარგმანი კი სიტყვა-სიტყვითია, ამ შემთხვევაში ჩანს, რომ გუგლმა აქცენტი გააკეთა კომპოზიციის მხოლოდ პირველ ნაწილზე. სხვა გზით წავიდა იანდექსი, რომლისთვისაც თარგმნის პროცესში წამყვანი სიტყვა აღმოჩნდა **„ტყუილ-უბრალოდ“** და მას დაუკავშირა დანარჩენი აზრი ქართული წინადადებისა. ორივე მანქანური თარგმანი გვიკარნახებს, რომ თუ მანქანისთვის მთლიანად უცნობია ფრაზეოლოგიზმი, მანქანა აქცენტს აკეთებს პირველ სიტყვაზე, როგორც ერთგვარ გასაღებზე.

2.2. „მე ცალი ფეხი სამარეში მიდგას“ მთარგმნელის მიერ ითარგმნა, როგორც **„Переселении на тот свет“**, ე.ი. იმქვეყნად გადასახლება, გარდაცვალება, მანქანამ კი შემოგვთავაზა თარგმანის შემდეგი ვარიანტები: **„Я одной ногой в Самаре“** (გუგლი); **„У меня голова на плечах“** (იანდექსი). პირველი თარგმანი არის სიტყვა-სიტყვითი, მაგრამ მანქანამ ვერ ამოიცნო „სამარე“, გამომდინარე იქიდან, რომ „Самаре“ დიდი ასოთი ჩაწერა, პირდაპირ თარგმნა და შეუსაბამა რუსეთის ქალაქ **სამარა**-ს სახელწოდებას. თარგმნილი მეორე ვერსია ქართულად ნიშნავს **„თავი მხრებზე მაქვს“**, მაგრამ ის არ გამოხატავს მნიშვნელობას ქართული ფრაზეოლოგიზმისა **„ცალი ფეხი სამარეში მიდგას“**.

3. მთარგმნელი დედნისეულ ფრაზეოლოგიზმს თარგმანში უნაცვლებს რუსული ენის სინონიმური მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიზმს, მანქანა კი თარგმნის სიტყვა-სიტყვით. იოლი მისახვედრია, რომ მანქანისათვის ნაცნობი არ არის ყველა ქართული პირსახელი, რის გამოც იგი ვერ განსაზღვრავს სქესს: სწორედ ასე მოხდა ფრაზეოლოგიზმ **„ენაზე იკბინა“**-ს რუსულ ენაზე გადაღებისას, როცა გუგლმა შემოგვთავაზა ვარიანტი: **„Заал прикусила язык“**.

4. მთარგმნელი ფრაზეოლოგიზმს თარგმნის მისი შინაარსობრივი მნიშვნელობის მქონე წინადადებით, მანქანური თარგმანები კი უზუსტოა:

4.1 ფრაზეოლოგიზში „**ყურები სცქვიტა**“ მთარგმნელმა სწორად თარგმნა, ხოლო მანქანური თარგმნის პლატფორმებმა შემოგვთავაზეს კურიოზული ვარიანტები: „**звенело в ушах**“ (გუგლი) და „**сломаны уши**“ (იანდექსი).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თარგმნილ ტექსტში მრავალი დედნისეული ფრაზეოლოგიზში მთლიანადაა გამოტოვებული მთარგმნელის მიერ, სამაგიეროდ ყურადღებას იპყრობენ ამ ფრაზეოლოგიზმების მანქანური თარგმანები. მაგალითად:

„**არსენას დევნაზე ხელი აიღო**“ – ეს ფრაზეოლოგიზში მთარგმნელს გამოუტოვებია, მანქანამ კი ის თარგმნა არაადეკვატურად: გუგლმა დედნის საპირისპირო შინაარსი მოგვანოდა – Он **начал гоняться** за Арсеном „**მან დაიწყო** არსენას დევნა“, ხოლო იანდექსმა ნაკლებად უზუსტო ვარიანტი მოგვანოდა: Он **приложил руку** к преследованию врага „**მან მონაწილეობა მიიღო მტრის დევნაში**“.

მთარგმნელმა გამოტოვა წინადადება „**არსენა ორ ცეცხლზე იწვის**“, თუმცა რუსულში არსებობს ქართული ფრაზეოლოგიზმის **ორ ცეცხლზე იწვის** შესატყვისი **Меж двух огней**, მანქანამ კი მაინც შემოგვთავაზა მცდარი თარგმანები: „**Арсена горит на двух огнях**“ (გუგლი), რაც რუსულისათვის ბუნებრივი არ არის; იანდექსი უფრო დასცილდა დედანს და კურიოზი მოგვანოდა: **Есть два пожара** „**არის ორი ხანძარი**“.

ზოგიერთი ფრაზეოლოგიზში პირდაპირაა მთარგმნელის მიერ ნათარგმნი და გამოყენებულია, როგორც ფრაზეოლოგიზში, თუმცა რუსულში მათი შინაარსის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები არის. ეს ის შემთხვევაა, როცა მთარგმნელის მიერ თარგმნილი ფრაზეოლოგიზმები იმეორებს მანქანური თარგმნის ერთ-ერთ პრინციპს:

„**შენი ხმალი და ჩემი კისერი!**“ – მთარგმნელმა და მანქანამ მსგავსად თარგმნა პირდაპირ და არა ფრაზეოლოგიური კონსტრუქციით, შდრ.: მთარგმნელის ნათარგმნი: „**Твоя сабля – моя голова**“; გუგლი, იანდექსი – „**Твой меч и моя шея**“. ასეთი თარგმანებით არ ირღვევა ფრაზის შინაარსი.

საყურადღებოა რუსული ფრაზეოლოგიზმების მთარგმნელისეული და მანქანისმიერი თარგმანების შედარება.

1. ფრაზეოლოგიზმი მთარგმნელისგან ნათარგმნია სინონიმური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმით, მანქანური თარგმანიც ზუსტია, თუმცა – განსხვავებული და შეიძლება ითქვას, უფრო კარგად გადმოსცემს დედნის ფრაზეოლოგიზმის შინაარსს. შდრ.: რუსული ფრაზეოლოგიზმის **Чёрт ны вас взял** და, ერთი მხრივ, მთარგმნელისეული: **ეშმაკსაც წაუღიხართ**, მეორე მხრივ მანქანისეული ვარიანტები: **ჯანდაბა** (გუგლი) და **ჯანდაბა შენ** (იანდექსი)...
2. მთარგმნელის მიერ ნათარგმნში გადმოცემულია ფრაზეოლოგიზმის შინაარსი, მანქანური თარგმანი კი შეუსაბამოა და გაუმართავი. შდრ.:

„Довольно тебе **бить баклуши**“, მთარგმნელისეული ერთსიტყვიანი **„გამობრუქული“** და მანქანისეული კურიოზული თარგმანები: **„საკმარისია შენ ვედროს სცემე“** (გუგლი), **„საკმარისია, რომ ყურები სცემეს“** (იანდექსი).

დედნისეული „Столяр то и дело **терял ее из виду**“, მთარგმნელის ვარიანტი: „როგორც კი **თვალს მოეფარებოდა**“, გუგლისეული გამართული აღწერითი თარგმანი: „**დურგალი დროდადრო მხედველობიდან კარგავდა მას**“ და იანდექსის უშინაარსო არაადეკვატური ვარიანტი: „**დურგალი ინახება დაკარგვის დანახვაზე მისი**“. საინტერესო სურათი წარმოგვიდგინა წინადადების ცალკეული ნაწილების თარგმანმა, გუგლმა ის კვლავ მეტი სიზუსტით თარგმნა, ვიდრე იანდექსმა. გუგლის მიერ შემოთავაზებული თარგმანი შემდეგია: „**დურგალი**“, „**დროდადრო**“, „**დაკარგა იგი**“, „**თვალთახედვის მიღმა**“, შდრ. იანდექსის თარგმანი წინადადების ცალკეული ნაწილებისა: „**კარპენტერი**“, „**ყველა ახლა და შემდეგ**“, „**მისი დაკარგვა**“, „**მხედველობიდან**“. იანდექსის ვარიანტების შემთხვევაში თარგმნილი ერთეულების შეერთებით წინადადება ვერ შედგება. მაშასადამე, გუგლის სათარგმნი პლატფორმა გაცილებით მეტ მთარგმნელო-

ბით სქემას შეიცავს, ვიდრე იანდექსისა, სავარაუდოა, რომ ეს დამოკიდებულია ამ პლატფორმების გამოყენების სიხშირულ სხვაობაზე.

3. მთარგმნელის მიერ ნათარმნი ფრაზეოლოგიზმი მრავალმნიშვნელობიანია და შესაძლებელია მისი განსხვავებული სათქმელის გადმოსაცემად გამოყენებაც. ამ ტიპის შესიტყვების ეკვივალენტად ქართულში არსებობს მისი ფარდი ფრაზეოლოგიზმი, მანქანამ კი ისეთი აღწერით თარგმნა, როგორიც გასაგებია მკითხველისათვის:

შესიტყვება **Делал вид** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **თავი დაიჭირა**, ორივე პლატფორმამ კი აღნიშნული ფრაზეოლოგიზმი ორივე შემთხვევაში თარგმნა **ვითომ** სიტყვის გამოყენებით, რომელიც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ასეა განმარტებული: „**ვითომ** დამხმარე სიტყვა 1. თითქოს: ა) აღნიშნავს, რომ რაიმე მოქმედება, მოვლენა..., ისეთი არ არის, როგორადაც გვეჩვენება, სინამდვილეში სხვაგვარია. ისე ხტის, ვითომ ბავშვი იყოს. დაესიზმრა, ვითომ უღრან ტყეში დადიოდა. დათვმა თავი მოიმძინარა, ვითომ არ მესმისო (ვაჟა) ბ) გამოხატავს მსგავსებას, შედარებას რამესთან. შენ რომ გნახე, ვითომ ჩემიანები მენახოს. 2. გამოხატავს ეჭვს, გაურკვევლობას, კითხვას – ნეტავი, განა, ნუთუ. ვითომ რას დააკლებს. რომ ემუქრება?! – „ვითომ რატომ მოგინდათ მზვერავად წასვლა?“ [მეკითხება უფროსი] (შ. დად.).“, ესეც რომ აღვნიშნოთ წინასწარ, ვითომ არ იკარგებს? რას იტყვი შენ?!“ (რ. გვეტ.). || ნეტა? მართლა დავუჯეროთ? „ესეც მალე გაირკვევა!“ – „ვითომ?“ ვითომ მეგობარი (პოეტი...) მოჩვენებითი, არანამდვილი მეგობარი (პოეტი...)“ (<http://ena.ge/explanatory-onlinej>). ფრაზა **თავი ისე დაიჭირა** სინამდვილისგან თავის არიდების, შინაგანი მდგომარეობის დამალვის და სხვა რეალური პრობლემის აღწერისას სჭირდება ადამიანს, ის ნამდვილად არის „ვითომ“ და არარეალური, მაგრამ რადგანაც ფრაზას აქვს ქართული შესატყვისი სინონიმური მნიშვნელობის ფრაზა, სასურველია მისი ფრაზეოლოგიური

თარგმანი, თუმცა თარგმნის დროს ტექსტის აზრობრივი მთლიანობის შენარჩუნებაა მთავარი ამოცანა.

ფრაზეოლოგიზმი **сквозь землю провалился** მთარგმნელს უთარგმნია, როგორც **მიწამ ჩაყლაპა**, მანქანური თარგმანები კი ამ ფრაზისა ასეთია: **მიწაში ჩავარდა** (გუგლი) და **მიწაზე დავეშვი** (იანდექსი). ფრაზის პირდაპირ თარგმანში, რომელიც გუგლმა მოგვაწოდა, შესაძლებელია კონტექსტში მკითხველმა ამოიცნოს ავტორის სათქმელი, რადგან დასახელებული ფრაზეოლოგიზმი დაკავშირებულია შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობასთან, **მიწაში ჩავარდნა** ხაზს უსვამს გაქრობას, ოღონდ პირდაპირი მნიშვნელობით. იანდექსისეული თარგმანი მთლიანად უზუსტოა, რამაც შესაძლოა, მთელი წინადადება გახადოს გაუგებარი.

ფრაზეოლოგიური შესიტყვება **Кожа да кости** მთარგმნელმა ქართულად გადმოიღო ფრაზეოლოგიზმით **სული ძლივს გიდგას**, რაც ახლოსაა დედნის შინაარსთან, მაგრამ იანდექსმა შემოგვთავაზა სიტყვა-სიტყვითი კალკის სახის მანქანური თარგმანი: **კანი და ძვლები** – როგორც ჩანს, პლატფორმას არა აქვს ინფორმაცია ბუნებრივი ქართული შესიტყვების **ძვალი და ტყავი**-ს არსებობის შესახებ...

განხილულ მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ **ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის პროცესში ყველანაირი ცდა უშედეგო იქნება, თუ მანქანას არ მივაწოდეთ ფრაზეოლოგიზმები მზა ერთეულების სახით, როგორც წინადადების ერთი დამოუკიდებელი კომპონენტი და არანაირად არ შეიძლება ფრაზეოლოგიზმის დაყოფა სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიებად.**

ამ კონტექსტში ჩავატარეთ ცდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საშუალო საფეხურის რუსულენოვანი სექტორის მოსწავლეთა მონაწილეობით:

ცდამი მონაწილეობდა 20 მოსწავლე. მათ თარგმნეს მცირე ზომის მხატვრული ტექსტები, როგორც ქართულიდან რუსულად, ისე რუსულიდან ქართულად მთარგმნელი პლატფორ-

მების გამოყენების გარეშე. აღსანიშნავია, რომ თითოეული სასაუბრო დონეზე ფლობს ქართულ ენას. საინტერესო აღმოჩნდა მათ ნამუშევრებზე დაკვირვება. გაირკვა, რომ მათ ფრაზეოლოგიზმები თარგმნეს ზემოთ განხილული მანქანური თარგმანის სქემის მსგავსად. საბოლოო შედეგები ასეთი აღმოჩნდა:

1. მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა ფრაზეოლოგიზმები თარგმნა სიტყვა-სიტყვით;
2. ცდისპირთა ნაწილმა იცოდა, ან ამოიცნო ქართული ფრაზეოლოგიზმი, მაგრამ რუსულ ენაში ვერ მოძებნა მისი ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმი, ასევე ვერ შეძლო რუსული ფრაზეოლოგიზმის ქართული შესატყვისის გახსენება და ამჯობინა ფრაზეოლოგიზმები, ქართულიც და რუსულიც, მათი შინაარსობრივი მნიშვნელობის ტექსტით გადმოეცა;
3. ნაწილმა თავი აარიდა ფრაზეოლოგიზმთა თარგმნას, რათა ტექსტის შინაარსი არ შეცვლილიყო და არჩია მათი თარგმანის გამოტოვება. მიზეზი სავარაუდოდ დედნის, ან სამიზნე ენის ნაკლები ცოდნა უნდა იყოს;
4. ძალიან მცირე ნაწილმა თარგმნა ერთეული ფრაზეოლოგიზმი, რომლებიც გამოიყენება რეგულარულად ყოველდღიურ მეტყველებაში. ამ შემთხვევაშიც ერთ-ერთი, ან ორივე ენის ცოდნის სიმწირე ჩანს.

განვიხილოთ ცდის კონკრეტული შედეგები:

1. წინადადება – „სუფთა, ცივმა ქუჩის ჰაერმა, თითქმის შიშით დაიხია უკან და **გზა მისცა** შმორის და ოფლის სუნით გამსჭვალულ ოთახის ჰაერს“ (ნ. ლორთქიფანიძე) – მოსწავლეთა ნაწილმა თარგმნა სიტყვა-სიტყვით, ოღონდ სხვადასხვაგვარად:

- ✓ „Воздух, будто со страхом **отступил назад** и **дорога отдавала** запах воды и пота, который был наполнен всей комнатой“;

ცნობილია, რომ რუსულ ენაში არსებობს რამდენიმე განსხვავებული ვარიაცია ანდაზისა „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“: **у лжи короткие ноги, вранье не споро: попытает скоро, ложь на гнилых ногах ходит, ложь на тараканьих ножках ходит, на лжи далеко не уедешь** [<https://translate.academic.ru>

ცდისპირთა მიერ თარგმნილი ვერსიებიდან მხოლოდ პირველი აღმოჩნდა სიზუსტით ნათარგმნი, თუმცა დანარჩენ ვარიანტებზეც შეიძლება ითქვას, რომ შინაარსი დარღვეული არ არის და თარგმნილი ვარიანტიდან თითოეული გასაგები იქნება მკითხველისათვის და ასეთი თარგმნის მიზეზიც ალბათ არის ის, რომ ანდაზა რეგულარულად გამოიყენება, როგორც ქართულ, ისე რუსულ მეტყველებაში [<https://www.targaltinternetis.ee/ru/>].

4. ფრაზეოლოგიზმი „**თვალი აღარ ქრის**“ ითარგმნა რამდენიმენაირად:

„**Глаз больше не режет**“;

„**Глаза не режет**“;

„**Ничего не вижу**“;

„**Глаза больше не видят**“.

როგორც ვხედავთ, ნათარგმნ ვერსიებში გადაღებულია ქართული ფრაზეოლოგიზმის შინაარსობრივი მნიშვნელობა, ან წარმოდგენილია სიტყვა-სიტყვითი თარგმანი.

5. ფრაზეოლოგიზმი „**შენს ცოდვაში ჩავდგი ფეხი**“ ცდისპირებმა თარგმნეს შემდეგნაირად:

„Я вошел в твой грех“;

„Я наложил ногу в твой грех“;

„Я вступила в твой грех“;

„Я вступил в твой грех“.

როგორც ვხედავთ, ყველა რუსული ვარიანტი სიტყვა-სიტყვითია და გაუგებარი იქნება რუსული ენის კარგად მცოდნესათვის...

მსგავსი ვითარება დადასტურდა რუსული ფრაზეოლოგიზმების ქართულად თარგმნის შემთხვევაშიც – ქართულ ენაზე ნათარგმნი ყველა ფრაზეოლოგიზმი გადმოსცემს დედნის შინაარსს. ცხადია, ცდისპირებმა ამოიცნეს რუსული ფრაზეო-

ლოგიზმები, მაგრამ რადგანაც არ იცოდნენ მათი ქართული შესატყვისი, გადმოსცეს მხოლოდ შინაარსი, თუმცა ფრაზეოლოგიზმით გადმოცემული ემოცია აკლია რუსულ ტექსტს. მაგალითად: რუსული ფრაზეოლოგიზმი „**Когда я ем, я глух и нем**“ გამოიყენება, როცა ჭამის დროს არ სურთ საუბარი, ან სხვისი მოსმენა [<https://livespeak.academic.ru/>]. ქართულში, როგორც სხვა ენებში ხშირად მოგვისმენია, ჭამის დროს ლაპარაკი არ შეიძლებაო, მაგრამ რუსულის ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმი ქართულში არ გვაქვს, შესაბამისად, მოცემული სიტყვათშეთანხმება ცდისპირებმა ქართულად თარგმნეს ფრაზის სემანტიკური მნიშვნელობის შემცველი ტექსტით.

ამრიგად, ცდამ მეტად საყურადღებო შედეგები გვიჩვენა: **ფრაზეოლოგიზმთა ფრაზეოლოგიზმთა ცნობადობის გასაზრდელად არასრულწლოვანი ადამიანებისა და მანქანის მებსიერება ერთნაირად საჭიროებს კონკრეტული ენობრივი ემპირიული მასალით, ამ შემთხვევაში – ფრაზეოლოგიზმებით „შევსებას“ ორ ენაზე, რასაც თან უნდა ახლდეს გარკვეული მოცულობის კონტექსტების ცოდნაც. სხვაგვარად ფრაზეოლოგიზმები ან აღწერით იქნება გადაღებული მეორე ენაზე, ან მივიღებთ დაუხვეწავ, კურიოზულ ტექსტებს.** მანქანურ თარგმნას რომ დავუბრუნდეთ, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ფრაზეოლოგიზმთა მანქანური თარგმნის სრულყოფისათვის ჰაერივით აუცილებელია, მანქანას საცავში ჰქონდეს ფრაზეოლოგიზმთა დიდმასშტაბიანი რესურსი განსხვავებულ კონტექსტში, სათარგმნ და პარალელურ ენაში არსებული ფრაზეოლოგიზმის თითოეული ვერსია და მისი ზუსტი მნიშვნელობა. მხოლოდ ცალკეული სიტყვებისა და გრამატიკული კონსტრუქციების ცოდნა არაა საკმარისი, თუმცა საჭიროა.

რადგანაც მეცნიერები ხელოვნური ინტელექტს უწოდებენ მანქანის თარგმნის პროცესს და ის გონივრული ინტელექტის მოდელითაა შექმნილი, განხილული მაგალითები კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ:

1. თუ მთარგმნელმაც და მანქანამაც ვერ ამოიცნო რომ მოცემული ლექსიკური სიტყვათშეთანხმება ფრაზეოლოგიზმია, უმეტეს შემთხვევაში ფრაზის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი შეუსა-

ბამო იქნება ტექსტისათვის და მეტიც, გაუგებარი აღმოჩნდება მკითხველისათვის, თუ რატომ დასჭირდა ავტორს მისი გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, ცდის მონაწილეთა მიერ ქართულიდან რუსულად თარგმნილი ფრაზეოლოგიზმის თითოეული სიტყვა გრამატიკულად სწორადაა თარგმნილი.

2. თუ მთარგმნელი და, შესაბამისად მანქანაც, ამოიცნობენ სიტყვათშეთანხმებას, როგორც ფრაზეოლოგიზმს და არ იციან ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმი სამიზნე ენაში, ან არ არსებობს მისი ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმი თარგმანის ენაში, უნდა იცოდნენ/ჰქონდეთ მიწოდებული ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა (სემანტიკა), რათა შეძლონ მისი აზრობრივად უნაკლოდ თარგმნა.

7.9. იდიომებისა და მათი პირდაპირი მნიშვნელობების იდენტიფიცირება, თარგმნა და ხელოვნური ინტელექტი


ფრაზეოლოგიზმების თარგმნის პრობლემათა სიმრავლე მკაფიოდ გამოიკვეთა მათ მანქანურ თარგმანზე დაკვირვებისას. ტექსტში ჩართულ თუ ცალკე მდგომ ქართულ ფრაზეოლოგიზმთა სხვადასხვა ენაზე მაქსიმალური სიზუსტით თარგმნისათვის ძალზე აუცილებელია ფრაზეოლოგიზმთა მასშტაბური კორპუსის შექმნა, რომელშიც გასათვალისწინებელია ამგვარ შესიტყვებათა პოლისემანტიკურობა და მათი დიდი ნაწილის გამოყენება წინადადებაში პირდაპირ და გადატანით. საამისოდ უნდა აღიწეროს ყოველი ფრაზეოლოგიზმის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობები, რათა მოხდეს მათი ზუსტად იდენტიფიცირება მანქანური თარგმნის პროცესში. ამ პროცესის მართვა და პრობლემის მოგვარება სრულიად შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.

ხელოვნური ინტელექტი (AI) გულისხმობს ალგორითმებისა და მოდელების შემუშავებას, რომლებიც მანქანას საშუალებას აძლევს, ზუსტად აღიქვას თავისი გარემო და განაზოციელოს შესაბამისი ქმედებები კონკრეტული მიზნების მისაღწევად. სწავ-

ლისთვის მას სჭირდება ათასობით მაგალითი, რის შემდეგაც სპეციალური ალგორითმით დაახარისხებს ინფორმაციას.

ხელოვნური ინტელექტი არ არის ერთი ალგორითმის სახელი, ეს არის ალგორითმების ჯგუფი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის პრობლემის გადასაჭრელად. ალგორითმები, რომლებიც იყენებენ სასწავლო მიდგომებს, არის მხოლოდ ერთი ქვეჯგუფი მათი მთლიანი ნაკრებიდან, რომელსაც ჩვეულებრივ **ხელოვნური ინტელექტს** უწოდებენ.

მანქანის სწავლება არის პროცესი, რომლის დროსაც ალგორითმი „სწავლობს“ პრობლემის გადაჭრას. მანქანას ღრმად შესწავლისთვის ფრაზეოლოგიზმების განმარტებისა და შემადგენელი სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით ამოცნობისა და თარგმნისთვის სჭირდება დიდი რაოდენობით წინადადებებისა და ტექსტების ნაკრები, რომლებშიც სამიზნე ფრაზა გამოყენებული იქნება ყველა მნიშვნელობით, რათა შეძლოს მისი დამახსოვრება და და „სწავლის“ შემდგომ – დახარისხება [მიტჩელი, 1991:157].



ამ პროცესში წამყვანია **ნეიროლინგვისტური პროგრამირების (NLP-ს¹)** არქიტექტურა, რომელიც მიზნად ისახავს გადაჭრას მიმდევრობითი ამოცანები **განმეორებადი ნეირონული ქსელების (RNN²)** გამოყენებით. ეს არის „ღრმა სწავლის“ ალგორითმების ნაკრები, რომელიც ბევრად უფრო რთულია

¹ Natural Language Processing (NLP) – ბუნებრივი ენის დამუშავება, არის ხელოვნური ინტელექტის (AI) ფილიალი, რომელიც კომპიუტერს საშუალებას აძლევს გაიგოს, გამოიმუშაოს და გადაამუშაოს ინფორმაცია ადამიანის ენაზე.

² Recurrent neural networks – განმეორებადი ნეირონული ქსელები, რომლებითაც სწავლობს მანქანა.

და ამიტომ ხშირად იყენებენ უფრო დახვეწილ მათემატიკურ მოდელებს.

ნეირონული ქსელი არის შრეთა თანმიმდევრობა, რომელთაგან თითოეული, თავის მხრივ, შედგება ცალკეული ნეირონისგან და ყველა ასრულებს თავის როლს. არსებობს ნეირონები (ან ნეირონების სტრუქტურები), რომლებიც სწავლობენ მიწოდებულ ფრაზებში მნიშვნელოვანი ნიუანსების გამოკვეთას. არის ისეთებიც, რომლებიც სწავლობენ დასკვნების გამოტანას შერჩეული მაგალითების საფუძველზე. ნეირონები გაერთიანებულია ჯგუფებად (ფენებად) და ისინი გადაიქცევა ერთ ხელოვნურ ნეირონულ ქსელად [მიტჩელი. 1991:3]

ალგორითმის შესწავლის პროცესი მრავალი თვალსაზრისით ჰგავს ადამიანის სწავლის პროცესს. ისევე, როგორც ჩვენ ვუშვებთ შეცდომებს და ვსწავლობთ შეცდომებისგან, ალგორითმებისთვისაც დასწავლის პროცესში დაშვებული შეცდომები საუკეთესო გამოცდილებაა. აზროვნების პროცესი პირდაპირ კავშირშია ცნობიერების არსებობასთან. ნეირონული ქსელი ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ალგორითმი, არსებითად მხოლოდ მათემატიკური ფუნქციაა და შეუძლია მხოლოდ ერთი კონკრეტული პრობლემის გადაჭრა. თუ მას ფრაზეოლოგიზმთა თარგმნას ვასწავლით, ის ვერ შეძლებს მათი პირდაპირი მნიშვნელობის თარგმნას, თუ მისთვის არ უსწავლებიათ, რომ სინტაგმა **ხელები დაიბანა** ფრაზეოლოგიზმიცაა და სხვა, ამოსავალი მნიშვნელობაც აქვს. აქ შესაძლოა მანქანამ გამოიყენოს მისთვის კარგად ცნობილი მოდელი, რომელსაც ტექსტის თარგმნის დროს იყენებს, მაგრამ იმისათვის, რომ ზოგადი თარგმნის სტრუქტურით არ თარგმნოს ფრაზეოლოგიზმებიც, საჭიროა მან ერთად დაისწავლოს ფრაზის ვარიაციები და ყველა მნიშვნელობა.

ნეირონული ქსელების სისუსტე არის ის, რომ იგი ერთხელ გამოყენებულ მაგალითს ვერ სწავლობს და შესაბამისად, ტექსტში მისი ამოცნობაც არ შეუძლია. ის ემორჩილება გამოყენების **ციფრულ კანონს – რაც მეტ ინფორმაციას მიწავდით მანქანას, მით უფრო კარგად ისწავლის ის.**

ხელოვნურ ინტელექტს უნდა მივაწოდოთ დასასწავლად წინადადებები, ტექსტები, რომლებშიც, მაგალითად, იქნება გამოყენებული **ხელების დაბანა**, როგორც იდიომა, ასევე უნდა შევქმნათ წინადადებათა გარკვეული „საცავი“, რომლებშიც **ხელების დაბანის** მნიშვნელობა მოცემული იქნება პირდაპირ, გადატანის გარეშე როგორც ქართულ, ასევე სხვა ენაზე

მაგალითად:

ქართული იდიომა	русская идиома	პირდაპირი მნიშვნელობა	В прямом смысле
1. მე ამ საქმეში ხელები დამიბანია	1. в этом деле я умываю руки	1. სასწრაფოდ დაიბანე ხელები!	1. Немедленно вымой руки!
2. ხელები დამიბანია – იდიომა.	2. умыть руки – это идиома.	2. ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით	2. Чаще мойте руки с мылом и водой
3. ხელების დაბანა – როგორც იდიომა, ბიბლიური წარმოშობისაა.	3. Умыть руки – это идиома, и она имеет библейское происхождение.	3. რატომ დაიბანა ხელები პილატემ?	3. Почему Пилат помыл руки?
4. ეს საქმე თვითონვე მოაგვარეთ, მე ხელები დამიბანია	4. С этим делом разбирайтесь сами, а я умываю руки	4. პილატემ დაიბანა ხელები ხალხის წინაშე, იესო გადასცა მათ დასასჯელად	4. Пилат умыл руки перед толпой и предал им Иисуса для казни.

ეს პროცესი მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და ჩართულობას, მაგრამ მანქანა შეძლებს ხელოვნური ინტელექტის საშუალებით მათ დასწავლას და სპეციალურად შექმნილი „გარჩევის ალგორითმით“ გამოარჩევს ერთმანეთისაგან.

ჩვენი მიზნიდან გამომდინარე ჩვენ მარტივი ექსპერიმენტით გამოვცადეთ მოცემული სქემა და „ბოტის“ სისტემაში შევადგინეთ მარტივი, ეგრეთ წოდებული, კითხვა-პასუხის მოდელი. შესული ინფორმაცია აღიქმება შეკითხვად და „ბოტმა“ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით უნდა იწავლოს, როგორც შემაჯავლი, ასევე გამომავალი ინფორმაცია და მოგვაწოდოს სწორი პასუხი.


პროგრამაში დარეგისტრირების შემდეგ ავირჩიეთ საცდელი (სატესტო) „ბოტის“ მოდელი, შევურჩიეთ მას სათაური და შევქმენით ინტერაქტიულ წიგნებში ჩვენთვის სასურველი სახელწოდებით. მისი შექმნის შემდეგ უკვე შესაძლებელია შექმნა „ბოტის ტვინი“. მენიუში მას აქვს სტატისტიკა შემდეგ ჯგუფებად: **ბოტის წერტილები, მომხმარებლის წერტილები, პირდაპირი, ფუძე, კავშირი და დიალოგები.**

ინფორმაციის შეტანამდე პირველი შეკითხვის – **„მე ამ საქმეში ხელები დამიბანია“**, დასმის შემდეგ ის გვპასუხობს, პასუხი ვერ მოიძებნაო, რადგან მას ჯერ არ უსწავლია არც ჩვენგან მიწოდებული ფრაზა და არც ის ფრაზა, რომლითაც უნდა გვიპასუხოს. რედაქტირების ველის არჩევის შემდეგ ვსვამთ მომხმარებლის წერტილს ბოტის ტვინის სივრცეში და ვამატებთ პირველ ვარიანტს: **„მე ამ საქმეში ხელები დამიბანია“**, ვირჩევთ ტიპს „პირდაპირი“ და ბოტის ტვინის სივრცეში ჩნდება წერტილი ჩვენგან მიწოდებული ფრაზითა თუ წინადადებით. იმისათვის, რომ „ბოტმა“ მოგვაწოდოს მისი რუსული თარგმანი, მას უნდა ვასწავლოთ რუსულად მისი რუსული მნიშვნელობა. ახალ წერტილს ვირჩევთ ბოტის ტვინში, რომელსაც უნდა მივანიჭოთ ბოტის პასუხის ფუნქცია შესაბამისი ველიდან, ბოტის კითხვა-პასუხის არჩევის შემდეგ ვთავაზობთ პასუხის ვერსიას: **„в этом деле я уываю руки“**. შემაჯავლი და გამომავალი ინფორმაციის დასაკავშირებლად უკვე მის ტვინში არსებულ ორ ინფორმაციას, ორ წერტილს, კავშირის შექ-

მნის ველიდან არჩეული ისრით ვაკავშირებთ. რის შემდეგაც პროგრამა სვამს შეკითხვას, კავშირი იყოს თუ არა პირდაპირი. თუ მოვნიშნავთ პირდაპირს და შემდეგ ვთხოვთ მას, გვითარგმნოს „**მე ამ საქმეში ხელები დამიბანია**“, მოგვაწოდებს რუსულ თარგმანს „**в этом деле я умыаю руки**“. ბოტის მეხსიერებაში გროვდება ინფორმაცია შემდეგი სახით:

1.1.1 პოლტა დანაშაულის სახლის წინაშე დღე გადის გამდგომი კამბი 27.10.2020 10:00:00	1.1.1 პოლტა დანაშაულის სახლის წინაშე დღე გადის გამდგომი კამბი 27.10.2020 10:00:00
1.1.2 პოლტა დანაშაულის სახლის წინაშე დღე გადის გამდგომი კამბი 27.10.2020 10:00:00	1.1.2 პოლტა დანაშაულის სახლის წინაშე დღე გადის გამდგომი კამბი 27.10.2020 10:00:00
1.1.3 პოლტა დანაშაულის სახლის წინაშე დღე გადის გამდგომი კამბი 27.10.2020 10:00:00	1.1.3 პოლტა დანაშაულის სახლის წინაშე დღე გადის გამდგომი კამბი 27.10.2020 10:00:00
1.1.4 პოლტა დანაშაულის სახლის წინაშე დღე გადის გამდგომი კამბი 27.10.2020 10:00:00	1.1.4 პოლტა დანაშაულის სახლის წინაშე დღე გადის გამდგომი კამბი 27.10.2020 10:00:00

მანქანა ინფორმაციის მიღების შემდეგ სწავლობს ამ მონაცემებს.



თუ ნასწავლ ქართულ წინადადებას მცირედით შევცვლით, მაგალითად „**ხელები დამიბანია მე ამ საქმეში**“ და ვთხოვთ გვითარგმნოს, ვერ შეძლებს მის თარგმნას, რადგან ჩვენგან მიწოდებულ წინადადებას მივანიჭეთ ტიპი „პირდაპირი“, რაც გულისხმობს, რომ კონკრეტულად ისეთი ფორმის თარგმანზე უნდა ვთხოვოთ მას პასუხი, როგორიც მივაწოდეთ. თუმცა, შესაძლებელია მცირედი ცვლილებებითაც შეთავაზებულ შემავალ ფრაზაზეც მოგვაწოდოს მან მის მიერ ნასწავლი რუსული თარგმანი, ასეთი ინტერაქციისთვის ვირჩევთ ახალ წერტილს ბოტის ტვინში და შესაბამის ფანჯარაში ვწერთ წი-

ნადადებას სხვადასხვა ვარიაციით: **მე ხელები დამიბანია ამ საქმეში, ამ საქმეში მე ხელები დამიბანია, ხელები დამიბანია ამ საქმეში**. ისინი მძიმით უნდა გამოიყოს და მოვნიშნავთ, როგორც „ფუძე სიტყვებს“ და დავაკავშირებთ რუსული თარგმანის წერტილთან. მძიმეებით გამოყოფილი წინადადებებიდან ერთ-ერთს თუ შევთავაზებთ მანქანას, თითოეულზე მოგვაწოდებს ფრაზის რუსულ თარგმანს.

ფრაზეოლოგიზმთა დასწავლისა და შემდგომ მათი თარგმნით ლექსიკონში სწორად გამოყენებისთვის საჭიროა დიდი რაოდენობით მასალა ტექსტების სახით, რომლებშიც გამოყებულია სამიზნე ფრაზეოლოგიზმები, როგორც მათი იდიომატური, ისე პირდაპირი მნიშვნელობით. ლექსიკონის შედგენის პროცესში ტექსტები დაეხმარება მანქანას ამ ვარიაციების დასწავლაში [ვრცლად იხ:

[https://iel.iliauni.edu.ge/chatbot.html?3844&fbclid=IwAR2nji6qRlGh7U4JEgKA2PaQ3Zpu1GcsmyJUv9ZtoSjOPRtmxr_Nu2Tc5CY].

იდიომათა სიზუსტით თარგმნის პროცესს მნიშვნელოვნად გაამარტივებს ქართულ-რუსული **Treebank**-ის აგება.

ამ საკითხზე თავისი მოსაზრებები აქვს მკვლევარ ოლეგ კაპანაძეს, ის აღნიშნავს, რომ **ხეების ბანკი/ Treebank** საჭირო რესურსია ლინგვისტური კვლევისათვის. თარგმნის პროცესის დახვეწისათვის მნიშვნელოვანია პარალელური Treebank-ის¹ აგება, რომელიც ითვალისწინებს ენობრივი ინფორმაციის გასწორებას, წარმოდგენილი სხვადასხვა სტრუქტურით ორენოვანი ტექსტის სხვადასხვა დონეზე. მკვლევარი განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენების პარალელურ ტექსტებში – გერმანულისა და ქართულის მაგალითზე, აღწერს Treebank-ის აგების პროცესს თარგმანის ეკვივალენტების განსაზღვრისათვის, მან აირჩია ენები, რომლებიც მიეკუთვნება სხვადასხვა ენობრივ ოჯახებს და შედეგად, სარგებლობენ განსხვავებული ტი-

¹ Treebank – სინტაქსური ხეების ბანკი (განშტოებული დიაგრამების ფორმით). წარმოადგენს სინტაქსურად და სემანტიკურად ანოტირებულ ტექსტს, რომელიც დანაწევრებულია მოცემული ენის სინტაქსის ფორმალური წესების (Parsing) მიხედვით. ცნება parsed corpus ხშირად გამოიყენება ცნების Treebank სინონიმად [თანდამვილი, ფურცხვანიძე, 2014:69].

პოლოგიური მახასიათებლებით, რომლებიც გამოიხატება მრავალფეროვანი მორფოლოგიური სტრუქტურით, სიტყვებისა და ფრაზების განსხვავებული თანმიმდევრობით. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ორენოვანი გერმანულ-ქართული Treebank-ის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში მცდელობა ჰქონდა სინტაქსური სტრუქტურების დაჯგუფებისა და ფრაზების ჩვეულებრივი თარგმანების კლასიფიკაციათა განსაზღვრისა, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ეკვივალენტურ ერთეულებად ორენოვანი ტექსტის გასწორების საკითხში [კაპანაძე, 2016:85-100].

GRUG პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევიდან, მეცნიერი გამოყოფს გერმანულ-ქართული, გერმანულ-რუსული, გერმანულ-უკრაინული და ქართულ-უკრაინული პარალელური ხეების აგების პროცესის კვლევას. ო. კაპანაძე აღნიშნავს, რომ ხეების ბანკების შესახებ არსებული ლიტერატურიდან მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ენებისთვის დიდი ხეების ბანკების შექმნას შედარებით მარტივი მორფოლოგიითა და ფიქსირებული სიტყვების თანმიმდევრობით. ეს ლიტერატურა მნიშვნელოვნად დაეხმარება ფრაზეოლოგიზმთა თარგმნის დახვეწას.

მკვლევარი ითვალისწინებს იმასაც, რომ ქართული სიტყვები ზოგჯერ შეიძლება უტოლდებოდეს მრავალსიტყვიან უცხოურ ფრაზებს და პირიქით, რაც გარკვეულ პრობლემას წარმოქმნის, რადგან ფრაზები უფრო იშვიათად გვხვდება კორპუსებში, ამიტომ, შესაძლოა, მსგავსმა მოდელებმა მოითხოვოს უფრო დიდი კორპუსი, რათა მანქანამ ისწავლოს გარკვეული ქართული სიტყვისა და შესაბამისად, ფრაზის ზუსტად თარგმნა. მეცნიერი აღნიშნავს, რომ „მომავალი პარალელური ხეების ბანკი ასევე შეიძლება გაფართოვდეს ისეთი მონაცემის გამოყენებით, როგორიცაა ვალენტურობის ჩარჩოები, ანაფორული რეზოლუციები და სემანტიკური ველები, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება უზრუნველყოს საჭირო მინიშნებები პარალელური ხე-ბანკის გასაუმჯობესებლად“. [კაპანაძე, 2020:18].

ცალკეულ სიტყვათა სინტაქსური თუ მორფოლოგიური ანალიზი პარალელურ კორპუსებში მნიშვნელოვანია თარ-

გმნის პროცესის გაუმჯობესებისათვის, თუმცა არასაკმარისია ფრაზეოლოგიზმთა ზუსტად თარგმნისათვის.

მკვლევარი ირინა ლობჟანიძე თავის კვლევაში აღნიშნავს, რომ „ნებისმიერი ორენოვანი ლექსიკონის შექმნას სჭირდება სამი ძირითადი ეტაპის გავლა, როგორიცაა მონაცემთა ბაზის შექმნა, მოძიებული ერთეულების თარგმნა და შექმნილი ფორმების საბოლოო შეჯერება. თანამედროვე ლექსიკოგრაფიაში ზემოხსენებული ეტაპების საფუძველს წარმოადგენს კორპუსი“ [ლობჟანიძე, 2012:272].

მკვლევარს ნაშრომში წარმოდგენილი აქვს მ. აფრიდონიძის თვალსაზრისი სტატიიდან, „იდიომი და იდიომურობა“, რომელშიც გვხვდება იდიომის შემდეგი განსაზღვრება: „იდიომი არის სემანტიკურად დაუშლელი და გრამატიკულად შეუღლელი გამოთქმა, რომელიც შეიცავს ერთ აღმნიშვნელ სიტყვას მაინც და ამა თუ იმ ტერმინის სინონიმად იხმარება“ [ლობჟანიძე, 2012:19]. ეს მოსაზრება ხაზს უსვამს იდიომატური გამოთქმის, როგორც ერთი მთლიანობის თარგმნის აუცილებლობას და არა ცალკეულ ლექსიკურ ერთეულებად დაშლასა და შესწავლას.

ძირითადი დასკვნები:

ამრიგად, საკითხის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მიუხედავად ბოლო ათწლეულების განმავლობაში მთარგმნელების მიერ კომპიუტერული პროგრამებისა და ელექტრონული ლექსიკონების აქტიური გამოყენებისა, რომლებიც თარგმნის პროცესის ოპტიმიზაციის საშუალებას აძლევს მათ, ჯერ არ არის გადაწყვეტილი ბევრი ლექსიკური პრობლემა, რომლებიც წარმოიქმნება ქართული ტექსტების რუსულად თარგმნისა და, პირიქით, რუსული ტექსტების ქართულად თარგმნის დროს, განსაკუთრებით ისეთი ტექსტებისა, რომლებშიც უხვადაა ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი.

მანქანური თარგმნა არის დედნის ტექსტის კომპიუტერული გადათარგმნა სხვა ენაზე ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. ბუნებრივი ენები საკმარისად რთულია მათი შემდგომი კოდირებისთვის. ამჟამად კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ტექსტის თარგმნის დროს დიდი რაოდენობით ენობრივი უზუსტობა იჩენს თავს, რის გამოც მანქანის მიერ თარგმნილი ტექსტი არაზუსტი და არასანდოა.

თარგმნის პროცესში მანქანა ძალიან ბევრი სირთულის წინაშე დგას, როგორც გრამატიკული (სქესი, ბრუნება, ზმნისწინები, სახელზმნები, ზედსართავი სახელების ხარისხის ფორმები და მისთ.), ასევე ლექსიკური თვალსაზრისითაც. ასეთ შემთხვევაში მთლიანი ტექსტის კონტექსტის გათვალისწინება ეხმარება მანქანას სწორად თარგმნაში, თუმცა მაინც შეიმჩნევა სქესის თარგმნის უზუსტობა. მაგალითად, ერთ-ერთ ქართულ წინადადებაში მანქანა კაბისა და გრძელი თმის მოხსენიებამ „ამოაცნობინა“ სქესი პერსონაჟისა, მაგრამ იქვე მთხრობელის სქესზე მცდარი „დასკვნა გამოიტანა“, ვინაიდან სათანადო მინიშნება ქართულ ფრაზაში ვერ იპოვა და ჩათვალა, რომ მთხრობელიც ქალია. რადგანაც წინადადება **„მღვდლის კაბა ჩააცვს მას“** მანქანურად ითარგმნა სწორად: „Они одели его в платье священника“, აქედან ცხადია, რომ კაბა, როგორც ქალის შესამოსელი, არ განსაზღვრავს მანქანური თარგმნის

სისწორეს და ასეთ შემთხვევებში გათვალისწინებულია კონტექსტები.

რეგულარულად გვხვდება ქართულიდან რუსულად და რუსულიდან ქართულად თარგმნის პროცესში ლექსიკური თანმიმდევრობისა და დაკავშირების სირთულეები და უზუსტობები. თანამედროვე ავტომატური თარგმნა ჯერ კიდევ არასრულყოფილია, რადგან ლექსიკური და გრამატიკული შეცდომების გამო შესაძლებელია ტექსტის მხოლოდ ზოგადი მნიშვნელობის გაგება.

ძირითადი პრობლემები მანქანური თარგმნის პროცესში უკავშირდება ლინგვისტურ სირთულეებს, რომლებიც მოიცავს ლექსიკური მნიშვნელობების ბუნდოვანების პრობლემას, სინტაქსურ გარდაქმნებს, სხვადასხვა გრამატიკულ კონსტრუქციას, რის გამოც გვხვდება სტრუქტურული განსხვავებები თარგმანში.

განსაკუთრებით ძნელია ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპიუტერულად თარგმნა, როგორც ცალკეული სახით, ასევე კონტექსტშიც. ეს პრობლემა უკავშირდება პოლისემიისგან წარმოშობილ ლექსიკურ გაურკვევლობასა და არასწორ ლექსიკურ ბმას.

მანქანურ თარგმნაში განსაკუთრებით ძნელია ლექსიკური გაურკვევლობის პრობლემის გადაჭრა, რაც წარმოიქმნება პოლისემიიდან. თითოეულ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ვარიანტი.

კონტექსტში შესაძლოა გამოვლინდეს თითოეული პოლისემანტიკური სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა, მაგრამ ზოგიერთში სიტუაციების მიხედვით ხდება ლექსიკური მნიშვნელობების ფრაგმენტაცია, რაც გამოიხატება იმაში, რომ სხვადასხვა კონტექსტში, ერთი და იგივე სიტყვამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელობათა ადრევა.

თარგმნის შეცდომათა ერთ-ერთი წყარო აღმოჩნდა ქართულიდან რუსულად და პირიქით თარგმნის პროცესში შუამავალ, საყრდენ ენად ინგლისურის გამოყენება. ეს პრობლემა საგანგებო ყურადღებას მოითხოვს.

მანქანური თარგმანის ხარისხის გასაუმჯობესებლად და პრობლემათა ნაწილობრივი გადაჭრისათვის მნიშვნელოვანია:

1. მიენიჭოს სიტყვისა თუ ფრაზის მანქანისთვის ცნობილ მნიშვნელობას მისი პოლისემიური მნიშვნელობები და ალგორითმით დამუშავდეს ყველა ვერსია, რომ მანქანამ შეძლოს მისი დამახსოვრება და ჩასმა საჭირო დროს საჭირო ადგილას;
2. მანქანისთვის ცნობილი სიტყვების ახალი, სხვა მნიშვნელობების გამოვლენა.
3. ახალი სიტყვის ახალი მნიშვნელობის განსაზღვრა.

კომპიუტერულ თარგმანში განასხვავებენ თარგმნის ორ ძირითად ტიპს:

1. ავტომატური მექანიზმები, რომლითაც კომპიუტერი, თარგმანის მონაწილეობის გარეშე, მთლიანად წყვეტს თარგმნის ყველა პრობლემას.
2. ინტერაქტიული მექანიზმები, რომელთა გამოყენებისას კომპიუტერი სთავაზობს მთარგმნელს თარგმნის პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ვარიანტს, მთარგმნელმა უნდა აირჩიოს საუკეთესო ვარიანტი.

გაურკვევლობის ავტომატური მეთოდები მოიცავს ფილტრებს, რომლებიც დაყენებულია ნიშნების კომბინაციის წესების საფუძველზე. თარგმანში სიტყვების ბუნდოვანების პრობლემის გადაჭრის საშუალება არის ლექსიკონის ჩანაწერების მართვა კონტექსტურ ლექსიკონებში, რომლებიც მიუთითებენ სიტყვების პრიორიტეტულ მნიშვნელობებზე გარკვეული სფეროდან, კონტექსტის მიმართ მოთხოვნის ხასიათიდან გამომდინარე. ამ მოდელით მუშაობს დღეს **translate.google**-ს პლატფორმა.

ინტერაქტიული მეთოდის დროს პროფესიონალი მთარგმნელი (ადამიანი) ურთიერთთანამშრომლობს პროგრამასთან, ამისათვის ის ასრულებს შემდეგ მოქმედებებს:

1. განმარტებითი ლექსიკონის გამოყენებით ადგენს სემანტიკურ ველებს;

2. თარგმნის სიტყვებსა და ფრაზებს დამატებებით სპეციალური ლექსიკონების დახმარებით;
3. ასწორებს ორიგინალში არსებულ შეუსაბამობებს ტექსტსა და თარგმნილ ვერსიაზე დაკვირვებით.

უმნიშვნელოვანესია, რომ სრულყოფილად თარგმანი-სათვის ენის ცოდნაზე არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს მთარგმნელის მიერ სათარგმნი/სამიზნე ენის გამომსახველობითი ხერხების სრულყოფილ ფლობასა და ლიტერატურულ/ენობრივ შესაძლებლობებს, მანქანური თარგმნის შემთხვევაში ეს შეუძლებელია, თუმცა გარკვეულწილად ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ენის გამომსახველობითი ხერხების სრულყოფილად მცოდნე ენათმეცნიერთა და მთარგმნელთა თანამშრომლობით შედგენილი ფრაზეოლოგიზმთა ორიგინალი ენისა და თარგმნილი ფორმების ბაზის შექმნისა და შემდგომში მანქანისათვის მიწოდებით.

ფრაზეოლოგიზმების მანქანური თარგმნის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ხატოვანი სიტყვათშეთანხმების, როგორც ერთიანი კომპონენტის მიწოდება მანქანისათვის ამ კონკრეტული ფრაზეოლოგიზმის წინადადებაში თარგმნის პროცესში. ეს პროცესი გარკვეულ სირთულეებს დაუკავშირდება, რადგან მანქანას გაუჭირდება სათანადო ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ბაზის, მოცულობითი ენობრივი კორპუსის უქონლად ამოიცნოს, როდისაა კონკრეტული ლექსიკური ერთეული სიტყვათშეხამება და დაუშლელი მაწილი წინადადებისა და როდის არა. რამდენიმეკომპონენტისანი ფრაზეოლოგიზმის თარგმნის შემთხვევაში სათარგმნ ენაშიც შესაძლებელია შეგვხვდეს მისი გარკვეული ნაწილის ადგილის ცვლილება წინადადებაში, მაგრამ დაუშლელი იქნება აუცილებლად ის ნაწილი, რომელიც არ დაარღვევს სიტყვათშეთანხმების ფრაზეოლოგიურობას. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი „**ჭერში ბუზებს ითვლის**“ საკმაოდ გავრცელებულია, მისი მოკლე ვარიანტია „**ბუზებს ითვლის**“, რომელიც ინარჩუნებს ინფორმაციულობას და არ მოითხოვს სიტყვა „**ჭერში**“-ს დატოვებას, ან მისი ადგილის უცვლელობას წინადადებაში, მაგრამ „**ბუზებს ითვლის**“ აღარ დაიშლება ფრაზეოლოგიური და ლექსიკური

სემანტიკის დაუზიანებლად. ამ შემთხვევაში დიდ დახმარებას გაუწევს თარგმნის პროცესს **ხეების ბანკი**, რომელიც შეძლებს დაადგინოს სიტყვებისა და ფრაზეოლოგიზმების ენათაშორისი სინონიმია და თუ, მაგალითად, **(ის) დიდი ხანია ქერში ბუზებს ითვლის** მანქანამ თარგმნა, როგორც „**(ის) დიდი ხანია უსაქმოდაა**“, ზუსტად იმავენაირად უნდა თარგმნოს შემდეგი ვარიაციები ამ წინადადებისა: **ის ქერში დიდი ხანია ბუზებს ითვლის; ის დიდი ხანია ბუზებს ითვლის**. დღეისათვის ასეთი შედეგის მოცემა მანქანას ჯერ კიდევ არ შეუძლია კორპუსის უქონლობის გამო.

ფრაზეოლოგიზმთა სრულყოფილი მანქანური თარგმნისათვის მხოლოდ მორფოლოგიური, სინტაქსური და მათი სინთეზური ანალიზი საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია, მათთან ერთად შინაარსობრივი, ანუ სემანტიკური ასპექტების გათვალისწინებაც.

ლექსიკოლოგების ჩართულობით უნდა შეიქმნას ხატოვანი სიტყვათშეხამებების კონკორდანსების საცავი, სიტყვებისა და ცნებების ალფაბეტური ჩამონათვალი, სადაც მიეთითება მოცემულ ტექსტში მათი განლაგება, მნიშვნელობა, აგრეთვე აღინიშნება სიტყვებისა და ცნებების გამოყენების რაოდენობა, რომლითაც იხელმძვანელობს მთარგმნელი პროგრამა.

ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი წვლილის შეტანა შეუძლია მომხმარებელს თარგმნის პროცესის გაუმჯობესებაში იმ მთარგმნელი პროგრამების საშუალებით, რომლებიც სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მუშაობს.

ფრაზეოლოგიზმთა დასწავლისა და შემდგომ მათი თარგმნით ლექსიკონში სწორად გამოყენებისთვის საჭიროა დიდი რაოდენობით მასალა ტექსტების სახით, რომლებშიც გამოყენებულია სამიზნე ფრაზეოლოგიზმები, როგორც მათი იდიომატური, ისე პირდაპირი მნიშვნელობით. ლექსიკონის შედგენის პროცესში ტექსტები დაეხმარება მანქანას ამ ვარიაციების დასწავლაში.

ქართულ ენას კომპიუტერული სერვისის მატალ დონეზე განვითარება ჰაერივით სჭირდება, მანქანური თარგმნა ხელს შეუწყობს ქართული ენის მნიშვნელობისა და პრაგმატიკის

ზრდასაც როგორც ქართველი, ისე უცხოელი მომხმარებლები-სათვის. უამისოდ ინტერნაციონალიზაცია შეუძლებელია. ეს მოგვცემს დროისა და დანარჩენ მსოფლიოსთან ენერგიის ეკონომიას, კონტაქტების გაფართოებას, ქართული კულტურის გაცნობას მსოფლიოსათვის და ა.შ.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ფართო მოცულობის აკადემიური ფრაზეოლოგიური ლექსიკონები ქართულ ენაზე არ გვაქვს არც ბეჭდური და არც ელექტრონული სახით, ხოლო რუსულ ენაზე უამრავი ფრაზეოლოგიზმის დამუშავებული მონაცემების მოძიებაა შესაძლებელი: ფრაზეოლოგიზმის ტიპი, პირდაპირი და გადატანითი სემანტიკა, ეტიმოლოგია, ციტატები მხატვრული ლიტერატურიდან და ზეპირი მეტყველებიდან.

ბუნებრივია, ამ დიდი მოცულობის სამუშაოებს სჭირდება ინსტიტუციური მხარდაჭერა, პროფესიონალი ლინგვისტები და პროგრამისტები, მოხალისე მომხმარებლები, სისტემატური დაფინანსება. უამისოდ საქართველო ჩამორჩება მთელ მსოფლიოს არა მარტო ენათმეცნიერებაში, არამედ ადამიანური ყოფა-ცხოვრების უკლებლივ ყველა დარგში: კომპიუტერიზებული ენის გარეშე ვერც ჩვენს კულტურას, წარსულსა და მიღწევებს გავაცნობთ მსოფლიოს და ვერც მსოფლიოს მიღწევებს გავაცნობით და გამოვიყენებთ დროის დაუკარგავად.

GENERAL DESCRIPTION

The present thesis is dedicated to the study of current problems regarding machine translation of phraseological units, and the difficulties connected with the machine translation of phraseologisms in context and individually. It deals with the specifics of Georgian and Russian phraseologisms, the issues of translation theory and a brief history of machine translation, as well as different levels of machine translation, the challenges existing in that field and possible ways of their resolution. The work identifies the difficulties with clarification of ambiguity, structural and lexical differences and the usage of grammatical constructions.

Most phraseological units cannot be translated directly into another language. Phraseologisms have equivalents across the languages, but those equivalents are usually synonymous fixed expressions formed of different components or a target language may not contain semantically similar phraseological units at all. Therefore, a translator must have in-depth knowledge of the target culture, lifestyle and traditions in order to provide accurate translation of phraseologisms. Respectively, phraseologisms are much more difficult for machine translation than ordinary phrases.

It should be noted that even for English, the language considered as the basis of all modern programming languages, notwithstanding its laconism and somewhat formal semantics, it still seems impossible to create an effective software system that would be able to translate English phraseologisms into other languages without mistakes.

As regards the machine translation from Georgian into Russian and vice versa, there are many problems whose solution is essential for semantic understanding of a text and its accurate translation. Some causes of the problems still remain unknown as, based on our observations, a particular cause identified during the process of translating phraseologisms can seem irrelevant regarding a different translation of a similar text. The issues that need special attention are the problems of structural and lexical difference of idioms and

phraseologisms: polysemantic words and phrases, semantic fields. The difficulties with identifying the mentioned problems makes the process of machine translation more complicated and damages the quality of the end product.

the problems with machine translation of Georgian and Russian phraseological units has never been the subject of a monographic study before.

It is the first time that actual results of the machine translation of phraseologisms by two translation platforms – Google and Yandex – have been examined, the similarities and differences between those results have been determined and the more accurate of the two translations has been identified as well as the reasons of differences between them. We have made an attempt to find the sources of errors, which has revealed that the main reason of mistakes is the insufficient linguistic material base contained in the memory of a computer program, as well as uniformity and different frequency of usage. The major source of errors is the usage of English as an intermediary, bridge language when translating from Georgian into Russian and vice versa and this problem calls for special attention.

The study of empirical material has shown that consideration of context helps the computer program to perform accurate translation, however, it still tends to translate some grammatical categories incorrectly.

Main challenges in the process of machine translation are connected with linguistic difficulties, including the ambiguity of lexical meanings, syntactic transformations and different grammatical constructions leading to structural differences in translation. Morphological and syntactic characteristics and their synthetic analysis does not seem to be sufficient for performing flawless machine translation of phraseological units.

This thesis is the first scientific research that has juxtaposed the approaches of professional translations and computer programs to the translation of phraseologisms and compared their respective results. It has become clear that a good command of a target

language is not sufficient for a translator, but the knowledge of a target figurative language and also literature and language skills are equally important, though impossible for a computer program. However, this problem can be solved by creating a base composed of the original phraseological units and their translations as a result of cooperation among linguists, translators and programmers well familiar with figurative language and then feeding that base into a computer program.

The research has revealed that one of the essential conditions for improving machine translation of phraseologisms is introducing figurative collocations into the computer program as a single component while the program is translating a sentence containing a particular phraseological unit. Otherwise machine translation will be a difficult process since without an appropriate lexical and phraseological base and a substantial corpus linguistics the computer program will find it too hard to distinguish whether a particular lexical unit is a set phrase or not.

CHAPTER I. THE PROBLEMS WITH TRANSLATION OF PHRASEOLOGICAL UNITS AND THE HISTORY OF THEIR TRANSLATION

Phraseological units have expressional and stylistic value, which prompts a translator to not only convey their meaning to the target reader, but to use the means of expression as close to the original as possible. The translator has to be well familiar with the fixed expressions in both source and target languages and the history and cultural peculiarities of both nations. The author of the original may employ proverbs or collocations that only exist in the language of the original and express the historical and cultural characteristics and the nature of the nation speaking the source language. That can be a real challenge for a translator. In such cases it is important to determine the reason of appearing a particular expression and the field of its usage, or to find a synonymous phrase in the source language, which will have an equivalent in the target language. Defining the semantics of a fixed phrase can also help the translator to find its equivalent in the target language.

Studying the translation of phraseological units reveals the needs and difficulties facing a translator in the process of their translation and demonstrates the significance of using the data for lexicology, linguoculturology, and language history.

The history of translation is considered to have started in the era of Mesopotamian civilization and its further development is reviewed in the dissertation.

From the 19th century, cultural contacts with Russia intensified in Georgia. The importance of knowing the Russian language brought the need for translation activity and bilingual dictionaries. Russian influence grew especially strong during the soviet period, when language contacts became bilingual. Russian vocabulary penetrated all fields of life. However, the Russian influence on Georgian was confined to borrowings and calques. From the 19th century the Georgian society began to take interest in western literature as well and first translations

appeared. In the 20th century, the translation activity in Georgia became more organized, although sometimes Russian was used as an intermediary language when translating European literature into Georgian.

From the second half of the 20th century, special attention was given to science, technology, economics, politics etc. Development of international relations increased the demand for qualified translators. However, the Russian language continued to play the role of a bridge language.

CHAPTERS II AND III. GEORGIAN/RUSSIAN PHRASEOLOGISMS

This chapters contains a review of the opinions expressed by Georgian and Foreign scholars (B. Pochkhua, T. Gamkrelidze, G. Nebieridze, G. Akhvlediani, T. Avaliani, M. Aroshidze, Sh. Bali, V. Vinogradov, V. Telia, A. Kunin, P. Kuznetsov, A. Shakhmatov etc.) about the specifics of Georgian and Russian phraseologisms followed by our analysis of actual empirical material.

The Georgian linguists classified phraseologisms into three categories:

- ✓ **Phraseological fusion (blend/composite):** ჩაილურის წყალი დაღლია (literally “drank Chailuri water” – disappeared without a trace);
- ✓ **Phraseological unity (combination):** ამ ქვეყნისა აღარ არის (literally “not of this world anymore” – is going to die);
- ✓ **Phraseological construction (expression):** ნაცრის ქექვა (literally “digging in the ashes”: – idling, doing nothing).

Some scholars are against using the term **idiom** as a synonym of a **phraseological unit** and single out proverbs and aphorisms among all phraseologisms. They believe that they represent individual cases of phraseological nomination.

Russian phraseologisms are also classified into three main types:

- ✓ **Idioms (phraseological fusions):** бить баклуши means doing nothing; it is not translated literally;
- ✓ **Phraseological units:** попасться на удочку (“to be caught on a fishing rod”, “to be caught in a trap,”) is understandable even in literal translations. The meaning of this phraseological unit will not change if the Russian word denoting “a fishing rod” is substituted with the word “a hook” or the phrase is converted to a different tense.
- ✓ **Phraseological combinations:** умирать от любви (“to die from love,” “is dying from love, is very much in love”)

We made a conclusion that the three types of phraseologisms in Georgian and Russian are practically similar.

CHAPTER IV. BASIC ISSUES OF TRANSLATION THEORY

The phenomenon of translation has always attracted the attention of linguists, psychologists, literary critics and ethnographers. It is remarkable that some scholars consider translation theory as a sub-field of linguistics, while others assign it to literary studies. Approaches to translation theory differ to this day; there are attempts of identifying it with comparative linguistics or comparative literary studies. This can be explained by the existence of different types of translation.

During 1960s, linguistic problematics of translation separated from the problems of literary criticism to evolve into a new direction of translation studies. It looks at translation from the specific perspective of linguistics and is connected with the development of communication theory, a new direction in linguistics that studies the process of translation or modelling the interlingual communication, general linguistic issues of translation, manifestation of universality of languages through translation and the problems of general lexicology.

According to Mikheil Chkhaidze, analysis of automatic translation is conducted at two levels: morphological and syntactic, while the third, semantic level is regarded as synthesis of translation. Morphological analysis is made as follows: the program receives a text for examination and starts examining it from the first word. Of course, in the process of translating phraseologisms conducting morphological analysis is not sufficient. As for the syntactic analysis, the program starts looking for links between words to find out which words are linked in a sentence, and determines the nature of subordination of words. However, studying the types of syntactic agreement is still insufficient for performing accurate translation.

We conducted an experiment: compared the translations of the same phraseologisms from Arsena Marabdeli made by a professional translator and a computer program in order to discover

the differences. Below we offer some of the results of our experiment:

In some cases, the difference between the Georgian and Russian phraseologisms is minimal in a translator's versions. As for the program, it translated the Georgian fixed phrases directly and the translations coincided with the original phrases because it turned out that Russian also had phraseologisms with the same lexical meaning and, what's more, the appropriate phraseological units had been inputted in the memory of the program.

There were cases when the difference between the original Georgian phraseologisms and their Russian translations made by a translator was insignificant, while the machine translation was literal with essential changes: the subject of the original phrase became the object in Russian translation, and consequently, the object functioned as the subject. That upset the grammatical and syntactic relations between the words and damaged the semantics of the translation. This happened because the computer program "could not understand" what was going on in particular sentences as its memory did not contain the Russian equivalents of the original phraseologisms, so it mistook fixed Georgian phrases for ordinary sentences and mixed up subjects and objects.

Such examples demonstrate that certain progress has been made in machine translation, but more research is needed and there are still many things that computer programs need "to study."

CHAPTER V. PRAGMATIC ASPECTS IN INTRALINGUAL COMMUNICATION AND EXTRALINGUISTIC FACTORS OF TRANSLATION

Pragmatic factors comprise diverse information, which is categorized according to priorities, such as encyclopedic knowledge, social norms, frameworks, attitudes, intentions, opinions and beliefs expressed by sentences. Such information makes it possible to determine the meaning of the analyzed statements in the immediate situational context.

In the process of translation, especially while translating phraseologisms, a translator, in our case a computer program, must have the semantic competence comparable to the knowledge of a language system and the pragmatic competence comparable to the knowledge of social norms contained in the text.

